საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფილოსოფიის ინსტიტუტი

გ. ცინცაძე, რ. ბალანჩივაძე

ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკისათვის

გამომცემლობა „მეცნიერება"

თბილისი

1965

15
Ц 661

წიგნში მოცემულია ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის საფუძვლების კრიტიკა. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: 1. მარბეს განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები (ავტორი გ. ცინცაძე); 2. ემპირიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები (ავტორი რ. ბალანჩივაძე).

გამოკვლევა, „კ. მარბეს განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები" წარმოადგენს მარბეს თეორიის დალაგებისა და კრიტიკული ანალიზის ცდას. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: ა) კ. მარბეს განწყობის ფსიქოლოგია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები; ბ) მარბეს კონცეპციის კრიტიკული ანალიზი.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მარბეს განწყობის თეორია განსაზღვრულია მისი ფილოსოფიური კონცეპციით და გულისხმობს ფილოსოფიურ კონცეპციას როგორც თავის აუცილებელ წინამძღვარს.

გამოკვლევა „ემპირიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები" ეხება ფსიქოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ და ჯერ კიდევ სუსტად შესწავლილ პრობლემას, ემპირიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების დადგენას.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ემპირიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძველია ემპირიზმი; ხოლო ემპირიზმი, ლოგიკურად განვითარებული, აუცილებლობით მიდის სკეპტიციზმამდე. სკეპტიციზმზე კი, როგორც ცნობილია, მეცნიერება ვერ აიგება. ემპირიული ფსიქოლოგიის უკმარობაც ამ გარემოებითაა განპირობებული.

განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკისათვის (კარლ მარბე)

შესავალი

განწყობის თეორიის ჩამოყალიბებისა და განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შექმნის პირველი ცდა დაკავშირებულია გერმანელი ფსიქოლოგის კარლ მარბეს (1863—1953) სახელთან.

რადგანაც ქართული ფსიქოლოგიური სკოლის თეორიულ ბაზისს განწყობის ცნება წარმოადგენს, ამიტომ გასაგებია ის მნიშვნელობა, რომელიც მარბეს კონცეფციის გაცნობასა და კრიტიკულ შეფასებას აქვს ჩვენთვის.

მიუხედავად ამისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დ. უზნაძის ცალკეულ შენიშვნებს, რომლებიც უპირატესად მისი (უზნაძის) და მარბეს თეორიის განმასხვავებელ მომენტებზე მიუთითებს[1], და პროფ. შალვა ჩხარტიშვილის საკანდიდატო დისერტაციას, საცა ავტორი მარბეს თეორიასაც ეხება[2], მარბეს თეორიის დალაგება და მისი კრიტიკა სისტემატური სახით ჯერ კიდევ არ ყოფილა ჩვენში ნაცადი. გასაგებია, რომ ამის გარეშე შეუძლებელია როგორც განწყობის ცნებაზე დამყარებული ორი უმნიშვნელოვანესი თეორიის (დ. უზნაძისა და კ. მარბეს) ურთიერთმიმართების გააზრება. ისე ამ მიზეზების გათვალისწინება, რომლებმაც განაპირობეს მარბეს თეორიის გვერდით უზნაძის განწყობის ახალი თეორიის შემუშავება. ვფიქრობთ რომ ყოველივე ამას ჩვენში არა მარტო თეორიულ-ისტორიული, არამედ ასევე პრაქტიკული მნიშვნელობაც უნდა ჰქონ-

---

[1] დ. უ ზ ნ ა ძ ე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 73, 1940.

[2] შ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, პროფ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის თეორიული საფუძვლები, ქუთაისი, 1940, საკანდიდატო დისერტაცია.

დეს. წინამდებარე ნაშრომის მიზანია მარბეს თეორიის გადმოცემითა და კრიტიკული შეფასებით რამდენადმე შეუწყოს ხელი აღნიშნული პრობლემების გარკვევას.

შრომა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გადმოცემულია მარბეს თეორია; მეორე ნაწილი მარბეს კონცეფციის კრიტიკას წარმოადგენს. ჩვენის აზრით, შრომის ასეთი გეგმა მოსახერხებელია როგორც მარბეს მსოფლმხედველობის უკეთ გაცნობის, ისე მისი კრიტიკის მართებულობის უკეთ შეფასებისთვის.

რამდენიმე სიტყვა იმ თანამიმდევრობის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვიცავთ მარბეს მსოფლმხედველობის გადმოცემისას: მარბესთან განწყობის თეორიის შემუშავებას წინ უსწრებდა (და როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, არა მხოლოდ ქრონოლოგიურად) აზროვნების ფსიქოლოგიისა (მსჯელობა) და მოვლენათა ერთნაირობის პრობლემების კვლევა-ძიება. რადგანაც ამ პრობლემების მარბესეული გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია მისი განწყობის თეორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალის გააზრება, ამიტომ ჩვენც. სანამ განწყობის თეორიაზე გადავიდოდეთ, მანამ მათ უნდა გავეცნოთ.

მაგრამ მსჯელობის (აზროვნების) ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური კვლევისას მარბე ამოდიოდა განსაზღვრული ფილოსოფიური თვალსაზრისიდან და ეს გამოკვლევაც არსებითად ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად იყო გამიზნული. ყოველშემთხვევაში, თვითონ მარბემ იგი თავისი ფილოსოფიური თვალსაზრისის დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნია. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ფილოსოფიური თვალსაზრისის გავლენისაგან არც მარბეს განწყობის თეორიაა თავისუფალი; უფრო მეტიც: მარბეს ფსიქოლოგიური თეორია მაშინ გახდება ჩვენთვის გასაგები, როცა იმ ფილოსოფიურ თვალსაზრისს გავითვალისწინებთ, რომლის თავისებურ დასაბუთებასაც ეს თეორია წარმოადგენს. ყოველივე ეს გასაგებს ხდის ჩვენთვის იმ ფილოსოფიური საფუძვლების გაცნობის აუცილებლობას, რომლებიც მარბეს ფსიქოლოგიურ თვალსაზრისს განსაზღვრავს.

მაგრამ მარბეს კონცეფციის გაცნობისას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს შემდეგ გარემოებას: მარბესთან (განსაკუთრებით მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში) ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური პრობლემების კვლევა-ძიება ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი განცალკევება უმეტესწილად შეუძლებელი ხდება.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენ მარბეს გამოკვლევები მსჯელობის შესახებ (აზროვნების ფსიქოლოგია) შეგვაქვს იმ თავ-

ში, საცა მარბეს განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლებია გადმოცემული. მარბეს ფილოსოფიური თვალსაზრისის სრულყოფილი გაგება, ჩვენის აზრით, მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი. ყოველივე ეს შეადგენს ჩვენი შრომის პირველ თავს. მეორე თავში გადმოცემულია მარბეს განწყობის ფსიქოლოგია. ამით მთავრდება შრომის პირველი ნაწილი. შრომის მეორე ნაწილი სამი თავისაგან შედგება: 1. მარბეს განწყობის თეორიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკა; 2. მარბეს ფსიქოლოგიური კონცეფციის კრიტიკა; 3. მარბე და თანამედროვე ფსიქოლოგია.

———

I

კარლ მარბეს განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძველი

თავი პირველი

მარბეს ფილოსოფიური კონცეფცია

§1. ფილოსოფიური თვალსაზრისის ამოსავალი. გარესამყაროს არსებობის დამტკიცება შეუძლებელია. „იდეალიზმ“ და აგრეთვე სოლიპსიზმი ისეთი თვალსაზრისებია, რომელთა უკმარობის ჩვენება არ ხერხდება... შეუძლებელია უარყოფილ იქნას ის დებულება, რომ მთელი სამყარო არსებობს ჩემს წარმოდგენაში...“[1]. მაგრამ ერთი დამტკიცებადი დებულება, ხოლო სხვაა დებულების სისწორე. მარბეს აზრით, დებულება სწორია იმ შემთხვევაში, თუ 1. მას ახლავს უშუალო სიცხადე; 2. თუ მოეპოვება დასაყრდენი შინაგან ან გარეგან აღქმაში; 3. თუ ლოგიკურად დაიყვანება პირველ ორზე, ანდა მათგან გამოიყვანება[2].

დებულებათა სისწორის ჩამოთვლილი კრიტერიუმები ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ თვალსაზრისს ახასიათებს და პოზიტივური მეცნიერების არსებობის გასამართლებლად მათი გამოყენება არ შეიძლება: მეცნიერების არსებობის გამართლება ხომ მეცნიერების საკვლევი ობიექტის რეალურად არსებობის აღიარებაში მდგომარეობს. ასეთი რამ კი არ შეიძლება დამტკიცდეს დებულებათა სისწორის ჩამოთვლილი კრიტერიუმებით. მათ საფუძველზე გარესამყაროს არსებობის დასაბუთება შეუძლებელია.

მაგრამ მეცნიერებაში ხშირად იყენებენ ისეთ დებულებებს, რომლებიც არც უშუალოდ ცხადნი არიან, არც გარეგან თუ შინაგან

---

[1] K. Marbe, Ziehen, «Psychophysiologische Erkenntnistheorie», Vierteljahrschript f. wiss. Philos., Bd 23, 1899, S. 243.

[2] იქვე.

აღქმაში მოეპოვებათ დასაყრდენი და ვერც ლოგიკურად დასაბუთება უხერხდებათ. ასეთ დებულებებს ჩვენ „ჰიპოთეზას“ ვუწოდებთ. ყოველი ჰიპოთეზა მანამაა გამოსადეგი, სანამ იგი „მუშაობს“; „მუშაობს“ ის ჰიპოთეზა, რომელსაც რაიმე სარგებლობის მოტანა შეუძლია; სარგებლობა კი იმ ჰიპოთეზებს მოაქვთ, რომლებიც პოზიტივური მეცნიერების ინტერესებს ემსახურებიან.

მართალია, იდეალიზმის არც უარყოფა ხერხდება და არც დასაბუთება, მაგრამ იგი იმიტომ უნდა იქნეს უკუგდებული, რომ მის საფუძველზე შეუძლებელია მეცნიერების არსებობის გამართლება: მეცნიერება დარწმუნებულია, რომ მისი საკვლევი საგანი რეალურად არსებობს და მუდამ იარსებებს. მართალია, მეცნიერების საკვლევი საგნის რეალურად არსებობის მტკიცებაც ჰიპოთეზაა, მაგრამ იგი სასაგრებლო ჰიპოთეზაა და ამიტომ მას მხარი უნდა დავუჭიროთ[3].

ამის მიხედვით, არსებობის ცნება, ისე როგორც იგი გამოიყენება ცხოვრებასა და პოზიტიურ მეცნიერებაში, მარბეს აზრით, შემდეგნაირად უნდა იქნეს ფიქსირებული: „არსებობა მიეწერება ყველა საგანს, რომელსაც შეუძლია ჩვენს შინაგან ან გარეგან აღქმებზე ზეგავლენის მოხდენა, დამოუკიდებლად იმისა, ადგილი აქვს თუ არა ასეთ ზემოქმედებას და არსებობს თუ არა სუბიექტი“[4]. ასეთი იქნება არსებობის ცნების გაგება პოზიტიური მეცნიერების თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით ჩვენ ვუშვებთ გარესამყაროს რეალურ არსებობას და იმის შესაძლებლობას, რომ გარესამყაროს საგნები გავლენას ახდენენ ჩვენს აღქმებზე. ეს დაშვება გამართლებულია იმდენად, რამდენადაც არ „შეიძლება ვიდგეთ პოზიტიური მეცნიერების თვალსაზრისზე და უარვყოთ, რომ სულიერი პროცესები სხეულებრივთან იმყოფებიან მტკიცე კოორდინაციაში“[5].

გასაგებია, რომ აქედან მარბესათვის სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, თითქოს მატერიალური პროცესები პირველადი იყოს, ხოლო სულიერი მეორადი. პირიქით, მისი აზრით, „გნოსეოლოგიურად სულ იოლი დასამტკიცებელია, რომ ჩვენთვის პირველადი ჩვენი განცდებია“[6]. უშუალო სიცხადით ჩვენ მხოლოდ განცდების არსებობას ვწვდებით და ამიტომ, თანახმად დებულებათა სისწორის ზემოჩამოთვლილი კრიტერიუმებისა, სხვა რამის არსებობის მტკიცების უფლება არცა გვაქვს.

---

[3] იქვე, გვ. 244.

[4] იქვე.

[5] K. Marbe, Grundzüge d. forensischen Psychologie, 1913, S. 108.

[6] იქვე.

მაგრამ ცხოვრება და მეცნიერება გვაიძულებს სხვა საგნებსაც მივაწეროთ არსებობა. როგორაა ეს შესაძლებელი? როგორ მივდივართ გარესამყაროს არსებობის დაშვებამდე? მარბე ამას შემდეგნაირად ხსნის: ჩვენ გვაქვს განსაზღვრული გრძნობადი აღქმები; „გრძნობად აღქმებს ჩვენ განვიხილავთ როგორც სხვა არსებული საგნების ნიშნებს". მაგალითად, სინათლის შუქის აღქმას განვიხილავთ როგორც რაიმე მანათობელი სხეულის არსებობის ნიშანს. ასეთი, გრძნობადი აღქმების საფუძველზე მიღებული საგნებიდან ჩვენ ვასკვნით სხვა საგნების არსებობის შესახებ. „ასე ვაგებთ ჩვენ, ჩვენი გრძნობადი აღქმების საფუძველზე, სამყაროს, რომელსაც შემდეგ ჩვენი განცდებისაგან დამოუკიდებელ არსებობას ვაწერთ (beilegen)"[7].

ამგვარად, ის ერთადერთი, რისი არსებობის მტკიცებისა და მიღების უფლებაც გვაქვს, ჩვენივე განცდებია; ესაა ერთადერთი სინამდვილე, რომელთანაც ჩვენს ცნობიერებას აქვს საქმე და რომლიდანაც იგი შემდეგ გარესინამდვილეს ავებს. ამიტომ, პოზიტიური მეცნიერების ინტერესისათვის თუმცა დავუშვით მეცნიერების საკვლევი ობიექტის რეალური არსებობა, მაგრამ სინამდვილეში ყოველგვარ მეცნიერებას ერთი საგანი აქვს. ეს საგანია ჩვენივე განცდები. ამიტომ, მარბეს აზრით, ფსიქოლოგიაში გარეგანი დაკვირვების საგანი პრინციპულად იდენტურია იმ საგნისა, რომელთანაც საქმე აქვს ასეთ დაკვირვებას ფიზიკასა და ქიმიაში:

„ფსიქოლოგიური დაკვირვება განსხვავდება ფიზიკურ-ქიმიურისაგან არა საგნის, არამედ მხოლოდ იმ მიზნის მიხედვით, რომლის გამოც იგი ტარდება. ფიზიკასა და ქიმიაში ამ დაკვირვებებს იმისათვის ვახდენთ, რომ მათი დახმარებით სხეულების ქვალიტატური და ქვანიტატური ცვლილებების კანონები გამოვიყენოთ, სხეულებისა, რომელთაც არსებობას საკუთარი გრძნობადი აღქმების საფუძველზე ვანიჭებთ. აღქმის ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში შესატყვისი დაკვირვებები პირველ რიგში თვითონ აღქმების შესწავლის ინტერესით ტარდება, ხოლო შემდეგ სხეულებთან მათი მიმართების შესწავლის მიზნით"[8].

---

[7] K. Marbe, Experimentell-psychologische Untersuchungen über das Urteil. Eine Einleitung in die Logik, L., 1901, S. 5—6. შემდეგში მითითებული იქნება შემოკლებით: „Urteil".

[8]. იქვე, გვ. 6—7.

მაგრამ თუ მეცნიერებათა კლასიფიკაცია ემყარება არა მათი საკვლევი ობიექტის თავისებურებას, არამედ ჩვენს თვალსაზრისს, და მასთანავე, თუ ყოველგვარ მეცნიერებას საქმე აქვს განსაზღვრული თვალსაზრისით განცდილ გრძნობად აღქმებთან, მაშინ ბოლოს და ბოლოს უნდა ვაღიაროთ, რომ ერთადერთი კანონიერი მეცნიერება ფსიქოლოგია ყოფილა. ფსიქოლოგიზმიც, ამ შემთხვევაში, ერთადერთ შესაძლებელ თვალსაზრისად უნდა ჩაგვეთვალა. მარბე არ იზიარებს ამ თვალსაზრისს; ის ფიქრობს, რომ შესაძლებელია როგორც სინამდვილის გრძნობად აღქმებში მოცემულით განსაზღვრულობის თეზისის დაცვა, ისე ფსიქოლოგიზმის დაძლევა. როგორაა ეს შესაძლებელი?

მარბე ამოდის იმ განსხვავებიდან, რომელიც, მისი აზრით, არსებობს გარეგან და შინაგან აღქმებს შორის. რადგანაც მარბე გარეგან აღქმაში ვერაფერს იპოვის ისეთს, რაც მას ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ გამოადგება, ამიტომ იგი შინაგან აღქმაში ეძებს საამისო საშუალებას.

რა გვეძლევა ჩვენ შინაგან აღქმაში ისეთი, რაც განსხვავებული იქნება გარეგანი აღქმის ბუნებისაგან? ერთი რამ მარბესათვის ამ თავითვე გარკვეულია: როგორც გარეგანი, ისე შინაგანი აღქმის შინაარსები განცდითი ბუნებისაა. მაშასადამე, ვანცდათა სამყაროში უნდა მოიძებნოს ისეთი რამ, რაც არ იქნება ფსიქოლოგიური ბუნებისა და აქედან, რაც ვერ იქნება ფსიქოლოგიის საკვლევი საგანი. თუ ასეთი რამ აღმოჩნდება, მაშინ დამტკიცდება, რომ ფსიქოლოგია არ ყოფილა უნივერსალური მეცნიერება და, მაშასადამე, არც ფსიქოლოგიზმია ერთადერთი შესაძლებელი თვალსაზრისი მეცნიერების ბუნების შესახებ.

ასეთი არაფსიქოლოგიური ბუნების განცდა, მარბეს აზრით, არის მსჯელობა. მსჯელობა ნიშნავს აზროვნებას. მხოლოდ მაშინ, თუ დამტკიცდება, რომ მსჯელობა არ არის ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი, ე. ი., თუ აღმოჩნდება, რომ აზროვნების მიმდინარეობა არ საჭიროებს და არ ეყრდნობა ფსიქიკურ კორელატს, შესაძლებელი იქნება, მარბეს აზრით, ფსიქოლოგიზმის დაძლევა. როგორც ვხედავთ, ფსიქოლოგიზმის დაძლევის ერთადერთ საშუალებად მარბეს ლოგიკა მიაჩნია. მსჯელობა (აზროვნება) ლოგიკის საგანია. აზროვნების ფსიქოლოგიური პირობების არსებობა-არარსებობის საკითხი, ამგვარად, მარბესთან ლოგიკის, როგორც არაფსიქოლოგი-

ური (და მაშასადამე დამოუკიდებელი) მეცნიერების არსებობა-არარსებობის საკითხის გარკვევას ნიშნავს[9].

მაგრამ ცნობილია, რომ არსებობს განსხვავებული თეორიები მსჯელობის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ. მაგალითად, ბრენტანოს მიხედვით მსჯელობის არსი მდგომარეობს მტკიცებასა ან უარყოფაში (Anerkennung oder Leugnung); ასოციაციური ფსიქოლოგიის თანახმად, მსჯელობა თავისებური ასოციაციური პროცესია (მაგალითად ციჰენთან). ვუნდტი ამტკიცებს, რომ მსჯელობა არის მთლიანი წარმოდგენის ნაწილებად დაშლა, ხოლო ზიგვარტს მიაჩნია, რომ საქმე პირიქითაა: მსჯელობა წარმოდგენათა დაშლა კი არაა, არამედ მათი შეერთება: დანაწევრება მსჯელობის პირობაა, ხოლო თვითონ მსჯელობა დაშლილი ნაწილებისაგან ქმნის მთლიანს[10].

საჭიროა ექსპერიმენტულად შემოწმდეს ეს თეორიები; სახელდობრ, უნდა შემოწმდეს მსჯელობის ფსიქოლოგიური თეორიების უფლებამოსილება და არა ის, აქვს თუ არა მსჯელობას ფსიქოლოგიური პირობა. ეს საკითხი, მარბეს აზრით, თეორიის სფეროა და არა ექსპერიმენტისა[11]. თუ მსჯელობის ფსიქოლოგიური პირობა არსებობს, იგი ექსპერიმენტულადაც ჩვენებადი უნდა იყოს; თუ ასეთი რამ არ აღმოჩნდება, ეს იქნება დამამტკიცებელი ყოველგვარი ფსიქოლოგისტური ლოგიკის შეუძლებლობისა. მარბეს აზრით, ფსიქოლოგიზმიც ამ შემთხვევაში დაძლეულად უნდა ჩაითვალოს.

ასეთი იყო ის თეორიულ-ფილოსოფიური განწყობა, რომელიც წინ უსწრებდა მსჯელობის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიურ გამოკვლევას. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ამ განწყობამ თავისი ნიშანი დაასვა ექსპერიმენტული მონაცემების მარბესეულ ინტერპრეტაციას და განსაზღვრული მიმართულებით წარმართა იგი.

შრომას, რომელშიაც მსჯელობის ექსპერიმენტული გამოკვლევაა გადმოცემული, მარბემ ლოგიკის შესავალი უწოდა, ხოლო ლოგიკურ-გნოსეოლოგიური ხასიათის გამოკვლევები, რომელიც მან „მსჯელობის" შემდეგ გამოაქვეყნა „მსჯელობის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევის" დასკვნით ნაწილად მიიჩნია[12]. რო-

---

[9] გასაგებია, რომ „აზროვნებ»" აქ ნიშნავს. აზრს, აზროვნების შინაარსს და არა აზროვნების პროცესს. აზროვნების პროცესი ყოველთვის ფსიქიკურია და მისი არაფსიქოლოგიური ბუნების მტკიცება უბრალო გაუგებრობა იქნებოდა.

[10] იქვე, გვ. 13.

[11] K. Marbe, Zur Psychologie d. Denkens, Fortschritte der Psychol., Bd. 3, S. 11.

[12] K. Marbe, Beiträge Zur Logik und ihren Grenzwissenschaften. Vierteljahrschrift f. wiss. Philos. und Soziologie, Bd 30, 1906, S. 466.

გორც ვხედავთ, მოძღვრება მსჯელობაზე მარბეს ფილოსოფიური თვალსაზრისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვანძო პუნქტია და ამიტომ მისი გაცნობა, არსებით ხაზებში მაინც, მარბეს კონცეფციის შთლიანობაში წარმოდგენისათვის აუცილებლად უნდა ჩაითვალოს.

§ 2. მოძღვრება მსჯელობაზე (აზროვნების ფსიქოლოგია). მარბე მსჯელობას უწოდებს „ცნობიერების პროცესს, რომელშიაც პრედიკატი რაიმე აზრიან, სწორ თუ მცდარ გამოყენებას პოულობს[13]. მარბე მსჯელობის გაძოკვლევისას შემდეგი მოსაზრებიდან ამოდის: მართალია მსჯელობა განცდაა, მაგრამ რადგან ყველა განცდა მსჯელობას არ წარმოადგენს, ამიტომ უნდა არსებობდეს ისეთი რაღაც, რაც განცდას დაერთვის და მას მსჯელობად აქცევს. თუ ეს რაღაც ფსიქოლოგიური, ე. ი., განცდითი ხასიათისაა, მაშინ იგი ცპ-თა შინაგანი აღქმის მონაცემებში უნდა გამომჟღავნდეს. ამ განცდას შეიძლება ეწოდოს მსჯელობის თანმხლები ფსიქოლოგიური პროცესი ან თანმხლები ფსიქოლოგიური მოვლენა. ამგვარად, მსჯელობის ფსიქოლოგიური პირობის გამოკვლევა მარბესათვის ნიშნავს მსჯელობის პროცესის თანმხლები განცდის არსებობა-არარსებობის გამორკვევას.

თუ ასეთი, მსჯელობის თანმხლები სპეციფიკური განცდა აღმოჩნდება გამოკვლევათა ყველა, ან უმეტეს ნაწილში მაინც, მაშინ მსჯელობის ფსიქოლოგიური პირობის ან ფსიქოლოგიური კორელატის არსებობის საკითხი დადებითად უნდა გადაიჭრას.

ცდების მეთოდიკა ასეთი იყო: ცპ-რს ეძლეოდა საშუალება ცნობიერების იმ სხვადასხვა პროცესების განცდისა, რომლებიც მსჯელობად იქცევიან. მსჯელობის პროცესის ვანხორციელების შემდეგ ცპ-რს ოქმში შეჰქონდა ყველა ის განცდა, რომელიც მასში მსჯელობის პროცესის პარალელურად აღმოცენდებოდა. მარბე თვლის, რომ ამ გზით შესაძლებელი იქნებოდა მსჯელობის თანმხლები სპეციფიკური განცდის აღმოჩენა.

ცდები იწყებოდა მსჯელობითი წარმოდგენების (Urteilsvorstellungen) ფსიქოლოგიური პირობების გამოკვლევით. პირველ რიგში შესწავლილი იყო ის შემთხვევა, როცა აღქმითი წარმოდგენები მსჯელობის ხასიათს იღებენ. პირველ ცდაში დამკვირვებლის წინ დგამდენ ცილინდრული ფორმის ერთნაირი მოყვანილობის, მაგრამ განსხვავებული სიმძიმის ორ საგანს[13ა].

---

[13] «Urteille nenne ich Bewußtseinsvorgänge, auf wilche die Prädikate richtig oder falsch eine sinngemässe Anwendung finden». K. Marbe, «Urteil», S. 10.

[13ა] K. Marbe, „Urteil", გვ. 16.

ცპ-რს ევალებოდა თანმიმდევრობით აეწია ორივე საგანი ერთ და იმავე სიმაღლეზე ერთი და იმავე ხელით და შემდეგ გადაებრუნებინა ის, რომელიც უფრო მძიმე იყო. ეს მოქმედება (საგნის გადაბრუნება), იმისდა მიხედვით, შეესაბამებოდა თუ არა იგი ამოცანით მიღებულ დავალებას, შეიძლებოდა ყოფილიყო მცდარი ან ჭეშმარიტი და რამდენადაც იგი ცპ-რს გაცნობიერებული ჰქონდა (ე. ი., რამდენადაც პრედიკატი აზრიანად გამოიყენებოდა), ამდენად მსჯელობას წარმადგენდა.

იმ საგნის გადაბრუნების შემდეგ, რომელიც ცპ-რს უფრო მძიმედ მოეჩვენა (რაც ნიშნავს პრედიკატის აზრიან გამოყენებას და მაშასადამე მსჯელობას), მას დაუყოვნებლივ შეჰქონდა ოქმში ის განცდები, რომლებიც მასში აღმოცენდნენ ამ მოქმედების (მსჯელობის) შესრულების პარალელურად, თუ იმ აღქმებს, რომლებიც ამ ცდების დროს მსჯელობად იქცეოდნენ, თან ახლდენ რაიმე სპეციფიკური განცდები, რომლებიც აღქმას მსჯელობად აქცევენ, მაშინ ისინი ცპ-რთა შინაგანი აღქმის მონაცემებში უნდა გამომჟღავნებულიყო. ამგვარად, მარბეს აზრით, ასეთი ცდები გამოსადეგი იქნებოდა იმისათვის, რომ გაგვეგო ის ფსიქოლოგიური პირობები, რომლებიც აღქმით წარმოდგენებს მსჯელობად აქცევენ[14].

ცდებიდან აღმოჩნდა, რომ იმ წარმოდგენებს (განცდებს), რომლებიც მსჯელობის ფუნქციას ასრულებენ, შეიძლება ახლდეს სხვადასხვა სახის განცდები, ესენია კინეტიკური შეგრძნებები, ზოგჯერ სიტყვითი წარმოდგენები, ან ცნობიერების მდგომარეობის განცდები. ამავე დროს, საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევა, როცა საერთოდ არ აღინიშნებოდა მსჯელობის თანმხლები პარალელური განცდის არსებობა[15].

ეს გარემოება, ისე როგორც ფაქტიურად შემჩნეული მსჯელობის თანმხლები პროცესების სრული სხვადასხვაობა, ამტკიცებს, რომ თუმცა აღქმითი წარმოდგენები შესაბამის პირობებში მსჯელობად იქცევიან, მაგრამ არ არსებობს ისეთი განსაზღვრული განცდა ან სხვა მოვლენა, რომლის შესახებაც შეიძლებოდა თქმულიყო, რომ აღქმას სწორედ იგი აძლევს მსჯელობის ხასიათს.

შემდეგი ცდები ეხებოდა კითხვას, არსებობს თუ არა რაიმე განცდა, რომელიც მსჯელობის ფუნქციის შემსრულებელ მოგონებით წარმოდგენას (Erinnerungsvorstellungen) ახლდეს, მას უერთდებოდეს და მსჯელობად აქცევდეს. მაგ., დამკვირვებელს ეძლეოდა

---

[14] იქვე. გვ. 18.
[15] იქვე. გვ. 20.

დავალება, წარმოედგინა ორი წრე, რომელთაგან ერთი ორჯერ უფრო დიდი იქნებოდა მეორეზე. იმის შემდეგ, როცა ცდისპირი ამ დავალებას შეასრულებდა, მას ოქმში შეჰქონდა ყველა ის ცნობიერების პროცესი, რომელიც მასში დავალების მიღების შემდეგ აღმოცენდებოდა[16]. ცდების შედეგი აქაც უარყოფითი იყო: აღმოჩნდა რომ მსჯელობის ფუნქციის შემსრულებელ მოგონებით წარმოდგენებს არ ახლავს რაიმე სპეციფიკური განცდა, რომელიც მათ მსჯელობის ხასიათს მიანიჭებდა.

მსგავსივე ცდები ჩატარდა მსჯელობითი ჟესტების, მსჯელობითი სიტყვებისა და მსჯელობითი წინადადების მიმართ. შედეგი ყველგან იგივე აღმოჩნდა. აქედან მარბეს გამოყავს დასკვნა, რომ არ არსებობს მსჯელობის ფსიქოლოგიური პირობა[17].

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ სად უნდა ვეძიოთ მსჯელობის არსი? რადგანაც მსჯელობად შეიძლება ყოველი განცდა იქცეს, მაგრამ რადგანაც ყველა განცდა ყოველთვის არ წარმოადგენს მსჯელობას, და ამასთანავე, რადგანაც არ არსებობს განცდის მსჯელობად ქცევისათვის საჭირო რაიმე ფსიქოლოგიური პირობა, ამიტომ უნდა არსებობდეს სხვა არაფსიქოლოგიური მომენტი, რომელიც განცდას ემატება და მას მსჯელობად ხდის[18].

მსჯელობა არის ცნობიერების პროცესი, რომელშიაც პრედიკატი რაიმე აზრიან, სწორ თუ მცდარ გამოყენებას პოულობს. ამიტომ, მარბეს აზრით, თუ გვინდა იმ პირობების გაგება, რომელთა მეოხებითაც განცდა მსჯელობად იქცევა, ჩვენ უბრალოდ უნდა ვიკითხოთ, თუ როდის პოულობს პრედიკატი ასეთ გამოყენებას. მარბე არკვევს ამ კითხვას უპირველეს ყოვლისა იმ საგნობრივი წარმოდგენების მიმართ, რომლებიც მსჯელობად იქცევიან[19].

მარბეს აზრით, ცხადია, რომ არც ერთი საგნობრივი წარმოდგენის მიმართ არ ხდება პრედიკატის სწორი ან მცდარი გამოყენება, თუ მათ იზოლირებულად ავიღებთ. პრედიკატი მხოლოდ იმდენად გამოიყენება, რამდენადაც მიღებულია მხედველობაში მისი სხვა საგანთან მიმართება. „ყოველგვარი საგნობრივი წარმოდგენა... იმდენადაა მსჯელობითი წარმოდგენა, რამდენადაც მხედველობაშია მიღებული მისი მიმართება მის გარე მდებარე საგნებთან"[20].

---

[16] მარბეს ცდისპირებად ჰყავდა ხალხი, რომლებსაც ესმოდათ ფსიქოლოგიური ენა და ფლობდენ თვითდაკვირვების მეთოდს: პროფ. კიულპე და როეტეკენი, პრივატდოცენტები პფისტერი და ვეიგანდტი, მასწავლებლები (იმ დროს) მეიერი და ორთი.

[17] იქვე, გვ. 41, 42, 43.

[18] იქვე, გვ. 44.

[19] იქვე,

[20] იქვე.

ბაგრამ რა სახის უნდა იყოს ის მიმართება, რომელშიაც საგნობრივი წარმოდგენები იმყოფებიან მათ გარე მდებარე საგნებთან, რათა ისინი მსჯელობად იქცნენ? გასაგებია, რომ სიმძიმის გადაბრუნება ზემომოყვანილ მაგალითში მხოლოდ მაშინ იყო სწორი, როცა იგი ემთხვეოდა (Übereinstimmt) ამოცანით მიღებულ დავალებას. „რა სახის საგნობრივი წარმოდგენაც არ უნდა ავიღოთ, აღმოჩნდება, რომ იგი არამარტო იმდენადაა სწორი ან მცდარი, რამდენადაც სხვა საგნებთან იმყოფება განსაზღვრულ მიმართებაში, არამედ ასევე აღმოჩნდება, რომ იგი იმდენადაა სწორი, რამდენადაც სხვა საგნებს რაიმე თვალსაზრისით ემთხვევა. ამისდა შესაბამისად, იგი იმდენადაა მცდარი, რამდენადაც არ ემთხვევა იმ საგანს, რომელზედაცაა მიმართული. აქედან, მიმართება, რომლის საფუძველზედაც საგნობრივი წარმოდგენა მსჯელობად იქცევა, არის მსგავსებითი მიმართება"[21].

გასაგებია, რომ მარბეს აზრით, „ის საგნები, რომლებსაც სწორ მსჯელობად ქცეული საგნობრივი წარმოდგენები ემთხვევიან, ფაქტიურად განცდილი სხვა საგნობრივი წარმოდგენები არიან"[22]. რადგანაც ყოველი საგნობრივი წარმოდგენა შეიძლება არ იყოს ფაქტიურად განცდილი (მოცემულ მომენტში), ამიტომ მარბე დაასკვნის: „საგნობრივი წარმოდგენები საერთოდ იმდენად არიან მსჯელობები, რამდენადაც ისინი სხვა რეალურ ან იდეალურ საგნობრივ წარმოდგენებთან მსგავსებით მიმართებაში იმყოფებიან"[23].

მსჯელობითი წარმოდგენების არსი ზემოთქმულით ჯერ კიდევ არ არის გარკვეული: საგნობრივი წარმოდგენა შეიძლება იყოს მეორე საგნობრივი წარმოდგენის მსგავსი, მაგრამ ამით ის კიდევ ვერ იქცევა მსჯელობად. საამისოდ საჭიროა კიდევ სხვა რაღაც პირობა. მარბეს აზრით, საგნობრივ წარმოდგენას მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს მსჯელობა, როცა დამთხვევის გარდა ეს დამთხვევა განზრახული ჰქონდა განმცდელ ინდივიდს[24].

მარბე ამ დებულებას ავრცელებს საერთოდ ყოველგვარ მსჯელობაზე და საბოლოოდ გამოყავს ასეთი დასკვნა: მსჯელობად შეიძლება იქცეს ყოველი განცდა, რამდენადაც იგი, თანახმად განმცდელის განზრახვისა, სხვა საგნებს ემთხვევა[25].

---

[21] იქვე, გვ. 46.
[22] იქვე.
[23] იქვე.
[24] იქვე, გვ. 47—48.
[25] იქვე, გვ. 54.

არსებობს მსჯელობის მხოლოდ ერთი საგანი და მსჯელობა ამ საგანზეა მიმართული. განცდას მსჯელობად აქცევს მისი საგანზე მიმართულობა. ამასთან, მსჯელობის საგანი არ საჭიროებს რომ იგი მსჯელობის პროცესში ცნობიერებაში იყოს მოცემული წარმოდგენის მეშვეობით; საერთოდ არაა აუცილებელი, რომ იგი წარმოდგენადი იყოს.

იმ გარემოებას, რომ ლოგიკური მოსაზრებით მსჯელობა განზრახვას გულისხმობს, ხოლო ფსიქოლოგიურმა გამოკვლევებმა ვერ დაადასტურეს მსჯელობის დროს ცნობიერებაში ასეთი რამის არსებობა, მარბე ყურაღღების გარეშე ტოვებს, რადგან „იოლი შესაძლებელია... ადამიანს რაიმე განზრახვა ჰქონდეს, თუნდაც ცნობიერებაში მისი აღმოჩენა შეუძლებელი იყვეს. განზრახვით გამოწვეულს ან განზრახულს.. ჩვენ ვუწოდებთ ასევე ყოველგვარ განცდას და საერთოდ მოქმედებას, რომელიც გამოწვეულია ინდივიდის რაიმე მიზნით, თუნდაც ეს უკანასკნელი მოცემული მოქმედების დროს არ იყოს ცნობიერებაში წარმოდგენილი“[26].

განცდის გამოწვევის მიზანია განცდის პირდაპირი ან მის მნიშვნელობაში მოცემული დამთხვევა იმ საგანთან, რომლისადმიცაა იგი მიმართული. განცდას მსჯელობად ეს არაცნობიერი მიზანი ან განზრახვა აქცევს; იგი მსჯელობას ანხორციელებს და წარმართავს, მსგავსად ნარცის ახის დეტერმინაციის ტენდენციისა[27].

მარბეს აზრით, ის გარემოება, რომ განზრახვა არ არის ცნობიერებაში ჩვენებადი მოვლენა, გასაგებს ხდის მისი გამოკვლევების უარყოფით შედეგს: „ის, რომ სწორი მსჯელობები ემთხვევიან იმ საგნებს, რომლებზედაც არიან მიმართული, ხოლო მცდარი მსჯელობები არა, მსჯელობის ექსპერიმენტული გამოკვლევიდან ვერასოდეს მიიღება. მსჯელობა იმდენადაა სწორი ან მცდარი და აქედან იმდენადაა მსჯელობა, რამდენადაც იგი სხვა საგანზეა მიმართული. აქედან მსჯელობა, სწორი იქნება იგი თუ მცდრი, რელაციის ცნებაა.... ისე როგორც რომელიმე საგნის კვლევა ვერ გვეტყვის დიდია იგი თუ პატარა, ისე, თუ ის სხვა საგანს არ შევუდარეთ, ასევე ვერაფერს გვეტყვის განცდის ფსიქოლოგიური გამოკვლევა მისი მსჯელობითი ხასიათის შესახებ“[28].

მსჯელობის ექსპერიმენტული გამოკვლევა მიზნად ისახავდა აგრეთვე მსჯელობის გაგებისა და შეფასების ფსიქოლოგიური კრიტე-

---

[26] იქვე, გვ. 52.

[27] K. Marbe, Zur Psychologie d. Denkens, Fortschritte d Psychol., Bd 3, S. 4.

[28] K. Marbe, «Urteil», S, 54.

რიუმის დადგენას. ასეთი ფსიქოლოგიური კრიტერიუმის არსებობის. შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ მსჯელობა, რომელიც გვესმის და რომლის შეფასებაც შეგვიძლია, სხვა განცდებს გამოიწვევდა ვიდრე ის მსჯელობები, რომელთა გაგება და შეფასებაც ჩვენ არ შეგვიძლია. შედეგი აქაც უარყოფითი აღმოჩნდა: ექსპერიმენტმა ვერ დაადასტურა მსჯელობის გაგებისა და შეფასების ფსიქოლოგიური კრიტერიუმის არსებობა.

მარბე იძლევა მსჯელობის გაგება-შეფასების ლოგიკურ კრიტერიუმს: მსჯელობა რომ გავიგოთ, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ თუ რომელი საგანი იგულისხმება მასში, ხოლო მისი ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით შეფასებისათვის საჭიროა ცოდნა, მართლა ემთხვევა თუ არა იგი იმ საგანს, რომელზედაცაა მიმართული[29]. აქედან: მსჯელობის გაგება-შეფასების საფუძველია ცოდნა. ხოლო ის გარემოება, რომ ექსპერიმენტმა ვერ აღმოაჩინა ცნობიერებაში რაიმე ცოდნის არსებობა, მარბეს აზრით, არაა მოულოდნელი, რადგან „...ცოდნა არასოდეს არაა მოცემული ცნობიერებაში. მაშინ რას ნიშნავს გამოთქმა, რომ რაღაც ვიცით?.... ამ მტკიცებას მხოლოდ ის აზრი შეიძლება ჰქონდეს, რომ ჩვენ შეგვიძლია სწორი მსჯელობის შედგენა დასახელებული საგნების შესახებ"[30].

ამგვარად, ცოდნა არსებობს როგორც შესაძლებლობა, როგორც უნარი. ცნობიერებაში მისი ჩვენება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როცა იგი განსაზღვრულ მოქმედებაში გამოვლინდება[31]. მარბეს აზრით, ცოდნა დისპოზიციაა განსაზღვრული მსჯელობისაკენ[32]. ცხადია რომ იგი, „როგორც რაღაც დისპოზიციური, ცნობიერებაში არ იქნება მოცემული"[33].

ეს გამოკვლევები, მარბეს აზრით, საშუალებას გვაძლევს ცნების ფსიქიკური წარმომადგენლობის საკითხიც გადავწყვიტოთ: რადგანაც ექსპერიმენტმა უჩვენა, რომ სიტყვას სრულიადაც არ ახლავს პარალელურად მისი მნიშვნელობის წარმოდგენაც, ამიტომ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ „ცნების რაიმე ფსიქიკური რეპრეზენტანტის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება"[34]. ეს იმას ნიშნავს, რომ არ

---

[29] იქვე, გვ. 4.

[30] «...ein Wissen ist niemals im Bewußtsein gegeben. Was heist es dann, wenn wir sagen, wir wissen etwas?... Diese Behauptungen können nur den Sinn haben, daß wir im stande seien richtige Urteile über die genannten Gegenstände zu fällen». K. Marbe, «Urteil», S. 92.

[31] იქვე.

[32] Fortschritte d. Psychol., Bd. 3, S, 56.

[33] იქვე, გვ. 34.

[34] იქვე, გვ. 5.

არსებობს განცდათა რაიმე სპეციფიკური კლასი ან კომბინაცია, რომელიც ცნების წარმომადგენელი იქნებოდა ცნობიერებაში. ცნებები ცნობიერებაში მხოლოდ სიტყვით შეიძლება იყოს წარმოდგენილი და მეტით არაფრით.

მარბეს აზრით, ყოველივე ეს იმის დამამტკიცებელია, რომ არ შეიძლება მსჯელობის ფსიქოლოგიური გაგება. ამით, მაშასადამე, ყოველგვარი ფსიქოლოგისტური ლოგიკაც გამორიცხულია.

როგორც ვხედავთ, მარბეს გამოკვლევათა უმნიშვნელოვანეს, მინაღწევრად უპირველეს ყოვლისა ამ გამოკვლევათა უარყოფითი შედეგი უნდა ჩაითვალოს: იგი ადასტურებდა იმ თეორიულ დებულებას, რომლის თანახმადაც აზროვნებას არ გააჩნია ფსიქიკური კორელატი და ამდენად არც მისი ფსიქოლოგიური შესწავლაა შესაძლებელი.

მაგრამ მარბეს გამოკვლევებს პოზიტიური შედეგიც ჰქონდა. იგი მდგომარეობდა განცდათა მანამდე სავსებით უცნობი კლასის აღმოჩენაში. პირველი გამოკვლევა ამ განცდების შესახებ მარბეს მაშინდელმა მოწაფეებმა. მაიერმა და ორტმა გამოაქვეყნეს და მათ მარბესავე წინადადებით „ცნობიერების მდგომარეობები" (Bewußtseinslage) უწოდეს[35]. ესენია ე. წ. დაძაბულობის, არცოდნის, ცოდნის, ეჭვის, მოლოდინის, გაოცების და სხვ. „ცნობიერების მდგომარეობები".

ამ განცდებს მარბე უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: მათ შეუძლიათ გამოვიდნენ რთულ და განაწევრებულ ცნობიერების პროცესთა წარმომადგენლის როლში, რითაც ჰქმნიან შესაძლებლობას შემოკლებული აზროვნებისა; შეუძლიათ ასევე შეასრულონ ფსიქიკური წარმომადგენლის მოვალეობაც[36].

მარბეს აზრით ცნობიერების მდგომარეობის განცდები ცნობიერებაში დისპოზიციის ანარეკლად ან გამოძახილად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ცოდნა ცნობიერებაში შეიძლება იყოს წარმოდგენილი ცნობიერების მდგომარეობის სახით. „ვინც იტყვის: მე ვიცი რა დაწერა შოპენჰაუერმა,... მას შეიძლება ჰქონდეს ცნობიერების მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებული იქნება შოპენჰაუერის ფილოსოფიის შესახებ სწორი მსჯელობის გამოთქმის შესაძლებლობასთან. და თუ ვინმემ ეს-ესაა გაიგონა, რომ საათმა თორმეტჯერ დარეკა, მას შეიძლება ჰქონდეს დროის ცოდნასთან დაკავშირებული

---

[35] ცნობიერების მდგომარეობის ცნების ისტორიის შესახებ. იხ. K. Marbe. Zur Psychologie des Denkens, Fortschritte d. Psychol., Bd 3.

[36] K. Marbe. Grundzüge der forensischen Psycholnogie. S. 7.

ცნობიერების მდგომარეობა. მაგრამ ორივე შემთხვევაში ცოდნა, როგორც რაღაც დისპოზიციური, ცნობიერებაში არ იქნება მოცემული"[37].

თუ არსებობს ცოდნასთან დაკავშირებული ცნობიერების მდგომარეობის განცდა, მაშინ, ცხადია, უნდა არსებობდეს ცნობიერების მდგომარეობაც, რომელიც დაკავშირებული იქნება არცოდნის ცოდნასთან. გამოკვლევებმა ასეთის არსებობაც დაადასტურა.

შესაძლებელია ასევე ადამიანს ჰქონდეს ცოდნის ცნობიერების მდგომარეობა, მაგრამ არა თვითონ ცოდნა. ასეთ შემთხვევაში ცნობიერების მდგომარეობა გამოძახილი იქნება იმ ცოდნისა, რომელიც დავიწყებულია. ხდება პირიქითაც: „მიუხედავად იმისა, რომ ცოდნა ნიშნავს განსაზღვრული მსჯელობისადმი დისპოზიციას,[38] ამ ცოდნის გამოვლენა არ ხდება ყოველთვის ცოდნის მატარებლის სურვილისდა მიხედვით. მაგრამ ამ დისპოზიციას ასეთ შემთხვევაშიც შეუძლია ცოდნის ცნობიერების მდგომარეობის შექმნა. მარბეს აზრით, ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, როცა მაგალითად, გამოცდაზე ვინმე გვეუბნება, რომ მან ეს საკითხი იცის, მაგრამ ამჟამად ვერ ამბობს.

როცა ცნობიერების მდგომარეობაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი განცდაა და ამდენად ცნობიერია. იგი ისეთი მდგომარეობაა, რომლის შესახებაც სუბიექტმა იცის.

ჩვენთვის აქ განცდათა ეს კლასი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც იგი მარბესთან განწყობის ცნებას უკავშირდება. საქმე ისაა, რომ „ცნობიერების მდგომარეობა" (Bewußtseinslage) მარბესთან ცნობიერების განწყობის მნიშვნელობითაც იხმარება. ინგლისურ ენაზე დაწერილ თავის ერთ-ერთ შრომაში მარბე Bewußtseinslage-ს თარგმნის. როგორც „Coucious Set"-ს. რაც „ცნობიერების განწყობას ნიშნავს[39]. საერთოდ მარბე და მისი მოწაფეები ამ ცნებას „ცნობიერების. განწყობის;" მნიშვნელობით სმარობენ[40]. სხვათაშორის, ასეთივე გაგება იყო მოცემული ამ ცნებისა განწყობის სიმპოზიუმზე, რომელიც საფრანგეთში ჩატარდა 1960 წელს.

---

[37] Fortschritte der Psychologie. Bd 3. S. 34.

[38] «...wenn Wissen auch eine Disposition zu gewissen Urteilen bedeutet...». იქვე. გვ. 56.

[39] Histori of Psychologi in Autobiographi. ტ. 3, გვ. 196.

[40] K. Marbe, Der Rithmus d. Prosa. S. 4. აქ მარბე ნაწარმოების კითხვით გამოწვეულ ესთეტიკურ გრძნობას ცნობიერების განწყობით (Bewußtseinslage) ხსნის. ასევეა ეს ცნება გამოყენებული კენიგთან. იხ. ნისი Zur Ästhetik d. Müsik. ArGsPs. Bd 75, 1930.

თვითონ მარბე ცნობიერების მდგომარეობის განცდათა კვლევაში ამაზე შორს არ წასულა. მან ეს ცნება, როგორც აღვნიშნეთ, განწყობის ცნებას დაუკავშირა და არსებითად, მთელი თავისი შემდგომი მოღვაწეობა, განწყობის პრობლემათა კვლევისაკენ წარმართა. კითხვაც იმის შესახებ, თუ რა კავშირშია ცნობიერების განწყობის ცნება იმ განწყობასთან, რომელმაც მარბეს აზრით, პიროვნებისა და მისი ცობიერების ცხოვრება უნდა აგვიხსნას, მარბეს განწყობის თეორიის გაცნობის შემდეგ გახდება გასაგები. აქ კი იმ დასკვნებს უნდა გავეცნოთ, რომლებიც მარბეს გამოყავს მსჯელობის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევებიდან.

შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ მარბემ თავის გამოკვლევას მსჯელობის შესახებ „ლოგიკის შესავალი" უწოდა. ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა, მარბეს აზრით, დაადასტურა, რომ განცდები (სინამდვილე) იყოფა ორ ნაწილად: ალოგიურ სენსუალურ ფსიქიკურ მასალად ანუ გრძნობად აღქმებად და აზროვნებად ანუ ცნობიერებად. რას წარმოადგენს ცნობიერება, რის საფუძველზე ახდენს შემმეცნებელი სუბიექტი შემეცნების საგნისა და საერთოდ გარესამყაროს აგებას? ამ კითხვებზე მარბე პასუხს იძლევა გამოკვლევათა სერიაში, რომელთა მიზანი ლოგიკისა და შემეცნების თეორიის პრობლემების გარკვევაა და რომლებსაც იგი, როგორც აღვნიშნეთ, მსჯელობის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევის დამამთავრებელ ნაწილს უწოდებს[41]

§ 3. ლოგიკისა და გნოსეოლოგიის პრობლემები. როგორც ითქვა, მსჯელობის კრიტერიუმის ძებნისას მარბემ წამოაყენა მსჯელობის ლოგიკური პირობა: მსჯელობად შეიძლება იქცეს ყოველი განცდა, რამდენადაც იგი, თანახმად განმცდელის განზრახვისა, სხვა რეალურ ან იდეალურ საგნებს ემთხვევა. მართალია, ამ დებულებას მარბე უწოდებს მოძღვრებას მსჯელობის საგნის ტრანსცენდენტურობის შესახებ[42], მაგრამ ცხადია, რომ ტრანსცენდენტური მისთვის მსჯელობის (აზრის) გარედმყოფს ნიშნავს და არა განცდის გარედმყოფს საერთოდ. მარბეს აზრით ხომ ის საგნები, რომლებსაც მსჯელობადქცეული საგნობრივი წარმოდგენები ემთხვევიან ან არ ემთხვევიან, თვითონ წარმოადგენენ საგნობრივ წარმოდგენებს[43]. მარ-

---

[41] K. Marbe. Beiträge zur Logik und ihren Grenzwissenschaften. Zschr f. wiss. Philosophie und Soziologie. Bd 30, 1906. S. 466.

[42] K. Marbe. Zur Psychologie des Denkens. Fortschritte der Psychol., Bd 3, S. 3.

[43] K. Marbe. «Urteil» S. 46.

თალია. მსჯელობის (აზროვნების) საგანი მსჯელობის გარეთ იმყოფება და ამდენად იგი მსჯელობის (აზრის) ტრანსცენდენტურია, მაგრამ, თანახმად მარბეს თეორიისა, მაინც განცდისეულია. მსჯელობა, ბოლოს და ბოლოს, ნიშნავს ორი განცდის ერთმანეთთან მიმართებას. მიმართების დამყარება უნდა იყოს განზრახული განმცდელის მიერ და იგი გულისხმობს განცდის დამთხვევას მსჯელობის საგანთან. ამის შემდეგ გასაგებია, რომ მარბე თავის ამოცანას ლოგიკური და გნოსეოლოგიური პრობლემების გარკვევაში ხედავს. ეს საკითხებია ნიშნის, საგნის, არსებობის, რეალობისა და ღირებულების პრობლემები. მარბე მათ შემდეგნაირად წყვეტს:

1. ს ა გ ნ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. საგნის ქვეშ უპირველეს ყოვლისა უნდა გავიგოთ ის, რისი აღნიშვნაც შეიძლება. შემდეგ საგნებს მიეკუთვნებიან ჩვენი განცდები და სხეულები, რომელთა არსებობას ჩვენ ჩვენი განცდების საფუძველზე ვასკვნით. ასეთ საგანთა რიცხვს მიეკუთვნება იდეალური და საერთოდ ყოველგვარი საგანი, რომელთა შესახებაც ვმსჯელობთ. ამ გაგებით ასევე საგანია ყოველგვარი სიტყვაც. „მაშასადამე საგანი ჩვენთვის არ აღნიშნავს იმასვე, რასაც ნივთი"[44].

საგნის ცნება გულისხმობს (voraussetzt) სუბიექტსა და შესაძლებელ განსხვავებას სუბიექტსა და ობიექტს შორის. ამ აზრით საგნები შეიძლება იმ არსებებსაც ჰქონდეთ, რომელთაც ენა არა აქვთ. მეორეს მხრით, შეიძლება ისეთი არსებებიც ვიაზროთ, რომელთაც ექნებათ განცდები, მაგრამ არ ექნებათ საგნები (განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ცხოველები).

მარბეს აზრით „უაღრესად სავარაუდოა", რომ ადამიანისთვისაც საგნები მისი განვითარების პროცესში ჩნდებიან. ბავშვს თავდაპირველად მხოლოდ განცდები აქვს. თანდათან ეს განცდები ორ ჯგუფად იყოფა. ამ ჯგუფებს ჩვენ მესა და არამეს ვუწოდებთ. მოგვიანებით ბავშვი განასხვავებს საგნადქცეულ განცდებთან ერთად აგრეთვე სხვა საგნებსაც, სხეულებს, რათა შემდეგ გადავიდეს იდეალურ და აბსტრაქტულ საგნებზე[45].

2. ნ ი შ ა ნ თ ა შ ე ს ა ხ ე ბ. ადამიანისათვის უამრავი საგანი არსებობს. საგანს საგნად ხდის განსხვავება. განსხვავების გარეშე საგანი არ არსებობს. საგნის საგნისაგან განსხვავებას მარბე საგნის ნიშანს უწოდებს. საგნის სხვა საგნისაგან ან საგნის ნიშნების განსხვა-

---

[44] K. M a r b e. Beiträge zur Logik und ihren Grenzwissenschaften. Vierteljahrschrift f. wiss. Philosophie und Soziologie. Bd 30, 1906, S. 466.

[45] იქვე, გვ. 467—468.

ვებაა ის ერთადერთი განსაზღვრება, რომელიც ჩვენ შეგვიძლია საგნებს მივანიჭოთ. „ნიშანი არის განსხვავება საგნებს შორის. ცხადია, საგანთა განსხვავება იმდენად არსებობს, რამდენადაც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს სუბიექტი. მაშასადამე, ისე როგორც საგნებისა საერთოდ, ნიშნების არსებობის წანამძღვარიც. კერძოდ, სუბიექტია"[46]. გარდა ამისა, ნიშნის არსებობის წანამძღვარია საგნებს შორის არსებული განსხვავება.

როცა საგანს რაიმე ნიშანს მივაწერთ, ამით ვახდენთ ამ საგნის სხვა საგნისაგან განსხვავების კონსტანტირებას. ე. ი. ვაწარმოებთ სულიერ მოქმედებას, რომელშიაც პრედიკატი, სწორედ თუ მცდარად რაიმე აზრიან გამოყენებას პოულობს. ეს იმას ნიშნავს, მარბეს აზრით, რომ, როცა საგანს რაიმე ნიშანს ვაწერთ, ამით ვმსჯელობთ. მაშასადამე, ნიშნის არსებობის წინამძღვარია მსჯელობა[47].

ისეთი ნიშნები, როგორიცაა დიდი, პატარა, მოკლე და ა. შ. წარმოადგენენ მიმართებებს. ნათელია, რომ მიმართებებიც სუბიექტის მეშვეობითაა მხოლოდ შესაძლებელი. ისინი გულისხმობენ სუბიექტს, რომელიც მიმართებებს ამყარებს (იქვე, გვ. 479).

3. ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ც ნ ე ბ ა. არსებობის აღსანიშნავად ჩვენ სხვადასხვა გამოთქმებს ვხმარობთ; მაგალითად, ჩვენ ვამბობთ, რომ სამყარო არსებობს, ღმერთი არის და ა. შ. ყველგან, საცა არსებობის შესახებ ვლაპარაკობთ, არსებობა არის ნიშანი, რომელსაც ჩვენ განსაზღვრულ საგნებს ვანიჭებთ ან ვართმევთ[48].

როგორც ვთქვით, საგნისადმი ნიშნის მიწერა სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა ამ საგნის სხვა საგნებისაგან განსხვავების კონსტანტირებისა. არსებობის ცნებაც გულისხმობს არა მხოლოდ ისეთ საგნებს, რომლებსაც იგი მიეწერება, არამედ ისეთებსაც, რომელთაც იგი არ მიეწერება. „იგიც, ისე როგორც ყოველი ნიშანი, შემმეცნებელი სუბიექტის მეშვეობითაა მხოლოდ შესაძლებელი"[49].

აბსოლუტური არსებობის ცნება, თუ მასში სუბიექტისაგან ლოგიკურად დამოუკიდებელ არსებობას ვიგულისხმებთ, მარბესათვის მიუღებელია. „საგნის არსებობის შესახებ ლაპარაკს აზრი აქვს მხოლოდ იმ სუბიექტთან მიმართებაში, რომლისთვისაც ეს საგანი არ-

---

[46] იქვე, გვ. 469.

[47] იქვე.

[48] K. Marbe, Beiträge zur Logik und ihren Grenzwissenschaften, Vierteljahrschrift f. wiss. Phil. und Soz., Bd 36., S. 140.

[49] იქვე.

სებობს"[50]. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ სამყაროში არ არსებობს არავითარი მოაზროვნე არსება და შეგვიძლია დავუშვათ, რომ ასეთი სამყაროც არსებობს. მაგრამ, თუ ლოგიკურად განვიხილავთ, ასეთი დაშვებაც გულისხმობს სუბიექტს, რომლისთვისაც სამყარო იარსებებს. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარად დაშვებულ სამყაროში არ არსებობს მოაზროვნე არსება, მისი არსებულად განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ლოგიკურად შესაძლებელ სუბიექტთან კავშირში. რადგანაც არსებობა ნიშანი საგანს ყოველთვის სუბიექტთან კავშირში მიეწერება, ამიტომ, მარბეს აზრით, არსებობს მხოლოდ რელატიური და არა აბსოლუტური არსებობა[51].

საკუთარი ცნობიერების პროცესების შესახებ მე ვამბობ, წერს მარბე, რომ ისინი არსებობენ. საკუთარი განცდების არსებობაში საერთოდ არავის შეაქვს ეჭვი. მაგრამ საკუთარ განცდებთან ერთად ჩვენ სხვის განცდებსაც მივაწერთ არსებობას. ის რასაც სხვისი განცდების არსებობის აღიარებამდე მივყავართ, ყოველთვის ჩვენი საკუთარი განცდებია. ეს შემდეგნაირად ხდება: ანალოგიით დასკვნის საფუძველზე სხვის მოქმედებებს განვიხილავთ როგორც მათი განცდების ნიშანს. მაგრამ ჩვენთვის ეს მოქმედება სხვა არაფერია, გარდა საკუთარი გაცდებისა და მაშასადამე საკუთარი განცდებიდან ჩვენ ვუშვებთ სხვისი განცდების არსებობას[52].

4. ს ხ ე უ ლ ი. „ჩვენს განცდებს მიეკუთვნებიან გრძნობადი აღქმები ან რაც იგივეა, მისი ელემენტები, გრძნობადი შეგრძნებები"[53]. საკუთარ გრძნობად აღქმებს ჩვენ ვაწერთ ამა თუ იმ ნიშანს. ვამბობთ, მაგალითად, რომ ეს გრძნობადი აღქმა სხვაა, ის კი სხვა. ეს უფრო ინტენსიურია, ის ნაკლებ ინტენსიური და ა. შ. მაგრამ საკუთარი გრძნობადი აღქმის ნიშანს ჩვენ ამავე დროს განვიხილავთ როგორც სხეულის ნიშანს[54]. „ასე ვაგებთ ჩვენ საკუთარი გრძნობადი აღქმის საფუძველზე საგანთა სამყაროს, რომელსაც შემდეგ იმ ნიშნებს მივაწერთ, რომლებსაც ჩვენ გრძნობადი აღქმებიდან ვიცნობთ"[55]. და, ბოლოს, ამ საგნებს მაშინაც მივაწერთ არსებობას, როცა მათ ველარ ვხედავთ. ასე ვქმნით ჩვენ თანდათან „ჩვენი გრძნობადი აღქმების საფუძველზე მთელ სამყაროს. სხეულებრივ სამყაროს, რომელსაც განვიხილავთ როგორც ჩვენი განცდებისაგან დამოუკი-

---

[50] იქვე.
[51] იქვე, გვ. 141.
[52] იქვე, გვ. 143.
[53] იქვე, გვ. 145.
[54] იქვე.
[55] იქვე.

დებელს. ამ სამყაროს ყველა ნიშანი ნიშანია აგრეთვე გრძნობადი აღქმისა, ან ასეთებს ემყარება"[56].

სხეულის იმ ნიშანს, რომელიც ამავე დროს გრძნობადი აღქმის ნიშანიცაა, მარბე თავდაპირველ (Ursprüngliche) სხეულებრივ ნიშანს ან აგრეთვე სხეულის პირველად ნიშანს უწოდებს. ასეთ ნიშანთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგ., სინათლე: როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ქაღალდი ნათელია, აქ სინათლე ერთდროულად ჩვენი გრძნობადი აღქმის ნიშანიცაა და ქაღალდისაც, რომელსაც ამ აღქმის საფუძველზე განვიხილავთ არსებულად. არსებობს აგრეთვე გამოყვანილი ნიშანი, რომელიც პირველად ნიშნებს ემყარება. მაგ. როცა საგნის სიმძიმე-სიმსუბუქეზე ვასკვნით იმის მიხედვით, თუ როგორი ინტენსივობის ხმაურს იწვევს იგი იატაკზე დაცემისას. ამ შემთხვევაში სიმძიმე ან სიმსუბუქე გამოყვანილი ნიშანია[57].

მაშინ როცა სხვისი განცდების არსებობის დაშვებამდე მივდივართ სხვისი და ჩვენი მოქმედებების ანალოგიის საფუძველზე, სხეულის არსებობის დაშვებისათვის ანალოგია ვერაფერში დაგვეხმარება. მართალია, ასეთი ანალოგია არსებობს მე-სა, რომელსაც ჩვენ საკუთარ სულიერ ფუნქციებს როგორც ნიშნებს ვუკავშირებთ, და სხეულს შორის, რომელსაც განვიხილავთ როგორც ნიშანთა მატარებელს, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, თითქოს სხეულთა არსებობის დაშვებაც ასეთი ანალოგიის საფუძველზე ხდებოდეს. პირიქით, სხეულთა დაშვება „ღრმადაა დაფუძნებული ჩვენი ფსიქიკური ორგანიზაციის არსებაში". ამიტომ ეს დაშვება, მარბეს აზრით, კატეგორიის შედეგად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო კატეგორიის ქვეშ ის დისპოზიცია გავიგოთ, რომელიც ვლინდება უშუალოდ მოცემულის გაგებასა და ინტერპრეტაციაში. ამიტომ სხეულთა არსებობის დაშვება ჰიპოთეზა კი არაა, არამედ საყოველთაო დაშვება; იგი არც ჩვეულებაა, არამედ რაღაც თავისთავად გასაგები მოვლენა[58].

როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ სხეულებრივი სამყაროს არსებობის დაშვებამდე ჩვენ საკუთარი განცდების საფუძველზე მივდივართ, მაინც სხეულებრივ სამყაროს განვიხილავთ როგორც განცდებისაგან დამოუკიდებელს. ეს იმდენად ხდება, რამდენადაც ჩვენ ვუშვებთ, რომ სხეულები მაშინაც იარსებებდნენ, როცა მათ არ აღვიქვამთ, ანდა აღმქმელი სუბიექტი საერთოდ რომ არ არსებობდეს[59].

---

[56] იქვე.
[57] იქვე, გვ. 146.
[58] იქვე, გვ. 147.
[59] იქვე.

სხეულების დაშვების საფუძველია, მარბეს აზრით, მეორე დაშვება, სახელდობრ იმისა, რომ ჩვენი გრძნობადი აღქმის მიზეზს სხეული წარმოადგენს. იმ გრძნობადი აღქმების ადგილას, რომლებიც ჩემს წინ მდგომ მაგიდას ქმნიან, მე ვათავსებ სხეულს, რომლის შესახებაც ვუშვებ, რომ იგი იწვევს ჩემში ამ გრძნობად აღქმებს და რომლის განსაზღვრაც მე, როგორც აღნიშნული იყო, იმ ნიშნებით შემიძლია, რომლებიც ჩემი გრძნობადი აღქმებიდან ვიცი. ასე განვიხილავთ ჩვენ საკუთარ გრძნობად აღქმებს, როგორც სხეულებით განპირობებულს. „სხეულებრივ სამყაროსა და გრძნობად აღქმებს შორის ასეთი კაუზალური კავშირის დაშვებაც..... ჩვენს საკუთარ ორგანიზაციაზეა დამყარებული და იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც კატეგორიის შედეგი"[60].

ის სხეულებრივი სამყარო, რომლის შესახებაც აქამდე ვლაპარაკობდით, გულუბრყვილო რეალიზმის სამყაროა. ცხოვრებაში ჩვენ ყველანი ასეთი რეალიზმის საფუძველზე ვდგავართ. სხეულებრივი სამყაროს ასეთი გაგება არ აკმაყოფილებს იმას, ვისაც სურს ააგოს წინააღმდეგობისაგან თავისუფალი სამყაროს სურათი. ამიტომ თეორიული ფიზიკა და საერთოდ ბუნებისმეტყველება გულუბრყვილო რეალიზმის სხეულებს სხვა რაღაცით ცვლის. შეიძლება, მაგალითად, ჩვეულებრივი ცხოვრების სხეულები განვიხილოთ როგორც უმცირესი ნაწილაკებისაგან შემდგარი. ხოლო ისინი თავის მხრით ატომებისაგან შედგენილად ვიაზროთ და ატომებს სხვადასხვა წონა მივაწეროთ. მაგრამ ყველა სხეული, რომელთა პოსტულირებას ჩვენ ბუნებისმეტყველებაში ვახდენთ, გრძნობადი აღქმების საფუძველზეა აღმოცენებული. ყოველდღიური ცხოვრების სხეულებს მარბე პრიმარულ სხეულებს უწოდებს, ხოლო იმ სხეულებს, რომლებსაც მათ ადგილას ბუნებისმეტყველება სვამს, მეორად სხეულებს[61].

რას წარმოადგენენ მეორადი სხეულები? რას ნიშნავს გამოთქმა, რომ ბუნებისმეტყველების სხეულები გრძნობადი აღქმების საფუძველზე არიან აღმოცენებული? მარბე ამ აზრს შემდეგნაირად განმარტავს:

ჩვენ შეგვიძლია ამა თუ იმ ხატის გაცოცხლება, რომელიც გრძნობადი აღქმებისაგან წარმოდგება, და რომელსაც წარმოდგენას ვეძახით; შეგვიძლია მაგალითად, გამოვიწვიოთ რაიმე წინათ დანახული საგნის წარმოდგენა; ასევე, უნარი გვაქვს ამ წარმოდგენის მოდიფიცირებისა, შეგვიძლია აგრეთვე წარმოდგენილი საგნის ნიშ-

---

[60] იქვე, გვ. 148.
[61] იქვე, გვ. 149.

ნები სხვაგვარად დავუკავშიროთ ერთმანეთს, ვიდრე ისინი გრძნობად აღქმაში იყვნენ დაკავშირებული[62].

იმ სხეულებს, რომელთა წარმოდგენა შეგვიძლია და არა აღქმა, მარბე განჭვრეტად მეორად სხეულებს უწოდებს და მათ განუჭვრეტად მეორად სხეულებს უპირისპირებს. სახელდობრ, ჩვენ ვლაპარაკობთ ისეთი სხეულების შესახებ, რომელთა არც აღქმა შეიძლება და არც წარმოდგენა. მაგალითად, თუ თანახამად პირველადი და მეორადი თვისებების შესახებ მოძღვრებისა, ფერებს უმცირეს ნაწილაკთა მოძრაობით ავხსნით, და დავუშვებთ, რომ თვითონ ეს ნაწილაკები, რადგანაც მათ ფერები უნდა აგვიხსნან, უფერული არიან, მაშინ ოპერირებას ვახდენთ ისეთი სხეულებით, რომელთა არც აღქმა შეიძლება და არც წარმოდგენა. ეს იმიტომ, რომ უაზრობა იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ვინმეს შეეძლოს ისეთი სხეულის წარმოდგენა ან აღქმა, რომელსაც არ ექნება რაიმე ფერი[63].

ასეთ აღუქმად და წარმოუდგენად სხეულებს უწოდებს სწორედ მარბე მეორად განუჭვრეტად სხეულებს.

ასეთი სხეულების საერთო ნიშანია ჭვრეტითობისათვის საჭირო ნიშნის არქონება. მათ რიცხვს მიეკუთვნება ასევე გეომეტრიის სხეულებიც. მარბეს აზრით, ყველა მეორადი სხეული პირველადი სხეულების საფუძველზეა მიღებული. მეორად სხეულებს ნაწილობრივ ისეთი ნიშნები აქვთ, რომლებიც პირველადი სხეულების ნიშანთა მოდიფიცირების შედეგია, ნაწილობრივ კი ის ნიშნები აკლიათ, რომლებიც მათი ჭვრეტითობისთვისაა აუცილებელი. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეორადი (ბუნებისმეტყველების) სხეულები გრძნობადი აღქმების საფუძველზეა წარმოშობილი[64].

5. ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი უ რ ი დ ა ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი უ რ ა დ ქ ც ე უ ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. სხეულის ნიშანს ჩვენ მივაწერთ რაიმე განსაზღვრულ საგანს, რომლის შესახებაც ასევე ვამბობთ, რომ მას ეს ნიშანი აქვს. მაშასადამე, ჩვენ ვუშვებთ სხეულის ნიშნის მატარებლის არსებობას. ზუსტად ასევე ვიქცევით განცდის ნიშნის მიმართაც. განცდებს, ისე როგორც ყველა სხვა ნიშანს, ჩვენ განვიხილავთ როგორც საგნის (საკუთარი მე-ს) კუთვნილებად და მას მივიჩნევთ ამ ნიშანთა მატარებლად. მარბეს აზრით, საქმის ასეთ გაგებას სუბსტანციური განხილვა უნდა ეწოდოს; იგი განხილვის საყოველთაო, კატეგორიული წესია და ამიტომ სუბსტანციურობის კატეგორიად

---

[62] იქვე, გვ. 149—150.
[63] იქვე, გვ. 150.
[64] იქვე, გვ. 150—151.

უნდა ჩაითვალოს. გასაგებია, რომ სუბსტანციურობის კატეგორია მარბესათვის არ შეიძლება ცდისეული წარმოშობის იყოს[65].

მარბეს აზრით, სუბსტანციურობის კატეგორიის არაცდისეული წარმოშობა იმით მტკიცდება, რომ თუ მოვახდენთ განყენებას სხეულის ან განცდის ყველა ნიშნებიდან, მაშინ სხვა აღარაფერი დარჩება. რაც ამ ნიშნების გარდა იარსებებდა და რომელიც ნიშანთა მატარებლად უნდა ჩაგვეთვალა. ჩვენი მეცნ. როგორც ფსიქოლოგია გვიჩვენებს, მხოლოდ განცდებში არსებობს, ხოლო ეს განცდები, თავისი მხრით მხოლოდ ნიშნებით შეიძლება განისაზღვროს[66].

მაშასადამე, რადგანაც სხეულების, განცდისა და მეს ცდისეულ განხილვას არ მივყავართ ამ საგანთა მატარებლის აღიარებამდე. ამიტომ. მარბეს აზრით, სუბსტანციური განხილვა კატეგორიული წინაპირობა უნდა იყოს, ან და, რაც იგივეა, სუბსტანციურობის კატეგორიიდან უნდა მომდინარეობდეს[67].

საგანი ან საგანთა ჯგუფის თვითეული ნიშანი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დამოუკიდებელი საგანი, რომლის განსაზღვრაც ისევ და ისევ ნიშნის საშუალებითაა შესაძლებელი. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია ჩამავალი მზის სიწითლე საგნად გავიხადოთ და იგი. მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ნიშანს წარმოადგენს, სხვა ნიშნებით განვსაზღვროთ. ისე როგორც საგნის ან საგანთა ჯგუფის ნიშნების განხილვა შეიძლება სხვა ნიშნებისაგან იზოლირებულად, ასევე შესაძლებელია თვითონ ნიშნის განხილვა იმ საგნისაგან დამოუკიდებლად, რომელსაც იგი მიეწერება. ჩვენ შეგვიძლია ეს ნიშანი საგნად ვაქციოთ და მას ისევ ნიშანი მივაწეროთ. „ეს საგნებიც, ისე როგორც ყველა სუბსტანცია, არარაობად იქცევა. თუ ჩვენ მისი ნიშნებისაგან განყენებას მოვახდენთ"[68].

ამგვარად, მარბე თვლის, რომ სუბსტანციურობის კატეგორიის ზეგავლენა ერთნაირად მჟღავნდება ყველა საგნის მიმართ (იქვე. გვ. 154).

6. მ ი ზ ე ზ ო ბ რ ი ო ბ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ა. როგორც ვნახეთ, მარბე უშვებს სხეულსა და გრძნობად აღქმებს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას, როგორც განხილვის წესს, და მას განხილვის საყოველთაო და აუცილებელ წესად თვლის; იგი კატეგორიას უნდა მიეწეროს.

მარბეს აზრით, თუ გავაანალიზებთ მიზეზობრივი კავშირის ცნე-

---

[65] იქვე. გვ. 151.
[66] იქვე.
[67] იქვე.
[68] იქვე, გვ. 153.

ბას. შემდეგ სურათს მივიღებთ: როცა ვუშვებთ, რომ საგნის სითბო ჩვენში სითბოს შეგრძნებას იწვევს, ამით ჩვენ ვფიქრობთ, რომ საგნის ნიშანი და ჩემი განცდა მიზეზობრივ კავშირში იმყოფებიან. მაგრამ, რადგანაც განცდა (ამ შემთხვევაში სითბოს შეგრძნება), ნაოლოდ ნიშნით შეიძლება განისაზღვროს, და რადგანაც საგნის ნიშანთან კავშირში მხოლოდ ეს ნიშანი შეიძლება იცვლებოდეს, ამიტომ განცდისა და სხეულის კაუზალურ კავშირში განცდისა და სხეულის ადგილას მათი ნიშნები უნდა ჩავავთ. აქედან მარბე დასკვნის: განცდისა და სხეულის კაუზალური კავშირი მდგომარეობს განცდისა და სხეულის ნიშნების ასეთ კავშირში. მაშასადამე, ასეთი კავშირი არ არსებობს თვითონ საგნებს შორის. მარბეს აზრით, სხვაგვარი დასკვნის გამოყვანა საერთოდ შეუძლებელია, რადგან „როგორ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ორი საგანი, როგორც ასეთი, ერთმანეთზე მოქმედებს როცა საგანთა შესახებ ჩვენ სხვა არაფერი შეიძლება ვიცოდეთ, გარდა მათი ნიშნებისა"[69].

მარბე იმოწმებს ჰიუმს იმის დასამტკიცებლად, რომ თვითონ საგნებზე დაკვირვება არ იძლევა მათ შორის კაუზალური კავშირის არსებობის მტკიცების უფლებას. კაუზალური კავშირი ისეთი ცნებაა, რომელიც ცდიდან ვერასოდეს მიიღებოდა. იგი განხილვის კატეგორული წესია და მისი საფუძველი იმყოფება არა ცდაში, არამედ სუბიექტში[70].

7. უშუალო, შუალობითი და საგნობრივი არსებობის შესახებ. არსებობა, იმ აზრით, რომლითაც მას აქამდე ვხმარობდით, სხვა არაფერია, გარდა უშუალოდ მოცემულობისა. უშუალოდ განცდის ობიექტად ყოფნისა. არსებობის ასეთ გაგებასთან გვაქვს საქმე, როცა გამოთქმა „არსებობას" საკუთარ განცდებს ვუკავშირებთ. ამ ცნების ასეთივე მნიშვნელობა მაშინაც შეიძლება შევინარჩუნოთ, როცა სხვისი განცდების არსებობაზე ვლაპარაკობთ. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ისინი უშუალო ობიექტები არიან სხვა სუბიექტებისათვის[71].

მაგრამ ცნობილია, რომ ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები ზოგჯერ ლაპარაკობენ არაცნობიერი განცდის შესახებ. „თუ გამოთქმის ამ ფორმას საერთოდ რაიმე აზრი შეიძლება ჰქონდეს, მაშინ ის განცდები უნდა ვიგულისხმოთ, რომლებიც თუმცა არ არიან უშუალო ობიექტები, მაგრამ განსაზღვრულ პირობებში შეუძლიათ ასეთად გახდომა..... შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ არაცნობიერ განცდას, რო-

---

[69] იქვე, გვ. 156.
[70] იქვე, გვ. 158.
[71] იქვე, გვ. 158.

კა მაგალითად. მისი ინტენსივობა გაიზარდა, ანდა როცა იგი ყურადღების საგნად იქცევა, შეუძლია ცნობიერების ზღურბლს ამოცდეს და ამით უშუალო ობიექტად იქცეს"[72].

არსებობის ასეთ ცნებას. რომელიც ნიშნავს ან უშუალო მოცემულობას, ან შესაბამის პირობებში ობიექტად გახდომის შესაძლებლობას. მარბე უშუალო არსებობის ცნებას უწოდებს. უშუალო არსებობა, მაშასადამე. გააჩნია იმ საგნებს, რომლებიც აქტუალურ ან პოტენციურ უშუალო ობიექტებს წარმოადგენენ[73].

სხვა შემთხვევაში არსებობა ნიშნავს განცდებზე მომენტურ ზემოქმედებას ანდა ასეთი ზემოქმედების უნარის ქონას შესაბამის პირობებში. ამას მაშინაც აქვს ადგილი, როცა სიტყვა არსებობას ვუკავშირებთ სხეულს. როცა ვამბობთ, რომ სხეული არსებობს. ამით ვგულისხმობთ. რომ იგი ან ამ მომენტში მოქმედებს ჩემზე, ანდა, მას განსაზღვრულ პირობებში შეუძლია ზეგავლენის მოხდენა. ასეთ შემთხვევაში არსებობა ნიშნავს ჩვენს განცდებზე ზემოქმედებას. არსებობის ასეთ ფორმას მარბე შუალობით არსებობას უწოდებს. შუალობითი არსებობა გააჩნიათ საგნებს, რომელთა არსებობა განცდების საფუძველზეა მიღებული და რომელთაც ჩვენ ამ საგნების ზემოქმედებად განვიხილავთ[74]. განცდების მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც შუალობითი, ისე უშუალო არსებობის ცნება. ხოლო სხეულების მიმართ მხოლოდ შუალობითი არსებობის ცნება გამოიყენება[75].

სხეულებისადმი შუალობითი არსებობის მიწერა გულისხმობს კაუზალობის ცნების გამოყენებას. მაგრამ, როგორც ვნახეთ. მარბესათვის მიზეზობრივი განხილვისა და გრძნობადი აღქმების სხეულთა ზემოქმედების შედეგად გაგების საწყისი სუბიექტშია. თუ არსებობა. ისე როგორც ყოველი ნიშანი, რომელსაც ჩვენ სხეულებს ვაწერთ, სუბიექტს გულისხმობს, მაშინ სხეულთა არსებობის დაშვება მით უმეტეს სუბიექტით უნდა იყოს განპირობებული: სხეულთა დაშვების საფუძვლად მდებარე მიზეზობრიობის ცნებას ხომ შემმეცნებელი სუბიექტის ბუნებაში აქვს საფუძველი. როცა ვამბობთ რომ სხეულები იმდენად იწოდებიან არსებულად, რამდენადაც მათ შეგრძნებათა მიზეზებად ვთვლით, მაშინ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება. რომ არსებულად აღნიშნული სხეულები მხოლოდ ის საგნებია,

---

[72] იქვე. გვ. 159.
[73] იქვე.
[74] იქვე, გვ. 160.
[75] იქვე, გვ. 161.

რომელთაც გრძნობადი აღქმების მიზეზებად კატეგორიის საფუძველზე ვთვლით, და ამ კატეგორიის გარეშე მათ არსებობასაც არ დავუშვებდით[76].

არსებობის ახალ ცნებასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა არსებობას ისეთ სხეულებს მივაწერთ, რომლებიც არც უშუალოდ არიან მოცემული და რომელთაც არც ჩვენს განცდებზე შეუძლიათ ზემოქმედების მოხდენა. ასეთი სხეულებია გეომეტრიული სხეულები, რომლებიც გრძნობად აღქმათა მიზეზი ვერ იქნებიან მასის უქონლობის გამო. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ისინი არსებობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი წარმოადგენენ ჩვენი განხილვის ობიექტებს, რომ ისინი საგნებია ჩვენთვის[77]. ასეთ არსებობას მარბე საგნობრივ არსებობას უწოდებს. ასეთი არსებობა აქვს ყველა საგანს, რომლის შესახებაც საერთოდ ლაპარაკი შეიძლება. მარბე თვლის, რომ აქაც შეიძლება ლაპარაკი აქტუალური და პოტენციალური არსებობის შესახებ. აქტუალური არსებობა აქვთ იმ საგნებს, რომლებიც ჩვენი განხილვის ობიექტებია ამჟამად, პოტენციალური იმ საგნებს, რომელთაც შეუძლიათ ჩვენთვის ობიექტებად გახდომა.

მარბეს აზრით, საგნობრივი არსებობის ცნება ჯერ კიდევ პარმენიდემ ჩამოაყალიბა: არსებობა პარმენიდესათვის ხომ სხვა არაფერია, გარდა ობიექტად ყოფნისა. თუ არსებობას გავიგებთ როგორც ობიექტად ყოფნას, მაშინ უთუოდ სწორია ის დებულება, რომ ყოველივე, რაც მოიაზრება, კიდევაც არის[78].

საგნობრივი არსებობა გააჩნიათ, მარბეს აზრით, სუბსტანციებსაც. მართალია, სუბსტანციების არსებობის საკითხს ფილოსოფიის ისტორიაში ხშირად დადებითად წყვეტენ, მაგრამ „თუ პოზიტიური მეცნიერების ნიადაგზე დავდგებით, სუბსტანციების არსებობა საერთოდ უარყოფილ უნდა იქნეს.“ ისტორიაში ყოველთვის ლაპარაკობენ ადამიანების და არა სულის ან სხეულის სუბსტანციების შესახებ. ასევე „არც ერთ ფიზიკოსს ან ქიმიკოსს არა აქვს საქმე სხეულის ნიშანთა რომელიღაც უცნობ მატარებელთან, რომელსაც ხშირად მატერიას უწოდებენ. პოზიტივური მეცნიერება საერთოდ არ ლაპარაკობს სუბსტანციების შესახებ“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, მარბე ნომინალისტია. მისი აზრით, ზოგადი რომ არსებობდეს, იგი უშუალო გამოცდილებაში უნდა გვეძლეოდეს განცდის (გრძნობადი აღქმის) სახით. მაგრამ მარბეს გამოკვლევებმა

---

[76] იქვე, გვ. 162.
[77] იქვე, გვ. 163.
[78] იქვე, გვ. 163.

მსჯელობის შესახებ დამტკიცეს, რომ სიტყვას (მაგ. სუბსტანციას) არ ახლავს პარალელურად მისი წარმოდგენაც. ეს იმას ნიშნავს, რომ „ზოგადი ცნება, როგორც ფსიქოლოგიური წარმონაქმნი, არ არსებობს"[79], რაც თავის მხრივ იმის დამამტკიცებელია, რომ იგი (ზოგადი) არც გრძნობად აღქმაში ყოფილა მოცემული, რადგანაც მარბესათვის სინამდვილე გრძნობად აღქმებში (განცდებში) უშუალოდ მოცემულით განისაზღვრება. ამიტომ იგი ზოგადის აღქმაში არარსებობიდან საერთოდ ზოგადის არარსებობაზე დაასკვნის.

ზოგადი ცნება, მარბეს აზრით, „სხვა არაფერია, თუ არა ჯამი იმ საგნებისა, რომელთაც ჩვენ, მათი საერთო ნიშნის გათვალისწინებით, ერთი სიტყვით აღვნიშნავთ"[80] ის გარემოება, რომ ზოგადს არ გააჩნია ფსიქოლოგიური წარმონაქმნი, პირველად პლატონმა შეამჩნია, მაგრამ სწორად მხოლოდ ბერკლემ გაიგო, შენიშნავს მარბე[81].

სუბსტანციებს მხოლოდ საგნობრივი არსებობა აქვთ, საგნობრივი არსებობა აქვს დროსა და სივრცესაც[82].

ამგვარად, მარბესთან არსებობის ცნების შემდგენაირი გაგება უნდა განვასხვაოთ:

1. სიტყვა არსებობა შეიძლება ნახმარი იქნეს საგნობრივი არსებობის აზრით და იგი უბრალოდ ნიშნავს ფაქტიურ ან შესაძლებელ ობიექტად ყოფნას. საგნობრივი არსებობის აზრით არსებობს ყოველგვარი ობიექტი.

2. არსებობა ნიშნავს უშუალო მოცემულობას ან შესაბამის პირობებში ასეთად გახდომის შესაძლებლობას. ასეთი არსებობა გააჩნია განცდებს.

3. არსებობა ნიშნავს განცდათა ნამდვილ ან შესაძლებელ მიზეზად ყოფნას. ასეთი შუალობითი არსებობა გააჩნია გარესამყაროს.

4. არსებობა შეიძლება იმპერატივულ არსებობას ნიშნავდეს. ასეთი არსებობა აქვს მაგ. ბრძანებებს. ბრძანება იმდენად არსებობს, რამდენადაც იგი ქმედითია.

5. გარდა ამისა, მარბე განასხვავებს ლოგიკურ არსებობას, რომელიც სწორი მსჯელობისა და საერთოდ ყოველგვარი ჭეშმარიტი დებულების ნიშანია.

---

[79] იქვე.

[80] იქვე, გვ. 175. შეადარე აგრეთვე: K. Marbe, „Urteil," S. 99.

[81] K. Marbe, Grundzüge d. forensischen Psychol., S. 8.

[82] K. Marbe, Beiträge zur Logik... Vierteljahrschrift f. Philos. und Soz., Bd. 36, S. 188.

მარბე თვლის, რომ ამით განხილულია არსებობის ცნების ყველა მნიშვნელოვანი მხარე[83].

ყველა საგანს თავისი ესენცია გააჩნია. ამიტომ ჩვენ თუმცა შეგვიძლია საგნებს ნებისმიერი ნიშანი მივაწეროთ, მაგრამ ყოველ საგანს მაინც განსაზღვრული ნიშანი აქვს. რომელიც მას პრედიკატულად მიეკუთვნება[84].

როგორც აღვნიშნეთ, მარბეს მიაჩნია, რომ რეალობა არის ნიშანი, რომელსაც ჩვენ საგნებს მივაწერთ. მაგრამ რომელ საგნებს ვაწერთ რეალობას? იმ საგნებს, რომელთაც ღირებულება გააჩნიათ. „რეალობა არის გამოთქმა, რომელიც რაიმე განსაზღვრულ ღირებულებას აღნიშნავს და მეტი არაფერი"[85]. რაღაა ღირებულება?

ღირებულება, მარბეს აზრით, გულისხმობს არა თვითონ საგანს, არამედ საგანს, განხილულს როგორც საშუალებას. იმ მიზნის მიხედვით, რომლისთვისაც საგანი გვჭირდება, ძ

ღირებულებაც ცვალებადია[86]. მარბე განასხვავებს აბსოლუტურ და რელატიურ ღირებულებებს: „ღირებულებას, რომელსაც მივაწერთ საგნებს, როგორც ასეთებს, ჩვენ აბსოლუტურ ღირებულებას ვუწოდებთ. ღირებულება, რომელსაც საშუალება საშუალებად აქვს, რელატიური ღირებულებაა. არც აბსოლუტური ღირებულებაა თვითონ საგნის ნიშანი. საგანსაც, რომელსაც აბსოლუტურ ღირებულებას ვაძლევთ, მხოლოდ იმდენად აქვს ღირებულება, რამდენადაც მას ასეთი ღირებულება ადამიანისაგან მიეწერება. მაგრამ მასშტაბი, როჟლის საფუძველზეც საგანს აბსოლუტური ღირებულება ენიჭება, ყოველთვის საგნის სუბიექტური ღირებულებაა" (იქვე).

ამიტომ, მარბეს აზრით, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ის, ვისაც უმეტესად ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან აქვს საქმე, გნოსეოლოგიური იდეალიზმისა და სპირიტუალიზმისაკენ იხრება, ხოლო ბუნებისმეტყველები გნოსეოლოგიური რეალიზმისა და მატერიალიზმისაკენ. ვისაც ეს ფაქტი შეგნებული აქვს, მისთვის არ იქნება ფილოსოფოსად ყოფნის აუცილებელი პირობა, რომ მან ზოგიერთ საგანს რეალობა მიაწეროს. სხვების მიმართ კი უარყოს"[87].

მარბეს აზრით, კამათი გარესამყაროს არსებობის საკითხზე ძირითადად არსებობის სხვადასხვა ცნების ხმარებითაა გამოწვეული.

---

[83] იქვე, გვ. 189.

[84] იქვე, გვ. 192.

[85] იქვე, გვ. 193.

[86] K. Marbe, Die Gleichförmigkeit in d. Welt, Bd. 2, S. 152.

[87] K. Marbe, Beiträge zur Logik und ihren Grenzwissenschaften, Vierteljahrschrift f. wiss. Phil. und Soz., Bd 36, S. 192.

ის, ვინც იმანენტებთან ერთად, არსებულად მხოლოდ განცდებს მიიჩნევს. ცხადია, არსებობად მხოლოდ უშუალო არსებობას აღიარებს. ვინც განცდებსა და ტრანსცენდენტურს ცნობს, იგი უშუალო და შუალობითი არსებობის ცნებებით ახდენს ოპერირებას. ვინც არსებობის ცნებას იმით შემოსაზღვრავს, რაც მას უშუალოდ ეძლევა, იგი სოლიპსიზმის ნიადაგზე დგას.

მარბეს მიაჩნია რომ ყველა ეს შეხედულება ერთნაირად სწორუფლებიანია, და ამიტომ მისთვის არავითარი აზრი არა აქვს რაიმე საგნის არსებობის შესახებ ლაპარაკს, თუ წინასწარ არაა გარკვეული არსებობის რომელი გაგება გვაქვს მხედველობაში. ამიტომ, მარბეს აზრით, გარესამყაროს არსებობის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, როცა არსებობის ცნების ერთმნიშვნელოვანი გაგება დამყარდება. მაშინ საყოველთაოდ გასაგები გახდება, „რომ რაიმე „საკუთრივ", „აბსოლუტურ" არსებობაზე ისევე არ შეიძლება ლაპარაკი როგორც არ შეიძლება ლაპარაკი ობიექტის შესახებ, რომლისთვისაც არავითარი სუბიექტი არ არსებობს"[88].

როგორც ვხედავთ, მარბეს მთელი შემეცნება გრძნობადი ცდიდან გამოყავს და როგორც მეცნიერებას, ისე ადამიანის ცხოვრების პრაქტიკასაც მასზე აფუძნებს; ამდენად მარბე ემპირისტია. ვინაიდან ამასთან მარბე მხოლოდ გრძნობად შეგრძნებებს ცნობს, ამიტომ მისი ემპირიზმიც რადიკალურ ემპირიზმს წარმოადგენს. საერთოდ კი მარბე უნდა მიეკუთვნოს იმათ რიცხვს, ვინც ფილოსოფიის ისტორიაში პოზიტივისტების სახელითაა ცნობილი და აქედან მისი ფილოსოფიური მრწამსიც პოზიტივიზმის სახელწოდებით უნდა იქნეს კვალიფიცირებული.

ამით მთავრდება მარბეს მოღვაწეობის პირველი პერიოდის განხილვა. როგორც ვნახეთ, ამ პერიოდში მარბესთან ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური პრობლემების კვლევა-ძიება ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ, უმეტეს შემთხვევაში, მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა ერთგვარი ძალდატანების გარეშე შეუძლებელი საქმეა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: მარბეს ფილოსოფიური თვალსაზრისის შესახებ დამთავრებული წარმოდგენა მხოლოდ მას შემდეგ გვექნება, როცა გავეცნობით მის გამოკვლევებს აზროვნების ფსიქოლოგიის დარგში.

მარბეს მოღვაწეობის პირველი პერიოდი არ იქნება სრული, თუ არ გავეცნობით, მოკლედ, მის მოძღვრებას მოვლენათა ერთნაირობის შესახებ; ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ ამ თეორიას ერთგვარი

---

[88] იქვე, გვ. 193.

კავშირი აქვს განწყობის თეორიასთან და განსაზღვრული აზრით მის მოსამზადებელ საფეხურსაც წარმოადგენს. ეს მოძღვრება, მოკლედ, შემდეგში მდგომარეობს:

საგანთა შორის ურთიერთკავშირი გამოცდილებაში მოცემული ფაქტია. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, მარბეს აზრით, ამ კავშირის მიზეზობრიობის კანონის საფუძველზე ახსნა. მიზეზობრივი დამოკიდებულების ნაცვლად უნდა ვილაპარაკოთ ფუნქციური დამოკიდებულების შესახებ, ხოლო მიზეზობრიობის ძველი კანონი შესაბამისად უნდა შეიცვალოს ფუნქციობის ბუნებისმეტყველური კანონით.

ფუნქციობის ბუნებისმეტყველური კანონი, რომლითაც მარბე მიზეზობრიობის „ძველ" დებულებას ცვლის, შემდეგში მდგომარეობს: ბუნების ყოველი მოვლენა განსაზღვრულ მოვლენათა ფუნქციას წარმოადგენს[89]. ეს კანონი, მარბეს აზრით, გულისხმობს მეორე კანონს: მსგავსი უშუალო პირობები მსგავს მოვლენებს იწვევს. მარბეს აზრით, მიზეზობრიობის გავრცელებული გაგება ამ კანონის გაიოლებული გამოთქმის მეტს არაფერს წარმოადგენს; რადგანაც მოვლენას ყოველთვის უამრავი პირობები განსაზღვრავს, რომელთა მთლიანობაში გაგება და გათვალისწინება საერთოდ შეუძლებელია, ამიტომ ცხოვრებაში ჩვენ ჩვეულებრივ გამოვარჩევთ მოვლენის ერთ ან რამდენიმე პირობას და მას მოვლენის მიზეზად მივიჩნევთ[90].

იმ პირობების ამორჩევა, რომელთაც ჩვენ მიზეზად მივიჩნევთ, დამოკიდებულია ჩვენსავე ოვალსაზრისზე და არა პირობათა ობიექტურ ღირებულებაზე[91].

მოვლენათა ერთნაირობასთან ცხოვრების ყველა სფეროში გვაქვს საქმე. იგი თავს იჩენს როგორც სხეულებრივ სამყაროში, ისე კულტურის ისტორიაშიც. ჩვენ თემასთან დაკავშირებით, მნიშვნელობა აქვს მარბეს მოძღვრებას ფსიქიკურ მოვლენათა ერთნაირობის შესახებ. ერთი და იგივე შეხედულებები და რწმენა სხვადასხვა ხალხთან, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორი მეცნიერის მიერ ერთისა და იმავეს აღმოჩენა, ზოგჯერ მისნობა და სხვისი აზრების წაკითხვაც, მარბეს აზრით, ფსიქიკურ მოვლენათა ერთნაირობით უნდა აიხსნას, კერძოდ იმით, რომ მსგავსი მოვლენები მსგავსი პირობების შედეგია, მსგავს მოქმედებას მსგავსი შედეგი მოჰყვება.

ფსიქიკურ (განსაკუთრებით სოციალურ) მოვლენათა სფეროში მარბე განასხვავებს პირველად და მეორად ერთნაირობებს. „პირველადი ერთნაირობისას ცალკეული პიროვნებები განწყობიან განსა-

---

[89] K. Marbe, Die Gleichförmigkeit in der Welt, Bd. I, გვ. 4.

[90] იქვე, გვ. 5.

[91] იქვე.

ზღვრული, მათ გარე მდებარე მომენტებით, მეორადი ერთნაირობისას ერთნაირად მოქმედი პიროვნებები ოვითონ მოქმედებენ ერთმანეთზე განმაწყობლად"[92]. ისეთი ფსიქიკური მოვლენების შემთხვევაში, რომელთაც მასობრივი ხასიათი აქვთ, ძირითადი მნიშვნელობის მქონე სწორედ ეს მეორადი ერთნაირობაა. მეორადი ფსიქიკური ერთნაირობით ხსნის მარბე ისეთ მოვლენებს, როგორიცაა, მაგალითად, ისტერიული ცეკვების გავრცელება შუა საუკუნეებში, რელიგიური ეპიდემიები რუსეთში, პანიკა და მრავალი სხვა.

ფსიქიკურ მოვლენათა ერთნაირობა, ისე როგორც მოვლენათა ერთნაირობა საერთოდ, პირობათა ერთნაირობაზე დაიყვანება. ადამიანთა მოქმედების ერთნაირობის პირობები შეიძლება მრავალნაირი იყოს: მოქმედებისადმი მზაობა შეიძლება გაძლიერებულ იქნეს ნაწილობრივ ჩვენით, ნაწილობრივ განსაზღვრული გრძნობადი აღქმებით, იმით, თუ რა იყო პერცეპცირებული მოცემული მოქმედების წინ, და ნაწილობრივ ყურადღების მიმართულებით. სხვა ერთნაირობები წარმოადგენს ადამიანთა საერთო მიდრეკილებების. მიზნებისა და ძალის ნაკლები დახარჯვის პრინციპის შედეგს. იგი შეიძლება აგრეთვე შთაგონებითაც იყოს განპირობებული.

როცა რამდენიმე შესაძლებელი რეაქციიდან მხოლოდ ერთ რომელიმეს ეძლევა უპირატესობა, მაშინ ეს რეაქცია ის უნდა იყოს, რომლის დადგომისათვის პირობები უფრო ხელსაყრელია, ვიდრე დანარჩენებისათვის. „აღმოცენდება ის რეაქცია, რომელსაც მეტი მზაობა გააჩნია განხორციელებისათვის"[93]. იმ ინდივიდებში, რომლებიც ერთნაირ პირობებში იმყოფებიან, იმ რეაქციებში ვხვდებით, რომელთაც უფრო მეტი მზაობა გააჩნიათ. „ხოლო იმ პირობების ერთნაირობის შემთხვევაში, რომლებშიაც ეს ინდივიდები იმყოფებიან, ადგილი ექნება განსაზღვრული რეაქციისადმი მზაობის განსაზღვრულ ერთნაირობას, რაც მაშასადამე, პირობების ერთნაირობის შემთხვევაში, განსაზღვრულ რეაქციათა ერთნაირობას გამოიწვევს"[94].

მარბეს მიაჩნია, რომ ფსიქიკურ მოვლენათა ერთნაირობა მოქმედთა ერთნაირი განწყობებით აიხსნება. მსგავსი პირობები ადამიანებში მსგავს განწყობებს იწვევს, რაც, თავის მხრივ, ქცევათა ერთნაირობას განაპირობებს. ფსიქიკურ მოვლენათა ერთნაირობის დებულებები განწყობის თეორიის საფუძველზე უნდა აიხსნას[95].

---

[92] K. Marbe, Psychol. der Werbung, S. 60.

[93] იქვე, გვ. 54.

[94] იქვე. გვ. 55.

[95] K. Marbe, Über Einstellung und Umstellung, Zschr für angewandte Psychologie, 26, S. 46,

თავი მეორე

მარბეს განწყობის ფსიქოლოგია

§1. განწყობისა და პიროვნების თეორია. მარბეს მიაჩნია, რომ ჭან მოახერხა როგორც ფსიქოლოგიზმის დაძლევა, ისე განცდათა უმაღლესი კლასის, ცნობიერების მუშაობის კანონების დადგენა. მაგრამ ეს კანონები ის სქემებია, რომელთა მიხედვითაც წემმეცნებელი სუბიექტი აზროვნების საგანს აგებს. მაგრამ სქემები ჯერ კიდევ არ არის საგანი, ის საგანი, რომელსაც გააჩნია განსაზღვრული ფორმა, ფერი, სიდიდე და ა. შ. როგორ აგებს ჩვენი ცნობიერება ასეთ საგანს, რა არის იგი, რაც ცნობიერების ცხოვრებას განსაზღვრავს? ცნობიერების ცხოვრების ასეთ ამხსნელ ფაქტორად მარბემ განწყობის ცნება მიიჩნია. ეს ცნება საფუძვლად დაედო მარბეს ფსიქოლოგიურ თეორიას, რომლის განხილვაც წინამდებარე შრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს.

მარბეს აზრით, ფსიქოლოგიის საგანია (ისე როგორც ყოველგვარი მეცნიერებისა საერთოდ) განცდები. „ყველა ჩვენს ცნობიერების პროცესს... ან ჩვენს განცდებს ჩვენ განვიხილავთ როგორც მეს განცდებს"[1]. საკითხი სულის რაობის შესახებ ფილოსოფიური და მეტაფიზიკური საკითხია და იგი ფსიქოლოგიას არ აინტერესებს[2]. მარბესთან განცდები შემდგენაირადაა კლასიფიცირებული: 1. გრძნობადი აღქმები. გრძნობადი აღქმა -იყოფა გრძნობად შეგრძნებად ან. სხვანაირად, შეგრძნებად და აღქმად. აღქმა ყოველთვის „ე. წ. გარესამყაროს" (მარბეს გამოთქმაა) ან გამღიზიანებელთა ფუნქციად გვევლინება. 2. გრძნობადი აღქმების საწინააღმდეგო მოვლენაა მოგონებითი წარმოდგენები ან, მარტივად, წარმოდგენები. აღქმა და წარმოდგენა შეიძლება რაიმე გრძნობითი ტონის (სიამოვნება-უსი-

---

[1] K. Marbe, Die Gleichformigkeit in d. Welt, Bd 1, S. 113.

[2] K. Marbe, «Urteil», S. 5.

ამოვნების) ელფერში იყოს მოცემული. ასეთივე გრძნობითი ტონის მქონე იყოს შეიძლება განცდათა ის ახალი კლასიც, რომელსაც მარბემ ცნობიერების მდგომარეობის (თუ ცნობიერების წყობის, Bewußtseinslage მარბესთან ნიშნავს როგორც ერთს, ისე მეორეს) განცდები უწოდა. ყველა განცდა, მარბეს აზრით, ამ სამ ჯგუფში თავსდება[3].

მართალია, ფსიქოლოგიის საგანია განცდები, მაგრამ გამოცდილება გვასწავლის, რომ განცდებსა და განცდების საფუძველზე არსებულად მიჩნეულ სხვა საგნებს შორის განსაზღვრული დამოკიდებულებითი მიმართება არსებობს. მაგალითად, გრძნობადი აღქმები დამოკიდებულია გამღიზიანებელზე და იმ პროცესებზე, რომლებიც ნერვულ სისტემასა და ტვინში მიმდინარეობს. აქედან, ფსიქოლოგიის საგანია არა მხოლოდ განცდები, როგორც ასეთები, არამედ იგი აგრეთვე ცდილობს გაიგოს ეს განცდები როგორც იმ საგანთა ფუნქციები, რომლებთანაც ისინი დამოკიდებულებით მიმართებაში იმყოფებიან[4].

ფსიქოლოგია ექსპერიმენტული მეცნიერებაა. მისი მეთოდია შინაგანი აღქმა და გარეგანი დაკვირვება. ესაა ერთადერთი გზა ჩვენი განცდების შესწავლისა[5].

რადგანაც, მარბეს აზრით, ფსიქოლოგია პოზიტიურ მეცნიერებათა რიცხვს მიეკუთვნება, ამიტომ არ შეგვიძლია უარვყოთ, რომ „ადამიანის სულიერი პროცესები ტვინის პროცესებთანაა მტკიცე კოორდინაციაში"[6]. ესაა ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორია, რომლის თანახმად „სულიერი პროცესები გაგებულ უნდა იქნენ როგორც განსაზღვრულ სხეულებრივ პროცესთა პარალელური, კერძოდ ისე, რომ ადამიანებთან ტვინის რაიმე პროცესს ცნობიერების განსაზღვრული პროცესი შეესატყვისება"[7]. „თანამედროვე ფსიქოლოგიაში გავრცელებული შეხედულება ისაა, რომ ადამიანის სულიერი პროცესები დროში მათდამი პარალელურად მიმდინარე ტვინის პროცესთა უშუალო ფუნქციებს წარმოადგენენ"[8]. „.. სულიერი პროცესები უნდა ვიაზროთ როგორც მატერიალურ პროცესთა თანმხლები, რომლებიც მათ ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს"[8a].

---

[3] K. Marbe, Grundzüge d. forensischen Psychol., S.

[4] K. Marbe, «Urteil», S. 6.

[5] იქვე. გვ. 14.

[6] K. Marbe, Grundzüge d. forensischen Psychol., S. 109.

[7] K. Marbe, Die Gleichförmigkeit in d. Welt, S. 1.

[8] K. Marbe, Grundzüge d. for. Psuchol., S. 100.

[8a] K. Marbe, Die Gleichförmigkeit..., Bd I. S. 100.

ფსიქოფიზიკური პარალელიზმის ის თეორია, რომლის შესახებაც აქ მარბე ლაპარაკობს და რომელსაც იგი სამუშაო ჰიპოთეზად მიიჩნევს, ე. წ. ემპირიული ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორიაა. ემპირიული ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორია კმაყოფილდება იმ ფაქტის კონსტანტირებით, რომ ფიზიკურ და სულიერ პროცესებს შორის განსაზღვრული კანონზომიერი დამოკიდებულება არსებობს, და ეყრდნობა რა გამოცდილებაში მოცემულ ფაქტებს, თვლის, რომ განსაზღვრული ფსიქიკური ცვლილება ყოველთვის განსაზღვრულ ფიზიოლოგიურ ცვლილებასთანაა დაკავშირებული, რომ ფიზიკურ და სულიერ პროცესთა შორის ყოველთვის განსაზღვრული შესაბამისობა არსებობს[8]. ემპირიული პარალელიზმის პოზიციაზე დგას, კერძოდ, ავენარიუსი, რომლის თვალსაზრისის ძლიერი გავლენა მარბესთან საერთოდ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. ავენარიუსის აზრით, არსებობს განსაზღვრული შესატყვისობა ნერვიული და ფსიქიკური პროცესების ცვლილებათა შორის (C სისტემასა და გამოთქმებს შორის). განსაზღვრული აზრით (იმდენადვე რამდენადაც მარბე), ამ თვალსაზრისს იზიარებს ვუნდტიც.

მაგრამ ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორია საერთოდ, იმ შინაგანი სხვაობისაგან დამოუკიდებლად, რომელიც ამ მიმდინარეობის მომხრეთა შორის შეიმჩნევა, ფსიქიკურისა და ფიზიკურის იგივეობის თეორიაა და მისი სათავეები, როგორც ცნობილია, სპინოზასთანაა საძიებელი. ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორია, ბოლოს და ბოლოს, ფსიქიკურისა და ფიზიკურის იგივეობის თეორიაა. ამ გაგებით მოვლენის ონტოლოგიური რაობის საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია განხილვის წესზე ან თვალსაზრისზე, იმაზე, თუ საიდან შევხედავთ მოვლენას. მოვლენა განხილული ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ფიზიოლოგიური იქნება, ხოლო თუ იმავე მოვლენას ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ იგი ფსიქიკური ფენომენის სახით წარმოგვიდგება.

მარბეს აზრით, ფსიქოლოგიის საგანია განცდები. განცდები წარმოადგენენ სულიერ პროცესებს. რა არის იგი, რაც ადამიანის განცდათა მიმდინარეობას, მის სულიერ ცხოვრებას განსაზღვრავს? ამ კითხვის გადასაჭრელადაა მოწოდებული მარბეს განწყობის თეორია. რაში მდგომარეობს ეს თეორია?

განწყობის ცნება პირველად გამოიყენეს მიულერმა და შუმანმა წონის ილუზიის ასახსნელად. მათთან ეს ცნება აღნიშნავს სენსორული და მოტორული ცენტრების მზაობას (ვარჯიშის ზეგავ-

---

[8] O. Klemm, Geschichte d. Psychologie, S. 40—41.

ლენით) განსაზღვრულ მოქმედებათა განმეორებისადმი. მიულერისა და შუმანის აზრით, რაიმე მოძრაობის ან მოძრაობათა სერიის ხშირი განმეორება იწვევს მათი ავტომატური აღდგენის დისპოზიციის ან ტენდენციის შექმნას განსაზღვრულ სუბკორტიკალურ ცენტრებში.

ძლიერი განწყობის შემთხვევაში შესაბამისი ცენტრი ერთ გამღიზიანებელზეც იმავე მოქმედებით პასუხობს, რომელისადმიცაა განწყობილი. უფრო მცირე ხარისხის განწყობათა მოქმედება თავს იჩენს იმაში, რომ განწყობილი ცენტრების გაღიზიანება არსებული განწყობისდაგვარად მოდიფიცირდება[9].

კ რ ი ს ი, რომელსაც მიეკუთვნება განწყობის ცნების ფართო გამოყენების პირველი ცდა[10], განწყობას ცერებრალურ მდგომარეობად მიიჩნევს. მისი აზრით, განწყობა წარმოდგენათა ასოციაციური დაკავშირების წესის მოდიფიცირების საფუძველია. კრისი განასხვავებს კონექტიურსა და დისპოზიციურ განწყობებს. „კონექტიური განწყობაა ის ცერებრალური ცვლილება, რომლის შედეგადაც ერთი და იგივე მხედველობითი აღქმა სხვადასხვა წარმოდგენებს იწვევს"[11].

კრისის აზრით, არსებობს მეორე ტიპის განწყობებიც. ისინი ხელს უწყობენ განსაზღვრული ცერებრალური მდგომარეობის დადგომას, ქმნიან რა ხელსაყრელ დისპოზიციას, რომელიც მათ დადგომას აადვილებს. ასეთი განწყობები დისპოზიციურ განწყობებს წარმოადგენენ. „ყურადღების არსი... განსაზღვრულ, ნაწილობრივ კონექტიურ, ნაწილობრივ დისპოზიციურ განწყობებშია საძიებელი"[12].

კრისს მიაჩნია, რომ ცერებრალური განწყობა მხოლოდ ფსიქიკურ მოვლენათა თანმხლებ მდგომარეობად კი არ უნდა ვიაზროთ, რომელიც გავლენას ახდენს ფსიქიკურ ელემენტთა დადგომასა და მიმდინარეობაზე, არამედ შესაძლებელია მისი წარმოდგენა როგორც ისეთი ელემენტისა, რომელიც ფსიქიკური მექანიზმის მოქმედებაში დამოუკიდებლად ფუნქციონირებს და, როგორც ასეთი, მის ასახსნელადაც გამოდგება. ზოგადი წარმოდგენებისა და ცნებების ფსიქო-

---

[9] G. M ü l l e r und F. S c h u m a n, Über die psychologischen Grundlagen der Vergleichung gehobener Gewichte. Pflügers Archiv, 45, 1889. S. 37.

[10] K r i e s, Über die Natur gewisser mit den psychischen Vorgängen verknüpfter Gehirnzustände. Zschr f. Psychol., 8, 1895.

[11] იქვე, გვ. 4.

[12] «Das Wesen der Aufmerksamkeit würde... im bestimmten cerebralen Einstellungen, und zwar teils Konnektiven, teils dispositiven, zu suchen sein», იქვე, გვ. 15.

ლოგიური ბაზისი, კრისის აზრით, ცერებრალური განწყობაა, კერძოდ. დისპოზიციური განწყობა. ცოდნა ნიშნავს იმავე განწყობას. რაკი ცერებრალური განწყობა ფიზიოლოგიური მოვლენაა, ამით, მაშასადამე, ფსიქიკური არაცნობიერიც უარყოფილია[13].

ს ტ ე ფ ე ნ ს ი[14] იზიარებს განწყობის ცნების მიულერისა და შუმანისეულ გაგებას. მისი მოტორული განწყობის თეორია, ძირითადად. მათი შეხედულების შემდგომ კონკრეტიზაციას წარმოადგენს. სტეფენსის აზრით, მოტორულ განწყობასა და ფსიქიკურ მეხსიერებას შორის ფართო ანალოგიის დამყარება შეიძლება[15]. თავისი გამოკვლევებიდან სტეფენსს გამოყავს შემდეგი დასკვნები: 1. მოტორული განწყობის შექმნის მნიშვნელოვანი ფაქტორია განმეორება 2. მოტორული განწყობის გადატანა სხეულის ერთი ორგანოდან სხეულის მეორე კორესპონდულ ორგანოზე არ ხდება. 3. მოტორული განწყობა მით უფრო ჩქარა ქრება. რაც უფრო ძლიერია.

ტ ე ი ლ ო რ ი ს მიხედვით[16], სიტყვის გაგებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კავშირი, ისე რომ თვითონ ეს კავშირი ცნობიერებაში არაა მოცემული.

გ უ ც მ ა ნ მ ა[17] უჩვენა, რომ უაზრო მარცვალთა გაგება ცპ-ირის გონებრივი სამყაროს, მისი კონსტელაციის ძლიერ გავლენას განიცდის.

შ ულ ც ე ს[18] მიერ ჩატარებული ტაქისტოსკოპული გამოკვლევების მიხედვით, განწყობა ცნობაზე ახდენს გავლენას.

ვ. ბ ე ც ი[19] განწყობას უწოდებს მთლიანი ფსიქიკური ორგანიზმის რეაქციას რაიმე განცდაზე. კერძოდ ცნობა (სუნისა) განწყობის საფუძველზეა შესაძლებელი. მისი აზრით, აქტუალური შეგრძნება ადამიანში იწვევს განსაზღვრულ განწყობას. „იმისდა მიხედვით, აქტუალური განწყობა ფარავს თუ არ ფარავს რეპროდუცირებულ განწყობას,... აღმოცენდება შესაბამისობისა თუ შეუსაბამისობის განცდაც“[20].

განწყობის ცნების ახლებურ გაგებასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა ყურადღება და ნებელობა ამოცანის დასმას. მომავალი მოქმე-

---

[13] იქვე, გვ. 18, 19, 20.

[14] L. S t e f f e n s, Über die motorische Einstellung. Zschr f. Psychol. und Physiologie der Sinnesorgane, 23, 1900.

[15] იქვე, გვ. 308.

[16] Zschr f. Psychol., 40, S. 250.

[17] Zschr f. ang. Psychol., 1, 1908.

[18] Zschr f. Psychol., 52, 1909.

[19] Archiv f. d. g. Psychol., 17, 1910.

[20] იქვე, გვ. 271.

დებისადმი განწყობას უკავშირდება. თუ არსებობს ასეთი ნებისმიერი განწყობა. მაშინ იგი გავლენას ახდენს მოსალოდნელ განცდაზე. კამლიზიანებელი. რომელიც ამ არსებული განწყობის მიმართულებისაა. გაცილებით იოლად აღწევს ცნობიერებამდე, ხოლო არსებული განწყობის საწინააღმდეგო ან სულ ვერ აღწევს, ან თუ აღწევს, ძალიან ნელა. ყოველივე ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ამოცანა—განწყობა იწვევს მიზანწარმოდგენაზე დამოკიდებული წარმოდგენების მზაობაში მოყვანას. ამოცანის ასეთ მოქმედებას განწყობის სახელით აღნიშნავს ნ ა რ ც ი ს ა ხ ი[28] დ ა კ უ რ ტ კ ო ფ კ ა[22]. მიზანწარმოდგენიდან გამომდინარე რეპროდუქციის ტენდენციას, ე. წ. მადეტერმინერებელ ტენდენციას, ისინი განწყობას უწოდებენ.

კ ი უ ლ პ ე ს მიხედვით, განწყობა არის „სენსორული ან მოტორული ცენტრების პრედისპოზიცია განსაზღვრული აგზნებისა ან მუდმივი იმპულსისადმი“[23].

ე ბ ი ნ გ ჰ ა უ ს ი განწყობას ვარჯიშის მოვლენად მიიჩნევს. იგი მდგომარეობს სულის ტენდენციაში „რომ განსაკუთრებით ხშირი რეაქციები. რომლებზედაცაა იგი განწყობილი, შეიტანოს სხვა ზემოქმედებით გამოწვეულ. ჩვეულისაგან განსხვავებულ რეაქციებში“[24]. არსებობს სენსორული, მეხსიერებითი, მოტორული განწყობები (იქვე. გვ. 682).

როგორც ვხედავთ. ყველა დასახელებულ მკვლევართან განწყობის ცნება ფსიქიკური ქცევის ერთ-ერთ ამხსნელ პირობად იყო გამოყენებული. მათგან ერთგვარ გამონაკლისს შეიძლება კრისი და ბეცი წარმოდგენდნენ. რადგან განწყობის ცნების რამდენადმე ფართო ფსიქოლოგიურ ასპექტში განხილვის პირველი ცდა უთუოდ მათ მიეკუთვნებათ. მაგრამ განწყობის ცნების უნივერსალური ფსიქოლოგიური მნიშვნელობის აღიარებამდე, ადამიანის მთელი სულიერი ცხოვრების განწყობის ფუნქციად გამოცხადებამდე არც ისინი მისულან. ამ მხრივ პირველობა უთუოდ კარლ მარბეს მიეკუთვნება; იგი პირველი იყო მათ შორის, ვინც განწყობის ცნება პიროვნების ცნებას დაუკავშირა და იგი უნივერსალური მნიშვნელობის მქონე ფსიქოფიზიკურ მოვლენად გამოაცხადა.

---

[21] N. A c h. Über die Willenstätigkeit und das Denken. S. 214—228.

[22] K. K o f k a, Zur Analyse der Vorstellungen und ihren Gesetze, 1912, S. 319.

[23] K ü l p e. Grundzüge d. Psychol., S, 44.

[24] «...das besonders häufig Geleistete in die Verwirklichung adweichender Anforderungen, die an sie gestellt werden, hineinzutragen». Gr. d. Ps., S. 681.

მარბეს აზრით, შეიძლება ვილაპარაკოთ სულიერი და სხეულებრივი პიროვნების შესახებ. სულიერი პიროვნება მოიცავს უპირველეს ყოვლისა თანშობილ სულიერ ნასახთა და მიდრეკილებათა მთლიანობას[25]. ეს თანშობილი დისპოზიციები განიცდიან აღზრდისა და გამოცდილებების ზეგავლენას. რამდენადაც პიროვნება არა თანშობილ დისპოზიციათა, არამედ გამოცდილებათა გავლენის რეზულტატს წარმოადგენს, ამდენად მას შეძენილი პიროვნება ეწოდება[26].

ნამდვილი პიროვნება, ის პიროვნება. რომელთანაც საქმე გვაქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში, სწორედ ასეთ. თანშობილ და შეძენილ დისპოზიციათა ერთობლიობას წარმოადგენს. გენეტური ანალიზი, რომელიც მასში ორი ფენის, თანშობილისა და შეძენილის გარჩევის შესაძლებლობას იძლევა, ცხადია არ ნიშნავს იმას. რომ ეს ორი ფენა ან პიროვნება მართლაც ცალ-ცალკე არსებობდეს. თანშობილი და შეძენილი პიროვნება მხოლოდ ორი მხარეა იმ ნამდვილი პიროვნებისა, რომლის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელობა აქვს როგორც თანშობილ დისპოზიციებს, ისე ამ დისპოზიციების ცხოვრების მანძილზე მოდიფიცირებას, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ. პიროვნების შეძენილ დისპოზიციებს[27].

თანშობილი პიროვნების შეცვლა არა ყოველგვარ გამოცდილებას შეუძლია. გამოცდილებათა უმრავლესობა ისე ქრება. რომ ისინი ვერ ასერხებენ პიროვნებაში რაიმე მნიშვნელოვანი კვალის დატოვებას. იმ გამოცდილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის თანშობილ დისპოზიციებზე და რომელთაც უნარი შესწევთ მათი მოდიფიცირებისა. მარბე კრიტიკულ გამოცდილებებს უწოდებს[28]. თანშობილ დისპოზიციათა რამდენადმე მნიშვნელოვანი მოდიფიცირება მხოლოდ ასეთ კრიტიკულ გამოცდილებება შეუძლია.

გამოცდილება რომ კრიტიკულად იქცეს. ამისათვის საჭიროა, იგი პიროვნულად ღირებული იყოს როგორღაც: შეეძლოს ადამიანის ყურადღების მიზიდვა. არ იყოს მოკლებული გრძნობად ტონს, გასაგები იყოს და არა ჩვეული და ა. შ. მარბე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე გამოცდილების განმეორებადობას[29].

---

[25] «Sie (სულიერი პიროვნება,—გ. ც.) umfaßt vor allem die Gesamtheit der Angeborenen geistigen Anlagen und Neigungen». K. Marbe. Über Persönlichkeit. Einstellung Suggestion und Hipnose. Zschr. f. d. g. Neurologie und Psychologie. XCIV. 1924. S. 305.

[26] იქვე.

[27] იქვე.

[28] K. Marbe. Praktische Psychologie der Unfälle und Betribsschäden. S. 9.

[29] K. Marbe, Psychologie d. Werbung. S. 47—48.

დროის განმავლობაში ძველი კრიტიკული გამოცდილებები თავიანთ ძალას კარგავენ, რათა ადგილი დაუთმონ ახალ კრიტიკულ გამოცდილებათა ზეგავლენას. ასე მაგალითად, ადამიანის პიროვნება, გარემოს ზეგავლენით, შეიძლება იმდენად გაიტაცოს სპორტულმა ინტერესმა, რომ სხვა ყველაფერი დაავიწყოს. შემდგომში ეს ინტერესი შეიძლება დაჩრდილოს სხვა, რაიმე ახალი შთაბეჭდილებით გამოწვეულმა ინტერესმა და ბოლოს სრულიადაც განდევნოს.

თანშობილ დისპოზიციებსა და კრიტიკულ გამოცდილებებს გარდა კიდევ არსებობს პიროვნების განმსაზღვრელი მესამე ფაქტორი, რომელიც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ესაა ე. წ. სომატური ფაქტორები, რომელთაც მარბე „პირდაპირ სომატურ ფაქტორებს" უწოდებს. ამ ფაქტორთა თანაგანმსაზღვრელი როლი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის მეტისმეტად დიდია: ადამიანი ინტელექტუალურად და საერთოდ პიროვნულად სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, ჯანმრთელია იგი თუ ავადმყოფი ფიზიკურად, ახალგაზრდაა თუ მოხუცი და ა. შ.[30].

ასეთი სომატური ფაქტორების, თანშობილი პიროვნებისა და კრიტიკული გამოცდილებების ზეგავლენის შედეგად ნამდვილი პიროვნება განუწყვეტლივ იცვლება. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ რომელიმე განსაზღვრულ მომენტში არსებული პიროვნების, ან მომენტური პიროვნების შესახებ. მომენტურ პიროვნებაში ის პიროვნება იგულისხმება, რომელიც მარად ცვალებადი კრიტიკული გამოცდილებებისა და ასევე მუდმივად ცვალებადი სომატური ფაქტორების განუწყვეტელი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება და მათი ზეგავლენით ყალიბდება. კრიტიკულ გამოცდილებებსა და სომატურ ფაქტორებს გარდა მომენტურ პიროვნებას თანშობილი დისპოზიციებიც განსაზღვრავს.

მარბეს მიაჩნია, რომ გარემოსთან ურთიერთობაში სწორედ ეს მომენტური პიროვნება ღებულობს მონაწილეობას და პიროვნების მრავალი გამოვლინება, მისი ბედი ამ მომენტურ პიროვნებაზეა დამოკიდებული[31]. მაგალითად, „სავსებით ნათელია, რომ რაიმე მარცხის მოსვლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მომენტურ პიროვნებას აქვს. ასევე მრავალ ავადმყოფობათა აღძვრა არა მარტო კონსტიტუციისა და სხვა გავლენის შედეგია, არამედ სხეულის ამა თუ იმ მდგომარეობაზეცაა დამოკიდებული..... პიროვნების რაიმე მომენ-

---

[30] K. Marbe, Über Einstellung und Umstellung, Zschr. f. ang. Psychologie, 26, S. 43.

[31] K. Marbe, Praktische Psychologie..., S. 13.

ტურ განწყობას შეესატყვისება. მაშასადამე, რაიმე განსაზღვრული მიდრეკილება მარცხისადმი"[32], დაავადებისადმი და ა. შ.

ვინაიდან პიროვნება ყოველ მომენტში იცვლება, ამიტომ მარბე განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიაწერს მომენტური პიროვნების ცნებას და იმ ფაქტს, რომ „მიუხედავად კონგენიტალური ფაქტორებისა და პიროვნების ღრმა ფენების უდიდესი მნიშვნელობისა, ინდივიდი მაინც ყოველ წუთში იცვლება"[33].

ადამიანის სულიერ პიროვნებას მისი სხეულებრივი პიროვნება უნდა დაუპირისპიროთ. ადამიანის სხეულებრივ პიროვნებას მიეკუთვნება მისი სხეული[34]. იმის ანალოგიით, რაც სულიერი პიროვნების შესახებ იყო თქმული, ადამიანის სხეულებრივ პიროვნებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მისი ყოველგვარი სახის სხეულებრივი დისპოზიციები[35]. „აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ: ადამიანის სულიერი პიროვნება მოიცავს მის სულიერ დისპოზიციებს. სხეულებრივი მის სხეულსა და სომატურ დისპოზიციებს"[36].

მაგრამ სულიერი და სხეულებრივი პიროვნების განსხვავებულ ცნებებში გადმოცემა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მათ ურთიერთკავშირს მაინცდამაინც მკაცრად არ ვეუბნებით ხაზს. სინამდვილეში კი, თანახმად ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორიისა, ყველა სულიერი პროცესი სხეულებრივის თანაპროცესად უნდა ვიაზროთ. გარდა ამისა, მათი ურთიერთხემოქმედებაც ხომ გამოცდილებაში მოცემული ფაქტია. ყოველივე ეს გვაიძულებს ვილაპარაკოთ არა სხეულებრივი ან სულიერი, არამედ ფსიქოფიზიკური პიროვნების შესახებ. „იგი მოიცავს როგორც სულიერ ნასახებსა და მიდრეკილებებს, ისე სხეულსა და სხეულებრივ დისპოზიციებს. რამდენადაც ისინი სულიერთან [illegible] კავშირში"[37].

---

[32] იქვე.

[33] Histori of Psychologi in Autobiography. ტ. 3. გვ. 192.

[34] K. Marbe. Praktische Psychologie... S. 11.

«...werden wir aber zur körperlichen Persönlichkeit eines Menschen auch seine körperlichen Dispositionen aller Art rechnen». იქვე.

[36] იქვე.

[37] «Diese (ფსიქოფიზიკური პიროვნება,—გ. ც.). umfaßt die geistigen Anlagen und Neigungen sowie den Körper und die Körperlichen Dispositionen, soweit sie mit den geistigen Zusammenhängen». K. Marbe. Psychologie d. Werbung, S. 10.

„პიროვნებას..... ჩვეულებრივი აზრით შეესატყვისება არა წმინდა სულიერი ან სხეულებრივი, არამედ ფსიქოფიზიკური"[38]. პიროვნებაზე ლაპარაკისას მარბესთან ყოველთვის ეს ფსიქოფიზიკური პიროვნება უნდა გვქონდეს მხედველობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიროვნება არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ სიდიდეს. სომატური ფაქტორების, თანშობილი პიროვნებისა და კრიტიკული გამოცდილებების ზეგავლენით იგი განუწყვეტლივ იცვლება. ამ ცვალებადობის შედეგად მას ყოველწუთში უჩნდება რაღაც განწყობა, „რომელიც გარდა აღნიშნული სომატური ფაქტორების ზეგავლენისა, თანშობილი პიროვნებისა და კრიტიკულ გამოცდილებათა ფუნქციას წარმოადგენს"[39].

განწყობის შექმნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ კრიტიკულ გამოცდილებებს, რომლებიც მოცემულ მომენტს უშუალოდ უსწრებენ წინ, აქტუალურ კრიტიკულ გამოცდილებებს. ისინი მთლიანად განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ მომენტურ პიროვნებაზე[40]. სწორედ ის გარემოება, რომ პიროვნებას ყოველწუთში ექმნება რაღაც ახალი განწყობა, უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ მომენტური პიროვნების შესახებ: ადამიანის მომენტურ პიროვნებას ხომ მისი მომენტური განწყობა ქმნის. ამგვარად, ამ კონტექსტში, მომენტური პიროვნებისა და მომენტური განწყობის ცნებები გაიგივებულია.

განწყობა, მარბეს აზრით, არ არის ყოველთვის მთლიანპიროვნული მოვლენა; იგი ყოველთვის არ ეხება პიროვნების არსს. პირიქით, უფრო მეტად განწყობა პიროვნების ცალკეულ მხარესთანაა დაკავშირებული[41]. შესაძლებელია აგრეთვე, რომ განწყობა მთლიანად წარმავალი, დროებითი ბუნებისა იყოს, ანდა პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდეს და პიროვნება დიდი ხნის მანძილზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვალოს. ასეთ მტკიცე განწყობებს მარბე ჰაბიტურ

---

[38] «Entsprächend ist die Persönlichkeit... im gewöhnlichen Sinne weder rein geistige, noch die rein körperliche, sondern psychophysische». K. Marbe, Über Einstellung und Umstellung, S. 44.

[39] «Die wirkliche persönlichkeit... Zeigt hiernach in jeden Augenblick eine bestimmte Einstellung, die abgesehen von den somatischen Einflüßen eine Funkzion der angeborenen Persönlichkeit und der kritischen Erfahrungen ist.» იქვე, გვ. 43.

[40] იქვე.

[41] «Natürlich brauchen aber die neuen Einstellungen dieser Persönlichkeit nicht immer ihr ganzes Wesen zu betreffen. Sie werden vielmehr oft nur auf einzelne Seiten derselben beziehen». K. Marbe, Praktische Psychologie... S. 10.

განწყობებს უწოდებს. პიროვნების ჰაბიტური განწყობების შექმნაა, მაგალითად, აღზრდის მთავარი მიზანი[42].

პიროვნების ესა თუ ის განწყობა მჟღავნდება ჩვენს აღქმებში, აზრებში, სურვილებსა და მოქმედებაში[43].

ჰაბიტური განწყობებია ის, რაც შეძენილ პიროვნებას ქმნის. ეს იმიტომ, რომ „გარდა პიროვნების თანშობილი მხარისა, მის დისპოზიციებად შეიძლება აგრეთვე მისი (განსაკუთრებით აღზრდით განპირობებული) ჰაბიტური განწყობებიც იქცენ"[44].

აქედან ის, რასაც პიროვნებას ვუწოდებთ, შედგება აბსოლუტურად კონსტანტური ფაქტორის, სახელდობრ, თანშობილი პიროვნების (იმავე დისპოზიციების), და რელატურად კონსტანტური ფაქტორის, სახელდობრ, პიროვნების ჰაბიტურად ქცეული განწყობებისაგან (რომლებიც იმავე შეძენილ დისპოზიციებს წარმოადგენენ)[45].

პიროვნებას საერთოდ ეს ორი ფაქტორი განსაზღვრავს (სომატურ ფაქტორთა თანაგანმსაზღვრელი მონაწილეობა, ცხადია, ყოველთვის იგულისხმება). გასაგებია, რომ განწყობის თეორიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კითხვას იმის შესახებ, თუ რომელ ამ ფაქტორთაგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, თანშობილს თუ შეძენილს. მომენტური პიროვნების ცნება, რომელიც მარბეს განწყობის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებათაგანია, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, პიროვნების განუწყვეტელ ცვალებადობას გულისხმობს. მაგრამ თუ ამ ცვალებადობას აბსოლუტურ ხასიათს მივცემთ, ე. ი., თუ დავუშვებთ, რომ ეს ცვალებადობა მთლიანპიროვნული მოვლენაა, მაშინ საერთოდ შეუძლებელი გახდება პიროვნების შესახებ ლაპარაკი.

როგორც ვნახეთ, „მომენტური პიროვნების ჩამოყალიბება არსებითად დამოკიდებულია იმ გავლენისაგან, რომელსაც თანშობილი დისპოზიციები და შეძენილი, პიროვნების ჰაბიტურად ქცეული ფაქტორები მომენტურ პიროვნებაზე ახდენენ"[46]. პიროვნების კონს-

---

[42] «Habituelle Einstellungen.., zu vollziehen, ist ein Hauptziel der Erziehung». იქვე.

[43] «Die jeweilige Einstellung der... Persönlichkeit äußert sich in unserem Wahrnehmen, Denken. Füllen. Wünschen, Wollen und Handeln». იქვე.

[44] «Außer der angeborenen Seite der Persönlichkeit können aber auch ihre (besonders durch die Erziehung verursachten) habituell gewordenen, Einstellungen für die Disposition... werden». იქვე, 13.

[45] იქვე, გვ. 14.

[46] იქვე, გვ. 78.

ტანტურ ფენას ქმნიან მისი თანმობილი დისპოზიციები (პიროვნების აბსოლუტურად კონსტანტური ფენა) და მისი შეძენილი ჰაბიტური განწყობები ან იგივე შეძენილი დისპოზიციები (პიროვნების რელატურად კონსტანტური ფაქტორი)[47].

მარბეს აზრით, „ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ კონსტანტური ფენის შიგნით თანშობილ მომენტს გაცილებით დიდი მნიშვნელობა... აქვს"[48]. „..... არსებობს ენდოგენური მიდრეკილებანი,... რომლებიც მიუხედავად აღზრდისა და გამოცდილების ზეგავლენისა, ყოველთვის მაინც თავს იჩენენ და..... არსებითი თუ არა, აგრეთვე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ"[49].

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად ჰაბიტური განწყობების ზეგავლენისა, და საერთოდ, მიუხედავად აღზრდისა და თვითაღზრდის მნიშვნელობისა, პიროვნება თავის საფუძველში მაინც უცვლელი რჩება. მარბე ამ აზრს შემდეგნაირად გამოთქვამს: „ადამიანია ენდოგენური თვისებები იმავე ან მსგავს პირობებში იმავე ან მსგავს მოქმედებას იწვევს"[50]. ამ დებულებას, რომელსაც მარბე „განმეორების კანონს" უწოდებს, იგი დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს: ცხოვრებაში ჩვენ ყოველთვის ამ კანონით ვხელმძღვანელობთ, როცა პიროვნების შესახებ ვმსჯელობთ. პიროვნების წარსული მოქმედებიდან ჩვენ მის მომავალ ქცევაზე ვასკვნით. განმეორების კანონი, მარბეს აზრით, განსაკუთრებით კარგად დანაშაულის სფეროში იჩენს თავს: ალბათობა ადამიანისათვის მომავალში გასამართლებისა იმისდა მიხედვით განისაზღვრება, თუ რამდენჯერ ყოფილა იგი წარსულში გასამართლებული.

მარბეს მოყავს ვრცელი სტატისტიკური მონაცემები იმის დასამტკიცებლად, რომ დანაშაული ადამიანთა განსაზღვრულ კატეგორიასთანაა ყოველთვის დაკავშირებული და დაასკვნის: „ცხადია შესაძლებელია, რომ დანაშაულისადმი მიდრეკილება აღზრდითა და გარემოთი, მოკლედ, გამოცდილებით იქნეს გამოწვეული ან შემცირებული, მაგრამ ასევე უეჭველად არსებობს ენდოგენური დანაშაულებ-

---

[47] იქვე, გვ 14.

[48] «Es dürfte nun keinem Zweifel unterlegen, daß das angeborene Moment innerhalb der konstanteren Schicht der Persönlichkeit von großer Bedeutung... ist». იქვე.

[49] «Jedenfalls gibt es endogene Neigungen, ...die sich unbeschadet der Einflüsse von Erziehung und Erfahrung immer wieder geltend machen... und eine wesentliche, wenn auch nicht ausschlissliche Rolle spielen». იქვე. გვ. 79.

[50] იქვე, გვ. 80.

რივი მიდრეკილებანი, რომლებიც ყოველთვის დაჟინებით იჩენენ თავს"[51].

მარბე არ იზიარებს ლომბროზოს თეორიას თანშობილი დამნაშავეების არსებობის შესახებ, რომლის მიხედვითაც თანშობილი დამნაშავე ყოველგვარ პირობებში დანაშაულს ჩადის; იგი იმდენად აღიარებს თანშობილ დამნაშავეთა არსებობას, რამდენადაც „...არიან ადამიანები, რომლებიც ფსიქიკურად ისე არიან მოწყობილი, რომ განსაზღვრულ პირობებში ყოველთვის დანაშაულს ჩადიან"[52].

საერთოდ, მარბეს მიაჩნია, რომ არსებობს თანშობილი მარცხიანი, უბედური და ბედნიერი, თანშობილი დამნაშავე, თანშობილი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი და ა. შ. ადამიანები. ადამიანთა ეს სხვადასხვა კატეგორია, მიუხედავად კრიტიკულ გამოცდილებათა ზეგავლენისა, არსებითად მაინც უცვლელი რჩება[53].

მაშასადამე: ის რასაც პიროვნება ეწოდება. შეიძლება ვიაზროთ, როგორც ორი ფენისაგან შემდგარი. პირველ ფენას ქმნის პიროვნების თანშობილი დისპოზიციები (თანშობილი პიროვნება); მეორე ფენა შედგება თანშობილი დისპოზიციების, იმავე თანშობილი პიროვნების, ცხოვრების გამოცდილებების ზეგავლენით მოდიფიცირებისა, ანუ ცხოვრების მანძილზე შეძენილი დისპოზიციებისა. შეძენილი პიროვნება, როგორც ვხედავთ, მოდიფიცირებულ თანშობილ დისპოზიციებს წარმოადგენს და არა თავისთავად, დამოუკიდებლად არსებულ ელემენტს. განწყობა დისპოზიციის ან დისპოზიციების მოდიფიცირებაა ახალ დისპოზიციად და რადგანაც შესაძლებელია მოდიფიცირებული დისპოზიციის მიჩნევა, ამდენად უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ შეძენილ, შექმნილ პიროვნებაზე, როგორც შეძენილ დისპოზიციათა ჯამზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარბეს მიაჩნია, რომ პიროვნების დისპოზიციად „შეიძლება მისი (განსაკუთრებით აღზრდით განპირობებული) ჰაბიტურად გამხდარი განწყობებიც იქცნენ"[54]. ამ თვალსაზრისით, როგორც ვხედავთ, განწყობის შესახებ თანშობილი დისპოზიციებისა და ცხოვრების გამოცდილებათა შეხვედრის შემდეგ შეიძლება მხოლოდ ლაპარაკი.

მაგრამ აქ ერთ საკითხს უნდა მიექცეს ყურადღება. როგორც ვთქვით, მარბე განწყობას დისპოზიციად თვლის. თუ პიროვნების შეძენილი დისპოზიცია განწყობაა, მაშინ გვაქვს თუ არა უფლება

---

[51] იქვე.

[52] «...gibt es Menschen, die insofern zum Verbrechen geboren sind, daß sie unter gewissen gegebenen Bedingungen immer wieder Verbrechen begehen». იქვე, გვ. 82.

[53] იქვე.

[54] იქვე, გვ. 13.

თანშობილი განწყობების (თანშობილი დისპოზიციების სახით) არსებობის შესახებ ლაპარაკისა? რა თქმა უნდა, საკითხის ასე დაყენებისათვის დისპოზიციისა და განწყობის ცნებათა გაიგივება მხოლოდ ფორმალური საბაბი იქნებოდა და მეტი არაფერი. საკითხი თანშობილი განწყობების არსებობის შესახებ, ცხადია, ასეთი ფორმალური არგუმენტით ვერ გადაწყდება.

თვითონ მარბე ამ საკითხს კონკრეტულად არსად არ ეხება. შეიძლება მაინც ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად გამოდგეს ერთი ადგილი მისი „პიროვნებისა და მოტორული განწყობის თეორიიდან". მარბე აქ ლაპარაკობს იმ დისპოზიციების ან იმავე მოტორული განწყობის შესახებ, რომელიც მოძრაობათა განმეორებითა და ასოციაციების ქსელის განახლებით შეიძინება. მისი აზრით, „ეს შენაძენები მაინც სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა ჩვენში დაბადებითვე არსებულ, პირველად, თანშობილ დისპოზიციათა განვითარებას"[55]. ხოლო რაკი ეს ასეა, ე. ი., რაკი მოტორული განწყობა ან იგივე დისპოზიცია თანშობილი დისპოზიციის განვითარებაა და მეტი არაფერი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ თანშობილი დისპოზიციები პიროვნების თანშობილ განწყობებს წარმოადგენენ და მაშასადამე, თანშობილი განწყობების არსებობის საკითხი, მარბესთან დადებითად უნდა გადაწყდეს.

მარბეს ინსტიტუტში საკითხს თანშობილი განწყობების არსებობის შესახებ კონკრეტულად შეეხო მარია ცილიგი[56]. მარია ცილიგის შრომა შესრულებულია მარბეს უშუალო ხელმძღვანელობით და გასაგებია, რომ იგი უთუოდ უნდა ასახავდეს მარბეს შეხედულებებსაც. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ მარბე ძალიან ხშირად იმოწმებს ცილიგის დასახელებულ შრომას, და არსად არ გამოთქვამს იქ განვითარებული შეხედულების საწინააღმდეგო აზრს, უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ მარბე მთლიანად იზიარებდა ამ საკითხის ცილიგისეულ გადაწყვეტას.

მარია ცილიგის აზრით, „არსებობენ განწყობები, რომლებიც, როგორც ჩანს, პიროვნებას ადამიანური ბუნების თანშობილი ორგანიზაციით უნდა მიეკუთვნებოდეს"[57].

---

[55] «Diese Dispositionen sind aber ,doch nichts anderes, als Ausbildungen von in uns schon von Geburt an vorhandenen, ursprünglichen, angeborenen Dispositionen». K. Marbe, Theorie der motorischen Einstellung und Persönlichkeit, Zschr f. ang. Psychol., 106, S. 310.

[56] M. Zillig, Einstellung und Aussage, Zschr f. ang. Psychol., 106.

[57] «Es gibt nun Einstellungen, die der Persönlichkeit durch die Organisation der menschlichen Natur von vornherein auferlegt zu sein scheint". იქვე, გვ. 59.

ეს ძირითადი განწყობები. რომელთაც ცილიგი „მხარეულ განწყობებს“ (Parteieinstellungen) უწოდებს, უაღრესად მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პიროვნების გამოვლინებებზე: „აღქმის, მსჯელობისა და მოგონების ფსიქიკურ აქტებში მონაწილეობს მხარეულ განწყობათა ტენდენციის შესატყვისი სელექციის პროცესი, რომელიც ამ აქტებს ცალმხრივად აქცევს“[58].

ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნება თანშობილ და შეძენილ განწყობათა ან იმავე დისპოზიციათა ნაკრებს წარმოადგენს. ამით, როგორც ვხედავთ, მარბემ გააიგივა პიროვნებისა და განწყობის ცნებები. პიროვნება მან დისპოზიციათა მთლიანობად გამოაცხადა, ხოლო თვითონ ეს დისპოზიციები სხვა არაფერია. გარდა განწყობებისა. ამით, ქცევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორიდან განწყობა პიროვნებად და პიროვნების განმსაზღვრელ არსებით ფაქტორად იქცა. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა ის სიახლე, რაც მარბემ შეიტანა განწყობის ცნების გაგებაში; ამ გარემოებამ განაპირობა განწყობის გამოცხადებაც ცნობიერების ცხოვრებისათვის უნივერსალური მნიშვნელობის მქონე მოვლენად.

ამავე გარემოებამ განაპირობა, როგორც ჩანს, თანშობილი განწყობების არსებობის მიღებაც: მხოლოდ მაშინ, თუ განწყობა იქნება ერთადერთი განმსაზღვრელი ცნობიერების ცხოვრებისა, გამართლებული იქნება მარბეს ძირითადი დებულება იმის შესახებ, „რომ მთელი ჩვენი ცნობიერების ცხოვრება არსებითად განწყობის ფუნქციას წარმოადგენს“[59].

ეს ფუნდამენტური დებულება იყო სწორედ ის თეორიული ბაზისი, რომლის საფუძველზედაც განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია შეიქნა და რომლის დანიშნულებაც, თავისი მხრით, ამ სახელმძღვანელო დებულების გამართლებაში მდგომარეობს.

მარბე ორნაირ განწყობას განასხვავებს: უნებურსა და ნებისმიერს. უნებური განწყობის წარმოქმნა პიროვნების ნებასურვილისაგან დამოუკიდებლად ხდება და მისი არსებობის შესახებ ადამიანმა არაფერი იცის. ნებისმიერი განწყობის აღმოცენება პიროვნების

---

[58] იქვე.

[59] «Es ist nun vor allem zu betonen, daß unser ganzes Bewußtseinsleben wesentlich eine Funktion der Einstellung ist». K. Marbe. Über Einstellung und Umstellung. Zschr f. ang. Psychologie, Bd 26, S. 44.

ცნობიერებითაა გაშუალებული[60]. პიროვნებას შეუძლია განზრახვით შეიქმნას განწყობა, ანდა იცოდეს, რომ მასში ასეთი არსებობს[61].

ნებისმიერი და უნებური განწყობის ცნებები არ ასახავენ განწყობათა აბსოლუტურ დაყოფას, რადგან სინამდვილეში ნებისმიერი და უნებური განწყობები ერთმანეთში გადადიან[62].

რანაირი წარმოშობისაც არ უნდა იყოს განწყობა, სულერთია, ამით ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე მისი მოქმედების როგორობა არ იცვლება. იგი ყოველთვის განცდის განწყობისდაგვარად მოდიფიცირებაში მდგომარეობს, იგი ყოველთვის ასიმილაციური ბუნებისაა. განცდის განწყობისდაგვარად მოდიფიცირება, მარბეს აზრით, იმით აიხსნება, რომ ჩვენი აღქმები არ წარმოადგენს მხოლოდ გამღიზიანებელთა რეზულტატს. აღქმა აგრეთვე შეიცავს მაგეშტალტებელ ფაქტორს, რომელიც ცენტრალური წარმოშობისაა და რომელიც ყოველთვის ადამიანის განწყობისდამიხედვითაა ჩამოყალიბებული[63].

უნებური განწყობის ზემოქმედებით უნდა აიხსნას, მაგალითად, ის გარემოება, რომ ჩვენ სიტყვა „ფურცელი" (Blatt) სხვადასხვაგვარად გვესმის იმისდა მიხედვით, თუ სად ვიმყოფებით: ტყეში, სახელოსნოში თუ საწერ მაგიდასთან[64]. უნებური განწყობის მოქმედებაზე მიუთითებს აგრეთვე ის ცნობილი ფაქტი, რომ ჩვენ კორექტურულ შეცდომებს ვერ ვამჩნევთ, როცა წაკითხულის აზრზე ვფიქრობთ და პირიქით, შინაარსი არ გვესმის, თუ კორექტურულ შეცდომებზე გვაქვს ყურადღება გადატანილი.

საერთოდ, ის „დიდი ხნიდან ცნობილი ფაქტი, რომ ჩვენ ხშირად სუსტ გამღიზიანებელს ვერ ვამჩნევთ, როცა ყურადღება სხვა რამე-

---

[60] «...wir eine willkürliche, von der Persönlichkeit beabsichtigte und eine unwillkürliche, ihr gar nicht zum Bewußtsein kommende Einstellung unterschieden müssen». K. Marbe, Psychologie d. Werbung, S. 15.

[61] «Die Persönlichkeit kann absichtlich bestimmte Einstellungen in sich erzeugen oder sich bewußt sein, daß solche in ihr wirksam sind». M. Zillig. დასახელებული შრომა, გვ. 58.

[62] Daß es zwischen extrem willkürlichem und extrem unwillkürlichem Einstellungen Übergänge gibt, ist selbstverständlich». K. Marbe, Psychol. d. Werbung, S. 15.

[63] «Die Wahrnehmung resultiert eben nicht bloß aus den Reizen. Sie setzt sich nicht nur aus Enpfindungen Zusammen. Sie enthält auch einen gestalttlichen Faktor, der zentral bedingt ist und je nach der Art der Einstellung der Persönlichkeit so oder anders geartet ist». K. Marbe. Über Einst. und Umstellung, S. 45.

[64] იქვე, გვ. 46.

ზე გვაქვს მიპყრობილი"[6], მაჩვენებელია ჩვენს აღქმით ცხოვრებაზე განწყობის ზეგავლენისა.

თუ ცდისპირებს ზედიზედ მივაწოდებთ ერთ და ორმარცვლიან უაზრო სიტყვებს, იმ პირობით, რომ მათ ყოველ უაზრო სიტყვაზე წერილობით სხვა უაზრო სიტყვით უპასუხონ, ჩვენ ვნახავთ, რომ ერთმარცვლიან სიტყვებზე უპირატესად ერთმარცვლიანით პასუხობენ, ხოლო ორმარცვლიანზე ორმარცვლიანი უაზრო სიტყვებით. მარბე ამას იმ მოსაზრებით ხსნის, რომ ერთმარცვლიანი ან ორმარცვლიანი სიტყვების მიწოდება ცდისპირში იწვევს განწყობას, რომელიც ხელსაყრელია შესაბამისად ერთმარცვლიანი თუ ორმარცვლიანი სიტყვებით რეაგირებისათვის.

უნებური განწყობის მოქმედების დასამტკიცებლად მარბე ხშირად ასახელებს ორ სასამართლო შემთხვევას. რომლებზედაც იგი ექსპერტად იყო მიწვეული:

ერთი ახალგაზრდა გამოუცდელი მონადირე მეგობრებმა დაარწმუნეს, რომ ტყისპირად მდებარე პურის ყანაში ღამით გარეული ღორები შემოდიოდნენ. მეგობრებმა უჩვენეს მას ბილიკი, რომლითაც თითქოსდა ღორები შემოდიოდნენ ყანაში, ღორის ნაკვალევი და ის ადგილი, საცა ყველაზე მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო ჩასაფრება მათ მოსაკლავად.

საღამოს მონადირე მართლაც მივიდა დანიშნულ ადგილას, ჩასაფრდა და დაუწყო ლოდინი გარეული ღორის გამოჩენას. როცა დაბნელდა, მონადირემ ბილიკთან ახლოს შეამჩნია რაღაც მოძრავი საგნები, რომლებიც ყანაში შემოდიოდნენ. დარწმუნებულმა, რომ ხედავს გარეულ ღორებს, მან გულმოდგინედ დაუმიზნა და ესროლა. ტყვია მოხვდა ორ გოგოს, რომელთაგან ერთი დაიჭრა, ხოლო მეორე გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ გოგოები პურის ყანიდან თავთავებს იპარავდნენ და გარდა იმისა, რომ ტანად ისედაც პატარები იყვნენ, ყანაში მოხრილები დაძვრებოდნენ.

ამ შემთხვევაზე ცოტათი ადრე, ვიურცბურგთან ახლოს, დღისით, მზისით, მეტყევემ მოკლა კაცი. საქმე შემდეგში იყო: იმ მიდამოებში, საცა მეტყევე მუშაობდა, გარეული ღორი საერთოდ არ ყოფილა და იგი არც არავის ენახა. მაგრამ ამ შემთხვევაზე კარგა ხნით ადრე როგორღაც გამოჩნდა ერთი და, ბუნებრივია, ამ კუთხის მონადირეთა ოცნებად მისი მოკვლა გადაიქცა. ერთხელ, შუადღისას, მეტყევე ტყეს უვლიდა. ანაზდად მას ბუჩქებიდან შემოესმა რაღაც ღრუტუნის მსგავსი წყნარი ხმები. მეტყევე მიიპარა ბუჩქებთან,

---

[6] იქვე.

დარწმუნდა. რომ იქ გარეული ღორია, გულმოდგინედ დაუმიზნა. ეს-
როლა და მოკლა მოხუცი კაცი, რომელიც ბუჩქებში იჯდა"[66].

მარბეს აზრით, ორივე უბედური შემთხვევის მიზეზი იყო „პი-
როვნების განსაკუთრებულ განწყობაზე დამყარებული აღქმა"[67].
ორივე მონადირე, ყოველივე გაგონილისა და საერთოდ გამოცდილე-
ბის წყალობით ისე იყვნენ განმსჭვალულნი ღორების დანახვის მო-
ლოდინით, რომ სიბნელეში თუ ბუჩქებში დანახულმა ბუნდოვანმა
და ფრაგმენტულმა გამღიზიანებელმა მათში გარეული ღორის გე-
შტალტის დანახვა გამოიწვია.

„თითქმის ყველა ახალგაზრდა მონადირე. საღამოს. როცა ბინ-
დდება ხშირად ქვებს, ბუჩქებს და სხვა ასეთ საგნებს გარეულ
ცხოველად თვლის. მას. ვისაც ნადირობა საერთოდ არ აინტერესებს,
ამ საგნების დანახვისას არასოდეს არ გაუჩნდება მსგავსი ილუზია,
თუნდაც რომ მას ისეთივე შეგრძნებები ჰქონდეს. როგორიც ახალ-
გაზრდა მონადირეს. აგრეთვე ის, რომ ეს შეგრძნებები ახალგაზრდა
მონადირეში ნადირის გეშტალტად იქცევა. მსგავსად აღწერილი
ორი მონადირის ილუზიებისა. მის მონადირულ განწყობაზეა და-
ყარებული"[68].

ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით. მარბეს
ინსტიტუტში კლეინტს ჩაუტარებია სპეციალური ცდები, რომელთა
მიზანი იყო განსაზღვრული განწყობის ზეგავლენით განსაზღვრული
აღქმის ხელოვნურად გამოწვევა და. მაშასადამე, აღქმაზე განწყო-
ბის გავლენის შესწავლა. მაგალითად, ცდისპირს უჩვენებდნენ კინო-
ფილმს და ავალებდნენ ზარის ღილაკზე თითის დაჭერას მაშინ, როცა
ეკრანზე ადამიანის გეშტალტს დაინახავდა. ადამიანის გამოჩენის მო-
ლოდინი მას უნდა ჰქონოდა თანახმად ინსტრუქციისა. ცხადია. რომ
სინამდვილეში ეკრანზე ადამიანის გეშტალტი საეროოდ არ ჩნდებო-
და. ცდის შედეგი იყო ილუზიათა ე. ი., არ არსებულ ადამიანის
გეშტალტთა დანახვის დიდი რაოდენობა[69].

ცდების საფუძველზე კლეინტი დაასკვნის რომ „აღქმის არსებ-
თი ფაქტორი... უპირველეს ყოვლისა, განწყობაა"[70].

---

[66] იქვე, გვ. 44—45.

[67] იქვე.

[68] იქვე.

[69] H. Kleint, Über den Einfluß der Einstellung auf die Wahrnehmung, ArGsPs, 51, 1925, S. 337.

[70] «Für die Wahrnehmung kommt... Zunächst als wesentlicher Faktor die jeweilige Einstellung in betracht». იქვე, გვ. 392.

„საერთოდ გეშტალტი მოცემული გამღიზიანებლის როგორობაზეა დამყარებული, მაგრამ მრავალ შემთხვევაში შეგრძნება მხოლოდ გამომწვევად მოქმედებს, განწყობა კი პირიქით, გეშტალტის განმსაზღვრელად... ზოგადად, აღქმის არსი შეიძლება იმაში დავინახოთ, რომ შეგრძნებებს ცოტად თუ მეტად უერთდება განწყობაზე დამოკიდებული გეშტალტი"[71]. აღქმისა, შემეცნებისა და გაგებისთვის, დაასკვნის კლეინტი, შეგრძნებაზე მეტი მნიშვნელობა განწყობას აქვს[72].

დასკვნები, რომლებიც კლეინტს გამოჰყავს თავისი გამოკვლევიდან, შემდეგში მდგომარეობს: 1. განწყობის საფუძველზე, ექსპერიმენტულად, შესაძლებელია ოპტიკური ილუზიების გამოწვევა. 2. ილუზიათა დადგომა და როგორობა დამოკიდებულია მათ საფუძველად მდებარე საგნებზე. 3. ცალკეულ ცდისპირებთან ილუზიათა რიცხვი სხვადასხვაა და ნაწილობრივ მათ გონებრივ ღონეზეა დამოკიდებული. 4. იმ ფიგურების შემთხვევაში, რომელთა გაგება ორნაირადაა შესაძლებელი (ე. წ. ორმნიშვნელოვანი ფიგურები), აღქმა დამოკიდებულია განწყობაზე[73].

ენებური განწყობის გავლენის აღქმაზე გავლენის საილუსტრაციოდ მარბეს ასისტენტს, მარია შორნს მარბეს ხელმძღვანელობით, ჩაუტარებია შემდეგი სახის ექსპერიმენტი: ცდისპირებს ეძლეოდათ შემდეგი ინსტრუქცია: გეტყვით მოძრაობის აღმნიშვნელ სიტყვებს. დაიხსომეთ ისინი კარგად. ეძლეოდათ შემდეგი ცხრა სიტყვა: **fahren, rennen, springen, hüpfen, *sehen*, kriechen, Schleichen.** ცდაში მონაწილეობდა ოცი კაცი. რამდენიმე ხნის შემდეგ ცდისპირებს თხოვდნენ გაემეორებინათ დასახელებული ზმნები. შედეგი ასეთი იყო: ოცი კაციდან შვიდმა კაცმა (30%) სიტყვა „ხედვა" (sehen) რეპროდუქციისას გამოტოვა. ექვსმა (30%) ეს სიტყვა სწორად აღადგინა. შვიდმა კაცმა (35%), ინსტრუქციით შექმნილი განწყობის საფუძველზე მოახდინა სიტყვა „**gehen**"-ის რეპროდუქცია ნაცვლად „**sehen**"-ისა, რომელიც მიწოდებული იყო[74].

მეორე ცდიდანაც, რომელიც პირველის ანალოგიური იყო, იგივე შედეგი იქნა მიღებული: ოცი კაციდან შვიდმა საერთოდ არ მოახდინა მიწოდებული სიტყვის რეპროდუქცია ან მისი სხვა სიტყვით შე-

---

[71] იქვე, გვ. 396.

[72] იქვე.

[73] იქვე.

[74] K. Marbe, Bemerkungen zum vorhergehenden Aufsatz Leuigebrunes, Zschr f. d. g. Psychol., 59, 1921, S. 174 ff.

ცვლა. 5-მა კაცმა, ინსტრუქციით შექმნილი განწყობის საფუძველზე, აღადგინა მიწოდებულის მსგავსი სიტყვა (ნაცვლად „beten"-ისა აღადგინა „beben"-ი). ეს მონაცემები მარბეს იმის დამადასტურებლად მიაჩნია, რომ „განწყობის ზეგავლენით შესაძლებელია... სინამდვილის საწინააღმდეგო გრძნობადი აღქმების წარმოშობა"[75].

ყველა ის მაგალითი, რომელთა შესახებაც აქამდე ვლაპარაკობდით, მაჩვენებელია უნებური განწყობის მოქმედებისა. მაგრამ, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, არსებობს ნებისმიერი ანუ ცნობიერებით გაშუალებული განწყობაც. ასეთ განწყობასთან გვაქვს, მაგალითად, საქმე მაშინ, როცა მეტრონომის ცემაში ჩვენ ნებისმიერად ტაქტის ხან, ვთქვათ, სამ მეოთხედს გავიგონებთ. ხან კი ოთხ მეოთხედს[76].

ნებისმიერი განწყობის მოქმედების საილუსტრაციოდ მარბე თავის ლექციებში ასეთ ექსპერიმენტს მიმართავდა: სპეციალური აპარატის საშუალებით იგი იწვევდა ჩაქუჩის ექვს დარტყმას. დარტყმები ერთმანეთს მოსდევდა 0,5 წამის შუალედით. უშუალოდ მეხუთე დარტყმის წინ, რკინის ნაჭრის დარტყმით, იგი იწვევდა ძლიერ ხმაურს. ეს შვიდი ჩქამი, თუ დრო ძლიერსა და მომდევნო ხმაურს შორის საკმაოდ პატარა იყო, აღიქმებოდა როგორც ექვსი ჩქამი, რადგან ძლიერი ხმაური შთანთქავდა იმ შედარებით სუსტ ხმაურს, რომელიც მას უშუალოდ მოსდევდა. თუ შემდეგ მსმენელთა ყურადღებას მიაპყრობდენ იმ გარემოებას, რომ სინამდვილეში ექვსი კი არა, შვიდი ხმაური გამოიცემოდა, და შემდეგ მათ კვლავ მოასმენინებდენ შვიდ ხმაურს პირვანდელი წესით, მაშინ ცალკეულ მსმენელს უკვე ესმოდა, რომ ძლიერ ხმაურს უშუალოდ მოსდევს სუსტი ჩქამი, და რომ მაშასადამე, სინამდვილეში ადგილი აქვს შვიდ ხმაურს და არა ექვსს. მოხერხდა ცალკეული მსმენელისათვის დროის იმ შუალედის დადგენა, რომლის განმავლობაშიც მათ, მათი ნებისმიერი განწყობის მიხედვით, შეეძლოთ მოესმინათ ხან ექვსი, ხან კი შვიდი ხმაური. ცდისპირებს ექვსი დარტყმა ესმოდათ მაშინ, როცა ისინი უბრალოდ გაგონილის დასათვლელად განეწყობოდნენ. შვიდი ხმაური მაშინ აღიქმებოდა, როცა დამკვირვებელი ითვლიდა, მაგრამ ამავე დროს იმას აქცევდა ყურადღებას, რაც ძლიერ ჩქამს უნდა მოჰყოლოდა[77].

---

[75] იქვე, გვ. 174.

[76] K. Marbe, Über Einstellung und Umstellung, S. 46.

[77] K. Marbe, Über Persönlichkeit, Einstellung, Suggestion und Hipnose. Zschr f. d. gesamte Neurologie und Psychiatrie, 94, 1925, S. 360—361.

ამ ფაქტს გამოყენება აქვს ექიმის პრაქტიკაშიც. სუსტი ბგერები, რომლებიც ხშირად უშუალოდ მოსდევს გულის ნორმალურ ტონს, შეიძლება გულის მოსმენისას ექიმმა ვერ გაიგონოს, რადგან მცირე ინტენსივობის გამო მათ გულის ნორმლური ტონი შთანთქავს. მაგრამ თუ გულის ბგერებს გრაფიკულად ჩავიწერთ და, მაშასადამე, ამ გზით ექიმს ეცოდინება მათი არსებობის შესახებ. ე. ი., თუ ექიმი მათ მოსასმენად განეწყობა, მაშინ იგი აღიქვამს კიდევაც მათ ყოველთვის[78].

როგორი წარმოშობისაც არ უნდა იყოს განწყობა, იგი ყოველთვის დისპოზიციური ხასიათისაა, იგი პიროვნების დისპოზიციაა და ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე ზეგავლენას როგორც ასეთი ახდენს. მაგრამ დისპოზიციები, ან იგივე განწყობები, არ არის ყოველთვის ერთნაირი ბუნებისა. ძალიან ხშირად განწყობა წარმავალი, წამიერი ბუნებისაა და ისე ქრება, რომ პიროვნებაში რაიმე მნიშვნელოვან კვალს ვერ ტოვებს. გასაგებია, რომ ადამიანის შეძენილ პიროვნებას ასეთი განწყობები ვერ შექმნის. შეძენილი პიროვნება ჰაბიტური განწყობებისაგანაა შემდგარი. იგი ჰაბიტურ განწყობათა ნაკრებია. „გამოცდილება", რომელიც, მარბეს აზრით, განწყობის წარმოქმნის ერთადერთი ფაქტორია, უაღრესად ფართო მოცულობის ცნებაა. გამოცდილებაში იგულისხმება ყველაფერი, რასაც კი რაიმე გავლენის მოხდენა შეუძლია ფსიქოფიზიკურ პიროვნებაზე. კრიტიკულია ის გამოცდილება, რომელიც პიროვნების ჰაბიტურ განწყობას წარმოშობს, რომელსაც. მაშასადამე, პიროვნების თანშობილ დისპოზიციათა ხანგრძლივი მოდიფიცირება შეუძლია.

აქედან გასაგებია, რომ პიროვნება, რამდენადაც იგი ჰაბიტური განწყობებისაგანაა შემდგარი, ასეთ კრიტიკულ გამოცდილებათა შედეგს წარმოადგენს.

მარბეს აზრით, აღზრდის მთავარი მიზანი ჰაბიტური განწყობების შექმნაა[79]. აღზრდა ნიშნავს პიროვნების აღზრდას ცოდნისაკენ, უნარისაკენ, ღირებულებისაკენ, ანდა სურვილისა და მოქმედებისაკენ. აღზრდა, მაშასადამე, ამა თუ იმ განწყობის შექმნაა. თვითონ ცოდნა არასოდეს არაა ცნობიერებაში მოცემული. ცოდნა უნარია, შესაძლებლობაში ყოფნაა. „რაიმე საგნის ცოდნა არსებობს მხოლოდ ამ საგნის შესახებ სწორი (ლოგიკის აზრით) მსჯელობის გამოთქმის

---

[78] იქვე.

[79] «Habituell Einstellungen der Persönlichkeit zu vollziehen, ist ein Hauptziel der Erziehung». იქვე, გვ. 360.

უნარში"[80]. ცოდნა დისპოზიციაა და ცხადია რომ იგი, როგორც რაღაც დისპოზიციური, ცნობიერებაში მოცემული არ იქნება[81].

ცოდნისაკენ აღზრდა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ აღმზრდელი მოწაფის პიროვნებას კითხვის, საუბრისა და სხვა საშუალებით ისე განაწყობს, რომ მის განკარგულებაში სასურველ ცოდნას გადასცემს[82].

პიროვნების განსაზღვრული უნარის აღზრდასთან გვაქვს საქმე როგორც სახელოსნო, ისე ჩვეულებრივ სკოლებშიც. მაგალითად წერის, ხატვის და თვლის სწავლებისას. „ეს უნარის აღზრდაც პიროვნების განწყობას ან... განწყობებს წარმოადგენს"[83]. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ განწყობა დისპოზიციაა და ადამიანის განცდით ცხოვრებას როგორც დისპოზიცია განსაზღვრავს. რადგანაც ცოდნის არსებობაც დისპოზიციურია, რადგანაც ცოდნა დისპოზიციაა, ამიტომ ცოდნის შეძენაც სასურველი განწყობის შექმნას ნიშნავს. მაშასადამე, ცოდნა განწყობაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გასაგებია ჰაბიტურ განწყობათა უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებისათვის და ის კითხვა, თუ რამდენად მყარია დროის განმავლობაში ერთსელ აღმოცენებული განწყობის არსებობა. მარბე ამ თვალსაზრისით ორნაირ განწყობას, მომენტურსა და ჰაბიტურს განასხვავებს. ჰაბიტური განწყობები პიროვნების კონსტანტურ ფენაში შედის და ამდენად გასაგებია ამ საკითხის გადაჭრის მნიშვნელობა პიროვნების მოქმედების გათვალისწინებისათვის საერთოდ. მაშასადამე, კითხვა უპირველესყოვლისა იმას შეეხება, თუ რამდენად მყარია ჰაბიტურ განწყობათა დროში არსებობა.

განწყობის კონსტანტობის საკითხს მარბე და მისი მოწაფეები იმ მოქმედების სტაბილობისდა მიხედვით არკვევენ, რომლებიც ამა თუ იმ განწყობის გავლენის ქვეშ მიმდინარეობს. მაგრამ უკვე ჩვეულებრივი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არც ერთი ასეთი მოქმედება არ მიმდინარეობს თანაბარზომიერად რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს კი იმის მაჩვენებელია, მარბეს აზრით, რომ

---

[80] «Das Wissen eines Gegenstandes besteht lediglich in der Fähigkeit, richtige Urteile (im Sinne der Logik) über diesen Gegenstand zu fällen». K. Marbe, Psychologie der Werbung, S. 12.

[81] «...das Wissen als etwas Dispositioneles nicht im Bewußtsein nachweisbar sein». K. Marbe, Zur psychologie des Denkens, Fortschritte d. Psychologie und ihren Anwendugen, Bd 3, S. 34.

[82] K. Marbe, Psychologie d. Werbung, S. 12.

[83] «Auch diese Erziehung zur Können Stellt eine Einstellung oder vielmehr vielfache Einstellungen der Persönlichkeit dar». იქვე.

„არც ერთი განწყობა, იქნება იგი ნებისმიერი თუ უნებური წარმოშობისა, არ რჩება კონსტანტური ხანგრძლივი დროის განმავლობაში“[84].

რომელიმე განწყობის ქვეშ მიმდინარე მოქმედების რხევა. მისი არათანაბარზომიერი მიმდინარეობა. „... როგორც ჩანს განწყობის რხევაზე უნდა იქნეს დაყვანილი“[85]. ასეთსავე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, ყურადღების შემთხვევაში. მართალია „ე. წ. ყურადღების რხევები. მხედველობის სურათებისა და სუსტი ხმაურის სუბიექტური მოქცევა-უკუქცევა ყურადღების კი არა, არამედ, თუნდაც ცენტრალურად განპირობებული. შეგრძნებების რხევაა, მაინც არავის ეშვი არ უნდა შეეპაროს იმაში, რომ ყურადღების ნამდვილი რხევაც არსებობს“[86]. ყურადღების რხევა, მაშასადამე, განწყობის რხევაზე უნდა იქნეს დაყვანილი.

სოლო რაკი ეს ასეა, ე. ი., რაკი ყურადღების რხევა, განწყობის რხევის მეტს არაფერს წარმოადგენს, ამით, მარბეს აზრით, უფლება გვეძლევა თვითონ ყურადღების, როგორც აქტის საკითხიც გადავწყვიტოთ: „ყურადღება მხოლოდ ცნობიერების განსაზღვრული შინაარსის აღქმისათვის გამოსადეგი განწყობისეული ფენომენია“[87]. უფრო აზუსტებს ამ აზრს მარბე სხვა ადგილას: „ვარდამავალ განწყობებთან გვაქვს მაგ. საქმე ყურადღების შემთხვევაში“[88].

განწყობის რხევა კარგად ჩანს იმ ზოგიერთი თამაშის მიმდინარეობიდან, რომლებიც სისწრაფესა და მოხერხებულობას მოითხოვენ. მარბე, კერძოდ, ასახელებს ბილბოკეს თამაშის მაგალითს, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით მის ყველა შრომაში გვხვდება. ბილბოკეს თამაშში იყენებენ ძაფზე მიბმულ ბურთულას, თავისი მსრით, ძაფი გამობმულია ტარზე, რომელზედაც დამაგრებულია თასი. თამაშის დროს ხელში იჭერენ ტარს და ცდილობენ ზევით აგდებული ბურთის დაჭერას ტარზე დამაგრებული თასით.

„თვითაღქმისა და მრავალი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე“ დგინდება, რომ ზედიზედ თამაშის დროს, ყოველ ცალკეულ

---

[84] «Keine Einstellung, mag sie nun willkürlich oder unwillkürlich sein, bleibt längste Zeit konstant». K. Marbe, Über Einstellung und Umstellung, S. 47.

[85] იქვე.

[86] იქვე.

[87] «...die Aufmerksamkeit lediglich ein für die Erfassung gewisser Bewußtseinsinhalte günstiges Einstellungsphänomen ist». იქვე.

[88] «Um vorübergehende Einstellungen handelt es sich auch bei der Aufmerksamkeit». K. Marbe, Über Einstellung, Umstellung, Suggestion und Hipnose, S. 360.

შემთხვევაში ბურთის ჩაგდების თუ აცდენის ალბათობა მით უფრო დიდია, ჩაგდების ან აცდენის რაც უფრო მეტი რაოდენობა უსწრებდა წინ უშუალოდ მოცემულ ხელს. გარდა ამისა, ზედიზედ თამაშის შემთხვევაში ერთმანეთს ცვლის წარმატებათა კარგი და ცუდი პერიოდები, ადგილი აქვს, მაშასადამე, წარმატებათა პერიოდულ რხევას. მარბეს აზრით, „ეს გამოცდილებები მჭიდროდაა დაკავშირებული სხეულებრივ განწყობასთან"[89]. ჩაგდებას რომ მივაღწიოთ, ჯერ საამისოდ გამოსადეგი განწყობა უნდა ვიპოვოთ. ჩაგდების შემთხვევაში გასაგებია, რომ საჭირო განწყობა შემდეგი ხელისათვის უკეთ იქნება მომზადებული, ვიდრე აცდენის შემთხვევაში. ამ მიზანშეწონილი განწყობის პოვნა შემდგომ თამაშში მით უფრო იოლია, ჩაგდების რაც უფრო მეტი რაოდენობა უსწრებდა მოცემულ ხელს[90].

მოსალოდნელი იყო, რომ განწყობის ასეთი რხევის ჩვენება შეესაძლებელი იქნებოდა ხანგრძლივი მუშაობის შემთხვევაშიც. ეს საკითხი მარბეს ინსტიტუტში სპეციალურად აქვს შესწავლილი მარია ცილიგს[91]. წარმატებათა კარგი და ცუდი პერიოდების ცვლა ცილიგის ცდებშიაც დადასტურდა. მაგრამ ცილიგმა აღმოაჩინა აგრეთვე სხვა რხევებიც, რომლებიც, მისი აზრით, განწყობის რხევაზე უნდა იქნეს დაყვანილი. სახელდობრ, აღმოჩნდა, რომ ერთმანეთს ცვლის შრომის ხარისხის განსაკუთრებით მერყევი და შედარებით კონსტანტური პერიოდები, რომ მაშასადამე, ადგილი აქვს არა მხოლოდ ნაქმნობათა კარგი და ცუდი პერიოდების ცვალებადობას, არამედ მიღწევათა მერყევ და შედარებით კონსტანტურ პერიოდთა ცვალებადობასაც[92].

ცილიგმა აგრეთვე აღმოაჩინა, რომ წარმატებათა კონსტანტობის ხარისხის მიხედვით ორი ტიპი განირჩევა: ერთი ტიპი, ერთსა და იმავე სფეროში, საერთოდ ინარჩუნებს წარმატებათა უნარის თანაბარზომიერებას. მეორე ტიპის წარმატებათა ქვალიტეტი საერთოდ ცვალებადია[93].

ამ მონაცემებს, ცილიგის აზრით, სასკოლო პრაქტიკაც ადასტურებს: ხშირია შემთხვევა, როცა წერით სამუშაოებში სამუშაოს ერთი ნაწილი მთლიანად თავისუფალია შეცდომებისაგან, ხოლო მეორე ნაწილი შეცდომებით სავსეა. ასეთივე მოვლენასთან გვაქვს საქმე კითხვითი სავარჯიშოების დროსაც. ხშირად მოწაფე სავარჯიშოების

---

[89] K. Marbe. Über Einstellung und Umstellung, S. 48.

[90] იქვე.

[91] იქვე.

[92] იქვე, გვ. 49.

[93] იქვე.

ერთ ნაწილს ბეჯითად და უშეცდომოდ კითხულობს, ხოლო მეორე ნაწილში უამრავ შეცდომებს უშვებს. ცილიგი თვლის (და მასთან ერთად მარბეც), რომ ამ მოვლენის ახსნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მხოლოდ მასალის არათანაბარზომიერი სიძნელით.

გასაგებია, რომ რადგანაც მარბესათვის „განწყობა უნივერსალური მნიშვნელობის მქონე ფსიქოლოგიური მოვლენაა"[94], ამიტომ იგი განწყობის რხევის ფაქტს გაცილებით მეტ მნშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ეს აქამდე მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს.

განწყობის ის პერიოდული რხევა, რომლის შესახებაც აქამდე ვლაპარაკობდით, უნებური ხასიათისაა. გარჩეული სასკოლო ან ინდუსტრიული ნაქმნობანი მერყეობენ მოწაფის ან მუშის რაიმე ნებისმიერი ჩარევის გარეშე. ამის საწინააღმდეგოდ, განწყობის ნებისმიერ ცვალებადობასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა ადამიანი განზრახვით იცვლის მოქმედების სფეროს, როცა იგი შეგნებულად გადადის ერთი მოქმედებიდან მეორეზე. ცხადია, რომ მოქმედების ეს შეცვლა არსებული განწყობის შეცვლას მოითხოვს. „ასეთ შემთხვევაში ახალ განწყობას იწვევს გარეგანი მდგომარეობა ან რაიმე სახის მოთხოვნილებანი"[95].

აღმოჩნდა, რომ ადამიანთა უნარი რაიმე განწყობიდან ახალ განწყობაზე გადასვლის, ან ნებისმიერად განწყობის შეცვლისა, მეტისმეტად განსხვავებულია.

განწყობის შეცვლის უნარი მარბეს ინსტიტუტში გამოკვლეული აქვთ მარია ცილიგსა და აქსელ ფრანცენს.

ცილიგის მიერ ჩატარებული ერთ-ერთი ცდა ასეთი იყო: ბავშვებს ეძლეოდათ 24 კარტი, რომელთაგან თვითეულს 5 სხვადასხვა ნიშანი ჰქონდა, და ევალებოდათ სამჯერ ზედიზედ, რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ ყოველთვის სხვადასხვა ნიშნის მიხედვით მათი დალაგება. განწყობის შეცვლის ამ გამოკვლევას მოსდევდა კონსტანტობის გამოკვლევა, რომელშიც ბავშვებს ევალებოდათ კარტების სამჯერ ზედიზედ დალაგება, რაც შეიძლება სწრაფად[96].

---

[94] «Wie aber die Einstellung Überhaupt eine psychologische Erscheinung von universellster Bedeutung ist...», იქვე.

[95] «In Solchen Fällen leiten äußere Umstände oder Forderungen irgendwelcher Art neue Einstellungen in die Wege». K. Marbe, Über Einstellung und Umstellung. S. 50.

[96] M. Zillig, Experimentelle Untersuchungen über Umstellbarkeit. Zschr f. Psychol., 97, 1925.

მსგავსი ცდები ჩატარდა თვლაზე. ლოგიკურ მოქმედებებზე და ბურთის თამაშზე. ყველა ამ გამოკვლევაში შეცდომების რაოდენობის მიხედვით დგინდებოდა, თუ რომელი ცდისპირი რომელ გამოკვლევაში აღწევდა უკეთეს მაჩვენებელს, განწყობის შეცვლისა თუ კონსტანტობის გამოკვლევებში.

აღმოჩნდა, რომ ზოგი ცდისპირი განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს მხოლოდ განწყობის შეცვლის, ზოგი კი მხოლოდ კონსტანტობის გამოსაკვლევ ცდებში. ეს ცდისპირები, მაშასადამე, საერთოდ ხასიათდებოდნენ განწყობის შეცვლის კარგი ან ცუდი უნარით. სხვებს განწყობის შეცვლის უნარი დამოკიდებული აღმოჩნდა იმ მოქმედების სფეროზე, რომელშიაც განწყობის შეცვლა ხდებოდა[97].

ცილიგის ცდებმა ისიც უჩვენა, რომ განწყობის შეცვლის კარგი და ცუდი უნარი და რაიმე განსაზღვრულ სფეროში შრომის უნარიანობა არ არის ერთი და იგივე. არც განწყობის შეცვლის უნარი და ადამიანის გონებრივი დონე ემთხვევა ერთმანეთს. განსაკუთრებით გონიერი და შრომისუნარიანი ხალხი უმეტესად სწორედ იმათში გვხვდება, ვინც განწყობის შეცვლის ცუდი უნარით ხასიათდება[98].

როგორც აღვნიშნეთ, ცილიგის ცდებში განწყობის შეცვლის უნარი იზომებოდა შეცდომების მიხედვით, რომლებიც განიხილებოდა როგორც განწყობის შეცვლის შედეგად გამოწვეული. დგინდებოდა შეცდომების რაოდენობა როგორც განწყობის შეცვლის, ისე კონსტანტობის ცდებში, და განწყობის შეცვლის უნარი მით უფრო დიდად ითვლებოდა, რაც უფრო მცირე იყო შეცდომების რაოდენობა[99].

აქსელ ფრანცენის მიერ ჩატარებულ ცდებში (ყველა დასახელებული ცდა ტარდებოდა მარბეს საერთო ხელმძღვანელობით) განწყობის შეცვლის უნარი იზომებოდა იმ დროით, რომელიც საჭირო იყო განწყობის შეცვლის განხორციელებისათვის[100]. ფრანცენი ცდისპირებს ავალებდა ხრახნების დალაგებას ხან სიგრძის, ხან სისქის მიხედვით, შეცვლით. ხრახნების ერთხელ დალაგებისათვის საჭირო დრო იზომებოდა ზუსტად. ვარჯიშის გავლენის გარდა, ამ ცდებში თავი იჩინა აგრეთვე წარმატებაზე ამოცანის შეცვლის გავლენამაც: ცდისპირები ხრახნების სისქის მიხედვით დალაგებისათვის გაცილებით ნაკლებ დროს საჭიროებდნენ იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ ამ მოქმედების წინ ხრახნები ამავე წესით ჰქონდათ დალაგებული. აღმოჩნდა, რომ ამოცანის, ე. ი., განწყობის შეცვლის გავლენა სხვა-

---

[97] K. Marbe. Über Einstellung und Umstellung, S. 53.

[98] იქვე.

[99] იქვე, გვ 52—53.

[100] იქვე.

დასხვა ინდივიდზე სხვადასხვაა, და რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამოცანის შეცვლა საერთოდ ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ინდივიდზე[101].

სხვა ცდები, რომლებიც ასევე განწყობის შეცვლის უნარის გამოკვლევას შეეხებოდა, ფრანცენმა მარტივ მოძრაობათა სფეროში ჩაატარა. ცდისპირს ევალებოდა, რაც შეიძლება სწრაფად, საჩვენებელი თითით, შეცვლით შეხებოდა ორ, B და C წერტილს. სპეციალური სიგნალის გაგონებისთანავე იგი ნაცვლად C წერტილისა უნდა შეხებოდა A წერტილს. სიგნალით გამოწვეული განწყობის (იმავე მოქმედების) შეცვლა იწვევდა მოძრაობის სისწრაფის შენელებას, რომლის დაძლევა, ჩვეულებრივ, მესამე სიგნალის შემდეგ ხდებოდა: მოძრაობის შეყოვნება ქრებოდა[102].

მოძღვრება განწყობის შეცვლის შესახებ ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია მარბეს განწყობის თეორიისა. ის უმთავრესი სიახლე, რაც მარბემ შეიტანა განწყობის თეორიაში, სწორედ განწყობის **შეცვლის თეორიაა.** საერთოდ, ამ მოძღვრების გარეშე მარბესეული განწყობის ცნებაც, როგორც უნივერსალური ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მქონე მოვლენა, თავის უნივერსალობას უთუოდ დაკარგავდა. ამიტომ იყო, რომ თავის ერთ-ერთ მოგვიანო, განწყობის თეორიის ჩამოყალიბების შემდგომდროინდელ სტატიაში მარბე წერდა:

„მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ მომენტური პიროვნების ცნებას და იმ ფაქტს, რომ მიუხედავად კონგენიტალური ფაქტორების და პიროვნების ღრმა ფენების უდიდესი მნიშვნელობისა, ინდივიდი მაინც ყოველწუთში იცვლება. განწყობის შეცვლის თეორია, რომელსაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ჩემი და ჩემი თანამშრომლების ხშირი კვლევის საგანი იყო“[103].

როცა განწყობის შეცვლის შესახებ ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: როგორც ვთქვით, მარბეს მიაჩნია, რომ პიროვნება ორნაირი, თანშობილი და შეძენილი განწყობების ან იმავე დისპოზიციების ნაკრებს წარმოადგენს. თანშობილი განწყობები პიროვნების თანშობილი დისპოზიციების სახით არსებობს და მათ მარბე პიროვნების აბსოლუტურად კონსტანტურ მხარედ თვლის[104]. პიროვნების აბსოლუტურად კონსტანტური ფაქტორი თან-

---

[101] იქვე.

[102] იქვე, გვ. 54.

[103] Histori of Psychologi in Autobiographi, გვ. 193.

[104] «Wir konnen... zunächst einen absolut konstanten Faktor der momentanen Persönlichkeit, nämlich die angeborene Persönlichkeit unterschieden». K. Marbe, Praktische Psychologie..., S. 78.

შობილი პიროვნებაა და ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის თანშობილი პიროვნება არ იცვლება. მაშასადამე, მოძღვრება განწყობის შეცვლის შესახებ შეეხება არა ამ თანშობილ პიროვნებას, არამედ შეძენილ განწყობებსა და შეძენილ პიროვნებას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მარბე პიროვნების თანშობილ ფენას ადამიანის ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე შეძენილს. მისი აზრით, „ყოველგვარ ეპვს გარეშეა, რომ კონსტანტურ ფენაში თანშობილი მომენტი უფრო დიდი მნიშვნელობისაა"[105]. ადამიანს ყოველთვის გააჩნია ენდოგენური მიდრეკილებები, რომელთა შეცვლა ცხოვრების გამოცდილებებს არ შეუძლია და რომლებიც აღზრდისა და გამოცდილებების ზეგავლენას არარაობად აქცევენ.

ეს მოვლენა აიძულებს, მარბეს განაცხადოს, რომ რაკი პიროვნების შეცვლა შეუძლებელია, ამიტომ სხვა გამოსავალი არ არის, გარდა იმისა, რომ ადამიანი ფსიქოტექნიკური შემოწმების შემდეგ იმ ადგილზე დავაყენოთ, რომელიც მას ყველაზე მეტად შეეფერება[106].

მაშასადამე, განწყობის შეცვლის დებულება შეძენილ განწყობებზე ვრცელდება მხოლოდ. როგორც ზემოთ ვთქვით, მარბესათვის განწყობა არ წარმოადგენს პიროვნების რაღაც აბსოლუტურად ახალ შენაძენს, არამედ იგი პიროვნებაში იმთავითვე არსებულ თანშობილ დისპოზიციათა სახეცვლილებაა მხოლოდ. დისპოზიცია მარბესათვის ფსიქოფიზიკური ორგანიზმის რაიმე განსაზღვრულ მიმართულებას ნიშნავს და მისი მოდიფიცირება ან ახალი განწყობის შექმნა ამ მიმართულებიდან განზრახული თუ უნებური გადახრაა, იგი „ხაზის გამრუდებაა" ასე ვთქვათ და არა ახალი ხაზის ან მიმართულების შექმნა.

პრაქტიკული ცხოვრებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად ცვალებადია პიროვნების განწყობები და განსაკუთრებით მისი თანშობილი განწყობები. რომ პიროვნების თანშობილ დისპოზიციათა სრული დათრგუნვა შეუძლებელია, მარბესათვის უეჭველ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. მაგრამ მარბე ამასთან იმ აზრსაც თავგამოდებით იცავს, რომ „მიუხედავად კონგენიტალური ფაქტორისა და პიროვნების ღრმა ფენების უდიდესი მნიშვნელობისა, ინდივიდი მაინც ყოველ წუთში იცვლება".

---

[105] იქვე.
[106] იქვე.

როგორაა ეს შესაძლებელი? როგორ შეიძლება, რომ პიროვნება განუწყვეტლივ იცვლებოდეს და მაინც უცვლელი იყოს? ეს საკითხი განწყობის თეორიის ერთ-ერთი კარდინალური საკითხია და მისი გადაწყვეტის გარეშე ეს თეორია უთუოდ ჩიხში ემწყვდევა. ამ გარემოებას ჩვენ უფრო დაწვრილებით ამ შრომის მეორე ნაწილში შევეხებით, აქ კი უბრალოდ იმის აღნიშვნით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ ეს საკითხი მარბემ ვერ გადაწყვიტა, მან ვერ შეძლო ერთმანეთისათვის დაეკავშირებინა ორი პიროვნება, თანშობილი და შეძენილი.

განწყობები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუდმივი რხევით ხასიათდება. ადგილი აქვს განწყობათა როგორც პერიოდულ, ისე პერიოდებშუა რხევას, რაც საბაბს აძლევს მარბეს ე. წ. ყურადღების რხევა განწყობის რხევაზე დაიყვანოს. ცვალებადობით, რხევადობით ხასიათდება როგორც ნებისმიერი, ისე უნებური განწყობა. ეს გარემოება დამოკიდებულია „ყურადღების დაკარგვაზე, დაღლაზე და სხვა ფაქტორებზე“[107], რაც ბოლოს და ბოლოს განწყობის დაკარგვას იწვევს.

ესაა მიზეზი იმისა, რომ თუმცა აღზრდის მიზანი ჰაბიტურ განწყობათა შექმნაა, მაგრამ ხანგრძლივი განწყობების შექმნა მაინც იშვიათადაა შესაძლებელი[108]. მართალია მარბეს მიაჩნია, რომ შოპენჰაუერის მოძღვრება პიროვნების უცვლელობის შესახებ მცდარია, მაგრამ მისი აზრით, „არანაკლებ მცდარი იქნებოდა შეხედულება, რომ აღზრდისა ან სხვა გავლენათა შედეგად განწყობილი პიროვნება ხანგრძლივად ამ განწყობაში რჩება“[109]. გარემოს მუდმივად ცვალებადი ზემოქმედების გამო ეს შეუძლებელია, რადგანაც ეს ზემოქმედება გამოცდილების შედეგად შექმნილი განწყობების მუდმივ მოდიფიცირებას იწვევს, რაც თავის მხრივ არსებულ განწყობათა ანულირებას განაპირობებს.

ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ შესაძლებელია პიროვნების განწყობათა უსასრულოდ ცვლა. სინამდვილეში საქმე სწორედ პირიქითაა: მარბეს აზრით, „ადამიანის განწყობის შეცვლის უნარს, ისე

---

[107] K. Marbe, Über Einstellung und Umstellung, S. 48.

[108] «...wenn auch das Hauptziel der Erziehung in der Schaffung Habitueller Einstellung besteht, dauernde Einstellungen des Zöglings nur in der seltesten Fällen erreicht werden». K. Marbe, Psychologie d. Werbung, S. 14.

[109] «Nicht minder verfehlt aber wäre die Meinung, daß eine durch Erziehung oder andere Einflüße eingestellte Persönlichkeit dauernd in dieser Einstellung beharrt». იქვე.

როგორც განწყობის შეცვლის სურვილს თავისი საზღვრები აქვს და ამიტომ.... განწყობის ხშირად შეცვლის საჭიროებამ ეოლი შესაძლებელია უკმაყოფილების გრძნობა გამოიწვიოს"[110].

ოდნავ განსხვავებულად გამოთქვამს იმავე აზრს მარბეს მოწაფე ლუდვიგ ზელლი. ზელლის აზრით, „მომენტური განწყობები უმეტესად ადამიანის განვითარების წლებს ახასიათებს"[111]. ასაკობრივ მომწიფებასთან ერთად ყალიბდება განსაზღვრული ჰაბიტური განწყობები, რომლებიც თავის მხრივ ელექტიურად მოქმედებენ გამოცდილებებზე, იმ აზრით, რომ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს აძლევენ კრიტიკულად გახდომის უფლებას[112].

მარბესა და მისი მოწაფეების გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ არიან ადამიანები, რომლებიც საერთოდ ვერ ახერხებენ ერთხელ გამომუშავებული განწყობის შეცვლას. ეს კი უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ განწყობის შეცვლის კარგი თუ ცუდი უნარიც იმთავითვე უნდა იყოს მოცემული პიროვნებაში თანშობილი დისპოზიციისა თუ განწყობის სახით.

მარია ცილიგს ჩატარებული აქვს სპეციალური ცდები იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად გავარჯიშებადია განწყობის შეცვლის უნარი. გამოკვლევებმა ცილიგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ განწყობის შეცვლის უნარი საერთოდ ექვემდებარება ვარჯიშის ზეგავლენას. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ განწყობის შეცვლის კარგი უნარის მქონე უფრო მალე აღწევს გავარჯიშების შემდეგ მაღალ წარმატებას, ვიდრე განწყობის შეცვლის ცუდი უნარის მქონე[113].

იმ ფაქტს, რომ განწყობის შეცვლის უნარი არა აქვს ყველას ერთნაირი, რომ არიან ადამიანები, რომლებიც საერთოდ ვერ ახერხებენ განწყობის შეცვლას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, კერძოდ, ფსიქოტექნიკაში. უკვე თანშობილი პიროვნების ცნებიდან გამომდინარეობს ის აზრი, რომ „ყოველი..., კაცი განსაზღვრულ, მხოლოდ რხევად ჰაბიტურ განწყობათა საზღვრებში ვარიაბილურ. მაგრამ ყოველთვის რელატურად კონსტანტურ, ინდივიდუალურ, პიროვნულ დისპოზიციას ან მიდრეკილებას იჩენს მარცხისადმი"[114]. კონსტანტუ-

---

[110] იქვე, გვ. 38

[111] L. Sell, Das Problem d. Einstellung und die Adlerische Individualpsychologie, Zschr f. Psychol., 112, S. 278.

[112] იქვე.

[113] M. Zillig, Die Übung der Umstellbarkeit, Zschr f. Psychol., 100, 1926.

[114] K. Marbe, Praktische Psychologie..., S. 14.

რია ადამიანის თანშობილი მიდრეკილება, ვარიაბილურია ის მიდ-
რეკილება, რომელიც შეძენილი განწყობების სახით არსებობს.

გასაგებია, რომ მომენტური პიროვნების ცნება, რაკი ის პიროვ-
ნების განუწყვეტელ ცვალებადობას გულისხმობს, არსებითად ეწინა-
აღმდეგება „კონსტანტური, ინდივიდუალური, პიროვნული დისპო-
ზიციის" არსებობას. თავისი „უბედურ შემთხვევათა და საწარმოო
ტრავმათა პრაქტიკული ფსიქოლოგიის" მნიშვნელოვანი ნაწილი მარ-
ბემ სწორედ იმ საკითხს მიუძღვნა, თუ რა საშუალებით უნდა მოხ-
დეს პიროვნებაში მარცხისადმი თანშობილ მიდრეკილებათა დაძლე-
ვა. ბუნებრივია, რომ მას, თანახმად განწყობის თეორიისა, საამისოდ
გამოსადეგი საშუალება განწყობის ცნების დახმარებით უნდა მოეძე-
ბნა. მარბემაც, მარცხისადმი ბუნებრივი (თანშობილი) მიდრეკილების
დაძლევის საშუალებად მარცხის თავიდან აცილების განწყობის გა-
მომუშავების საჭიროებაზე მიუთითა: აგიტაციის, პროპაგანდის, წა-
ხალისებისა და სხვა მსგავსი საშუალებებით პიროვნებაში უნდა შეე-
ქნათ მარცხის საწინააღმდეგო განწყობა. მარბე ამ შეთმხვევაში იმ
მოსაზრებით ხელმძღვანელობს, რომ „თუ პიროვნებას დაჟინებით
განვაწყობთ სულ ერთი და იმავე მიმართულებით, მაშინ განწყობა
ბოლოს და ბოლოს პაბიტური გახდება"[115].

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, პიროვნებაში განწყობის შეცვლის
უნარიც განწყობის (თანშობილი) სახითაა მოცემული. მაშასადამე,
ახალი განწყობის გამომუშავების შესაძლებლობა პიროვნების თან-
შობილი ფაქტორებითაა განსაზღვრული. ამ თანშობილ ფაქტორებს
კი, როგორც ვიცით, მარბე პიროვნების აბსოლუტურად კონსტანტურ
ფაქტორს უწოდებს. მათი შეცვლა ცხოვრების გამოცდილებებს არ
ძალუძთ; პირიქით, ეს თანშობილი დისპოზიციებია ცხოვრების გამო-
ცდილებათა ზეგავლენას რომ არარად აქცევენ.

ამ მოსაზრებამ აიძულა მარბე, როგორც აღვნიშნეთ, განეცხადე-
ბინა, რომ რაკი თანშობილ ფაქტორთა სრული, ან რამდენადმე სრუ-
ლი დათრგუნვა შეუძლებელია, ამიტომ სხვა გზა არ არის, გარდა იმ-
ისა, რომ პიროვნება, ფსიქოტექნიკური შემოწმების შემდეგ, იმ ად-
გილას დავაყენოთ, რომელიც მას ყველაზე მეტად შეეფერება თავისი
ბუნებრივი მონაცემების მიხედვით[116].

მარბე შეეცადა მოძღვრება განწყობის შეცვლის შესახებ გამო-
ეყენებინა იმ მოვლენის ასახსნელად, რომელიც ნოსტალგიის (სამ-
შობლოს ნატვრა) სახელწოდებითაა ცნობილი. მარბეს აზრით, სამ-

---

[115] K. Marbe, Praktische Psychologie.., S. 68.
[116] იქვე, გვ. 69.

შობლოს ნატვრა არ არის ავადმყოფობა, თუმცა სხვადასხვა სახის დაავადებანი (ფსიქიკური, სომატური) შეიძლება მის საფუძველზე იყოს აღმოცენებული. ის გარემოება, რომ სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვაგვარად განიცდის ამ ნატვრას, ნაწილობრივ მათი გამოცდილებითაა გამოწვეული, ნაწილობრივ კი მათი პიროვნებით. მარბე აქაც, გამოცდილების ფაქტორზე მეტ მნიშვნელობას პიროვნულ (თანშობილ) ფაქტორს ანიჭებს. ეს ამ შემთხვევაში აუცილებელიცაა: პიროვნების გამოცდილებას აქ სამშობლოდან შორს ყოფნა წარმოადგენს. რაკი ამ „გამოცდილებამ" (სამშობლოდან შორს ყოფნამ) ვერ შექმნა სათანადო განწყობა, რომელიც უზრუნველყოფდა მოცემულ მდგომარეობასთან შეგუებას, ამიტომ გამოდის რომ მთავარი მნიშვნელობა კონგენიტალურ ფაქტორებს უნდა დაეთმოს.

საქმე იმაშია, მარბეს აზრით, რომ არიან პირები, რომლებიც ყველაფერს იოლად ეჩვევიან და პირიქით, არიან ისეთებიც, რომლებიც საერთოდ ვერ ახერხებენ განწყობის შეცვლას. ამიტომ, მარბეს აზრით, აუცილებლად უნდა არსებობდეს კორელაცია სამშობლოს ნატვრასა და განწყობის შეცვლის უნარს შორის. სამშობლოზე სევდა იქედან წარმოსდგება, რომ ადამიანი ვერ ახერხებს შეეგუოს ახალ პირობებს, უცხო გარემოს. იგი ვერ ახერხებს შეიცვალოს ძველი და გამოიმუშაოს ახალი განწყობა. და ეს უუნარობა განწყობის შეცვლისა იწვევს იმას, რასაც სამშობლოზე სევდას ეძახიან[117]. სამშობლოს ნატვრა ცხოველებშიც გვხვდება: ცნობილია, რომ მაგალითად, ძაღლი ან კატა ხშირად საკმაოდ შორი მანძილიდან დაბრუნებულან შინ პატრონის სურვილის წინააღმდეგაც კი[118].

განწყობა, შთაგონება და ჰიპნოზი. როგორც აღვნიშნეთ, მარბეს მიაჩნია, რომ პიროვნების ყოველგვარი გამოვლინება, არსებითად, განწყობის ფუნქციად უნდა ჩაითვალოს. ჰაბიტური განწყობები, რომელთა ჯამსაც წარმოადგენს შეძენილი პიროვნება, შეიძლება გამოწვეული იქნენ აღზრდის, თვითაღზრდის, აგიტაციისა და პროპაგანდის და სხვა მსგავსი საშუალებებით. ეს იმიტომ, რომ „თუ პიროვნებას დაჟინებით განვაწყობთ სულ ერთი და იმავე მიმართულებით, მაშინ განწყობა ბოლოს და ბოლოს ჰაბიტური გახდება"[119].

მარბე განასხვავებს თვითგანწყობას სხვისმიერ გამოწვეული განწყობისაგან. როცა ადამიანი თავის თავს ისე განაწყობს, რომ მეტრონომის ცემაში შეძლებს ტაქტის ნებისმიერი ნაწილის გაგონებას,

---

[117] K. Marbe, Über das Heimweh, ArGsPs, 50, 1925.

[118] ცხოველთა განწყობის პრობლემას მარბე სხვაგან არსად არ ეხება.

[119] K. Marbe, Praktische Psychologie..., S. 68.

მაშინ საქმე გვაქვს თვითგანწყობასთან. უაზრო სიტყვებით ჩატარებულ ცდაში განწყობა ცდის ხელმძღვანელის დახმარებით იყო გამოწვეული და მაშასადამე, აქ სხვისმიერ გამოწვეულ განწყობასთან გვაქვს საქმე.

პიროვნების განსაზღვრული განწყობის გამოწვევა რომ სხვა ადამიანსაც შეუძლიან, ეს სასამართლო პრაქტიკიდანაც კარგადაა ცნობილი. შეკითხვაზე ადამიანის პასუხი ხომ არა მარტო საქმის მდგომარეობის ცოდნაზეა დამოკიდებული, არამედ იმაზეც, თუ როგორ იყო შეკითხვა დასმული. ეს იმით აიხსნება, რომ „ადამიანი..... განსაზღვრული კითხვის საშუალებით განსაზღვრული პასუხისაკენ განწყობა"[120].

როგორც ცნობილია, ასეთ კითხვებს შთამაგონებელ ან განმაწყობელ კითხვებს უწოდებენ. აქედან ცხადია, რომ არც შთაგონება და ჰიპნოზი უნდა გასხვავდებოდეს დიდად ჩვეულებრივი განწყობისაგან[121]. შთაგონება ნიშნავს ყურადღების საგნის მოთავსებას ცნობიერების ვიწრო საზღვრებში, ე. წ. ცნობიერების ნათელ ველში. განწყობაც, განსაზღვრული აზრით, ცნობიერების დავიწროებაა[122]. პედაგოგისათვის საპირო განწყობის შექმნა მოწაფეში იმითაა შესაძლებელი, რომ მოწაფის პიროვნებიდან იდევნება ის უარყოფითი განწყობები და ცნობიერების პროცესები, რომლებიც სასურველი განწყობის შექმნას უშლიან ხელს.

ჰიპნოზის არსებითი ფაქტორიც ცნობიერების დავიწროებაა. ჩვეულებრივი განწყობისაგან არც იგი განსხვავდება მარბეს აზრით. ჰიპნოზურ მდგომარეობაში ადამიანი მაშინაა, როცა შთაგონებული განწყობის შედეგად მისი ნორმალური ფუნქციები იმდენადაა შეკავებული, რომ პიროვნება ძილისმაგვარ მდგომარეობაში იმყოფება[123].

მაგრამ უკვე ჩვეულებრივი ან სუგესტიური განწყობის დროსაც საქმე გვაქვს ნორმალურად მოქმედი ფუნქციების შეკავებასთან ან მოდიფიცირებასთან და მაშასადამე, აქედან უნდა დავასკვნათ, რომ

---

[120] «Die Menschen... durch bestimmte Fragen auf bestimmte Antworten eingestellt werden». K. Marbe, Psychologie d. Werbung, S. 16.

[121] «Die Suggestion oder suggestive Einstellung der Persönlichkeit im Sinne der Wachsuggestion ist von der... gewönlichen Einstellung nicht scharf zu trennen». იქვე, გვ. 17.

[122] «Bei jeder Einstellung handelt es sich in gewisser Sinne um eine Einengung des Bewußtseins»... იქვე, გვ 20.

[123] იქვე.

შთაგონება და ჰიპნოზი განწყობისეულ ფენომენებს წარმოადგენენ. ისე როგორც თვითგანწყობა განსხვავდება სხვისმიერ გამოწვეული განწყობისაგან, ასევე განსხვავდება ავტოსუგესტივობა ჰეტეროსუ-გესტივობისაგან. საერთოდ კი, როგორც აღვნიშნეთ, მარბე ერთსაც და მეორესაც ჩვეულებრივ განწყობად მიიჩნევს.

აქედან გარკვეულია ის როლი, რომელიც განწყობას უნდა დაეთმოს ფსიქოთერაპიაში.. როგორც ცნობილია, ე. წ. წმიდა ადგილებში წასული მორწმუნენი ხშირად მართლა ინკურნებიან ზოგიერთი სახის დაავადებისაგან. მარბეს აზრით, ეს გარემოება იოლი ასახსნელია თვითგანწყობისა და თვითშთაგონების მოვლენათა საფუძველზე: ადამიანის განკურნებას თვითშთაგონების შედეგად შექმნილი განწყობა ეხმარება. მაშასადამე, შთაგონებისა და ჰიპნოზის გამოყენებით მკურნალს შეუძლია შექმნას პიროვნების ჰაბიტუალური განწყობა, რომელიც მას დაავადებისაგან განკურნავს. ნებისმიერი თვითშთაგონებისა და თვითგანწყობის უნარის აღზრდაც შეიძლება ხშირად წარმატებით იქნეს გამოყენებული, თუმცა არა ყოველთვის.

მაგრამ, მარბეს აზრით, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ განწყობის ან შთაგონების გამოყენების სფერო ძრც ისე დიდია; ამიტომ Goue-სა და Baudouin-ის მოძღვრება ახალს არაფერს შეიცავს გარდა განწყობის მნიშვნელობის გაბერვისა, რადგან განწყობა „განსაზღვრულ ფარგლებში ფუნქციონური, მაგრამ არა ორგანული დეფექტის ლიკვიდაციისათვისაა გამოსადეგი“[124].

ამით ვამთავრებთ მარბეს განწყობის თეორიის ზოგად ნაწილს და გადავდივართ მისი მოტორული განწყობის თეორიის გადმოცემაზე. რომელშიაც მარბე შეეცადა გამოეყენებინა განწყობის თეორია ადამიანის ქცევათა განსაზღვრული ნაწილის, გარეგანი ნებისმიერი ქცევების ასახსნელად.

§ 2. მოტორული განწყობისა და პიროვნების თეორია. შრომას, რომელშიაც მოტორული განწყობის თეორიაა მოცემული, მარბემ „პიროვნებისა და მოტორული განწყობის თეორია“ უწოდა[125] ამით მას ორი რამისთვის სურდა გაესვა ხაზი: 1. რომ მოტორული პიროვნება მთლიანი პიროვნების ნაწილია მხოლოდ; 2. რომ მოტორული

---

[124] «...die innerhalb gewisser Grenzen funkzione, nicht aber organische Defekte zu beheben geeignet ist». იქვე, გვ. 20.

[125] K. Marbe. Theorie der motorischen Einstellung und Persönlichkeit. Zschr f. Psychol., 129, 1933.

განწყობა მთლიანპიროვნული განწყობის ნაწილია მხოლოდ და მისი მეშვეობით გაიგება.

მარბეს აზრით, ის რაც ზემოთ იყო აღნიშნული განწყობის შესახებ, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს თეორიას. რომელიც დააკმაყოფილებდა პიროვნების ცნებისა და განწყობის აქამდე ცნობილ ცალკეულ შემთხვევებს[126]. მარბეს მიზანია ამ შრომით ასეთი თეორიის შექმნას ჩაუყაროს საფუძველი. მაგრამ მოტორული განწყობის თეორია, ცხადია, არ წარმოადგენს განწყობის ამომწურავ თეორიას: მისი მიზანი პიროვნებისა და მოტორული განწყობის ურთიერთმიმართების გარკვევაა.

რაში მდგომარეობს მოტორული განწყობის თეორია?

მარბეს მოჰყავს ასეთი მაგალითი: A ზის საწერ მაგიდასთან და მუშაობს. ვთქვათ, მას დასჭირდა რომელიმე წიგნი, რომელიც მის ბიბლიოთეკაშია და განიზრახა მისი მოტანა. ამ დაჭირვებისა და განზრახვის უაღრესად რთულ ცნობიერების პროცესს უშუალოდ მოსდევს ადგომა და წიგნების კარადისაკენ მოძრაობა. წიგნის აღება და უკან დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ A-ს მოძრაობათა გამოწვევა თუ რეპროდუცირება მოახდინეს საჭიროებისა და განზრახვის ცნობიერმა პროცესებმა. უეჭველია, რომ A-ს მოძრაობები ნაწილობრივ მართლაც ასეთი, მოძრაობათა წინამავალი ცნობიერების პროცესებით იყო გამოწვეული[127].

მაგრამ ის გარემოება, რომ ეს მოძრაობები სწორედ ასე მიმდინარეობდნენ და არა სხვანაირად, დამოკიდებული იყო სხვა ფაქტორებზეც. მაგალითად, A-ს წიგნების კარადისკენ სვლისას ანგარიში უნდა გაეწია გარემოსათვის, უნდა შემოევლო, ვთქვათ, მძიმე სკამისათვის, რომლის გადაადგილებაც საძნელო საქმე იყო მისთვის და სხვა ამის მსგავსი. აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ რომ A-ს კონკრეტული მოძრაობები განისაზღვრა ამ მოძრაობათა თანადროული და წინამავალი ცნობიერების პროცესებით. მაგრამ მოძრაობათა განმსაზღვრელი ფაქტორები ამით მაინც არაა ამოწურული.

ადამიანის მოძრაობებს ის ფაქტორებიც განსაზღვრავს, რომელთაც მოტორული ვარჯიშის ცნება მოიცავს. A-ს დიდი ხანია ნასწავლი აქვს ფეხზე წამოდგომა, სიარული, საგნის ხელში დაჭერა. ამ მოქმედებათა ხანგრძლივი განმეორების შედეგად მას მიღწეული

---

[126] «Es wehlt aber bis heute an einer allen einzelnen Fällen der Einstellung und dem Persönlichkeitsbegriff gerecht werdenden Theorie». იქვე, გვ. 306.

[127] იქვე.

აქვს გავარჯიშების მისთვის შესაძლებელი მაქსიმუმი. ისე. რომ ყოველგვარი კონკრეტული მოძრაობის შესრულებამდე მის განკარგულებაშია გავარჯიშების რაღაც გარკვეული მდგომარეობა. რომელიც ამ მოძრაობათა შესრულებას განსაზღვრავს"[128].

მარბეს აზრით, ასეთი მოტორული გავარჯიშების მდგომარეობა არაა ცნობიერებაში წარმოდგენილი ფაქტი. არამედ იგია ცნობიერ გამოცდილებათა საფუძველზე მიღწეული არაცნობიერი მდგომარეობა. რომელსაც შეუძლია ცნობიერების კონკრეტულ ცხოვრებაზე გავლენის მოხდენა და რომელიც, შესაბამის პირობებში, ასეთ გავლენას მართლაც ახდენს. უეჭველია. რომ A-ს კონკრეტულ მოძრაობებს, მისდა უნებურად და გაუცნობიერებლად. მოტორული გავარჯიშების ეს არაცნობიერი მდგომარეობა განსაზღვრავს"[129]

ადამიანის კონკრეტული მოძრაობების განმსაზღვრელია აგრეთვე ის მტკიცე ასოციაციები. რომლებიც მოძრაობებსა და ცნობიერების პროცესებს შორისაა დამყარებული და რომელთა სამყოფელი ადგილი არაცნობიერია. A დიდი ხანია შეეჩვია თავისი მოძრაობების საკუთარ მიზანთან დაკავშირებასა და ამავე დროს, შესაძლებლობისამებრ. მათ მოხერხებულად ჩამოყალიბებას. გავარჯიშების შედეგად მან მიაღწია ისეთ დონეს. რომელზედაც მიზანწარმოდგენები უშუალოდ იწვევენ მიზანშეწონილ მოქმედებათა რეპროდუცირებას იმ ასოციაციების შედეგად. რომლებიც მის განცდებსა და მოძრაობებს შორისაა წარმოქმნილი.

„ბუნებრივია. რომ ეს ასოციაციებიც, ისე როგორც წმიდა მოტორული გავარჯიშების მდგომარეობა. არაცნობიერს მიეკუთვნება და... კონკრეტულ მოძრაობებზე ამ არაცნობიერიდან მოქმედებს განმსაზღვრელად"[130].

არ უნდა დავკარგოთ ისიც. რომ გავარჯიშების ამა თუ იმ მდგომარეობის მიღწევა შესაძლებელია არა მარტო ვარჯიშის. არამედ თანავარჯიშის საშუალებითაც და ასოციაციების წარმოქმნა არა მხოლოდ იმავე. არამედ მსგავს მოქმედებათა განმეორებითაცაა შესაძლებელი.

ბოლოს. ადამიანის კონკრეტულ მოძრაობებს ის ფაქტორებიც განსაზღვრავს. რომლებიც არ მიეკუთვნებიან არც ცნობიერებისა და არც არაცნობიერის სფეროს და რომელთაც მარბე „პირდაპირ სომატურ ფაქტორებს" უწოდებს. სომატური ფაქტორების გავლენა საკ-

---

[128] იქვე. გვ. 307.
[129] იქვე.
[130] იქვე, გვ. 308.

სებით უშუალოა და მისი გაცნობიერება არ ხდება[131]. ასეთი სომატური ფაქტორების წინაშე განმეორებისა და ასოციაციის მოვლენები თავიანთ ძალას კარგავენ. ცხადია, რომ ადამიანის კონკრეტულ მოძრაობებს ასეთი სომატური ფაქტორებიც განსაზღვრავს.

ადამიანის კონკრეტული მოძრაობები გარეგან ნებისმიერ მოძრაობად უნდა ჩაითვალოს. მარბე გარეგან ნებისმიერ მოქმედებას ისეთ მოძრაობებს უწოდებს, რომლებიც განზრახვით გამოიწვევიან და რაიმე ფსიქიკურად დასახული მიზნის გავლენით მიმდინარეობენ[132]. აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარეგან ნებისმიერ მოქმედებებს არა მარტო მათი გამომწვევი და თანმხლები განცდა განსაზღვრავს, არამედ ის ფაქტორებიც, რომლებიც არაცნობიერის სფეროს მიეკუთვნებიან.

ეს ფაქტორებია მოცემული მოძრაობის დროისათვის არსებული მოტორული გავარჯიშების მდგომარეობა და განცდებსა და მოძრაობებს შორის წარმოქმნილი ასოციაციები. ამათთან ერთად, ადამიანის კონკრეტულ მოძრაობებს განსაზღვრავს აგრეთვე პირდაპირი სომატური ფაქტორები.

„ასეთი პირდაპირი სომატური ფაქტორებისა და არაცნობიერში მოცემული ფაქტების შედეგად ადამიანი გარეგანი ნებისმიერი მოქმედებების შემთხვევაში ყოველ წამში იმაზეა განწყობილი, რომ წინამავალი და თანადროული განცდების გავლენით სავსებით განსაზღვრული კონკრეტული მოძრაობები შეასრულოს. ყოველ წუთში მას გააჩნია რაღაც განწყობა, რომელიც მისი კონკრეტული ცნობიერი მოძრაობების მნიშვნელოვან პირობად უნდა ჩაითვალოს"[133].

ამ განწყობას შეიძლება აგრეთვე დისპოზიციები ან დისპოზიციათა უმრავლესობა, ან სიჭარბე (Mehrheit) ეწოდოს[134]. ამ განწყობით ან ჰიპოთეტური დისპოზიციებითაა უპირველეს ყოვლისა განსაზღვრულ მოძრაობათა შესაძლებლობა ფუძედებული. მაგრამ ისინი კაუზალურადაც მოქმედებენ. რამდენადაც კონკრეტულ ცნობიერ მოძრაობათა დადგომაცა და მიმდინარეობაც ამ დისპოზიციებითაა განსაზღვრული. ასეთ კონკრეტულ მოძრაობათა შესრულების საფუძველსა და მათი დადგომისა და მიმდინარეობის განმსაზღვრელ დისპოზიციებს მარბე მოტორულ განწყობას უწოდებს[135].

---

131 იქვე.

132 იქვე. გვ. 309.

133 იქვე, გვ. 310.

134 «Diese Einstellung kann auch als Disposition oder Mehrheit von Dispositionen bezeichnet werden». იქვე.

135 იქვე.

რამდენადაც ეს დისპოზიციები არაცნობიერის სფეროს მიეკუთვნებიან. ამდენად მათი შეძენა ცხოვრების მანძილზე იმავე ან მსგავს მოქმედებათა განმეორებისა და ასოციაციის ქსელის მუდმივი განახლების საშუალებით ხდება. „მაგრამ ეს შენაძენები სხვა არაფერია, თუ არა ჩვენში დაბადებითვე არსებული, პირველადი, თანშობილი დისპოზიციების განვითარება"[136].

აქედან ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ მოტორული განწყობის შემთხვევაში, რომელსაც გარეგანი ნებისმიერი მოძრაობებისათვის აქვს მნიშვნელობა, საქმე შეეხება ყოველთვის თანშობილსა და შეძენილ კომპონენტს, და მომენტური მოტორული განწყობა ყოველთვის ამ ორი კომპონენტის რეზულტანტია.

რამდენადაც გარეგან ნებისმიერ მოქმედებათა მიმდინარეობას პირდაპირი სომატური ფაქტორებიც განსაზღვრავს, ამდენად დგინდება ასეთი სომატური ფაქტორების მოქმედებაზე დამყარებული მესამე კომპონენტი მომენტური მოტორული განწყობისა.

გამოცდილებებს, რომელთაც შეუძლიათ რამდენადმე მყარი მოტორული განწყობის შექმნა, მარბე კრიტიკულ გამოცდილებებს უწოდებს. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში კრიტიკული გამოცდილების ცნება გაცილებით ვიწროა კრიტიკული გამოცდილების იმ ცნებასთან შედარებით, რომელთანაც განწყობის ზოგად თეორიაში გვქონდა საქმე. მოტორული განწყობის თეორიაში კრიტიკული გამოცდილება გულისხმობს მხოლოდ მოტორული და ისიც განსაზღვრულ მოტორულ გამოცდილებას, სახელდობრ იმ გამოცდილებას, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის მოტორულ გავარჯიშებასა და მიზანწარმოდგენებსა და მოძრაობებს შორის ასოციაციების დამყარებას.

ცალკეულ კრიტიკულ გამოცდილებათა განმაწყობელი ღირებულება უაღრესად განსხვავებულია. ის მოძრაობები, რომლებიც ადამიანის მოტორულ განწყობას ამზადებს, არ არის ყველა ერთნაირი მათი ეფექტიანობის მიხედვით. რომელიმე კრიტიკული გამოცდილების განმაწყობელი ღირებულება შეიძლება განმტკიცდეს ან გაიზარდოს იმავე ან მსგავს მოქმედებათა შემდგომი განმეორების შედეგად. ასეთი შემდგომი (განმეორებითი) კრიტიკული გამოცდილებების არქონის შემთხვევაში კრიტიკული გამოცდილების განმაწყობელი ღირებულება თანდათან კლებულობს და ბოლოს სულაც ქრება.

ზოგიერთი კრიტიკული გამოცდილება, მისი განმეორებადობის მიხედვით, ადამიანში ქმნის ხანგრძლივ ან ჰაბიტურ განწყობებს. ბევრი გამოცდილება, როგორც ჩვეულებრივი, ისე კრიტიკული, თავი-

---

[136] იქვე.

სით, უნებურად მიიღება, სხვათა გამოწვევა კი ნებისმიერად ხდება. რამდენადაც მოტორული განწყობა პიროვნების სურვილისაგან დამოუკიდებლად შეიძინება, ამდენად მას უნებური მოტორული განწყობა ეწოდება, რამდენადაც იგი განზრახულია. ნებისმიერი[137].

იმის გამო, რომ სომატური ფაქტორები და კრიტიკული გამოცდილებების განმაწყობელი ღირებულება განუწყვეტლივ იცვლება, მომენტური მოტორული განწყობაც ყოველ წამში სხვადასხვაა[138].

ყოველივე ის, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, შეეხება მხოლოდ გარეგან ნებისმიერ მოქმედებებს, ე. ი., იმ მოძრაობებს. რომელთა შესრულება განზრახულია და, მაშასადამე, მიზანწარმართული. მაგრამ თუ ასეთი მოძრაობები ხანგრძლივი დროის განმავლობაში სრულდება განსაზღვრული გრძნობადი აღქმის ზეგავლენით. მაშინ ბოლოს და ბოლოს დგება დრო. როცა ცნობიერი განზრახვის მომენტი სავსებით ქრება და ბოლოს შეიძლება, რომ გრძნობად აღქმას უშუალოდ მოსდევდეს საჭირო მოძრაობა. ხდება. როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ. მოძრაობათა გაავტომატურება. მოძრაობათა მთელი სერიაც. რომლის თვითეული შემადგენელი ნაწილი ადრე განზრახვით გამოიწვეოდა, ბოლოს და ბოლოს შეიძლება სავსებით ავტომატურად მოსდევდეს ერთმანეთს[139].

ავტომატურ მოძრაობათა ჩამოყალიბება მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. ყოველგვარი, განსაზღვრულ გრძნობათა აღქმასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედებებისა და ყოველგვარ ნებისმიერ მოქმედებათა სერიის მიმდინარეობა სულ უფრო და უფრო ავტომატური ხდება.

„ყალიბდება მტკიცე ასოციაციები აღქმასა და მოძრაობასა და მოძრაობასა და მოძრაობას შორის"[140]. ისევე. როგორც გარეგანი ნებისმიერი მოქმედებები, ეს ავტომატური მოძრაობებიც მათ მიმდინარეობაში მოტორული განწყობითაა განპირობებული. ცხადია. რომ ის დისპოზიციები. რომლებიც მოტორულ განწყობას შეადგენენ. აქაც განსაზღვრულ მოძრაობათა შესრულების პირობას ქმნიან. ისინი ავტომატურ მოძრაობათა შემთხვევაშიც კაუზალურად მოქმედებენ, თუმცა ეს აქ იმდენად ხდება. რამდენადაც დისპოზიციები არა მარტო მოძრაობის უშუალო დაკავშირებას იწვევენ გრძნობად აღქმასთან, არამედ მოძრაობის მოძრაობასთან უშუალო დაკავშირებასაც[141].

---

137 იქვე. გვ. 311.
138 იქვე.
139 იქვე.
140 იქვე, გვ. 313
141 იქვე, გვ. 314.

კრიტიკულ გამოცდილებათა მნიშვნელობის ჩვენება ექსპერიმენტულადაც შეიძლება: თუ ერთი ხელით თანმიმდევრობით, ავწევთ შედარებით მძიმე, ერთი და იმავე მოცულობის სიდიდეს, და შემდეგ იმავე ხელით გადავალთ უფრო მსუბუქი. მაგრამ ისეთივე მოცულობის სიდიდის აწევაზე, მაშინ ვნახავთ, რომ ეს უკანასკნელი თვალში საცემად მსუბუქი მოგვეჩვენება. ეს იმიტომ ხდება, რომ მძიმე სიდიდის აწევის შედეგად მუშავდება განწყობა, რომლის გამოც მსუბუქი სიდიდის აწევისას შესაბამის კუნთებს ისეთივე იმპულსი ეძლევა, როგორც მძიმე სიდიდის აწევის შემთხვევაში ეძლეოდა[142].

თუ მარჯვენა ხელით ავწევთ მძიმე ტვირთს, ხოლო ამის შემდეგ მარცხენათი მსუბუქს, მაშინვე თავს იჩენს ამ უკანასკნელის სიმსუბუქის გადაფასება. მარბე თვლის, რომ აქ ადგილი აქვს განსაზღვრულ ასოციაციათა ჩამოყალიბებას ოპტიკურ აღქმასა და მოძრაობას შორის თანავარჯიშის ფორმაში. მსედველობითი სურათების დაკავშირება მარჯვენა ხელის მოძრაობასთან იწვევს ამავე მსედველობითი სურათების დაკავშირებას მარცხენა ხელის მოძრაობასთან[143].

როგორც ვსედავთ, მარბეს აქ განწყობის შინაარსი ასოციაციათა კავშირებზე დაჰყავს. აქედან აუცილებლობით წამოიჭრება ორი კითხვა: 1. ვრცელდება თუ არა ეს დაყვანა საერთოდ განწყობის ცნებაზე, თუ იგი მოტორული განწყობის ცნებას შეეხება მხოლოდ. მართალია თვითონ მარბე ამ საკითხს არსად არ განიხილავს, მაგრამ იგი მაინც დადებითად უნდა გადაიჭრას: განწყობის ცნების შინაარსი მარბესთან ასოციაციათა კავშირებით ამოიწურება. 2. მეორე კითხვა, რომელიც პირველის დადებითად გადაჭრის შემდეგ წარმოიშვება, ასოციაციათა კავშირებისა და განწყობის ცნებების ერთმანეთისაგან გამიჯვნას შეეხება. როგორ უნდა ვიაზროთ მათი ერთმანეთისაგან განსხვავება? ამ საკითხის გადასაწყვეტად საინტერესოა მოვიგონოთ მარბეს სიტყვები იმის შესახებ, რომ მოტორული განწყობა რეზულტანტია ორი კომპონენტისა, თანშობილის და შეძენილის[144]. რომ ორივე ეს კომპონენტი მარბეს ასოციაციათა კავშირების სახით ჰქონდა წარმოდგენილი, ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მაშასადამე, განწყობა ისეთი ცნებაა, რომელიც ასოციაციათა დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობას გამოხატავს. მისი შედგენილობა ასოციაციათა

---

[142] იქვე.

[143] იქვე. როგორც მოყვანილი მაგალითები, ისე მათი ახსნაც მარბეს აღებული აქვს შუმანისა და მიულერის ზემოდასახელებული შრომიდან.

[144] იქვე, გვ. 130.

კავშირებით ამოიწურება, მაგრამ თვითონ იგი მეტია თავის შემადგენელ ნაწილებზე, იგი მათი რეზულტანტია[145].

იმ ექსპერიმენტთა შედეგად შექმნილი ასოციაციების არსებობა, რომელთა შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ, არ არის ხანგრძლივი. რამდენიმე დღის ან საათის შემდეგ ისინი ქრებიან. კრიტიკული გამოცდილებები აქ მხოლოდ გარდამავალ განწყობებს იწვევენ.

ზოგიერთი მოვლენა, რომელიც მოტორული განწყობის მოქმედების შედეგად უნდა მივიჩნიოთ, კარგად შეიმჩნევა. მაგალითად, ბილბოკეს თამაშის დროს. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ რაიმე მოძრაობისათვის ბელსაყრელი, ნებისმიერად შექმნილი მოტორული განწყობა ხელს უწყობს მომდევნო მოძრაობების შესრულებას, და რომ საჭირო განწყობის მოქმედება მით უფრო მტკიცეა, რაც უფრო ხშირად იყო იგი განმეორებული. მაგრამ ამ დაკვირვებიდან ისიც გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია რაიმე მოძრაობისათვის საჭირო მოტორული განწყობის მუდმივ გამოწვევა. და რომ გარდა მოტორული განწყობის მომენტური რხევისა, ადგილი აქვს აგრეთვე მოტორული განწყობის პერიოდულ რხევასაც, ისე როგორც დაღლილობის მოქმედების, შეგრძნებისა და ყურადღების პერიოდულ რხევასა აქვს ადგილი.

ეასაგებია, რომ ავტომატური მოძრაობებისა და გარეგანი ნებისმიერი მოქმედებების განსხვავება არ არის მყარი. ეს, მარბეს აზრით, იქედანაც გამომდინარეობს, რომ ყოველი ავტომატური მოძრაობა მხოლოდ გარეგანი ნებისმიერი მოქმედებიდანაა თანდათანობით წარმოშობილი.

როგორც ვთქვით, მოტორული განწყობის თეორია ნამდვილ და გაავტომატებულ გარეგან ნებისმიერ მოძრაობებს შეეხება მხოლოდ. ამიტომ გასაგებია, რომ ეს თეორია არ ვრცელდება შინაგან ნებისმიერ მოქმედებებზე. თუმცა ისიც მართალია, რომ შინაგანი ნებისმიერი, მოქმედებებიც მოძრაობასთანაა ხშირად დაკავშირებული. მარბე შინაგან ნებისმიერ მოქმედებებს უწოდებს „განზრახულს, მაშასადამე ნებისმიერად გამოწვეულ და მიზანწარმართულ განცდებს"[146].

მაგრამ არსებობს ისეთი ნებისმიერი მოქმედებებიც, რომლებიც ნაწილობრივ შინაგანი, ხოლო ნაწილობრივ გარეგანი ბუნებისაა. და რომლებსაც ამიტომ შერეული ნებისმიერი მოქმედებები უნდა ეწოდოს. რამდენადაც ასეთი შერეული ნებისმიერი მოქმედებები მოძრაობასთანაა დაკავშირებული, ამდენად მათი გაავტომატურებაც შე-

---

[145] იქვე.
[146] იქვე, გვ. 317.

იძლება და ამიტომ მარბეს მიაჩნია, რომ მოტორული განწყობის თეორია მათაც შეეხება.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქ წარმოდგენილ თეორიას მარბე არ თვლის განწყობის ამომწურავ თეორიად, რადგან „ასეთის მიზანი უნდა იყოს არა მარტო რაიმე მოძრაობისადმი განწყობა, არამედ და უპირველეს ყოვლისა ის განწყობა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ის განზრახვები (ნებისყოფის აქტი, გადაწყვეტილება...), რომელთაც განსაზღვრულ მიზანდასახულ მოტორულ აქტებამდე მივყავართ"[147].

ჩვენ აქამდე არ შეეხებივართ იმ მოძრაობებს, რომლებიც ადამიანის სხეულში დაბადებიდან წმიდა ავტომატურად, ცნობიერების პროცესთა ჩარევის გარეშე მიმდინარეობს. არც ინსტიქტურ მოძრაობებს შეეხებივართ. მარბე თვლის, რომ ამ მოძრაობათა დაწყებაცა და მიმდინარეობაც თანშობილ და ცხოვრების მანძილზე მოდიფიცირებულ, მაშასადამე შეძენილ დისპოზიციებს ემყარება. თვით ისეთი მოვლენაც კი, როგორიცაა მთქნარება და მთქნარების გადადება, დამყარებულია უნებურად მოქმედ განწყობებზე ან დისპოზიციებზე[148].

„რადგანაც ყველა ამ მოძრაობათა მიმდინარეობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თანშობილ და დროის განმავლობაში მოდიფიცირებულ, მაშასადამე შეძენილ დისპოზიციებზე დამყარებული, ეს უფლებას გვაძლევს მოტორული განწყობის თეორია საერთოდ ყველა ადამიანურ მოძრაობას დავუკავშიროთ"[149].

მარბეს აზრით, ჩვენ შეგვიძლია საქმე ისე წარმოვიდგინოთ, რომ „მოძრაობათა მიმდინარეობა საერთოდ განიცდის თანმხლებ ვანცდათა გავლენას და რომ იგი აგრეთვე ყოველთვის განისაზღვრება ნაწილობრივ ფსიქოლოგიურად, ნაწილობრივ სხეულებრივად განპირობებული მოტორული განწყობით, რომელიც დისპოზიციებისაგან შედგება და რომელშიც ყოველთვის (რეფლექსების შემთხვევაშიც) უნდა განვასხვაოთ თანშობილი, შეძენილი და გარდა ამისა უშუალოდ პირდაპირ სომატურ ფაქტორებზე დამყარებული კომპონენტები"[150].

როგორც ვხედავთ, მოტორული განწყობის ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ სხეულებრივი ან ფსიქოლოგიური სფეროთი. „მოტორული განწყობის ცნების მხოლოდ ფსიქოფიზიკური დისპოზი-

---

[147] იქვე, გვ. 317.
[148] იქვე, გვ. 318.
[149] იქვე.
[150] იქვე, გვ. 319.

ციებით, ე. ი., ისეთი დისპოზიციებით შემოსაზღვრა. რომლებიც ცნობიერი მოძრაობებისა და სხვა განცდების საშუალებით აღმოცენდებიან,... შეცდომაა. გარდა იმისა, რომ საერთოდ ვერასოდეს მოხერხდება მოძრაობათა მთლიანობის თეორიული გაგება. საერთოდ არ არსებობს მოძრაობა, გარეგანი ნებისმიერი მოქმედებებისა და ძათგან წარმოშობილი ავტომატური აქტების ჩათვლით. რომელიც პირდაპირი სომატური ფაქტორების საფუძველზედაც არ მიმდინარეობდეს. ამიტომ მოტორული განწყობა მხოლოდ ნაწილობრივ წმიდა ფიზიოლოგიურია, ნაწილობრივ ფსიქოლოგიური"[151].

განწყობის ონტოლოგიური რაობის გასარკვევად მარბეს ეს სიტყვები უაღრესად საყურადღებოა: თუ ფიზიოლოგიური განწყობა და მისი მექანიზმები ასე თუ ისე გარკვეული ცნებაა (მარბემდე ხომ განწყობის ცნება სწორედ ასეთი, ფიზიოლოგიური მნიშვნელობით იხმარებოდა არსებითად), სამაგიეროდ განწყობის. როგორც „ნაწილობრივ წმიდა ფსიქოლოგიური" ფენომენის ცნება უთუოდ გარკვეას საჭიროებს. რას უნდა ნიშნავდეს იგი?

როგორც აღნიშნული იყო მარბეს შეცდომად მიაჩნია მოტორული განწყობის „მხოლოდ ფსიქოფიზიკური დისპოზიციებით. ე. ი. ისეთი დისპოზიციებით შემოსაზღვრა. რომლებიც ცნობიერი მოძრაობებისა და სხვა განცდების საშუალებებით აღმოცენდებიან"[152]. ვინაიდან განწყობის აღმოცენებაში სომატურ (წმიდა ფიზიოლოგიურ) ფაქტორებსაც მიუძღვის წილი. ამიტომ „მოტორული განწყობა მხოლოდ ნაწილობრივ წმიდა ფიზიოლოგიურია. ნაწილობრივ ფსიქოლოგიური". აქედან ძნელი არ არის იმის დანახვა. რომ „ფსიქოლოგიურ განწყობაში" ის განწყობა იგულისხმება. რომელიც მხოლოდ ფსიქოფიზიკური დისპოზიციებითაა შემოსაზღვრული. როგორც ვხედავთ, აქ ორი ცნებაა დაპირისპირებული: ფიზიოლოგიური და ფსიქოფიზიკური. ამ დაპირისპირებით მარბეს უთუოდ იმის თქმა უნდა, რომ ფიზიოლოგიური არ არის ფსიქოფიზიკურის კომპონენტი. მაშინ რას წარმოადგენს ფსიქოფიზიკური? მარბესთან იგი უნდა ვიაზროთ როგორც რაღაც იგივეობრივი მესამე, რომლის ონტოლოგიური რაობა განხილვის წესზე ან თვალსაზრისზეა დამოკიდებული. ამით აიხსნება ის გარემოება. რომ განწყობა (ფსიქოლოგიური) მარბესთან „ცნობიერ-არაცნობიერი" ფენომენია.

რომელიმე განსაზღვრულ მომენტში მოცემულ მოტორულ განწყობათა ჯამს მარბე მოტორულ პიროვნებას უწოდებს[153]. როგორც

---

[151] იქვე. გვ. 319.
[152] იქვე. გვ. 318.
[153] იქვე. გვ. 320.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც თანშობილ, შეძენილ და სომატურ ფაქტორებზე დამყარებული მოტორული პიროვნება.

ყოველგვარი მოძრაობის განხორციელება დამოკიდებულია. მარბეს აზრით, რომელიმე კრიტიკულ განწყობაზე. მაგრამ მიუხედავად სხვადასხვა მოძრაობათა შესასრულებლად საჭირო განწყობების სხვადასხვაობისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი უალრესად მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. „... ყველა ისინი, ცალკეულ რეფლექსთა მიმდინარეობისადმი ინდივიდუალურად თავისებური დისპოზიციების ჩათვლით, საერთო ბიოლოგიურ საფუძველს ემყარება“[154].

მარბეს არ მოუცია იმის განმარტება, თუ რას გულისხმობს იგი „საერთო ბიოლოგიურ საფუძველში“. არც იმის შესახებ ამბობს არაფერს, თუ რომელი განწყობები ემყარება ამ საერთო ბიოლოგიურ საფუძველს, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური თუ ერთიცა და მეორეც.

მარბეს მიაჩნია, რომ მოტორული და მთლიანი პიროვნების ერთმანეთისაგან გამოყოფა მხოლოდ აბსტრაქციაშია შესაძლებელი. სინამდვილეში კი ისინი „მჭიდრო ურთიერთკავშირში“ იმყოფებიან. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მას განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია ის გარემოება, რომ განსაზღვრულ შემთხვევებში მოტორული განწყობა აგრეთვე წმიდა მოტორული სფეროს გარემდებარე წარმოდგენებით ან მათი არაცნობიერი კვალითაც შეიძლება განისაზღვროს. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ რაიმე რიტმული მოძრაობის დაწყებას წმიდა მუსიკალური განცდაც უწყობს ხელს[155].

ეს განცხადება უთუოდ ყურადღების ღირსია. თუ შეუძლებელია მოტორული პიროვნების მთლიანი პიროვნებისაგან გამოყოფა (აბსტრაქციაში შესაძლებელი ფაქტიურად შეუძლებელს უნდა ნიშნავდეს მხოლოდ), მაშინ მარბეს მოტორული განწყობის თეორია უთუოდ ამეღავნებს ტენდენციას განწყობის მთლიანპიროვნულ თეორიად გარდაქმნისაკენ. მართალია, თვითონ მარბე თითქოს სხვა თვალსაზრისსზე იდგა, მაგრამ ეს საქმეს, ცხადია, სრულიადაც ვერ შველის. ამ საკითხს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ქვემოთ, მარბეს კონცეფციის კრიტიკული შეფასებისას, აქ კი შემდეგ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება:

---

[154] იქვე.

[155] იქვე, გვ. 322.

მოტორული პიროვნება მარბესთან ორნაირი განწყობებისაგან შედგება: წმიდა ფიზიოლოგიურისა და წმიდა ფსიქოლოგიურისაგან. ამასთანავე, როგორც ვნახეთ, ფიზიოლოგიური მარბეს არ მიაჩნია ფსიქოფიზიკურის კომპონენტად და აქედან ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა ამ ორი განწყობის ან პიროვნების (წმიდა ფიზიოლოგიურისა და წმიდა ფსიქოლოგიურის) დამაკავშირებელი მექანიზმების რაობის შესახებ. როგორ ხორციელდება ეს კავშირი, ან როგორ წარმართავს წმიდა ფსიქოლოგიური წმიდა ფიზიოლოგიურს? მარბე არ იძლევა ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს, გარდა იმისა, რომ ყოველგვარ განწყობათა ურთიერთკავშირი „საერთო ბიოლოგიურ საფუძველს ემყარება". როგორც აღვნიშნეთ. მარბეს არ მოუცია იმის განმარტება, თუ რას გულისხმობს იგი ასეთ ბიოლოგიურ საფუძველში. ამიტომ ჩვენც იძულებული ვართ კითხვა ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური პიროვნებების დამაკავშირებელ მექანიზმთა რაობის შესახებ ღიად დავტოვოთ.

ამით ვამთავრებთ მარბეს განწყობის თეორიის გადმოცემას. ყოველივე ზემოთქმულიდან ჩვენ შეგვეძლო შემდეგი დასკვნა გამოგვეყვანა: 1. ადამიანი ქვეყნად იბადება რაღაც განსაზღვრული დისპოზიციებით, რომლებიც მის თანშობილ პიროვნებას შეადგენენ. ცხოვრების მანძილზე ეს თანშობილი პიროვნება განიცდის მოდიფიცირებას. ამ მოდიფიცირების საფუძველია ცხოვრების გამოცდილებები („კრიტიკული გამოცდილებები") და სომატური ფაქტორები, რომელთაც მარბე „პირდაპირ სომატურ ფაქტორებს" უწოდებს.

ასეთი სომატური ფაქტორების, თანშობილი დისპოზიციებისა და ცხოვრების კრიტიკული გამოცდილებების გავლენის შედეგად პიროვნება ყოველთვის იმყოფება რაღაც განწყობაში ან ექვემდებარება რაღაც განწყობას (erleidet sich), როგორც ამბობს მარბე, რომელიც თანშობილი პიროვნების, ცხოვრების გამოცდილებებისა და სომატური ფაქტორების ფუნქციას წარმოადგენს. სომატური ფაქტორებისა და ცხოვრების გამოცდილებათა მუდმივი სხვადასხვაობის გამო პიროვნების განწყობაც მუდმივად ცვალებადია; ეს გარემოება, მარბეს აზრით, საფუძველს იძლევა მომენტური განწყობის (იგივე პიროვნების) ცნების შემოღებისა. მაგრამ ყოველი განწყობა არ არის ასეთი მომენტური, წარმვალი ბუნებისა. ზოგიერთი გამოცდილება. მათი პიროვნული ღირებულების. ან განმეორებადობის გამო პიროვნების თანშობილი დისპოზიციების ღრმა მოდიფიცირებას იწვევს: ისინი ქმნიან პიროვნების ჰაბიტურ განწყობებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ პიროვნების ცხოვრებაში; ადამიანის დისპოზიციად ხომ მისი ჰაბიტური განწყობებიც შეიძლება იქცენ. რამდენადაც

პიროვნება ასეთი შეძენილი დისპოზიციებისაგანაა შემდგარი, ამდენად მას შეძენილი პიროვნება ეწოდება.

ამგვარად თანშობილი და შეძენილი პიროვნების გარდა მარბე გამოყოფს აგრეთვე მომენტური პიროვნების ცნებას, რომელიც გულისხმობს, რომ პიროვნება განუწყვეტლივ იცვლება. მაგრამ ეს ცვალებადობა არ შეეხება პიროვნების ბირთვს. იქ ორი კომპონენტი განირჩევა მომენტური პიროვნებისა: აბსოლუტურად კონსტანტური, თანშობილი დისპოზიციები, და რელატურად კონსტანტური, ჰაბიტური განწყობები[156].

რაკი განწყობა დისპოზიციაა, ამიტომ ორნაირი განწყობის არსებობა უნდა მივიღოთ: თანშობილისა (თანშობილი დისპოზიციები) და შეძენილისა (შეძენილი დისპოზიციები). ამით განწყობა ყოველისმომცველ ცნებად იქცევა: რაკი პიროვნება მისი დისპოზიციებია და მეტი არაფერი, ამიტომ ადამიანის ცნობიერების მთელი ცხოვრება არსებითად განწყობის ფუნქციას წარმოადგენს. მარბეს მიაჩნია, რომ ამ თეორიას სავსებით ასაბუთებს განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაცემები.

2. მარბე შეეცადა მოეცა განწყობის სპეციალური თეორია, რომლის დანიშნულებაც ადამიანის ქცევათა ერთი ნაწილის, გარეგანი მოძრაობების ახსნა უნდა ყოფილიყო. ეს თეორია (მოტორული განწყობის თეორია) მოწოდებული იყო აგრეთვე, როგორც განწყობის ახალი, ამომწურავი თეორიის ერთგვარი საფუძველი. მოტორული განწყობის თეორია შემდეგში მდგომარეობს: ადამიანის გარეგან მოძრაობას განსაზღვრავს მოძრაობის წინა და თანამედროვე ცნობიერების პროცესები.

მაგრამ მოძრაობებს ის ფაქტორიც განსაზღვრავს, რომელსაც მოტორული ვარჯიშის ცნება მოიცავს. ცხოვრების მანძილზე, ვარჯიშის შედეგად, ცნობიერების პროცესებსა და მოძრაობებს შორის და მოძრაობებსა და მოძრაობებს შორის მყარდება განსაზღვრული ასოციაციები, რომელთა სიმტკიცე გამოცდილების სიხშირესა და სიძლიერეზეა დამოკიდებული. ეს ასოციაციები მოცემულია არაცნობიერში და ადამიანის მოძრაობებზე იქედან მოქმედებენ თანაგანმსაზღვრელად. ადამიანის მოძრაობებს აგრეთვე წმიდა სომატური ფაქტორებიც განსაზღვრავს.

ასეთი სომატური ფაქტორებისა და არაცნობიერში მოცემული ასოციაციების შედეგად ადამიანი იმაზეა განწყობილი, რომ განსა-

---

[156] „მომენტური პიროვნების ჩამოყალიბება დამოკიდებულია იმ ზეგავლენაზე, რომელსაც თანშობილი დისპოზიციები (ე. ი. თანშობილი პიროვნება) და პიროვნების ჰაბიტურად ქცეული შეძენილი ფაქტორები მომენტურ პიროვნებაზე ახდენენ". K. Marbe, Praktische Psychologie..., S. 78.

ზღვრული განცდების გავლენით განსაზღვრული მოძრ ობები შეასრულოს.

რადგანაც მოტორული განწყობის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს როგორც წმიდა ფიზიოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური ფაქტორები, ამიტომ მოტორული განწყობა ნაწილობრივ ფსიქოლოგიურია, ნაწილობრივ ფიზიოლოგიური

მარბე ორნაირ განწყობას განასხვავებს: ნებისმიერსა და უნებურს; მათ შეესატყვისება შესაბამისად ცნობიერი და არაცნობიერი განწყობები.

განწყობა თავის მოქმედებას ავლენს: ა. როგორც აღქმის ეფექტის ძირითადი განმსაზღვრელი; ბ. როგორც ასიმილაციის ფაქტორი; იგი თავისდაგვარად წარმართავს, იმსგავსებს, საგნის აღქმას; გ. როგორც ქცევის წინასწარგანმსაზღვრელი, განსახორციელებელი ქცევა არსებულ განწყობაზეა დამყარებული.

§ 3. არაცნობიერის პრობლემა მარბეს კონცეფციაში. არაცნობიერის პრობლემა მარბესთან შემდეგი საკითხების გარკვევას გულისხმობს: 1. რა ესმის ძაობეს არაცნობიერში; 2. როგორ არაცნობიერს წარმოადგენს განწყობა.

არაცნობიერის მარბესეულ გაგებას განსაზღვრავს მისი ფილოსოფიური მრწამსი და კერძოდ არსებობის ცნების ის გაგება, რომელსაც მარბე იზიარებს. როგორც ვიცით, მარბე ორნაირ არსებობას განასხვავებს: უშუალოსა და შუალობითს. უშუალო არსებობა ვაარნიათ ეანცდებს. სოლო შუალობითი ასებობა მიეწერება ყველა იმ საგანს, რომელთა არსებობის შესახებ ჩვენ ააკუთარი განცდების საფუძველზე ვასკვნით.

უშუალო არსებობა ნიშნავს უშუალო მოცემულობას. უშუალო ობიექტად ყოფნას. გასაგებია, რომ მარბესთვის უშუალო ობიექტად ყოფნა ცნობიერად ყოფნას გულისხმობს. მაშასადამე, რასან განცდებს უშუალო არსებობა გააჩნიათ, ამდენად მათ მხოლოდ ცნობიერად შეუძლიათ არსებობა. არაცნობიერი განცდა, ამ გაგებით, უკანონო ცნებაა.

„მაგრამ ცნობილია, რომ ზოგიერთი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი ლაპარაკობს არაცნობიერი განცდის შესახებ, თუ ამ გამოთქმას საერთოდ რაიმე აზრი აქვს, მაშინ მხოლოდ იმ განცდაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, რომელიც მართალია მოცემულ მომენტში არ არის ჩვენი აღქმის უშუალო ობიექტი, მაგრამ შეიძლება ასეთად გახდეს". „შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ არაცნობიერ განცდას, როცა, მაგალითად მისი ინტენსივობა გაიზრდება, ანდა როცა იგი ყურადღე-

პის საგანი გახდება, შეუძლია ცნობიერების ზღურბლს ამოცდეს და ამით უშუალო ობიექტად იქცეს"[157].

აქედან გასაგებია, თუ რომელ არაცნობიერს გულისხმობს მარბე. ესაა ცნობიერების არაცნობიერი ფაქტი, განცდა, რომელიც ამჟამად ცნობიერების ნათელი ველის გარეთ იმყოფება და რომელსაც ყოველთვის შეუძლია ცნობიერი გახდეს, საკმარისია მხოლოდ ცნობიერების შუქი მიეფინოს მას. ანდა, ესაა განცდა, რომელიც ცნობიერების ზღურბლს ქვევით იმყოფება და რომლის ცნობიერად გახდომისათვის მისი ინტენსიურობის გაძლიერებაა საჭირო.

არაცნობიერის ასეთივე გაგებაა მოცემული მარბეს „პიროვნებისა და მოტორული განწყობის თეორიაში". მოგვყავს შესაბამისი ადგილი მთლიანად:

„არაცნობიერის ცნება, ისე როგორც ის მე მესმის, არ შეიცავს არავითარ მეტაფიზიკურ თვალსაზრისს და ჩემთვის მეცნიერული ფსიქოლოგიის აუცილებელ დამხმარე ცნებას წარმოადგენს. მე არაცნობიერს ვუწოდებ განცდებს, განცდათა კავშირებს და საერთოდ ცნობიერების ფაქტებს, რამდენადაც ისინი ცნობიერებიდან გამქრალი არიან, მაგრამ შემდგომში გამოცხადებული ცნობიერების ცხოვრებისათვის მაინც მნიშვნელობა აქვთ, ანდა ხელსაყრელ პირობებში შეუძლიათ მნიშვნელობა ჰქონდეთ. ადამიანის მრავალი დისპოზიცია ემყარება ცნობიერების ასეთ არაცნობიერ ფაქტებს ან ასეთ არაცნობიერს[158].

როგორც ვხედავთ, აქ ისევ განცდის არაცნობიერი არსებობის შესახებაა ლაპარაკი. არაცნობიერზე სხვა გაგებით. მარბე არ ლაპარაკობს. ეს იმას ნიშნავს, ცხადია, რომ სხვაგვარ არაცნობიერს იგი საერთოდ უარყოფს. ეს გასაგებიცაა, თუ მის მსოფლმხედველობას გავითვალისწინებთ. მარბესთვის ხომ ერთადერთი სინამდვილე განცდები ან გრძნობადი აღქმებია. არსებობა მხოლოდ იმას გააჩნია, რაც უშუალოდაა მოცემული ანდა შეიძლება უშუალოდ იყოს მოცემული. ასეთი კი უთუოდ ცნობიერებაში უნდა იყოს წარმოდგენილი (ამჟამად ცნობიერების ნათელ არეში, ან პოტენციურად). მაშასადამე, თუ არაცნობიერი განცდა არსებობს, იგი ცნობიერების არაცნობიერი ფაქტის სახით უნდა არსებობდეს.

მსგავსადვე უნდა გადაიჭრას მარბესთან განწყობის ცნობიერება-არაცნობიერების საკითხიც. როგორც უკვე არაერთხელ გვქონდა აღნიშნული, მარბე ორნაირ განწყობას განასხვავებს: ცნობიერსა და

---

[157] K. Marbe, Beiträge zur Logik und ihren Grenzwissenschaften, Vierteljahrschrift f. wiss. Philosophie und Soziologie. Bd 36, S. 159.

[158] K. Marbe, Theorie der motorische Einstellung und Persönlichkeit, Zschr f. Psychol., 129, S. 319—320.

არაცნობიერს. „თავისთავად გასაგებია, — ამბობს მარბე, — რომ ეს განწყობები ერთმანეთში გადადიან". მარბე არ იძლევა ამ აზრის შემდგომ განმარტებას, მაგრამ იგი გასაგები გახდება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ განწყობა მარბესთან განცდაა, იგი ცნობიერების მდგომარეობის სახით არსებობს, ან შეუძლია არსებობდეს. ცნობიერებიდან წასვლის შემდეგ განწყობა იარსებებს როგორც ცნობიერების არაცნობიერი ფაქტი და აქედან გასაგები ხდება მარბეს განცხადება, რომ „ადამიანის მრავალი დისპოზიცია ემყარება ცნობიერების ასეთ არაცნობიერ ფაქტებს ან ასეთ არაცნობიერს"[159].

არ იცვლება მდგომარეობა თანშობილი განწყობების მიმართაც: თანშობილი განწყობაც შეიძლება იყოს ცნობიერი, ანდა სავსებით არაცნობიერად მოქმედებდეს. მაგრამ ეს არ გამორიცხავს მათი ერთმანეთში გადასვლის შესაძლებლობას.

ამით, მაშასადამე, გარკვეულია განწყობის ფენომენოლოგია: განწყობას ცნობიერ-არაცნობიერი (პოტენციურად გაცნობიერებადი) არსებობა გააჩნია. ცნობიერებაში იგი ცნობიერების მდგომარეობის ან (რაც მარბესთან იგივეა) ცნობიერების განწყობის სახითაა მოცემული; ცნობიერებიდან „წასვლის" შემდეგ იგი არსებობს როგორც „არათვალსაჩინო განცდა" ან როგორც დისპოზიცია.

მაშასადამე, არაცნობიერი მარბესთან ნიშნავს ცნობიერების არაცნობიერ ფაქტს, არაცნობიერ განცდას. ასეთსავე, ცნობიერებაში მყოფ არაცნობიერს წარმოადგენს განწყობაც. მაგრამ რა სახით არსებობს ცნობიერების არაცნობიერი ფაქტი? ეს კითხვა გულისხმობს გარკვევას.

განწყობის, როგორც განცდის ონტოლოგიური რაობის საკითხი. ცხადია, არ შეიძლება სადავო იყოს: რაკი განწყობა ცნობიერებაშია მოცემული, ამიტომ იგი ფსიქიკურია. მაგრამ შეუძლია თუ არა მას ცნობიერების გარეშეც ფსიქიკურის სახით არსებობა? ეს კითხვა შემდეგნაირადაც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ცნობს თუ არა მარბე არაცნობიერ ფსიქიკურს?

ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრის საშუალებას მარბესთან შემდეგი გარემოება იძლევა: როგორც ვთქვით, მარბესთვის განწყობა იგივე დისპოზიციაა, და, მაშასადამე, დისპოზიციის ონტოლოგიური რაობის გარკვევის გზით განწყობის ონტოლოგიური რაობის

---

[159] იქვე.

საკიხიც უნდა გაირკვეს. ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება: დისპოზიცია მარბესთან ფსიქოფიზიკურ დისპოზიციას ნიშნავს. თუმცა თავისთავად გასაგებია, რომ მასთან არც წმიდა ფიზიოლოგიური დისპოზიციების არსებობაა გამორიცხული. როგორი ონტოლოგიური არსებობა შეიძლება ჰქონდეს ფსიქოფიზიკურ დისპოზიციას?

როგორც ცნობილია, დისპოზიცია ფსიქოლოგიაში ნიშნავს ჰაბიტურ მზაობასა და მიდრეკილებას რაღაც განსაზღვრული სულიერი ვანცდის განხორციელებისადმი. „ფსიქიკური დისპოზიცია იმ პროცესების გამოძახილია, რომელთა გაცნობიერება ცნობიერების გაიოლებული აქტების საშუალებით ხდება. მაგრამ არა თავისთავადი არსებობა ან საკუთარი ბუნების მქონე არაცნობიერი პროცესი" (აისლერი). დისპოზიციას არ გააჩნია თავისთავადი არსებობა. ამიტომ მისი ონტოლოგიური რაობის შესახებ საკითხის დასმაც არ შეიძლება.

იგივე ითქმის განწყობის ონტოლოგიური რაობის შესახებაც: როგორც დისპოზიცია, იგი განსაზღვრული მიმართულებაა, მზაობაა და არა დამოუკიდებელი არსებობის მქონე ფენომენი. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მას ფიქტიური არსებობა გააჩნია მხოლოდ და, მაშასადამე, მისი ონტოლოგიური რაობის შესახებ საკითხის დასმაც არაა გამართლებული.

მაგრამ განწყობას მარბესთან არა მატრო დისპოზიციური არსებობა აქვს. იგი ცნობიერების ფაქტს (ცნობიერების მდგომარეობის) სახითაც არსებობს. ცნობიერების ფაქტის სახით არსებობა. შეიძლება ითქვას, არსებობის ძირითადი ფორმაა განწყობისა. ეს არსებობის ცნების მარბესეული გაგებიდან გამომდინარეობს უკვე: არსებობა ხომ მისთვის ნიშნავს უშუალო ობიექტად ყოფნას, უშუალო მოცემულობას, ან შესაძლებლობას შესაბამის პირობებში ასეთად გასდომისა.

საერთოდ, მარბეს ფილოსოფიური თვალსაზრისიდან გამომდინარეობს უკვე ის დასკვნა, რომ ყველაფერი განცდის სახით შეიძლება არსებობდეს, და როგორც არსებული, ყველაფერი ცნობიერი უნდა იყოს.

გასაგებია, რომ აქედან არც განწყობის ფენომენი იქნება გამონაკლისი: იგი არსებობს ან როგორც ცნობიერების ფაქტი (ცნობიერების მდგომარეობა, იგივე ცნობიერების განწყობა), ან როგორც დისპოზიცია (რომელსაც ფიქტიური არსებობა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ).

განწყობის, როგორც დისპოზიციის (ე. ი., რ ო გ ო რ ც ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ს) ონტოლოგიური რაობის გასარკვევად მარბესთან არ იქნება ინტერესმოკლებული ერთი ადგილი მისი „მსჯელობის ეკ-

სპერიმენტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევიდან". მარბე აქ ესება ცოდნის. როგორც „შესაძლებლობაში ყოფნის" არსებობის ფორმის საკითხს და დაასკვნის. რომ „ეს შესაძლებლობაში ყოფნა ან ეს უნარი. ისე როგორც მექანიკური უნარი. ბუნებრივია. განსაზღვრულ ფიზიოლოგიურ დისპოზიციებს ემყარება. ცნობიერებაში მისი ჩვენება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება... რამდენადაც იგი განსაზღვრულ მოქმედებაში გამოვლინდება"[160].

როგორც ვხედავთ. ცოდნა, როცა იგი არაა ცნობიერების ნათელ არეში მოცემული, არსებობს დისპოზიციის სახით მაგრამ რადგანაც ე. წ. ფსიქიკურ დისპოზიციას არ გააჩნია თავისთავადი არსებობა. ამიტომ იგი ფიზიოლოგიურ დისპოზიციას ემყარება. ან უბრალოდ რომ ვთქვათ. ფიზიოლოგიური დისპოზიციის სახით არსებობს. ამ გაგებით. მარბესთან განწყობას (ცოდნა ხომ განწყობაა) ორნაირი არსებობა გააჩნია: ცნობიერი. ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური. დისპოზიციური. ეს იმას ნიშნავს. რომ თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ. განწყობის ერთადერთი „ნამდვილი" არსებობის ფორმა მარბესთან მისი ცნობიერი არსებობაა.

---

[160] K. Marbe, «Urteil». S. 91.

II

კარლ მარბეს კონცეფციის კრიტიკა

თავი პირველი

განწყობის თეორიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკა

მარბეს თეორიის კრიტიკისას ჩვენ შემდეგი დებულებიდან ამოვდიგართ: ყოველგვარი თეორია, რომელსაც მეცნიერულობის პრეტენზია აქვს, ვალდებულია მეცნიერების არსებობა გაამართლოს. თუ რომელიმე თეორიიდან მეცნიერების საჭიროებისა და შესაძლებლობის უარყოფა გამომდინარეობს, ეს უკვე საკმარისი საბუთია ამ თეორიის უკმარისობისა და უვარგისობის დასამტკიცებლად. ცასაგებია, რომ ეს მოსაზრება განსახილველი თეორიის იმანენტურ კრიტიკას გულისხმობს. გარჩევის ასეთი წესი სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან „საგნობრივი კრიტიკა ზედმეტიც კია, როცა თეორია ფორმალურ კრიტიკასაც ვერ უძლებს"[1].

გასაგებია, რომ იმანენტური კრიტიკა არ გამორიცხავს განსახილველი თეორიის მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან შეფასებას; პირიქით, ასეთი კრიტიკა მხოლოდ მარქსიზმის უზოგადეს დებულებათა გამოყენებითაა შესაძლებელი. ეს განსაკუთრებით აუცილებელია მარბეს მიმართ, რომლის კონცენფციაშიც გაცილებით მეტად მეღავნდება ფილოსოფიური თვალსაზრისის ზეგავლენა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით იყო მოსალოდნელი ზუსტი მეცნიერებისა და ექსპე-

---

ანგია ბოჭორიშვილი, ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები, ნაწილი I, 1957, გვ. 06.

რიმენტული კვლევა-ძიების ისეთი აპოლოგეტისაგან, როგორსაც მარბე წარმოადგენდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მარბეს ლოგიკურ-გნოსეოლოგიური და ფსიქოლოგიური თეორიები ერთი მთლიანი თვალსაზრისის ორ მხარეს წარმოადგენენ და მათი ერთმანეთისაგან დაცილება მხოლოდ აბსტრაქციაში თუა შესაძლებელი.

ამ მთლიანობის საფუძველი მარბეს ფსიქოლოგიზმია. ეს ფსიქოლოგიზმი მარბესთან, ზოგადად, ფსიქოლოგიისა და ბუნებისმეტყველების საკვლევი ობიექტის იგივეობის აღიარებაში გამოვლინდა. იმაში, რომ შემეცნების ობიექტის, და საერთოდ ცნობიერების სფეროს, უშუალოდ მოცემულით შემოსაზღვრის შემდეგ ფსიქოლოგია მარბესთან ფაქტიურად უნივერსალურ მეცნიერებად იქცა. ხოლო ფსიქიკური (გრძნობად აღქმებში მოცემული სენსუალური მასალა) — ერთადერთ სინამდვილედ, რომლის იქით არც არაფერი არსებობს, და, მაშასადამე, საძიებელიც არაფერია.

მაგრამ მარბე ცნობილია, როგორც ანტიფსიქოლოგისტი. ამასთანავე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ იგი არა მარტო თეორიულად უარყოფდა ფსიქოლოგიზმს. არამედ ამ უარყოფის დასაბუთებას ექსპერიმენტული გზითაც შეეცადა (ოუმცა ამ საკითხის ექსპერიმენტულ კვლევა-ძიებას საჭიროდ არ თვლიდა, რადგან იგი წმიდა თეორიის სფეროდ მიაჩნდა)[2]. იმ დროს, როცა პოზიტიურად მუშაობის მოთხოვნა ის-ის იყო ძალას იკრებდა, ხოლო ექსპერიმენტული კვლევა-ძიება შემეცნების უტყუარ საშუალებად ცხადდებოდა, მარბეს გამოკვლევებს, ცხადია, ფართო აღიარება უნდა გამოეწვია. ეს მართლაც ასე მოხდა: მსჯელობის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ მარბეს სახელი, ხშირად, უძლიერეს ანტიფსიქოლოგისტთა შორის მოიხსენიება[3].

მარბეს ექსპერიმენტული გამოკვლევები მართლაც იძლევა უფლებას ეს გამოკვლევები ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ იქნეს წარმართული. თვითონ მარბეც ამ თვალსაზრისით აფასებდა თავის გამოკვლევებს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ფსიქოლოგიზმი ფაქტიურადაც დაძლეული იყოს მარბესთან. ასეთი რამის შესაძლებლობა მან თვითონვე უარყო, როცა სინამდვილე სენსუალ-

---

[2] K. Marbe, Zur Psychologie des Denkens, Fortschritte d. Psychol., Bd 3, S. 11.

[3] იხ. მაგალითად: I. Cohn, Psychologische oder kritische Begrüdung der Asthetik? Archiw f. systematische Philosophie, Bd X, 1904, S. 142.

ული მასალით შემოსაზღვრა, ხოლო ცნობიერების საგანი რაღაც ილუზიურ ნიშანთა გროვად და ფიქციად გამოაცხადა. მარბეს ექსპერიმენტული გამოკვლევები იმთავითვე იყენენ განწირულნი არასწორი ინტერპრეტაციისა და არადანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. განვიხილოთ ამ თვალსაზრისით მარბეს ფილოსოფიური მრწამსი და ის ლოგიკურ-გნოსელოგიური დასკვნები, რომელიც მას გამოჰყავს აზროვნების ექსპერიმენტული შესწავლის მონაცემებიდან.

როგორც ვნახეთ, მარბე რადიკალური ემპირიზმის პოზიციებზე დგას. იგი ცნობს მხოლოდ გრძნობად აღქმებს და ფილოსოფიის (ცნობიერების) სფეროს ცდის მონაცემებით ზღუდავს. „სამყაროს წინააღმდეგობისაგან თავისუფალი სურათის აგების“ მიზნით იგი უარყოფს ყოველგვარ მეტაფიზიკას (ცხადია, მეტაფიზიკადაა მიჩნეული ყოველგვარი თვალსაზრისი, რომელიც ცდის საზღვრებს სცილდება) და პოზიტივიზმის პოზიციებზე დგება. ეს თვალსაზრისი, რომელიც მარბესთან (ისე როგორც საერთოდაც) ავენარიუსის ძლიერ ზეგავლენას განიცდის[4]. „ითუოდ იქ მოკლენის შედეგია, რომელსაც ლენინმა თავის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ თანამედროვე ბუნებისმეტყველების კრიზისი უწოდა[5], და რომელიც, შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია:

როგორც ცნობილია, კლასიკური ფიზიკა თავის თეორიებში მეცნიერებისაგან დამოუკიდებელი სამყაროსა და მისი კანონების ასახვას ხედავდა. იგი სამყაროს აგებდა უცვლელი, შეუღწევადი და თვისობრივად ერთგვაროვანი ელემენტებისაგან, რომელთა რეალურ და მარადიულ არსებობაში არავის შეჰქონდა ეჭვი. მაგრამ მეცნიერების განვითარებამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის საფუძველი გამოაცალა უცვლელი და შეუღწევადი ელემენტების არსებობის წარმოდგენას. ასე დაიწყო კრიზისი ფიზიკაში, რომელიც მდგომარეობდა „ძველი კანონებისა და ძირითადი პრინციპების მსხვრევაში, ცნობიერების გარეშე არსებული ობიექტური რეალობის უკუგდებაში, ე. ი. მატერიალიზმის შეცვლაში იდეალიზმით და აგნოსტიციზმით“[6].

მართლაც, ფიზიკას მხოლოდ იმდენად შეიძლება ჰქონოდა დამოუკიდებელი მეცნიერების მნიშვნელობა, რამდენადაც ფიზიკოსები ძირითად რეალისტურ დებულებებს იცავდნენ. ეს დებულებებია თავისთავადი საგნების არსებობა, მათი დროში რეალურად ცვალე-

---

[4] ცხადია, თვითონ მარბე თავის თავს არც ერთ ფილოსოფიურ მიმდინარეობას არ აკუთვნებს. ავენარიუსის გავლენა ამაშიც იგრძნობა.

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 14, 1950, გვ. 319.

[6] იქვე, გვ. 326.

ბადობა და რეალური მიზეზობრიობა. „მხოლოდ ამ რეალური წინააღმდეგობის არსებობისას (მიზეზობრიობის, დროის, სამგანზომილებიანი სივრცის ტრანსცენდენტური მნიშვნელობის არსებობისას). ე. ი. მხოლოდ იმ პირობით, თუ ბუნება, რომლის კანონების შესახებ ფიზიკოსები ლაპარაკობენ, თანემთხვევა თავისთავადი საგნების სამეფოს..... შეიძლება ბუნების კანონებზე ლაპარაკი ფსიქოლოგიური კანონებისაგან განსხვავებით"[7].

ძველი ბუნებისმეტყველების ძირითად წარმოდგენათა მსხვრევის გამო ფიზიკოსთა და ფილოსოფოსთა ერთმა ნაწილმა საწინააღმდეგო გზა აირჩია: როგორც ატომები და ეთერი (ძირითადი მასალა, რომლიდანაც აგებდა ძველი ბუნებისმეტყველება სამყაროს), ისე დრო, სივრცე და ბუნების კანონები მათ სამუშაო ჰიპოთეზად ჩათვალეს და ამით, მაშასადამე, ერთადერთ რეალობად ფსიქიკური მოცემულობა გამოაცხადეს.

ასევე იქცევა მარბეც: ერთადერთ, რეალობა, რომელთანაც ჩვენს ცნობიერებას აქვს საქმე, მისი აზრით, ჩვენივე განცდებია. შემეცნება აქედან აგებს როგორც ფსიქიკურ, ისე ფიზიკურ სინამდვილეს და, მაშასადამე, ფსიქოლოგიასა და ბუნებისმეტყველებას თვალსაზრისი აქვს განსხვავებული და არა საგანი. ამით მარბე თვლის, რომ ახერხებს „სამყაროს წინააღმდეგობისაგან თავისუფალი სურათის აგებას" და მატერიალიზმსა და იდეალიზმზე მაღლა დადგომას.

თუ რმდენადაა შესაძლებელი იდეალიზმისა და მატერიალიზმის დაპირისპირების გადალახვა, ეს კარგად ჩანს ლენინის შემდეგი სიტყვებიდან, რომელიც მახისტების წინააღმდეგ მიმართული: „სიტყვიერად თქვენ სპობთ წინააღმდეგობას ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის, მატერიალიზმს (რომელიც პირველადად ბუნებას, მატერიას ღებულობს) და იდეალიზმს შორის (რომელიც პირველადად სულს, ცნობიერებას, შეგრძნებას თვლის), ხოლო ნამდვილად თქვენ მაშინვე ხელახლა აღადგენთ ამ წინააღმდეგობას, აღადგენთ მას ფარულად, ისე რომ თქვენსავე ძირითად დებულებებს ღალატობთ!"[8].

გასაგებია, რომ „იდეალიზმის ფარული აღდგენა" ვერც მარბემ აიცილა თავიდან. ცნობიერების საგნის განცდებში (გრძნობად აღქმებში) უშუალოდ მოცემულით შემოსაზღვრის შემდეგ სხვა გამოსავალი აღარც რჩება, გარდა იმისა, რომ გარესამყარო შემმეცნებელი გონების კონსტრუქციად გამოვაცხადოთ, რაც თავის მხრივ იდეალიზმის ერთ-ერთი სახეობა, სახელდობრ სუბიექტური იდეალიზმია და

---

[7] იქვე, გვ. 363.

[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 14, გვ. 55.

მეტი არაფერი. როგორღა შეიძლებოდა ასეთი წანამძღვრებიდან პროზიტივიზმისა და ფსიქოლოგიზმის და მათგან გამომდინარე რელატივიზმისა და ილუზიონიზმის დაძლევა? მარბე ამის გაკეთებას განცდათა ორი სფეროს, ფსიქიკისა და აზროვნების ერთმანეთისაგან გამიჯვნით შეეცადა. მისი უდიდესი დამსახურებაც უთუოდ ამაშია. მაგრამ რამდენად იძლეოდა მისი ფილოსოფიის ამოსავალი თეზისი ფსიქიკისა და აზროვნების ერთმანეთისაგან გაყოფის საშუალებას?

ფსიქიკისა და აზროვნების გაყოფის საჭიროება ამ შემთხვევაში ისეთი რამის მოძებნის საჭიროებამ განპირობა, რაც შეძლებდა როგორც შეგრძნებათა უშულოდ მოცემული მასალის მოწესრიგებას, ისე შემეცნების ობიექტურობისა და საყოველთაობის გარანტირებასაც. გასაგებია, რომ ეს მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ფსიქიკისაგან დამოუკიდებელი ინსტანციის არსებობა დადასტურდებოდა. დასამტკიცებელი იყო, მაშასადამე, ის დებულება, რომ განცდები ორ ნაწილად იყოფა: გრძნობად აღქმებში მოცემულ მასალად და მის მომწესრიგებელ აზროვნების სამყაროდ. ამ დებულების დასამტკიცებლად იყო მოწოდებული მსჯელობის ექსპერიმენტული ფორმა-მოკვლევა. როგორც ვსედავთ, ამ შრომის ამოსავალი წერტილი წმინდა თეორიული მოსაზრება იყო: არსებობს სინამდვილის ორი, ცალკისეული (გრძნობადი აღქმები) და აზრისეული სფერო. რადგანაც მარბე ორივე სფეროს განცდათა სახელწოდებით აღნიშნავს, ამიტომ განცდათა სფერო ორ ნაწილად იყოფა: საკუთრივ განცდებად (გრძნობადი აღქმები და მათი რეპროდუცირება, მოგონებითი წარმოდგენები) და აზრებად. როგორც აღვნიშნეთ, ექსპერიმენტმა უნდა დააბტკიცოს, რომ ეს ორი სფერო მართლაც სხვადასხვაა. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ აღმოჩნდება, რომ აზროვნების ფსიქოლოგიური შესწავლა შეუძლებელია, რომ აზროვნება (მსჯელობა) არაა ფსიქოლოგიის საგანი. მაშინ ფსიქოლოგიას საქმე ექნება მხოლოდ ფსიქიკურთან, ხოლო აზროვნება და მისი კანონები ცალკე მეცნიერების, ლოგიკის საკვლევი იქნება[9].

გასაგებია, რომ მარბესათვის ეს იყო ერთადერთი გზა ფსიქოლოგიზმიდან თავის დასაღწევად და მას, განცდათა ორი კლასის არსებობის საკითხის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში, სინამდვილის გრძნობად აღქმებში უშუალოდ მოცემულით შემოსაზღვრის მტკიცება უნდა

---

[9] მკითხველს მოვაგონებთ, რომ აქ „აზროვნება" ნიშნავს შინაარსს, აზრებს, და არა პროცესს.

გაესადა შეუძლებელი. განცდების ორ სფეროდ დაყოფა ლოგიკური აუცილებლობით მოითხოვდა მათი შესაბამისი ობიექტების არსებობის დაშვებასაც. წინააღმეგ შემთხვევაში აზროვნებასა და მის საგანს მხოლოდ ფიქტიური არსებობა შეიძლებოდა ჰქონოდა.

როგორც ცნობილია, მარბეს გამოკვლევებმა დაადასტურეს ის მოსაზრება, რომ აზროვნებას (მსჯელობას) არ გააჩნია ფსიქოლოგიური კორელატი. ამით უარყოფილ იქნა ფსიქოლოგისტური ლოგიკისა და. მაშასადამე, ფსიქოლოგიზმის შესაძლებლობაც. მაგრამ ეს უარყოფა სიტყვიერი გამოდგა მხოლოდ; სინამდვილეში ფსიქოლოგიზმი მარბემ ხელუხლებელი დატოვა. ამ გარემოებამ უკვე ცნების ფსიქიკური წარმომადგენლის საკითხის გადაწყვეტაში იჩინა თავი: რაკი გამოკვლევებმა უჩვენა, რომ თვითდაკვირვების გზით შეუძლებელია ცნების თანმხლები წარმოდგენის არსებობის ჩვენება, ამით მტკიცდება, მარბეს აზრით, რომ ცნება სიტყვაა და მეტი არაფერი. რომ მცდარია ის დიდი ხნიდან გავრცელებული შეხედულება, თითქოს ზოგადს რაიმე შეესაბამებოდეს სინამდვილეში. საკითხის ასე გადაწყვეტა არსებობის ცნების მარბესეული გაგებით იყო უთუოდ განპირობებული: არსებობა ხომ მისთვის ცნობიერების უშუალო ობიექტად (განცდებში მოცემულად) ყოფნაა.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსიქიკისაგან დამოუკიდებელი აზროვნების სფეროს დაშვება ლოგიკური აუცილებლობით მოითხოვდა სინამდვილის განცდებში (გრძნობად აღქმებში) უშუალოდ მოცემულით შემოსაზღვრის უარყოფას, იმის აღიარებას, რომ რაკი არსებობს განცდების ორი სფერო, ფსიქიკა და აზროვნება, მათ საგანთა განსხვავებული ჯგუფებიც უნდა შეესაბამებოდეს. ამ შემთხვევაში აზროვნების საგანი, ყოველივე ის, რაც უშუალოდ მოცემულობაში არ გვეძლევა, მაგრამ ცნებითი აზროვნების მეშვეობით მიიღწევა, უთუოდ რეალური არსებობის მქონეც იქნება და იგი აღარ წარმოგვიდგება ფიქტიურ ნიშანთა გროვად, რომელსაც ჩვენ აზროვნების ეკონომიის პრინციპის თანახმად. როგორც ეს მარბეს მიაჩნია, ერთი სიტყვით აღვნიშნავთ.

ფსიქიკისა და აზროვნების გაყოფა სხვა არაფერია, თუ არა სინამდვილის შემეცნების, მისი წვდომის ორი განსხვავებული „ორგანოს“ დაშვება. ხოლო, „რახან აღიარებულია, რომ გრძნობის ორგანო და გონება არც „სუბსტანციალურად“ და არც ფუნქციონალურად არ არიან ერთი და იგივე, ასახვის გნოსეოლოგიური თეორიის მიხედვით, თვით შესაცნობ სინამდვილეში უნდა დავუშვათ როგორც გრძნობის ორგანოს საგანი, ისე აზროვნების ობიექტიც. განსხვავება

გრძნობის ორგანოსა და გონებას შორის უნდა შესატყვისი იყოს იმ განსხვავებისა, რომელიც არსებობს აღქმის საგანსა და აზროვნების საგანს შორის. ეს განსხვავება არ შეიძლება სტრუქტურიზაციის შედეგად. სუბიექტის ნამოქმედარად წარმოვიდგინოთ. შემეცნება ყველგან უნდა წარმოვიდგინოთ არა შესაცნობის „ფორმირების" პროცესად, არამედ მის ადეკვატურ ასახვად. შემეცნების აბსტრაქტული საფეხური ნიშნავს რეალურად არსებულიდან იმის ამორჩევას, რაც შემეცნების მოცემულ ამოცანას შეესაბამება და არა მის შექმნას აზროვნების საშუალებით. ფსიქოლოგიური სენსუალიზმი გნოსეოლოგიურ სენსუალიზმს მოითხოვს: თუ აზროვნება არსებითად იდეათა ასოციაციაა, აღქმის რეპროდუქციის პროცესია, გამოცდილებით გართულებული, მისი საგანიც მეტი არაფერი შეიძლება იყოს, გარდა აღქმის ობიექტისა. სენსუალიზმი, ლოგიკურად განვითარებული, აზროვნების სპეციფიკურობის უარყოფაა"[10].

თავისთავად გასაგებია, რომ მარბეს ნომინალიზმი, ყოველივე ზოგადის უარყოფა, რაშიაც იგი სრულ სოლიდარობას უცხადებს ბერკლის, რომელმაც პირველმა შეძლო, მარბეს აზრით, ზოგადის განცდაში არარსებობიდან სწორი დასკვნების გამოყვანა, საკუთარ გამორიცხავს აზროვნების, გონების სპეციფიკური საგნის არსებობის შესაძლებლობას.

აზროვნების გამიჯვნა ფსიქიკისაგან მარბეს აზროვნების საგნის აგებისათვის დასჭირდა და არა აზროვნებისაგან დამოუკიდებლად არსებული საგნის შემეცნებისათვის. თავისი ფილოსოფიის სენსუალისტური წანაღმძღვრები არც აძლევდენ მას სხვაგვარი დასკვნების გამოყვანის უფლებას; ფსიქოლოგიური სენსუალიზმი ხომ გნოსეოლოგიურ სენსუალიზმს მოითხოვს: „თუ აზროვნება არსებითად იდეათა ასოციაციაა, აღქმის რეპროდუქციის პროცესია, გამოცდილებით გართულებული, მისი საგანიც მეტი არაფერი შეიძლება იყოს. გარდა აღქმის ობიექტისა"[11].

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მარბემ ვერ მოახერხა ფსიქიკისა და აზროვნების საგნის ერთმანეთისაგან გამოყოფა. აზროვნების საგანი მასთან გრძნობად აღქმაში მოცემული სენსუალური მასალაა, იგივე ფსიქიკურია. სენსუალიზმი კი, „ლოგიკურად განვითარებული, აზროვნების სპეციფიკურობის უარყოფაა"[12]. ცხადია, ამ გზას ვერც

---

[10] ანგია ბოპორიშვილი, ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები, ნაწილი. 3. გვ. 382, შენ. 33, 1963.

[11] იქვე.

[12] იქვე.

მარბე აცდებოდა. აზროვნების საგნის უარყოფას აქაც აზროვნების სპეციფიკურობის უარყოფამდე უნდა მივეყვანეთ. მარბეს რელატივიზმი და ნომინალიზმი ამ გზის ლოგიკური შედეგია და მეტი არაფერი.

როგორც ვხედავთ, საინტერესო მდგომარეობა იქმნება: მარბე შეეცადა ფსიქოლოგიზმის დაძლევას ლოგიკურის, აზრისეული სამყაროს დაშვებით, ფსიქიკისა და აზროვნების ერთმანეთისაგან გამოყოფით. მაგრამ ასეთი გაყოფა მაშინ იქნებოდა რეალური, თუ ამ ორ სფეროს განცდებისას საგანიც ერთმანეთისაგან განსხვავებული ექნებოდათ. თუ მათ აღმოაჩნდებოდათ რაიმე „ცენზი", რაც მათ ცალ-ცალკე არსებობის საჭიროებას გაამართლებდა. საჭირო იყო მაშასადამე აზროვნების საგნის მოძებნა. მარბეს, თანახმად მისი ფილოსოფიის ამოსავალი დებულებისა, ასეთი რამის ძებნა მხოლოდ გრძნობად აღქმებში შეეძლო. ცნობიერების საგანი მას მხოლოდ ფსიქიკაში უნდა ჰგულვებოდა. და როცა გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ ცნებითი აზროვნების საგანს არ გააჩნია ფსიქიკური კორელატი წარმოდგენის სახით, აქედან მან უყოყმანოდ დაასკვნა, რომ საერთოდ არ არსებობს აზროვნების დამოუკიდებელი საგანი, განსხვავებული გრძნობადი აღქმის საგნისაგან. როგორც ვხედავთ, აზროვნების საგნის არსებობის საკითხი ფსიქიკურის გამოკვლევით გადაწყდა. ამით ლოგიკის საფუძვლებიც ბოლოს და ბოლოს, ისევ ფსიქოლოგიაში აღმოჩნდა საძებელი. ეს გარემოება აშკარა წინააღმდეგობაში აყენებს მარბეს: აზროვნების სპეციფიკურობა აზროვნების საგნის სპეციფიკურობას საჭიროებდა; ფილოსოფიური თვალსაზრისი კი ასეთი საგნის არსებობას უარყოფდა. მარბემ ვერ შეძლო ამ წინააღმდეგობის გადაჭრა, როგორც ჩანს, მას არც შეუმჩნევია იგი.

უსაგნო აზროვნება, როგორც აღვნიშნეთ, აზროვნების სპეციფიკურობის უარყოფას, მის გაუქმებას ნიშნავდა ბოლოს და ბოლოს. მაგრამ ფსიქოლოგიზმის საშიშროება, პოზიტიური მეცნიერების ინტერესები, აიძულებდა მარბეს განცდებშივე მოენახა ის ძალა, რომელიც ფსიქოლოგიზმის უარყოფის საფუძველი იქნებოდა. მარბემ მოახერხა ასეთი რამის პოვნა, ფსიქიკისაგან (გრძნობადი აღქმებისაგან) დამოუკიდებელი აზროვნების სახით და მას იგივე საგანი მიუჩინა, რაც აღქმას. ამ გარემოებამ განაპირობა, როგორც აღვნიშნეთ, მარბეს ფსიქოლოგიზმი და ნომინალიზმი, რომლის დაძლევასაც იგი სუბიექტივისტური ფილოსოფიის საფუძვლებიდან შეეცადა.

მარბე შეეცადა ფსიქიკისა და აზროვნებისათვის ერთი და იმავე საგნის მიჩენით გამოწვეული აშკარა უხერხულობა დაეფარა იმით, რომ ფსიქიკაცა და აზროვნებაც ბოლოს და ბოლოს ორივე განცდაა და ამიტომ, თითქოს, შესაძლებელია ორივეს ერთი საგანი ჰქონდეს. მარბესათვის, როგორც ვხედავთ, ფსიქიკა და აზროვნება განცდათა ორი სფერო ან ორი კლასია და არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ინსტანციები. ფსიქიკა და აზროვნება ორივე განცდაა, მათი საგანიც ერთია და ამგვარად, მარბეს აზრით, ორი რამაა მიღწეული ერთდროულად: შენარჩუნებულია სინამდვილის გრძნობად აღქმებში მოცემულით შემოსაზღვრის თეზისი და დაძლეულია ფსიქოლოგიზმი.

სინამდვილეში ფსიქიკისა და აზროვნების ერთი სახელწოდების, განცდების, ქვეშ გაერთიანებამ მარბეს თეორია აშკარა წინააღმდეგობაში მოაქცია. ეს წინააღმდეგობა უკვე მისი „მსჯელობის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევის“ თეორიულ ნაწილში გამოვლინდა სრული რელიეფურობით: როგორც აღვნიშნეთ, მარბეს აზრით, ფსიქოლოგიის საგანია განცდები; ამასთანავე, მსჯელობა (აზროვნება) განცდაა. ეს გარემოება უფლებას იძლევა, მარბეს აზრით, ჩავატაროთ მსჯელობის ფსიქოლოგიური გამოკვლევა. ამით, მაშასადამე, ისიცაა თქმული, რომ მსჯელობისა (აზროვნების) და ფსიქიკის ერთი სახელწოდების ქვეშ გაერთიანება მარბესათვის არა წმიდა ფორმალურ, არამედ შინაარსობლივ მომენტზე მიუთითებდა უპირველეს ყოვლისა.

დავუბრუნდეთ ისევ მარბეს მსჯელობას, რომლის მსვლელობას უთუოდ საქმის ახლახან აღწერილი მდგომარეობა (ფსიქიკისა და აზროვნების ერთი ცნების, განცდების ქვეშ გაერთიანება) განსაზღვრავს; ეს მსჯელობა საბოლოოდ ასეთი სილოგიზმის ფორმას მიიღებს:

ფსიქოლოგიის საგანია განცდები[13].

მსჯელობა განცდაა[14].

მსჯელობას არ გააჩნია ფსიქიკური კორელატი. მაშასადამე, მსჯელობა არ არის ფსიქოლოგიის საგანი[15].

მაგრამ ასეთი დასკვნის უმართებულობა არაა ძნელი საჩვენებელი. მართლაც, თუ მსჯელობა განცდაა, და განცდა ფსიქოლოგიის საგანია, მაშინ უნდა შეიძლებოდეს მსჯელობის, როგორც განცდის, ფსიქოლოგიური შესწავლაც. ხოლო, როცა აღმოჩნდა, რომ მსჯელობის ფსიქოლოგიური შესწავლის შესაძლებლობა გამორიც-

---

[13] K. Marbe, «Urteil», S. 6.

[14] იქვე, გვ. 9.

[15] იქვე, გვ. 43.

ხულია, მაშინ საჭირო იყო ამ სილოგიზმის ასეთნაირად შეცვლა: ფსიქოლოგიის საგანია განცდები; მსჯელობა არ არის ფსიქოლოგიის საგანი; ამიტომ მსჯელობა არ არის განცდა.

გასაგებია, რომ ასეთი დასკვნის გაკეთება ფსიქიკისა და აზროვნების ერთმანეთისაგან სრული გამოყოფის მომასწავებელი იქნებოდა. მაგრამ მარბეს არ სურს აზროვნების ავტონომიური არსებობის ცნობა: ავტონომიურ აზროვნებას ხომ მოქმედების სფეროც ავტონომიური უნდა მიეჩინოს. ამიტომ იგი ხელუხლებლად ტოვებს იმ აშკარა წინააღმდეგობას, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობდით.

ფსიქოლოგიზმის დაძლევა, როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიის საგნის დადგენას გულისხმობს პირველ რიგში. მხოლოდ მაშინ, როცა მიღწეულია ფსიქოლოგიის საკვლევი ობიექტის გამოყოფა, გვეძლევა საშუალება ვილაპარაკოთ, მაგალითად, ლოგიკის საკვლევი ობიექტის არსებობისა და რაობის შესახებ. მარბესთან, განცდის ცნების ორაზროვნებისა და ორბუნებიანობის გამო, ფსიქოლოგიის საგნის საკითხიც ორჭოფულადაა გადაჭრილი: თუ ფსიქოლოგიის საგნად განცდებს გამოვაცხადებთ, და განცდებად მივიჩნევთ როგორც ფსიქიკურს, ისე აზროვნებას, მაშინ არაფსიქოლოგისტური ლოგიკის შესახებ ლაპარაკი გაუმართლებელია. ფსიქოლოგია ამ შემთხვევაში უნივერსალურ მეცნიერებად იქცევა. ხოლო როცა გვსურს დავძლიოთ ფსიქოლოგიზმი, მაშინ ფსიქოლოგიას სინამდვილის ის სფერო უნდა მიეჩინოს, რომელიც მას ყველაზე მეტად შეეფერება. ეს კი განცდის ცნების არასწორი გამოყენების, მასში არასწორი აზრის ჩადების თავიდან აცილების შემდეგაა მხოლოდ შესაძლებელი.

მხოლოდ მაშინ, როცა მოცემულია განცდის ცნების ადექვატური განსაზღვრა, როცა განცდაში იგულისხმება წმიდა ფსიქიკური მოცემულობა და არა აზროვნება, შესაძლებელი ხდება როგორც ფსიქოლოგიის საგნის სწორი განსაზღვრა, ისე ფსიქოლოგიზმიდან თავის დაღწევა. ფსიქოლოგიის საგნად ამ შემთხვევაში ფსიქიკა, განცდები უნდა მივიღოთ და აზროვნება, როგორც ფსიქიკისაგან დამოუკიდებელი ფენომენი, სხვა, არა ფსიქოლოგიური მეცნიერების საგნად ცხადდება. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში საჭირო და აუცილებელი იქნებოდა როგორც აღქმაში მოცემულის, ისე გონების საგნის არსებობის აღიარება. წინააღმდეგ შემთხვევაში გონებას ფიქციური არსებობა ექნებოდა მხოლოდ, იგი ფსიქიკურისადმი დამორჩილებულად უნდა გვეაზრა და არა მასზე მაღლა მდგომ ინსტანციად[61].

---

[16] ფსიქოლოგიზმიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა რომ ფსიქიკისა და აზროვნების (და შესაბამისად მათი საგნის) გაყოფაა, კარგად ჩანს აკად.

როგორც ვნახეთ, მარბემ ვერ შეძლო (ან არ ისურვა) ამის გაკეთება. მისი გამოკვლევები აუცილებლობით მოითხოვდენ ფსიქიკისა და აზროვნების სფეროების გამიჯვნას. და გამოკვლევებიც ამ მიზნით იყო ჩატარებული. მაგრამ -თვალსაზრისმა, რომელზედაც მარბე იდგა, შეუძლებელი გახადა ექსპერიმენტული მონაცემებიდან იმ დასკვნების გამოყვანა, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობდენ მათგან.

გასაგებია, რომ ამის შემდეგ ერთადერთი გზა რელატივიზმისა და სკეპტიციზმისაკენ მიდიოდა. მარბეც ამ გზით წავიდა: გონების დანიშნულება შემეცნების საგნის აგებაში, შექმნაში უნდა ვეძიოთ და არა მის გარეთ მდებარე რეალობის ასახვაში. მაშასადამე, თვითონ გონებას არ გააჩნია საკუთარი საგანი იგი მხოლოდ ქმნის ასეთს. მაგრამ ვისთვის, რისთვის ან რა პრინციპების და კანონების მიხედვით?

მარბე ცდილობს მოგვცეს გრძნობადი აღქმების მოწესრიგების კრიტერიუმი, ღირებულების ცნების სახით. ამ ცნების მიხედვით ვანიჭებთ ჩვენ არსებობას ერთ საგანს, უარვყოფთ რაიმეს და ა. შ. საგანი რომ სუბიექტთან მიმართებაში არსებობს, ჩვენ უკვე ვიცით. მაგრამ არც ღირებულებას გააჩნია სუბიექტისაგან დამოუკიდებელი არსებობა.

ცხადია, მარბეს არც შეუძლიან დაუშვას მნიშვნელობათა სამყაროს სუბიექტისაგან დამოუკიდებელი არსებობა ორი მოსაზრების გამო: ჯერ ერთი, ასეთი რამ არ გვეძლევა გამოცდილებაში და მეორეც, მაშინ იძულებული ვიქნებოდით სუბიექტისაგან დამოუკიდებელი რეალობა გვეცნო.

მართალია, მარბე განასხვავებს აბსოლუტურ და რელატიურ ღირებულებებს, მაგრამ, მისი აზრით, „აბსოლუტური ღირებულებაც არ არის საგანთა ნიშანი"[17], „მასშტაბი, რომლის საფუძველზედაც საგანს აბსოლუტურ ღირებულებას ვანიჭებთ, საგნის სუბიექტური ღირებულებაა ყოველთვის"[18]. ამის შესაბამისად წყდება მარბესთან რეალობის საკითხიც: მისი აზრით, რეალობა არის ნიშანი, რომელსაც ჩვენ ჩვენთვის რაიმე თვალსაზრისით ღირებულ საგნებს ვაწერთ ხოლმე[19]. მაგრამ თვალსაზრისი იცვლება მეცნიერების დონის ცვა-

---

ან. ბოჟოვიჩის შრომებიდან, რომელსაც მიეკუთვნება პრიორიტეტი ამ საკითხის ასახვის გნოსეოლოგიურ თეორიაზე დაყრდნობით გადაწყვეტისა. იხილეთ მისი: ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები ნაწ. 3, გვ. 382. შეადარეთ აგრეთვე მისივე: Психика как предмет психологии. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 3. 1961.

[17] K. Marbe, Die Gleichförmigkeit in d. Welt, 2, S. 152.

[18] იქვე.

[19] K. Marbe, Beiträge zur Logik und ihren Grenzwissenschaften, Zschr f. wiss. Phil. und Scz., S. 193.

ლებადობის მიხედვით და, მაშასადამე, არც ღირებულების ცნებაა მუდმივი და მყარი რაღაც. ამით რელატივიზმი და სკეპტიციზმი ლოგიკურ დასრულებას ღებულობს: არავითარი გარესამყარო და მისი კანონები. ყველაფერს სუბიექტი ქმნის; მეცნიერების საგანი ის სამყაროა, რომელსაც ჩვენვე ვაგებთ და რომლის შესახებაც მერე მეცნიერებას ვქმნით.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რაღად გვჭირდება ჩვენი განცდების საფუძველზე ჩვენი განცდებისაგან დამოუკიდებლად არსებული სამყაროს აგება, მისთვის რაღაც კანონების მიწერა და მერე მათი კვლევა-ძიება? მარბე ამტკიცებს, რომ საგანთა არსებობის დაშვების საფუძველი შემმეცნებელ სუბიექტშია მოცემული და არა ცდაში; იგი, მისი აზრით, დისპოზიციის შედეგია. მაგრამ დისპოზიციის ცნება თვითონ საჭიროებს განმარტებას. საკითხი ხომ იმას ეხება, თუ რითაა განპირობებული ის გარემოება, რომ ადამიანი განცდათა ერთ ნაწილს მეს მიაწერს, ხოლო მეორე ნაწილს არამეს, სად არის ამისი საფუძველი? თუ საამისო საფუძველს მას მისგან დამოუკიდებელი ნიშნეზები არ აძლევს, მაშინ დისპოზიციის ცნებაც თავის აზრს კარგავს ხომ. დისპოზიცია მხოლოდ მაშინაა გამოყენებული თავისი ადექვატური მნიშვნელობით, როცა იგი პიროვნებისა და მისი ნებასურვილისაგან დამოუკიდებლად არსებულ რეალობაზე მიუთითებს. მაგრამ, თანახმად თავისი მსოფლმხედველობისა, ასეთი რეალობის დაშვების უფლება მარბეს არა აქვს, და მაშინ დისპოზიციის ცნება ახსნის ილუზიას ქმნის მხოლოდ. რაც, ცხადია, ახსნას არ მოასწავებს.

როგორც ვხედავთ, მარბეს თვალსაზრისის ლოგიკურ განვითარებას მეცნიერების საჭიროების უარყოფამდე მივყავართ. მეცნიერების არსებობას აღარა აქვს გამართლება თვითონ პოზიტივიზმის თვალსაზრისითაც კი, რადგან იგი ეწინააღმდეგება პოზიტივისტურად მუშაობის პრინციპს. პირდაპირ ეწინააღმდეგება იგი აგრეთვე „ძალის უმცირესი დახარჯვის პრინციპს“, რომელიც მარბეს ქცევის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნია[20].

მეცნიერების საჭიროებისა და შესაძლებლობის უარყოფა, ჩვენი აზრით, უტყუარი საბუთია სენსუალისტურ-სუბიექტივისტური თვალსაზრისის უარყოფისათვის. ამ გარემოებას მარბემაც ვაუწია ანგარიში, მაგრამ ამით გამოუვალ წინააღმდეგობაში მოექცა, ეს შინაგანი წინააღმდეგობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოწვეული იყო იმით, რომ მარბემ ვერ შეძლო (ან არ სურდა) ფსიქიკისა და აზროვნების ფაქტიური გაყოფა. იმის შემდეგ, როცა აღმოჩნდა, რომ

[20] K. Marbe, Die Gleichförmigkeit in d. Welt, S. 60.

მსჯელობას (აზროვნებას) ფსიქოლოგიურად არაფერი შეესატყვისება. მარბე ვალდებული იყო აზროვნება საერთოდ ამოეღო განცდების სფეროდან. რადგან განცდები, მისივე აზრით, ფსიქოლოგიის საგანია. ხოლო იმ ფაქტიდან, რომ აზროვნება არ ემორჩილება ფსიქოლოგიური შესწავლის წესს, ლოგიკურად გამომდინარეობდა დასკვნა, რომ აზროვნება არ არის განცდა და ამიტომ იგი სხვა მეცნიერების საკვლევ ობიექტად უნდა იქცეს. ეს იქნებოდა ფსიქიკისა და აზროვნების ფაქტიური და არა ფიქტიური გაყოფის მომასწავლებელი; ფსიქოლოგიზმიც მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა დაძლეული.

ეს თვალსაზრისი რომ მარბეს ბოლომდე გაეტარებინა, მაშინ უსაფუძვლო იქნებოდა მისი ფსიქოლოგისტად გამოცხადებაც. მაგრამ ფსიქიკისა და აზროვნების საგნობრივმა გაუყოფლობამ შეუძლებელი გახადა ასეთი. ერთადერთი სწორი დასკვნის გაკეთება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მარბემ ლოგიკური პრობლემების გადაწყვეტა ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით ცადა, რითაც საბოლოოდ ლოგიკა ისევ ფსიქოლოგიაზე აღმოჩნდა დაფუძნებული. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარემოება:

როგორც ვიცით, მარბეს გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ ცნებას (ზოგადს) არ გააჩნია ფსიქიკური კორელატი. აქედან მარბეს გამოყავს დასკვნა, რომ ზოგადი საერთოდ არ არსებობს. ასეთ დასკვნას შემდეგი მოსაზრება განაპირობებს მარბესთან: არსებობა ნიშნავს უშუალო მოცემულობას. უშუალოდ ადამიანს საკუთარი განცდები ეძლევა. მაშასადამე, ის, რაც არ არის მოცემული განცდაში, არც არსებობს. ზოგადი რომ არსებობდეს, მაშინ იგი განცდაში იქნებოდა მოცემული წარმოდგენის სახით, იარსებებდა როგორც ცნების ფსიქოლოგიური კორელატი. რადგან ფსიქიკაში ვერ იქნა აღმოჩენილი ცნების წარმომადგენელი, აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ზოგადი არ არსებობს. მაგრამ ასეთი დასკვნა მხოლოდ მაშინ იქნებოდა კანონიერი, თუ ფსიქიკასა და აზროვნებას გავაიგივებდით. მაგრამ მარბე არაა ხომ ასეთი გაიგივების მომხრე და, მაშასადამე, ფსიქიკაში წარმოდგენილი საქმის მდგომარეობა ვერაფერს გვეტყვის აზროვნების საგნის არსებობა-არარსებობის შესახებ. ზოგადის ფსიქიკური კორელატის არარსებობა ისეთი ფაქტია, რომელიც ვერაფერს გვეტყვის იმის შესახებ, არსებობს თუ არა იგი (ზოგადი), როგორც აზროვნების საგანი.

ეს წინააღმდეგობა მარბესთან არ იყო დროებითი მოვლენა. აზროვნებისა და ფსიქიკის საგნის გაიგივება, და ამდენად მათი ერთმანეთში აღრევა, უცვლელადაა შენარჩუნებული მის ფსიქოლოგიაშიც. ამ გარემოებამ, როგორც დავრწმუნდებით, ცნობიერების ცხოვ-

რების ამხსნელი ფსიქოლოგიური ცნების არჩევასა და განსაზღვრებაში იჩინა უპირველეს ყოვლისა თავი. ამდენად, მარბეს ფსიქოლოგიური თეორია მისი ფილოსოფიური თვალსაზრისით განისაზღვრა ბოლოს და ბოლოს. როგორც ვნახეთ, ამან განაპირობა მარბეს ფსიქოლოგიური თეორიის კრახიც.

თავი მეორე

მარბეს ფსიქოლოგიური კონცეფციის კრიტიკა

გასაგებია, რომ ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების არსებობის აუცილებელ პირობას ფსიქოლოგიის საგნის ერთმნიშვნელოვანი დადგენა წარმოადგენს. მაშასადამე, მარბეს ფსიქოლოგიური კონცეფციის შეფასებისას პირველ რიგში უნდა ვიკითხოთ, თუ რამდენად შეძლო მან ამის გაკეთება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიის საგნის დადგენა ფსიქიკისა და აზროვნების გაყოფის გზითაა მხოლოდ შესაძლებელი; ესაა ერთადერთი გზა, რომელიც შესაძლებლად ხდის როგორც ფსიქოლოგიის კრიზისის დაძლევას, ისე ფსიქოლოგიზმის საშიშროების გადალახვას. მარბე ფსიქოლოგიის საგნის დადგენას შეეცადა არა ფსიქიკისა და აზროვნების, არამედ თვითონ განცდების (რომელშიაც იგი გულისხმობდა ცნობიერების პროცესებს მთლიანად) ორ სფეროდ გაყოფით: მისთვის ხომ აზროვნებაც განცდაა და არა განცდებისაგან დამოუკიდებელი ინსტანცია. ეს გარემოება, ცხადია, შეუძლებელს ხდის როგორც ფსიქოლოგიის საგნის ერთმნიშვნელოვან დადგენას, ისე ლოგიკის (აზროვნების შემსწავლელი მეცნიერების) ფსიქოლოგიიდან გამოყოფას

მარბეს აზრით, ფსიქოლოგიის საგანია განცდები[1]. მაგრამ ფსიქოლოგია პოზიტიური მეცნიერებაა, ხოლო პოზიტიური მეცნიერების ნიადაგზე დგომისას არ შეიძლება უარვყოთ, რომ „...ადამიანის ყველა სულიერი პროცესი ტვინში მიმდინარე პროცესებთანაა მტკიცე კოორდინაციაში"[2]. გრძნობადი აღქმები დამოკიდებულია გამღიზიანებელსა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიმდინარე პროცესებზე. ამიტომ ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს არა მარტო გან-

---

[1] K. Marbe, «Urteil», S. 5.

[2] K. Marbe, Grundzüge d. forensischen Psychologie, S. 109.

ცდები. არამედ ამასთანავე უნდა გაიგოს ისინი, როგორც იმ საგანთა ფუნქციები, რომლებზედაც დამოკიდებულია მათი აღმოცენება[3].

როგორც ვხედავთ, მარბე უშვებს, რომ სულიერი პროცესები დაკავშირებულია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში (ტვინში) მიმდინარე პროცესებთან. გასაგებია, რომ სულიერისა და ფიზიოლოგიურის ამ კავშირში მათი ფუნქციონური და არა მიზეზობრივი დამოკიდებულებაა ნაგულისხმევი; მაგრამ როგორ ხორციელდება ეს დამოკიდებულება? ამის ასახსნელად მარბე ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორიას იყენებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კონტექსტში (პოზიტიური მეცნიერების თვალსაზრისით) უბრალოდ აღიარებულია ორი, ფიზიკური და სულიერი სამყაროს არსებობა და მათი ურთიერთმოქმედების შესაძლებლობა. დავანებოთ თავი იმ ფაქტს, რომ მარბეს არ ჰქონდა უფლება სულიერისაგან დამოუკიდებლად არსებული ფიზიკური სამყაროს დაშვებისა და ვიკითხოთ, თუ როგორ ხორციელდება ეს ურთიერთმოქმედება.

როგორც ცნობილია, ფსიქოფიზიკური პარალელიზმის ერთი ფრთა (ე. წ. ემპირიული პარალელიზმი) სულისა და სხეულის კანონზომიერი კავშირის უბრალო კონსტანტირებით კმაყოფილდება: მისი აზრით, სულისა და სხეულის ურთიერთმოქმედება შეუძლებელია, რადგან იგი დაარღვევდა ენერგიის შენახვის პრინციპს; მაგრამ ასეთი ურთიერთმოქმედება გამოცდილებაში მოცემული ფაქტია. მარბე ძირითადად ემპირიული ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თვალსაზრისს იზიარებს, მაგრამ ეს თვალსაზრისი არაა მასთან გატარებული ერთმნიშვნელოვნად. უფრო სწორად, მას იგი მხოლოდ პოზიტივური მეცნიერების პოზიციაზე დგომისას იცავს.

მაგრამ ფაქტის უბრალო კონსტანტირებით ხომ არც პოზიტიური მეცნიერება კმაყოფილდება! თუ მეცნიერება მხოლოდ ფაქტების შეგროვებისა და მათი უბრალო კონსტანტირების პრინციპს იცავს, მაშინ იგი მეცნიერებადაც ვერ ჩაითვლება. ფაქტები საჭიროებენ ახსნას. ახსნა კი თვალსაზრისს მოითხოვს.

ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთმოქმედებაც გამოცდილებაში მოცემული ფაქტია, რომელიც ახსნას საჭიროებს. როგორ ხორციელდება იგი? როცა ასეთი კითხვა წამოიჭრება, მარბე მაშინვე ტოვებს ემპირიული ფსიქოფიზიკური პარალელიზმის პოზიციებს (რომელიც არასგზით არ ეგუება მის ფილოსოფიურ თვალსაზრისს) და ე. წ. „განხილვის წესის" თვალსაზრისზე დგება. ასეა, მაგალითად, ეს მარბეს „პიროვნებისა და მოტორული განწყობის თეორიაში", სა-

---

[3] K. Marbe, «Urteil», S. 5—6.

ცა იგი გარემოებამ აიძულა უშუალოდ შეხებოდა სულიერი და სხეულებრივი პიროვნების ურთიერთკავშირის პრობლემას. რა გზებით ხორციელდება ეს კავშირი? გასაგებია, რომ ემპირიული ფსიქოფიზიკური პარალელიზმის პოზიციებიდან ამ საკითხზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. მარბემ, ცხადია, იცის ეს ამბავი და ამიტომ, როცა საამისო საჭიროება დადგება, იგი ტოვებს ემპირიული ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორიას და ფსიქოფიზიკური იგივეობის თვალსაზრისზე გადადის. ამის ნათელი დადასტურებაა, კერძოდ, ერთი ადგილი მარბეს დასახელებული ნაშრომიდან, სადაც იგი მოძრაობათა ახსნის საკითხს ეხება. აი რას წერს იგი აქ:

„..შეიძლება ჩვენი მსჯელობის წინააღმდეგ წმიდა ფიზიოლოგიური თვალსაზრისი წამოაყენონ და თქვან, რომ კონკრეტული მოძრაობები, რადგანაც ისინი სხეულებრივი სამყაროს პროცესები არიან, მთლიანობაშიც წმიდა სხეულებრივად (ფიზიოლოგიურად) აიხსნებიან... მაგრამ სანამ ასეთი წმიდა ფიზიოლოგიური ახსნა ვერ მოხერხებულა, მანამ ფსიქოლოგიური განხილვის მნიშვნელობაც უნდა ვცნოთ, რომელიც, გარდა ამისა.. რადგანაც იგი საგანს მეორე მხრიდან განიხილავს, ყოველთვის საინტერესო იქნება"[4]

როგორც ვხედავთ, მარბე აქ „განხილვის თვალსაზრისს" იცავს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი მხრიდან ვუყურებთ საგანს. ეს თვალსაზრისი უთუოდ კანონიერი შედეგია მარბეს მთლიანი მსოფლმხედველობისა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იგი არაა მასთან ერთმნიშვნელოვნად დაცული. მარბესთან სულისა და სხეულის ურთიერთობის ის გაგებაა ყოველთვის წინ წამოწეული, რომელიც მას მოცემულ სიტუაციაში აწყობს. პოზიტიური მეცნიერების (ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიის) საჭიროებისათვის იგი აღიარებს ფიზიკურისა და სულიერის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ არსებობას, მაგრამ უარყოფს ამას ფილოსოფიური თვალსაზრისით.

მაგრამ რამ უნდა გაამართლოს ორი თვალსაზრისის არსებობა ერთი და იმავე საგნის შესახებ? თუ ემპირიზმისა და მისგან გამომდინარე პოზიტივიზმის თვალსაზრისზე დავდგებით, მაშინ არა გვაქვს უფლება ვამტკიცოთ იმაზე მეტი, რასაც უშუალო გამოცდილება გვეუბნება. უშუალო გამოცდილება კი, მარბეს აზრით, უარყოფს სულიერისა და ფიზიკურის ურთიერთმოქმედების შესაძლებლობას. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რა გვაძლევს უფლებას უშუალო გამოცდილების სფეროდან გასვლისა?

---

[4] K. Marbe, Theorie d. motorische Einstellung und Persönlichkeit, Zschr f. Psychol., S. 319.

საერთოდ გაუგებარია, რატომ ვლაპარაკობთ ორი, სულიერი და სხეულებრივი პიროვნების შესახებ, თუ ისინი სინამდვილეში ერთ რაღაცას წარმოადგენენ. რატომ ქმნის ჩვენი თვალსაზრისი, თუნდაც პოზიტიური მეცნიერების პოზიციებზე დგომისას, ორ საგანს? ამ კითხვის პასუხად მარბეს მხოლოდ დისპოზიციის ცნებაზე შეუძლია მიუთითოს. მისი აზრით ხომ გარესამყაროს დაშვების საფუძველი დისპოზიციითაა განპირობებული. მაგრამ იოლი შესამჩნევია, რომ დისპოზიციის ცნება აქ ვერაფერს აგვიხსნის, რადგან იგი მეორეული წარმოშობისაა და მაშასადამე თვითონ საჭიროებს ახსნას. საკითხი ხომ სწორედ იმას ეხება, თუ რამ განაპირობა ამ დისპოზიციის აღმოცენება!

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მარბესთან ყოველთვის იგრძნობა ერთგვარი ნაძალადევი კონსტრუქციები, რომელიც სინამდვილის სუბიექტივისტური თეორიის საზღვრებში ვერმოთავსებითაა განპირობებული. ეს გარემოება განსაკუთრებით შეიმჩნევა მარბეს განწყობის თეორიაში, რომლის კრიტიკული განხილვაც წინამდებარე შრომის ძირითად ამოცანას შეადგენს.

განწყობის თეორიის კრიტიკული შეფასება უპირველეს ყოვლისა იმ ფაქტზე მითითებით უნდა დავიწყოთ, რომ მარბეს არ მოუცია განწყობის ცნების ერთმნიშვნელოვანი და დამაკმაყოფილებელი განსაზღვრება. მართლაც და, რას უნდა ნიშნავდეს იმის განცხადება, რომ განწყობა არის თანშობილი დისპოზიციების, ცხოვრების გამოცდილებისა და სომატური ფაქტორების ფუნქცია? ცხადია, აქ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ფუნქცია, ეს წარმონაქმნი, მეორეული რაღაცაა და პიროვნების სულიერ ცხოვრებას იმდენად განსაზღვრავს, რამდენადაც იგი მის (პიროვნების) ჰაბიტუსში შევა. ამ შემთხვევაში განწყობის მარბესეული განსაზღვრა დაემთხვეოდა ამ ცნების კლაინტისეულ განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც განწყობა არის პიროვნების „...წარსული გამოცდილებების ჯამი"[5], მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი განსაზღვრება აშკარა წინააღმდეგობაშია თვითონ მარბეს თეორიასთან, რომლის მიხედვითაც განწყობა პიროვნების სულიერი ცხოვრების ერთადერთ განმსაზღვრელად უნდა წარმოვიდგინოთ: გამოცდილება (განწყობა) თუ პიროვნების მეორეული შენაძენია, იგი შეიძლება პიროვნების ნაწილად იქცეს, მაგრამ შეუძლებელია, რომ პიროვნების ყოველგვარი გამოვლინება ამიერიდან მისით განისაზღვროს.

---

[5] H. Kleint. Über den Einfluß der Einstellung auf die Wahrnehmung. ArGsPs, Bd 51, 1925. S. 338.

განწყობის ცნების დეფინიციისათვის შემდეგ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: როგორც აღნიშნული იყო, მარბემ განწყობას დისპოზიცია უწოდა. ამასთანავე მას არ მოუცია იმის განმარტება, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს. ერთი და იგივეა განწყობა და დისპოზიცია, თუ არის მათ შორის რაიმე განსხვავება? მეორეს მხრით, თუ პიროვნება, როგორც ეს მარბეს მიაჩნია, თანშობილი და შეძენილი დისპოზიციებისაგან შედგება, მაშინ პიროვნებაც განწყობათა ჯამი გამოდის და მეტი არაფერი. აქედან ცხადია, რომ განწყობის ცნების განმარტებისათვის საჭიროა ამ ცნების მიმართების გარკვევა დისპოზიციისა და პიროვნების ცნებებთან; შესაძლებელია თუ არა მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა?

ჯერ დისპოზიციის ცნების შესახებ: ეს ცნება ლაიბნიცისა და ჰერტლის შემდეგ იხმარება მეცნიერებაში. საერთოდ, დისპოზიციას უწოდებენ ფსიქოფიზიკური ორგანიზმის მიდრეკილებას რაიმე მოქმედებისადმი. ამასთან, განასხვავებენ თანდაყოლილ და შეძენილ (პრიმარულ და სეკუნდარულ) დისპოზიციებს[6].

ლაიბნიცი, მაგალითად, თვლიდა, რომ ყველაფერი, რასაც სული კეთებს, მასში დისპოზიციის სახითაა მოცემული. მაგრამ სულის კუთვნილებად შეძენილი დისპოზიციებიც შეიძლება იქცეს. ეს შეძენილი დისპოზიციები წარსული ცნობიერების პროცესთა რეზიდუმებს წარმოადგენენ და ისინი, ჩვეულებრივ, არაცნობიერნი არიან.

ფეხნერის მიხედვით, დისპოზიცია ცნობიერი მოქმედების ნაშთია. „იგი შედის მთელ ჩვენს მომავალ ცნობიერ მოქმედებებში, როგორც ფორმისა და მიმართულების მიმცემი"[7].

ლიპსი დისპოზიციაში ხედავს არაცნობიერ ფსიქიკურ მდგომარეობას. „ისინი იწვევენ წარმოდგენებს იმით, რომ თვითონ სხვათა მიერ აღიძვრიან მოქმედებისაკენ"[8].

ფიზიოლოგიური დისპოზიციების შესახებ უკვე დეკარტი ლაპარაკობდა.

განსხვავდება თუ არა მარბესეული განწყობის ცნება (სულერთია, იქნება ეს მთლიანპიროვნული განწყობა თუ მოტორული განწყობა მხოლოდ) დისპოზიციის „ძველი" ცნებისაგან? დისპოზიციის ზემომოყვანილი განმარტებებიდან ჩანს, რომ ასეთი განსხვავების პოვნა შეუძლებელია. და რაკი ეს ასეა, (ხოლო ეს რომ ასეა, ამას თვითონ მარბეც აღიარებს დისპოზიციისა და განწყობის ცნებების

---

[6] Eisler, Wörterbuch d. Philosophischen Begriffe, S. 242, 1910.
[7] Fechner, Zend. Avesta, I, S. 280.
[8] Lipps, Grundz. d. Seelenleben, S. 96.

გაიგივებათ), მაშინ ერთი და იმავე ფენომენის აღმნიშვნელი ორი ცნების არსებობაც გაუმართლებელია. მით უმეტეს გაუმართლებელია ახალი ცნების (უფრო სწორად: ახალი ტერმინის) შემოღება მაშინ, როცა იგი სინამდვილეში არაფერს ახალს არ შეიცავს.

ახლა პიროვნებისა და განწყობის ცნებების ურთიერთმიმართებისათვის: პიროვნებას მარბე უწოდებს თანშობილ და შეძენილ დისპოზიციათა მთლიანობას[9]. განწყობისა და დისპოზიციის ცნებათა გაიგივების შემდეგ გასაგებია, რომ პიროვნების ცნების განმარტებასაც შესატყვისი მოდიფიკაცია უნდა განეცადა და ამით პიროვნებისა და განწყობის ცნებებიც უნდა გაიგივებულიყო. მარბესთან ეს ასეც მოხდა. ამ გარემოებას კი აუცილებლობით უნდა შეეტანა მის თეორიაში ტავტოლოგიის მომენტი: განწყობით პიროვნების სულიერი ცხოვრების ახსნა, პიროვნებისა და განწყობის ცნებათა გაიგივების შემდეგ, იმას ნიშნავს, რომ პიროვნების სულიერი ცხოვრება პიროვნებით იქნას ახსნილი. ცხადია, არაფერი იქნება გასაოცარი იმაში, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრება მისი პიროვნებით იყოს განსაზღვრული, მაგრამ ამით ხომ არაფერი არაა გარკვეული! შემოტანილია უბრალოდ ახალი სიტყვა, რომელიც ახსნის ილუზიას ქმნის მხოლოდ, მაგრამ სინამდვილეში ვერაფერს ხსნის.

ყოველივე ეს, ცხადია, საკითხის ფორმალური მხარეა. შევეხოთ ახლა მის შინაარსობლივ მომენტებს.

მარბეს განწყობის თეორიის გაცნობისას არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს განწყობის წარმოშობის საკითხის ორპოფულმა გადაწყვეტამ. გასაგებია რომ ამ საკითხს, პიროვნებისა და განწყობის ცნებების გაიგივების შემდეგ, არსებითი მნიშვნელობა აქვს განწყობის თეორიისათვის. თუ განწყობა მხოლოდ მემკვიდრეობით ფენაში ლოკალიზდება, მაშინ გვექნება თეორია რომელიც თანშობილი პიროვნების ცნებას უნდა უარყოფდეს. პრინციპულად მარბესთან ეს ასეც უნდა იყოს. განწყობას ხომ მარბე თანშობილი დისპოზიციების, სომატური ფაქტორებისა და ცხოვრების გამოცდილების ფუნქციას უწოდებს[10]. თუ ამ განმარტებას დავეყრდნობით, მაშინ განწყობა პიროვნების შეძენილ დისპოზიციებს უნდა ეწოდოს მხოლოდ; იგი გაგებული უნდა იქნას, როგორც პიროვნების აბსოლუტურად ახალი შენაძენი.

მარბეს არ შეეძლო ბოლომდე დაეცვა ეს შეხედულება. იგი იძულებული შეიქნა დაეშვა თანშობილი განწყობების არსებობაც.

---

[9] K. Marbe, Über Einstellung und Umstellung, S. 43.

[10] იქვე, გვ. 44.

ეს იძულება, როგორც ჩანს, შემდეგი გარემოებით იყო განპირობებული: თუ განწყობას მარტო შეძენილ დისპოზიციებს ვუწოდებდით, მაშინ განწყობა კარგავდა სულიერი ცხოვრების ერთადერთი განმსაზღვრელის მნიშვნელობას. მარბესათვის ხომ პიროვნება ორნაირი, თანშობილი და შეძენილი დისპოზიციებისაგან შედგება და მაშასადამე პიროვნების სულიერი ცხოვრებისათვის თანშობილი დისპოზიციების როლის უგულებელყოფაც ვერ იქნებოდა გამართლებული. განწყობის (შეძენილი დისპოზიციების) გარდა ცნობიერების ცხოვრების განმსაზღვრელის როლი თანშობილ დისპოზიციებსაც უნდა მინიჭებოდათ. ამით განწყობის უნივერსალური მნიშვნელობა იმთავითვე უნდა უარგვეყო; ეს კი განწყობის თეორიის გაუქმებას ნიშნავდა.

ამ საშიშროებიდან თავის დასაღწევად ორი გზა არსებობდა: 1. შეიძლებოდა განწყობის ცნებას დაბრუნებოდა ის მნიშვნელობა, რომელიც მას მარბემდე გააჩნდა. ამ შემთხვევაში მარბეს განწყობის თეორია უნდა გაუქმებულიყო. 2 შეიძლებოდა თანშობილი განწყობების დაშვება (თანშობილი დისპოზიციების სახით). რომლებიც ქცევის ისეთივე სრულუფლებიანი განმსაზღვრელები იქნებოდნენ, როგორიც შეძენილი დისპოზიციები.

არსებობდა კიდევ ერთი გამოსავალი: სახელდობრ, შეიძლებოდა თანშობილი პიროვნების (თანშობილი დისპოზიციების) ცნების უარყოფა, და იმის თქმა, რომ პიროვნება მხოლოდ ცხოვრების მანძილზე იქმნება, რომ იგი დაბადებამდე სუფთა დაფაა და ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას დაწერს ამ დაფაზე ცხოვრების გამოცდილებები. თანშობილი პიროვნების არსებობის უარყოფის ნაცვლად მისი უგულებელყოფაც იყო შესაძლებელი: შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ ცხოვრების გამოცდილებებს შეუძლიათ მიჩქმალონ და დათრგუნონ თანშობილი დისპოზიციები.

პირველი შესაძლებლობა (განწყობის გამოცხადება სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ, და არა ერთადერთ განმსაზღვრელად) მარბესათვის იმთავითვე იყო გამორიცხული. რადგან მისი თეორია სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებდა.

თანშობილი პიროვნების უარყოფა ან უგულებელყოფა ყველაზე მეტად შეესაბამებოდა განწყობის თეორიას. ამის შედეგი იყო მარბესთან „მომენტური პიროვნების" ცნება, რომელიც მის თეორიას ბოლომდე შერჩა, როგორც ამ თეორიის არსებითი ნაწილი. მაგრამ მომენტური პიროვნების ცნებამ ახალი საშიშროების წინაშე დააყენა მარბეს თეორია: ეს ცნება ხომ პიროვნების განუწყვეტელ ცვალუბადობას გულისხმობს. იგი კრებითი ცნებაა მუდმივად ცვა-

ლებადი განწყობებისა და მეტი არაფერი. თუ პიროვნებას ასეთი განწყობების ნაკრებად გავიგებთ, ხოლო მის სულიერ ცხოვრებას ასეთივე მუდმივად ცვალებადი განწყობების ფუნქციად გამოვაცხადებთ, მაშინ თვითონ პიროვნების ცნება გვეცლება ხელიდან. თუ პიროვნება მომენტური განწყობების პირობითი სახელია და მეტი არაფერი, მაშინ შეუძლებელია პიროვნების, როგორც ქცევის სუბიექტის შესახებ ლაპარაკი. მეორეც, თუ ადამიანის სულიერ ცხოვრებას ასეთი, მუდმივად ცვალებადი და წარმავალი განწყობების ფუნქციად გამოვაცხადებთ, მაშინ სულიერი ცხოვრების შესწავლაზე უნდა ავიღოთ საერთოდ ხელი, რადგან ასეთ შემთხვევაში ყოველგვარ წერსიგსმოკლებულ უთავბოლო ქაოსთან გვექნებოდა საქმე.

გასაგებია, რომ აქით განწყობის ცნება, პიროვნებისა და მისი სულიერი ცხოვრების ახსნის მაგივრად, პიროვნებისა და მისი სულიერი ცხოვრების უარყოფას იწვევდა. ცხადია რომ ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიაც უსაგნოდ რჩებოდა.

როგორც ვთქვით, თანშობილი პიროვნების უარყოფის მაგივრად, მარბეს შეეძლო მისი უგულებელყოფა მოეხდინა. სახელდობრ, შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ, მიუხედავად ადამიანის თანშობილი დისპოზიციების არსებობისა, შესაძლებელია მათი მოქმედების დათრგუნვა. ამ შემთხვევაში უნდა დაგვეშვა, რომ ერთ პიროვნებაში ორი ანტაგონისტური პიროვნებაა მოთავსებული[11]. მაგრამ ეს შეხედულება კვლავ ეჭვის ქვეშ დააყენებდა განწყობის უნივერსალური მნიშვნელობის მტკიცებას პიროვნების სულიერი ცხოვრებისათვის, რადგან რისიმე უარყოფა უარმყოფელსაც განსაზღვრავს და, მაშასადამე, ასე თუ ისე, მაინც მისითაა დეტერმინირებული. გარდა ამისა, აქაც იმავე შედეგამდე მივიდოდით, სადამდეც პირველ შემთხვევაში: განწყობა კარგავდა უნივერსალურ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას.

ალბათ ყოველივე ამის გამო მარბემ სხვა გზა აირჩია. მან დაუშვა თანშობილი განწყობების არსებობა. ბუნებრივია, რომ თანშობილი განწყობები თანშობილ დისპოზიციებთან უნდა გაიგივებულიყო, ამას განწყობის თეორია მოითხოვდა უშუალოდ. საინტერესოა, რომ თანშობილი განწყობების დაშვებას მარბესთან არ გამოუწვევია მისი ძირითადი დებულების შეცვლა: განწყობა მისთვის სამუდამოდ დარჩა პიროვნების თანშობილი დისპოზიციებისა და კრიტიკულ გამოცდილებათა ფუნქციად.

---

[11] მარბესთან რომ საკითხის ასეთი გაგება შესაძლებელი, ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. განწყობის თეორიისა და სიღრმის ფსიქოლოგიის (ფროიდის) შეხების წერტილიც სწორედ ამ მომენტშია საძიებელი.

რადგანაც მარბე პიროვნების თანშობილ ფენას პიროვნების აბსოლუტურად კონსტანტურ ფენად მიიჩნევს[12], ამით ამიერიდან ერთ პიროვნებაში ფაქტიურად ორი, თანშობილი, აბსოლუტურად კონსტანტური და შეძენილი, ასევე აბსოლუტურად ცვალებადი პიროვნება აღმოჩნდა გაერთიანებული. ბუნებრივია, რომ გადასაჭრელია საკითხი ამ ორი პიროვნების ურთიერთკავშირის ფორმის შესახებ. როგორ უნდა ვიაზროთ იგი?

ორი, აბსოლუტურად საპირისპირო პიროვნების ურთიერთკავშირი და გაერთმთლიანება ისევ ან პიროვნების თანშობილი მხარის უგულებელყოფით იყო შესაძლებელი, ანდა შეძენილი განწყობების თანშობილ განწყობებზე დაყვანით. პირველ გზას, როგორც ზემოთ ვნახეთ, პიროვნებისა და მისი სულიერი ცხოვრების ფაქტიურ უარყოფამდე უნდა მივეყვანეთ. ამიტომ მარბემ მეორე გზა აირჩია: მან შეძენილი განწყობები თანშობილ განწყობათა მოდიფიცირებად გამოაცხადა. აღმოჩნდა, რომ ამა თუ იმ განწყობის შეძენის შესაძლებლობაც პიროვნებას იმთავითვე აქვს მოცემული დისპოზიციის ან იმავე განწყობის სახით[13].

უფრო მკვეთრად აქვს ეს აზრი გამოთქმული მარია ცილიგს[14], რომლის შრომაც მარბეს ხელმძღვანელობითაა ჩატარებული და რომელსაც მარბე ხშირად იმოწმებს. ამ შრომაში მარია ცილიგი ამტკიცებს როგორც თანშობილი განწყობების არსებობას, ისე იმასაც, რომ მომენტური განწყობები ბევრ შემთხვევაში ასეთ თანშობილ ძირითად განწყობებზე დაიყვანებიან[15], ანდა მათ გამოვლინებას წარმოადგენენ.

თვითონ მარბემ თავის „უბედური შემთხვევებისა და საწარმოო ტრავმათა პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში" არა ერთი გვერდი დაუთმო იმის მტკიცებას, რომ მცდარია ის შეხედულება, რომელიც თანშობილ დისპოზიციათა მნიშვნელობას უარყოფს[16]. აქვე მოჰყავს მარბეს ვრცელი სტატისტიკური მასალა იმის საჩვენებლად, რომ მარცხი და დანაშაული ადამიანთა განსაზღვრულ კატეგორიასთანაა ყოველთვის დაკავშირებული. ამ სტატისტიკური მასალისა და თეორიული მოსაზრების საფუძველზე მარბეს გამოჰყავს თავისი „განმეორების კანონი", რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ენდოგენუ-

---

12 K. Marbe, Praktische Psychologie.... S. 14.

13 K. Marbe, Theorie d. motorische Einstellung und Persönlichkeit. S. 310.

14 M. Zillig. Einstellung und Aussage. Zschr f. ang. Psychol.. Bd 106.

15 იქ., გვ. 12.

16 K. Marbe, Praktische Psychol., S. 15. ff.

რი მიდრეკილებანი იმავე ან მსგავს პირობებში იმავე ან მსგავს მოქმედებას იწვევს[17]. ამ კანონის პრაქტიკული გამოყენება, მარბეს აზრით, უნდა მოხდეს ფსიქოტექნიკაში: რადგანაც ადამიანის თანშობილ მიდრეკილებათა შეცვლა შეუძლებელია, ამიტომ სხვა გამოსავალი არაა, გარდა იმისა, რომ ადამიანი ფსიქოტექნიკური შემოწმების შემდეგ იმ სამუშაოზე დავაყენოთ, რომელიც მის თანშობილ დისპოზიციებს ყველაზე ნაკლებ ეწინააღმდეგება[18].

მაგრამ განწყობის თეორიას ამით მისი უმთავრესი საფუძველი გამოეცალა: მომენტური პიროვნების ცნებამ ყოველგვარი რეალური მნიშვნელობა დაკარგა. განწყობის თეორია მაშინ იქნებოდა რეალური საფუძვლის მქონე, თუ აღმოჩნდებოდა, რომ შესაძლებელია პიროვნების განწყობის ნებისმიერი შეცვლა, თუ არსებობს რეალური შესაძლებლობა პიროვნების ნებისმიერი განწყობის შექმნისა. მაგრამ მარბესთან აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში ადამიანი არავითარ ახალ განწყობას თუ დისპოზიციას არ შეიძენს; რომ შეძენილი დისპოზიციები თანშობილ დისპოზიციათა მოდიფიცირებაა მხოლოდ და ეს მოდიფიცირებაც ამასთან ყოვლად არამყარი და არამუდმივია: მათი ანულირება ხომ, როგორც ამას თვითონ მარბე ამტკიცებს, ყოველთვის შეუძლია თანშობილ (ენდოგენურ) დისპოზიციებს. ამასთანავე, თანშობილი დისპოზიციის ასეთი „ზერელე "მოდიფიკაციის შესაძლებლობაც იმთავითვე უნდა იყოს მოცემული პიროვნების თანშობილი დისპოზიციის სახით, და, მაშასადამე, არ არსებობს არავითარი შეძენილი პიროვნება. ყველაფერი იმთავითვეა დეტერმინირებული და რაღა საჭიროა მაშინ განწყობისა და განწყობის შეცვლის თეორიები?

საინტერესოა, რომ ამ გარემოებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია მარბეს მსოფლმხედველობაზე. იმავე „უბედური შემთხვევებისა და საწარმოო ტრავმათა პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში", საცა ასე ხაზგასმითაა აღნიშნული პიროვნების თანშობილ დისპოზიციათა შეცვლის შეუძლებლობა, ასევე ენერგიულადაა წინ წამოწეული მომენტური პიროვნების ცნებაც, რომლის გამართლება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ თანშობილ დისპოზიციათა რეალური შეცვლაა შესაძლებელი. მარბე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პიროვნების დისპოზიციად მისი ჰაბიტური განწყობაც შეიძლება იქცეს და იძლევა პრაქტიკულ წინადადებებს, ასეთ ჰაბიტურ განწყობათა გამომუშავების

---

[17] იქვე, გვ. 80.
[18] იქვე, გვ. 69.

გაადვილებისათვის (აგიტაცია, პროპაგანდა, ჯილდო, სასჯელი და სხვ.)

საერთოდ, მარბე ბოლომდე იმ აზრისა დარჩა, რომ „მიუხედავად კონგენიტალური ფაქტორების უდიდესი მნიშვნელობისა, პიროვნება მაინც განუწყვეტლივ იცვლება", ე. ი., მიუხედავად იმისა, რომ პიროვნება უცვლელია (კონგენიტალური ფაქტორების უდიდესი მნიშვნელობა სხვაგვარად არ შეიძლება გავიგოთ), იგი მაინც განუწვეტლივ იცვლება.

არ არის მარბესთან დაცული განწყობის ცნების გამოყენების ერთმნიშვნელოვანებაც. განწყობა ერთ შემთხვევაში ცნობიერების ცხოვრების განმსაზღვრელია, ცნობიერების ცხოვრება განწყობის ფუნქციაა. ამ კონტექსტში, ცხადია, გამორიცხული უნდა იყოს განწყობის ცნობიერებაში მოცემულობის შესაძლებლობა: ცნობიერების ცხოვრების განმსაზღვრელი უთუოდ ცნობიერების გარეთ უნდა იმყოფებოდეს. მაგრამ სხვა შემთხვევაში განწყობა ცნობიერების ფაქტია, იგი ცნობიერების მდგომარეობის, თუ წყობის განცდაა და როგორც ასეთი, ცნობიერია. მაგრამ თუ ის, რამაც ცნობიერების ცხოვრება უნდა გახადოს გასაგები, ცნობიერებაშივე იქნება წარმოდგენილი, მაშინ ამხსნელი ცნება ვერ მოგვიძებნია სწორად, რადგან ცნობიერების ახსნა ცნობიერებიდან გასვლას მოითხოვს.

მარბესთან განწყობა ცნობიერების ცხოვრების ამხსნელ-ცაა და ცნობიერების ფაქტიც ამავე დროს. ეს გარემოება არაა შემთხვევითი მოვლენა მარბესთვის: იგი უთუოდ მისი მთლიანი თვალსაზრისის კანონზომიერი შედეგი იყო. რაკი მარბემ ვერ მოახერხა (ან არ მოისურვა) ფსიქიკისა და აზროვნების სფეროთა გაყოფა, ამის შემდეგ, ცხადია, შეიძლებოდა სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელი ფენომენის ასეთი გაგება, სახელდობრ, გაგება როგორც ისეთი ფაქტორისა, რომელიც შეიძლება ცნობიერებაშიც მოქმედებდეს და ფსიქიკაშიც.

ამასთან დაკავშირებით, სიმპტომატურია ის გარემოება, რომ მარბე ორნაირ განწყობას განასხვავებს: ნებისმიერსა და უნებურს. ნებისმიერი განწყობა, როგორც მარბესთან, ისე მის მოწაფეებთან, ცნობიერი განწყობაა. პიროვნებამ იცის, როგორც ამბობს ცილგი, რომ მასში ასეთი განწყობა მოქმედებს. მარბე ამტკიცებს, რომ ეს ორი განწყობა ერთმანეთში გადადის. საკითხავია, როგორია ცნობიერი განწყობის როლი ცნობიერების ცხოვრებაში? წარმოადგენს ცნობიერების ცხოვრება მის ფუნქციას თუ არა? მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა მივიღოთ, რომ ცნობიერების ცხოვრება ცნობიერების ერთ-ერთი ფაქტითაა განსაზღვრული. ასეთი მტკიცების უკანონობა

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა: თუ ის, რითაც ცნობიერება უნდა აიხსნას, ცნობიერებაში იქნება მოცემული, მაშინ საძიებელიც აღარაფერია; ცნობიერებაში მოცემულს ხომ უშუალოდ ვწვდებით?

ცხადია, აქ ფსიქიკური ცხოვრების საზრისის საკითხი იდგა მარბეს წინაშე. ფსიქიკისა და ცნობიერების გაყოფა მოითხოვდა საზრისის დადგენას როგორც ცნობიერების ცხოვრებისათვის, ისე ფსიქიკის მუშაობისათვის. თუ ცნობიერების ცხოვრების საზრისი ფსიქიკაში იქნებოდა მოცემული, მაშინ ფსიქოლოგიზმს გვერდს ვერ ავუქცევდით. მაგრამ ფსიქიკურის საზრისის ცნობიერებაში არსებობის აღიარება უკვე ლოგიციზმი იქნებოდა ფსიქოლოგიაში. მარბე თავისებურად შეეცადა თავი დაეღწია ამ დილემისათვის: მან ერთი საზრისი მისცა ორივეს, ფსიქიკასა და ცნობიერებას და ამით, საბოლოოდ, გამოუვალ წინააღმდეგობაში მოექცა: მასთან გაუმიჯნავი დარჩა როგორც ფსიქიკა და ცნობიერება, ისე მათი მუშაობის განმსაზღვრელი პრინციპიც.

ამან განაპირობა, თავისი მხრით, ის გარემოება, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრების ამხსნელის როლი ემპირიულ ფსიქიკურ, ან საერთოდ სულიერ ფაქტს დაეკისრა ბოლოს და ბოლოს. განწყობა ხომ ერთ-ერთი ფაქტია სულიერი ცხოვრებისა! არაა გასაოცარი ამიტომ, რომ სულიერი ცხოვრების ერთეულმა ფაქტმა ვერ შეძლო მთლიანი სულიერი ცხოვრების ახსნა. განსაკუთრებით ნათლად ეს შეუძლებლობა განწყობის თეორიისა და განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაცემების დაპირისპირებიდან ჩანს.

განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის დანიშნულება, ცხადია, განწყობის თეორიის გამართლებაში მდგომარეობდა. ექსპერიმენტულ მონაცემს უნდა დაედასტურებინა თეორია. როგორც ვიცით, განწყობის ცნების მარბესეული გაგების სიახლე მდგომარეობდა განწყობის უნივერსალური ფსიქიკური მნიშვნელობის აღიარებაში, იმის მტკიცებაში, რომ „მთელი ჩვენი ცნობიერების ცხოვრება არსებითად განწყობის ფუნქციაა", რომ „ფსიქოლოგიის უდიდესი ნაწილი არსებითად განწყობის ნიშნის ქვეშ დგას". ეს იყო, როგორც აღვნიშნეთ, თეორიული სიახლე. მაგრამ მარბეს სახელი უფრო მეტად (და შეიძლება ითქვას, უფრო სამართლიანადაც) დაკავშირებულია განწყობის ფაქტების ექსპერიმენტულ კვლევა-ძიებასთან. განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შექმნის პრიორიტეტი უთუოდ კარლ მარბეს მიეკუთვნება.

გაამართლა თუ არა განწყობის ექსპერიმენტულმა მონაცემებმა განწყობის თეორია? აქ უპირველეს ყოვლისა იმ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, რომ მარბე ექსპერიმენტულად იკვლევს

განწყობის აღქმაზე გავლენის ხარისხს. იგულისხმება. რომ თუ აღქ-მის გეშტალტი ყოველთვის პიროვნების განწყობისდაგვარად იქნება ჩამოყალიბებული, მაშინ განწყობის თეორია გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. რას გვეუბნება ამ თვალსაზრისით მარბეს მიერ მოყვანილი განწყობის მოქმედების მაჩვენებელი ფაქტები? გავარჩიოთ, მაგალითისათვის, მარბეს მიერ აღწერილი ცნობილი შემთხვევები მონადირისა და გარეული ღორის შესახებ.

ახალგაზრდა, გამოუცდელი მონადირე დარწმუნებულია, რომ იმ ადგილას, საცა თვითონაა ჩასაფრებული. გარეული ღორები უნდა გამოჩნდნენ. ბინდბუნდში, მოლოდინის შედეგად შექმნილი განწყობის საფუძველზე, პატარა გოგონებს იგი ღორის გეშტალტად აღიქვამს (გოგონები ღორად მოეჩვენება) და ესვრის მათ. ანალოგიურია მარბეს მიერ აღწერილი მეორე შემთხვევაც: მეტყველეს. დღისით. ღორად მოეჩვენა ბუჩქებში მჯდომი კაცი და მოკლა იგი. შეცდომის მიზეზი გახლდათ ის გარემოება, რომ იმ ადგილებში. საცა გარეული ღორი არავის ენახა. როგორღაც გამოჩნდა ერთი და, ბუნებრივია, ყველა აქაური მონადირეების ოცნებად მისი მოკვლა იქცა.

რომ ეს ფაქტები აღქმაზე განწყობის გავლენის მაჩვენებელია, შეიძლება უეჭველად ჩაითვალოს. აქ უთუოდ განწყობის ილუზიასთან გვაქვს საქმე. მაგრამ მარბე, თანახმად საკუთარი თეორიისა, გაცილებით შორს მიდის; მას ეს ფაქტები მიაჩნია იმის დამამტკიცებლად, რომ „აღქმა არ არის მხოლოდ შეგრძნებათა რეზულტატი. იგი აგრეთვე შეიცავს მაგეშტალტებელ ფაქტორსაც. რომელიც ცენტრალურადაა განპირობებული და რომელიც ყოველთვის პიროვნების განწყობისდაგვარადაა ჩამოყალიბებული“[19].

რამდენად უფლებამოსილია ასეთი დასკვნა? როგორც ვთქვით, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. რომ ზემოდასახელებულ შემთხვევებში საქმე გვაქვს განწყობის საფუძველზე მიღებულ მცდარ აღქმასთან. განწყობამ განაპირობა მცდარი აღქმის გეშტალტი. მაგრამ აქედან შეუძლებელია იმის დასკვნა, რომ საერთოდ ყოველგვარი აღქმის გეშტალტი განწყობაზეა დამოკიდებული. ზემოაღწერილ მაგალითებში, როგორც ამას თვითონ მარბეც აღიარებს, მცდარი აღქმა განაპირობა გაურკვეველმა ან ფრაგმენტულმა გამღიზიანებელმა, ახალგაზრდა, გამოუცდელი მონადირე, ისე იყო განმსჭვალული გარეული ღორის დანახვის სურვილითა და მოლოდინით, რომ „გაურკვეველ ან ფრაგმენტულ გამღიზიანებელს იგი გარეული ღორის გეშტალტის დანახვამდე უნდა მიეყვანა“. მარბე აქვე ლაპარაკობს იმის შესახებ,

---

[19] K. Marbe, Einstellung und Umstellung. S. 45.

რომ თითქმის ყველა ახალგაზრდა მონადირე, დაისში ან სიბნელეში. თითქმის ყოველგვარ საგანს ნადირის გეშტალტად აღიქვამს. მაგრამ ის, ვისაც ნადირობა საერთოდ არ აინტერესებს, მარბეს აზრით, „არასედოეს არ გახდება ასეთ ილუზიათა მსხვერპლი, თუნდაც მას იგივე შეგრძნება ჰქონდეს, როგორიც ახალგაზრდა მონადირეს"[20].

ჯერ ერთი, ჩვენი აზრით, აქ ვერაა გამართლებული რაღაც სპეციფიკურ „მონადირულ განწყობაზე" მითითება. ღამით მსგავსი ილუზიის მსხვერპლი ყოველი ნორმალური ადამიანი შეიძლება გახდეს. მაგრამ აქ უმთავრესი შედეგი გარემოებაა: მარბეს მსჯელობას მივყავართ აღქმის გეშტალტის შექმნაში შეგრძნებების როლის სრულ უარყოფამდე. გამოდის, რომ რაიმე განსაზღვრული განწყობის ქონა ყოველთვის განაპირობებს განსაზღვრულ აღქმას. რადგან „აღქმა... აგრეთვე შეიცავს მაგეშტალტებელ ფაქტორსაც. რომელიც ცენტრალურადაა განპირობებული"[21]. გასაგებია, რომ ამ თვალსაზრისით, შეგრძნებების როლი აღქმის გეშტალტის გამოწვევით შემოიფარგლება, ხოლო თვითონ გეშტალტს ყოველთვის განწყობა განსაზღვრავს; აღქმასა და შეგრძნებებს შორის, ამ გაგებით. ფუნქციონური დამოკიდებულებაა და არა მიზეზობრივი.

მაგრამ იძლევა თუ არა დასახელებული მაგალითები ასეთი დასკვნის გამოყვანის უფლებას? მარბე თვითონვე აღიარებს, რომ აქ განწყობამ განაპირობა გაურკვეველ ან ფრაგმენტულ გამღიზიანებელზე დამყარებული აღქმა. აქედან, უპირველეს ყოვლისა, ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ აღქმის გეშტალტი არ ყოფილა დამოკიდებული მხოლოდ განწყობაზე. განწყობამ ხომ, აღწერილ შემთხვევებში, გაურკვეველ გამღიზიანებელზე დამყარებული აღქმა ვანაპირობა. უეჭველია, რომ რა ძლიერი მოლოდინიც (იგივე განწყობა) არ უნდა ჰქონოდა მონადირეს ღორების დანახვისა, თუ იგი ნორმალური ადამიანი იყო, მას შუადღისას, ტრიალ მინდორზე მოსეირნე ადამიანი გარეულ ღორად არ მოეჩვენებოდა. გარდა ამისა. იმასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, თუ ვისი აღქმის გეშტალტი განაპირობა განწყობამ. როგორც მარბე ხაზგასმით აღნიშნავს, გამოუცდელი მონადირისა. რა მოხდებოდა, მონადირეებს რომ საკმაო გამოცდილება ჰქონოდათ? უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინ ისინი არ გახდებოდნენ აღწერილი ილუზიის მსხვერპლი.

აქედან კი უთუოდ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ არაფრით არაა გამართლებული აღქმის გეშტალტის პიროვნების გან-

---

[20] იქვე.
[21] იქვე.

წყობისდაგვარად განსაზღვრულობის თეორია. აღქმის გეშტალტი არაა მხოლოდ პიროვნების განწყობის წარმონაქმნი, მისი განმსაზღვრელი პიროვნების გარეთაა უპირველეს ყოვლისა საძიებელი.

ცხადია, რომ მარბე ვერ გაიზიარებდა ასეთ დასკვნას. მან ხომ სინამდვილე უშუალოდ მოცემულით შემოსაზღვრა და ცნობიერების საგნადაც ეს უშუალოდ მოცემული მიიჩნია. მაგრამ ცნობიერება ჭრძნობად აღქმებში გეშტალტს ვერ იპოვის. მარბეს თეორიის თანახმად, ცნობიერებამ უნდა შექმნას თავისი საგანი. მაგრამ რაკი ცნობიერების საგანი არაა რეალურად არსებული, ამიტომ იგი ვერც შეიქმნება რეალურად არსებული საგნისდა მიხედვით. ცნობიერებას თავისი საგნის შექმნა შეუძლია მხოლოდ პიროვნების განწყობისდაგვარად. ამ თვალსაზრისით, ცხადია, აღქმის გეშტალტი განწყობაზე უნდა იყოს ყოველთვის დამოკიდებული; მაშინ განწყობის ილუზიები სრულუფლებიან მაგალითებად უნდა ჩაითვალოს განწყობის ფენომენის უნივერსალური ფსიქოლოგიური მნიშვნელობის დასამტკიცებლად: მართალია, განწყობით განპირობებული აღქმა მცდარი, ილუზიური აღქმაა, მაგრამ მარბესთვის ხომ არც შეიძლება სხვანაირი აღქმა არსებობდეს: აღქმა ხომ გეშტალტის აღქმაა და რაკი გეშტალტი განწყობითაა განსაზღვრული, ამიტომ აღქმა ყოველთვის ილუზიურია.

როგორც ვხედავთ, ასეთი თეორია კარგად თავსდება მარბეს მსოფლმხედველობის ჩარჩოებში: თუ აღქმის გეშტალტი ყოველთვის სუბიექტის განწყობითაა განპირობებული, მაშინ ადამიანი გარესამყაროში იმას უნდა ხედავდეს, რაც მის ამგვარად განწყობილ ცნობიერებას შეაქვს იქ. მაგრამ მაშინ სად არის იმის გარანტია, რომ განწყობის თეორია და მისგან გამომდინარე შედეგები თვითონ არ წარმოადგენს ილუზიების შედეგად წარმოქმნილ მცდარ თვალსაზრისს?

ცხადია, თუ დამტკიცდებოდა, რომ აღქმის გეშტალტი ყოველთვის პიროვნების განწყობისდაგვარადაა ჩამოყალიბებული, მაშინ სხვა გამოსავალი აღარც იქნებოდა, გარდა მარბეს თეორიის მიღებისა. მაგრამ, როგორც ეს მარბეს მიერვე მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, განწყობა უკეთეს შემთხვევაში აღქმის გეშტალტის ერთ-ერთ, და არა ერთადერთ განმაპირობებლად შეიძლება ჩაითვალოს; გამღიზიანებლის თანამონაწილეობისა და თახაგახმსაზღვრელობის გარეშე აღქმა საერთოდ შეუძლებელია. ხოლო რაკი ეს ასეა, აღქმის გეშტალტის ჩამოყალიბებაში მისი როლის მნიშვნელობაც ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. განწყობა მხოლოდ მცდარ აღქმას განაპირობებს, როგორც დავრწმუნდით, და ისიც არა მთლიანად. მაგრამ ნორმალური ადამიანის ცნობიერების ცხოვრება ხომ მცდარი

აღქმებით არ ამოიწურება. მცდარ აღქმებს რომ ადგილი აქვს, ეს უდავოა. შეიძლება უდავოდ მივიჩნიოთ ისიც, რომ განწყობაა ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) ამ მცდარ აღქმათა განმაპირობებელი, მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ მთელი ჩვენი ცნობიერების ცხოვრება განწყობითაა განსაზღვრული, ანდა, რომ მთელი ჩვენი ცნობიერების ცხოვრება არსებითად განწყობის ფუნქციას წარმოადგენს.

საინტერესოა (და განწყობის თეორიის თვალსაზრისით საკმაოდ ბევრის მთქმელიც), რომ თვითონ მარბე, როგორც ჩანს, ვერ ამჩნევს იმ აშკარა შეუსაბამობას, რომელშიაც იმყოფება მისი განწყობის ფსიქოლოგიური თეორია მის მიერვე მოყვანილ განწყობის მოქმედების მაჩვენებელ ფაქტებთან. არანაკლებ საინტერესოა ის გარემოება, რომ ეს შეუსაბამობა ასეთივე, და ხშირად უფრო მკვეთრი რელიეფურობით მეღავნდება მარბეს მოწაფეების შრომებშიც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ კლაინტის შრომა[22], რომელსაც მარბე ხშირად იმოწმებს, როცა აღქმაზე განწყობის ზეგავლენის მნიშვნელობას უნდა გაუსვას ხაზი.

თავის შრომის დასაწყისში კლაინტიც კატეგორიულად აცხადებს, რომ „აღქმისათვის, როგორც მისი არსებითი ფაქტორი.... განწყობაა უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მისაღები“[23]; მაგრამ შემდგომში კლაინტთანაც თავს იჩენს იგივე გარემოება, რაც მარბესთან: „აღქმის არსებით ფაქტორად ჩვენ ვთვლით შეგრძნებებს, განწყობას და გეშტალტს. საერთოდ, გეშტალტი მოცემული შეგრძნებების როგორობითაა განსაზღვრული, მაგრამ მრავალ შემთხვევაში შეგრძნება მოქმედებს გეშტალტის გამომწვევად, განწყობა კი პირიქით, მის განმსაზღვრელად.... ზოგადად, აღქმის არსი შეიძლება იმაში დავინახოთ, რომ შეგრძნებებს უერთდება ცოტად თუ ბევრად განწყობაზე დამოკიდებული გეშტალტები. ეს ფაქტორები განხილულ უნდა იქნეს როგორც არსებითი აღქმის, შემეცნებისა და გაგების ყველა პროცესისათვის; ამასთან ცნობიერების პროცესის საფეხურის სიმაღლისდა მიხედვით შეგრძნება ნაკლებ, ხოლო განწყობა უფრო მეტ გავლენას ახდენს“[24].

ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ ეს ციტატი მთლიანად, რათა უფრო ნათელი გაგვეხადა ის წინააღმდეგობა, რომელიც უთუოდ იგრძნობა კლაინტის მსჯელობაში. მართლაც კლაინტი შრომის დასაწყისში აც-

---

[22] H. Kleint, Über den Einfluß der Einstellung auf die Wahrnehmung, ArGsPs, Bd 51, 1925.

[23] იქვე, გვ. 392.

[24] იქვე, გვ. 396.

ხადებს, რომ განწყობა არის აღქმის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მაგრამ შემდგომში იგი აღქმის სამ ფაქტორს განასხვავებს: შეგრძნებას, განწყობას და გეშტალტს. ამასთან აღმოჩნდება, რომ „გეშტალტი საერთოდ მოცემული შეგრძნებების როგორობითაა განსაზღვრული", მაგრამ მრავალ შემთხვევაში „შეგრძნება გეშტალტის გამომწვევად მოქმედებს, განწყობა კი პირიქით, მის განმსაზღვრელად". საკითხავია თუ როგორ უნდა შეგვეთანხმებინა ეს ორი რამ: თუ „საერთოდ" გეშტალტს შეგრძნებების როგორობა განსაზღვრავს, მაშინ რაღა აზრი აქვს იმაზე ლაპარაკს, რომ „მრავალ შემთხვევაში განწყობაა აღქმის გეშტალტის განმსაზღვრელი?"

ექსპერიმენტებიდან, რომლებიც კლაინტს განწყობის უნივერსალური ფსიქოლოგიური მნიშვნელობის დასადასტურებლად ჩაუტარებია, და რომლებიც, როგორც მას, ისე მარბეს ამის დამადასტურებლად მიაჩნია, კლაინტს საყურადღებო დასკვნები გამოჰყავს: 1. რაიმე განსაზღვრული განწყობის საფუძველზე, ექსპერიმენტში ფართოდაა შესაძლებელი ოპტიკური ილუზიების გამოწვევა; 2. ილუზიები დამოკიდებულია მათ საფუძვლად მდებარე საგნების როგორობაზე; 3. ილუზიათა რიცხვი ახვადასხვაა სხვადასხვა ცდის პირთან და ნაწილობრივ დამოკიდებულია მათ ინტელექტუალურ თვისებებზე; 4. ორმნიშვნელოვანი ფიგურების შემთხვევაში აღქმის გეშტალტი დამოკიდებულია განწყობაზე[25].

როგორც ვხედავთ, კლაინტის მტკიცებას განწყობის უნივერსალური მნიშვნელობის შესახებ ეწინააღმდეგება მის მიერვე ჩატარებული გამოკვლევის დასკვნები. ჯერ ერთი, აქაც განწყობა მხოლოდ ილუზიურ დასკვნას განაპირობებს; მეორეც, არც ილუზიური აღქმის ერთადერთ ფაქტორად გამოდის იგი, რადგან „ილუზიათა დადგმა დამოკიდებულია მათ საფუძვლად მდებარე საგნების როგორობაზე". და იმაზე, თუ რა ინტელექტუალური თვისებები აქვს ადამიანს. გასაგებია, რომ აქედან დასკვნის გამოტანა განწყობის უნივერსალური მნიშვნელობის შესახებ უბრალო გაზვიადება იქნება და მეტი არაფერი. აქედან მხოლოდ ის დასკვნა შეიძლება გამოდიოდეს, რომ განწყობა აღქმის ერთ-ერთი ფაქტორია და არა ერთადერთი. ილუზიების გამოწვევა ხომ, როგორც თვითონ კლაინტიც ამტკიცებს, დამოკიდებული ყოფილა მათ საფუძვლად მდებარე საგნების როგორობაზე და ცდისპირის ინტელექტუალურ თვისებებზე. არ უნდა იყოს საკამათო ის მოსაზრება, რომ ამ უკანასკნელ ფაქტორს (ინტელექტუალურ თვისებებს) არც თუ ისე მცირე ადგილი უნდა ეჭიროს აღქმის გეშტალტის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, აქ ფაქტიურად

---

[25] იქვე.

განწყობის თეორიის უარყოფასთან გვაქვს საქმე: გამოდის, რომ აღქმის გეშტალტი (ცნობიერების ცხოვრება) განწყობის ფუნქცია კი არ ყოფილა მხოლოდ, არამედ გონებრივი თვისებებისაც! საინტერესოა, რიღასი ფუნქცია უნდა იყოს ეს ინტელექტუალური თვისებები და როგორია მათი გენეზისი?

ჩვენი მიზანი არ არის გავარჩიოთ მარბესა და მისი მოწაფეების მიერ ჩატარებული ყველა ცდა, ან მათ მიერ მოყვანილი ყველა მაგალითი; მათი სიმრავლე ვერ დაამტკიცებს იმაზე მეტს, რას დამტკიცებას შეძლებდა ერთადერთი ფაქტიც.

საერთოდ, შეიძლება დავეთანხმოთ მარბეს იმაში, რომ სიტყვა „ფურცელის" სხვადასხვაგვარი გაგება, იმისდა მიხედვით, თუ რომელ გარემოში ვიმყოფებით, მართლაც განწყობის ზემოქმედებითაა გამოწვეული, რომ მეტრონომის ცემაში ტაქტის ნებისმიერი ნაწილის გაგონებაც ნებისმიერი განწყობის შედეგია, მაგრამ აქედან განა ვამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ცნობიერების მთელი ცხოვრებაც განწყობის ფუნქციაა? თვითონ ნებისმიერი განწყობის ცნებაც ხომ, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებს: ნებისმიერი განწყობა ხომ იმას ნიშნავს მარბესთან, რომ მისი წარმოშობა ცნობიერებითაა გაშუალებული და როგორ შეიძლება, რომ წარმომშობი წარმოქმნილის ფუნქცია იყოს? რაკი განწყობის წარმოქმნა ცნობიერებითაა გაშუალებული, აქედან ის გამომდინარეობს, რომ განწყობა ყოფილა ცნობიერების ფუნქცია და არა პირიქით.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ერთ უცნაურ გარემოებას: მარბესა და მისი მოწაფეების მიერ აღწერილ ცდებში არა ყველა ცდისპირს უმუშავდებოდა განწყობა. და ასეთ ცდისპირთა რიცხვი არც თუ ისე მცირე იყო ხოლმე. ჩვეულებრივ, მათი რაოდენობა მერყეობდა 30%-დან 40%-მდე, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში უფრო მეტსაც შეადგენდა[26]. მარბე არფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავს ასეთ სუბიექტთა ცნობიერების ცხოვრებას, თუ რატომაა, რომ განწყობა, რომელსაც თითქოს უნივერსალური ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ასეთ შემთხვევებში საერთოდ არ ამქღავნებს თავის არსებობას. გასაგებია რომ ამ კითხვაზე რამდენადმე დამარწმუნებელი პასუხის გარეშე (თუნდაც სხვა მიზეზებს რომ ყურადღება არ მივაქციოთ) მარბეს თეორია თავის ძალას კარგავს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მარბემ თვითონაც იგრძნო თავისი თეორიის უკმარობა. აი რას წერდა იგი იმ შრომის შესავალში, რომელშიაც მისი „მოტორული განწყობისა და პიროვნების თეორიაა" გადმოცემული: „აქამდე ჩვენი მუშაობა განწყობის

---

[26] იხილე, მაგალითად, კლაინტის დასახელებული შრომა.

საინტერესო შემთხვევების ჩვენებითა და მათი ექსპერიმენტული გამოწვევით შემოისაზღვრებოდა. მაგრამ დღემდე არ არსებობს განწყობის ყველა ცალკეული შემთხვევისა და პიროვნების ცნების დამაკმაყოფილებელი თეორია"[27].

დასახელებული ნაშრომით მარბეს სურს წარმოადგინოს ასეთი თეორიის საფუძვლები, მაგრამ ეხება მხოლოდ მოტორული განწყობის თეორიის საკითხებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარბე სპეციალურად აფრთხილებს მკითხველს, არ მიიღოს მოტორული განწყობის თეორია განწყობის ამომწურავ თეორიად. რადგან „ასეთის მიზანი უნდა იყოს არა მარტო განსაზღვრული მოძრაობებისადმი განწყობა, არამედ და უწინარესყოვლისა, ის განწყობა, რომლითაც ხორციელდება განსაზღვრულ მიზანდასახულ აქტებამდე მიმყვანი განზრახვები (ნებისყოფის აქტი, გადაწყვეტილება, განზრახვა)"[28].

როგორც ვხედავთ, მარბე იწყებს მთლიანპიროვნული განწყობის თეორიის აგებას გარეგანი მოძრაობების ამხსნელი თეორიის შექმნით. მაგრამ გარეგანი ნებისმიერი მოძრაობა ფიზიკური ფაქტია და მეტი არაფერი. მისი ახსნა მისი გამომწვევი ცნობიერების აქტების გამომწვევი მიზეზის ცოდნითაა მხოლოდ შესაძლებელი. მაგრამ ცნობიერების აქტების გამომწვევი მიზეზის ცოდნა მთლიანპიროვნული განწყობის თეორიის საფუძველზე მიიღწევა მხოლოდ.

ამ დილემიდან თავის დასაღწევად ორი გამოსავალი არსებობდა: 1. შეიძლებოდა თეორიის აგება ყოველგვარი „შინაგანი" ფაქტორების (ნებისყოფის აქტი, ცნობიერების პროცესები) მხედველობაში მიუღებლად. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგია ქცევათმეცნიერებით უნდა შეცვლილიყო. 2. ანდა შეიძლებოდა ჯერ მთლიანპიროვნული განწყობის თეორიის შექმნაზე გვეზრუნა და მოტორული განწყობის თეორია მისთვის დაგვექვემდებარებინა.

მარბემ „შებრუნებითი" გზა აირჩია: მან პიროვნების შესწავლა მისი გარეგანი გამოვლინებებით, მოტორული პიროვნებით დაიწყო და პიროვნებამდე მისვლა ამ გზით განიზრახა. ეს გზა არ იყო შემთხვევითი მარბესათვის, იგი მასთან მოასწავებდა მეთოდურ შემობრუნებას ფსიქოლოგიურ პრობლემათა კვლევა-ძიების საქმეში და მისი პოზიტიური თვალსაზრისის ლოგიკური შედეგი იყო. ამ თვალსაზრისს ფსიქოლოგია უთუოდ ქცევათმეცნიერებად უნდა ექცია.

საერთოდ, მოტორული განწყობის თეორია, როგორც უკვე ვთქვით, მოწოდებულია გარეგანი ნებისმიერი ქცევების მიმდინარეო-

---

[27] K Marbe, Theorie d. motorische Einstellung und Persönlichkeit, Zschr f. Psychologie, S. 306.

[28] K. Marbe, Theorie d. motorische Einstellung und Persönlichkeit, Zschr f. Psychologie, S. 317.

ბა და მექანიზმი გახადოს გასაგები. მარბეს სურს დაამტკიცოს, რომ მოტორული განწყობა „განხილულ უნდა იქნეს, როგორც..., ცნობიერ მოძრაობათა მიმდინარეობის უმნიშვნელოვანესი პირობა". მაგრამ როცა მოძრაობის განმსაზღვრელ ფაქტორებს ჩამოთვლის, იგი თვითონვე აღნიშნავს, რომ ადამიანის კონკრეტული მოძრაობები განსაზღვრებიან მათი „თანადროული და წინამავალი ცნობიერების პროცესებით". ამ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ მოძრაობათა განმსაზღვრელ უმნიშვნელოვნეს პირობად. მოტორული განწყობა და არა ცნობიერების პროცესები.

მარბე მოტორულ განწყობასაც დისპოზიციას უწოდებს. გაუგებარია. თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს: თუ ერთი და იგივეა მოტორული განწყობა და დისპოზიცია, მაშინ რა საჭიროა ორი ცნება ერთი და იმავე ფენომენის აღსანიშნავად?

მარბე თვლის, რომ მოტორული განწყობა ნაწილობრივ წმიდა ფიზიოლოგიურია. ნაწილობრივ წმიდა ფსიქოლოგიური[29]. ამ შემთხვევაში გაუგებარია, თუ როგორ უნდა აიხსნას წმიდა ფიზიოლოგიური განწყობისა და წმიდა ფსიქოლოგიური განწყობის კავშირი; გაუგებარია, თუ როგორ ხდება სხეულებრივი პიროვნების მართვა სულიერის მიერ. თქმა იმისა, რომ „მოტორული პიროვნება მჭიდრო კავშირშია დანარჩენ მთლიან პიროვნებასთან" (მარბე). ცხადია არაფრის ამხსნელია. განმარტებასა და ახსნას ხომ ეს „მჭიდრო კავშირი" საჭიროებს სწორედ.

„ამ ორ პიროვნებას შორის ნაგულისხმევია რაღაც კავშირი, რომლის ხასიათიც მარბეს მოძღვრებაში იდუმალებით მოცული რჩება"[30].

როგორც ვხედავთ, მარბეს არ სურს ქცევების ახსნის შესაძლებლობა ობიექტური დაკვირვების მონაცემებით შემოზღუდოს. მაგრამ მოტორული განწყობის თეორია მხოლოდ გარეგნულ მოძრაობათა ახსნისათვისაა მოწოდებული. და რადგანაც მოძრაობა, როგორც ფიზიკური სამყაროს მოვლენა, ვერ ახსნის და ვერ გამოხატავს ნებისმიერ გარეგან მოძრაობებს, ამიტომ მოტორული განწყობაც მოძრაობათა ერთ-ერთ, მაგრამ არა ერთადერთ განმსაზღვრელად რჩება. მოტორული განწყობის თეორია, მაშასადამე, არ წარმოადგენს გარეგანი ნებისმიერი ქცევების ამხსნელ ამომწურავ თეორიას, რადგან

---

[29] იქვე., გვ. 319.

[30] შ. ჩხარტიშვილი, პროფ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის თეორიული საფუძვლები, გვ. 10.

„ასეთის საგანი უნდა იყოს არა მხოლოდ განსაზღვრულ მოძრაობებისადმი განწყობა, არამედ, და უწინარეს ყოვლისა განწყობა, რომლითაც ხორციელდება განსაზღვრულ მიზანწარმართულ აქტებამდე მიმყვანი განზრახვები (ნებისყოფის აქტი. გადაწყვეტილება,...)"[31].

განწყობამ ცნობიერების ცხოვრება უნდა ახსნას მთლიანად; ეს უკანასკნელი კი, ცხადია, მოიცავს როგორც გარეგან ნებისმიერ ქცევებს. ისე მათ გამომწვევ ცნობიერ აქტებსაც. თუ მოხერხდება ცნობიერების პროცესთა მიმდინარეობის განწყობის საფუძველზე ახსნა. მაშინ უფლება გვექნება ვილაპარაკოთ განწყობის სრული თეორიის შესახებაც. მაგრამ თუ მოტორული განწყობის თეორია იმთავითვეა განწირული. მაშინ რაღასთვის გვჭირდება იგი? და საერთოდ. რატომღა იწყებს მარბე თეორიის აგებას „უკუღმა"? წესით ხომ იმ თეორიის შემქნა იყო აუცილებელი, რომელიც მოძრაობის წარმმართველ აქტებს ვახდიდა გასაგებად. თვითონ მოძრაობები ხომ მეორად მოვლენად უნდა ვიაზროთ და მათი ახსნა საბოლოოდ განწყობის მთლიანპიროვნულ თეორიაშია საძიებელი.

ამ უცნაური გარემოების გარკვევა ჩვენ იმ ფაქტზე მითითებით უნდა დავიწყოთ, რომ მოტორული განწყობის თეორიის შემდეგ მარბეს აღარაფერი შეუქმნია განწყობის თეორიაში. აღარაფერი დაუმატებია მისთვის. და ეს ასეც იყო მოსალოდნელი: მოტორული განწყობის თეორია დასასრული იყო და არა დასაწყისი თეორიისა, იმ თეორიისა, რომელიც მარბემ გაცილებით ადრე შექმნა და რომელსაც ჩვენ ზემოთ გავეცანით. ეს თეორია, როგორც ვნახეთ, აერთიანებდა თანშობილი და შეძენილი პიროვნების ცნებებს. შეძენილი პიროვნების ცნება კი მომენტური პიროვნების ცნებასთან იყო უმჭიდროეს კავშირში. განწყობის თეორიის უმნიშვნელოვანეს მომენტს მარბესთან მომენტური პიროვნების ცნება ქმნის სწორედ. ცნება, რომელიც პიროვნების მუდმივად სხვადაყოფნას გულისხმობს. გასაკვირია, რომ ეს ცნება ეამორიცხავს რაიმე მუდმივს, თანშობილს, ისეთს, რაც არ შეიძლება გარემოს გავლენას ემორჩილებოდეს. ადამიანი არის მხოლოდ ის, რაც მოცემულ მომენტში არსებობს, ხოლო მოცემულ მომენტში არსებობს ის, რაც ამ მომენტმა შექმნა. აი ამ შეხედულების დედააზრი.

ეს შეხედულება შედეგი იყო მარბეს პოზიტივისტური თვალსაზრისისა: ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ის ვიცოდეთ, რაც უშუალოდ

---

[31] K. Marbe, Theorie d. motorische Einstellung..., Zschr. f. Psychol., 129, S. 317.

ვეეძლევა. ცდა არაფერს გვეუბნება პიროვნების თანშობილი ფენების შესახებ, ან უფრო სწორად, ცდაში პიროვნების გარეგნული მხარეები გვეძლევა მხოლოდ, ის, რასაც მომენტური პიროვნების ცნება ამოწურავს და, მაშასადამე, არცა გვაქვს უფლება სხვა პიროვნების შესახებ ლაპარაკისა. პიროვნება არის ის, რაც გარეგან ქცევებში გვეძლევა. ამ ქცევების ახსნას კი მოტორული განწყობის თეორია შეძლებს.

აქ კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი შემდეგ მოსაზრებას: განწყობის თეორია აუცილებლობით მოითხოვდა მომენტური პიროვნების ცნებას, თუ. როგორც ეს მარბეს მიაჩნია, განწყობა თანშობილ დისპოზიციებზე ცხოვრების გამოცდილებათა ზემოქმედების შედეგია. მაშინ. გამოცდილებათა მუდმივი ცვალებადობის გამო, პიროვნებაც განუწყვეტლივ უნდა იცვლებოდეს. მომენტური პიროვნების ცნებაც სხვას არაფერს ნიშნავს. ცხადია, ამ შემთხვევაში აბსოლუტურად ზედმეტია რაღაც მუდმივის შესახებ ლაპარაკი პიროვნებაში. პიროვნება არის ის, რაც ამ მომენტში გვეძლევა, სახელდობრ ის, რაც გვეძლევა გარეგან ქცევებში; სხვა რამის შესახებ ჩვენ არც არა ვიცით და, მაშასადამე, მარბესათვის იგი არც შეიძლება არსებობდეს. პიროვნება არის ქცევა, ქცევა კი გარეგანი მოძრაობების სახით გვეძლევა. მათ ასახსნელადაა, მოწოდებული მოტორული განწყობის თეორია. ამგვარად, განწყობის ცნებამ, რომელიც მარბეს თავდაპირველად გააზრებული ჰქონდა როგორც უნივერსალური ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მქონე ცნება, და რომელსაც პიროვნების სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელის როლი ეკისრებოდა, საბოლოოდ პიროვნებისა და მისი სულიერი ცხოვრების შემსწავლელი მეცნიერების (ფსიქოლოგიის) უარყოფამდე მიგვიყვანა. განწყობამ ქცევები უნდა აგვიხსნას, ქცევები კი ქცევათამეცნიერების საქმეა. ეს იყო ლოგიკური დანასკვი მარბეს განწყობის თეორიის განვითარებიდან; თეორიის განვითარება მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი. მარბეს მოტორული განწყობის თეორია ამის საუკეთესო ილუსტრაციაა.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მარბეს აღარც უცდია შეექმნა ისეთი თეორია, რომელშიაც „მიზანწარმართულ აქტებამდე მიმყვანი განზრახვები“ იქნებოდა ახსნილი. გასაგებია, რომ ასეთი ახსნა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ მოხერხდებოდა ცნობიერების აქტების განწყობაზე დაყვანა ან იმის ჩვენება, რომ ისინი განწყობისეულ ფენომენებს წარმოადგენენ. მაგრამ ექსპერიმენტი უძლურია ამ საქმის გასაკეთებლად და, რაც მთავარია, ვერც თეორიული მოსაზრება გვეტყვის რაიმე სანუგეშოს.

მარბე ყურადღების აქტს შეეხო კონკრეტულად და შეეცადა იგი განწყობაზე დაეყვანა ან განწყობისეულ ფენომენად გამოეცხა-

დებინა. მაგრამ რითაა გამართლებული ეს? მარბეს ერთადერთი არგუმენტი ისაა, რომ ე. წ. ყურადღების რხევა განწყობის რხევის გარეშე ვერ აიხსნება, მაგრამ ყურადღების რხევის სხვაგვარი ახსნა რომ შესაძლებელია, ეს მარბემაც დაამტკიცა თავის ცნობილ შრომაში, რომელშიაც მან წამოაყენა ყურადღების რხევის ცენტრალურ-პერიფერიული თეორია და რომელშიაც განწყობაზე საერთოდ არაფერია ნათქვამი[32]. რამ გამოიწვია შემდგომში ყურადღების განწყობისეულ ფენომენად გამოცხადება? ამის ახსნას მარბე არ იძლევა. ცნობიერების სხვა აქტებს მარბე საერთოდ არ შეხებია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისმა თეორიამაც კრახი განიცადა.

და მიუხედავად ამისა, მარბესეული განწყობის ცნება კარგად თავსდება მისი მთლიანი მსოფლმხედველობის ფარგლებში. მარბესათვის ხომ, როგორც დავრწმუნდით, ცნობიერების ცხოვრება ცნობიერების საგნის შექმნაში მდგომარეობს და არა მისგან დამოუკიდებლად არსებული საგნის შემეცნებაში. ამ შემთხვევაში განწყობის როლიც სავსებით განსაზღვრულია: მან საგნის შექმნის, მისი განმსაზღვრელის ან მისი გამფორმებელის მოვალეობა უნდა შეასრულოს. ცნობიერება თავის საგანს თავისი განწყობისდამიხედვით ქმნის. ამდენად, განწყობა მარბესთან მხოლოდ და მხოლოდ აღქმის სუბიექტური ფაქტორია, იგი გვიჩვენებს იმას, რაც შემმეცნებელ სუბიექტს შეაქვს გარესინამდვილეში, იგი გვიჩვენებს იმას, რასაც თვითონვე ვქმნით.

ყურადღებამისაქცევია აგრეთვე ის გარემოება, რომ განწყობა მარბესთვის ხან ცნობიერების ფაქტია, ხან კი ცნობიერების ცხოვრების განმსაზღვრელი. მაგრამ თუ განწყობა ცნობიერების ფაქტია, მაშინ იგი ვეღარ გამოდგება მთლიანი ცნობიერების ცხოვრების ამხსნელად; ცნობიერების ფაქტი ცნობიერების შემადგენელი ნაწილია, ხოლო მთელის ახსნა მისი ნაწილის მეშვეობით აშკარა ლოგიკური შეცდომაა.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებასაც: მარბესათვის განწყობა ფსიქიკური მოვლენაა, იგი ფსიქოლოგიური ფაქტია

---

[32] K. Marbe. Die Schwankungen der Gesichtsempfindungen. PhSt, 8, 1893, S. 615. ff.

და განწყობის თეორიაც ამიტომ ფსიქოლოგიური თეორიაა და არა ფილოსოფიური. როგორ შეიძლება ფსიქიკურ ფაქტს ცნობიერების ცხოვრების ახსნა მოვთხოვოთ? თუ შესაძლებელია როგორც ფსიქიკის. ისე ცნობიერების მოქმედების ახსნა ერთი რომელიმე ფენომენით, მაშინ რაღა აზრი აქვს მათი სხვადასხვაობის შესახებ ლაპარაკს და როგორღა უნდა დავაღწიოთ თავი ფსიქოლოგიზმს?

და უმთავრესიც სწორედ ეგაა: მარბემ განწყობის ფენომენს დაავალა გაცილებით მეტი, ვიდრე მას შეეძლო და ევალებოდა. როგორც აღქმის ერთ-ერთი, სუბიექტური, ფსიქიკური ფაქტორი, განწყობა უთუოდ შეძლებდა სულიერი ცხოვრების ერთი, სუბიექტური მხარის ახსნას. მაგრამ როცა აღქმის ერთადერთ ფაქტორადაც აღქმის სუბიექტური ფაქტორი გამოცხადდა, მაშინ, ცხადია, აღქმა (და მაშასადამე ცნობიერების ცხოვრება მთლიანად) სუბიექტის სუბიექტური (ფსიქიკური) ფაქტორით უნდა ახსნილიყო. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიას უნდა ეკვლია არა მხოლოდ ფსიქიკური, არამედ ცნობიერების ცხოვრებაც მთლიანად. ეს კი, ცხადია, ფსიქოლოგიზმის დაფუძნებას მოასწავებდა და არა მის დაძლევას.

ჩვენის აზრით, მარბეს თვალსაზრისის ლოგიკურ განვითარებას სხვა შედეგი არც შეიძლება მოყოლოდა: რადიკალური ემპირიზმისა და პოზიტივიზმის პოზიციებიდან ფსიქოლოგიზმის დაძლევის ცდა უბრალო გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს.

არ არის გასაოცარი ის ფაქტი, რომ ფსიქოლოგიზმმა მარბე ფსიქოლოგიაშიც რელატივიზმისა და სუბიექტივიზმის აღიარებამდე მიიყვანა. მაგრამ რელატივიზმი მეცნიერების საჭიროებისა და შესაძლებლობის უარყოფაა; ფსიქოლოგიის. როგორც სულიერი ცხოვრების შემსწავლელი მეცნიერების შესაძლებლობის უარყოფაა, როგორც დავრწმუნდით, მარბეს განწყობის თეორიის ლოგიკური განვითარების შედეგიც. ეს ფაქტი კი, თავისი მხრით, სავსებით საკმარისია მარბეს თეორიის უკმარობის მტკიცებისათვის.

თავი მესამე

კარლ მარბე და თანამედროვე ფსიქოლოგია

მეცნიერების ისტორიაში ხშირად შეიმჩნევა ერთი მოვლენა, რომელსაც ვუნდტმა მიზნის ჰეტეროგონია უწოდა და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტიურად მიღწეული მიზანი განსხვავდება იმისაგან, რაც კვლევა-ძიების დასაწყისში იყო დასახული. ამა-

სთანაა დაკავშირებული ის ცნობილი ფაქტიც, რომ რაიმე თეორიის ან ჰიპოთეზის საფუძველზე მიღებული შედეგები შეიძლება ამ თეორიის საზღვრებში აღარ თავსდებოდნენ. მაგრამ ამის მიუხედავად დამოუკიდებელ ღირებულებას მაინც ინარჩუნებდნენ. ასეთივე მდგომარეობაა მარბესთანაც: მიუხედავად იმისა, რომ მარბეს კონცეფციას მთლიანობაში დღეს აღარავინ იზიარებს, მისი გავლენა თანამედროვე ფსიქოლოგიაზე მაინც ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

ცხადია, როცა ვეხებით იმ საკითხს, თუ რა გამოყენებას პოულობს თანამედროვე ფსიქოლოგიაში მარბეს კონცეფციის ძირითადი ცნებები, შემდეგი გარემოება უნდა გვქონდეს მხედველობაში: საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ფსიქოლოგია არ ხასიათდება ერთი რომელიმე მიმართულების უპირატესობით. აქ ფსიქოლოგიური სკოლები არსებობენ ერთმანეთის გვერდით, ვითარდებიან ერთმანეთთან ბრძოლაში და ხშირად ძალიან ძნელია იმის დადგენა, თუ ვინ და სად ჩაუყარა საფუძველი ამა თუ იმ შეხედულებას. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო გავლენის შესახებ ლაპარაკისას. რადგან იოლი შესაძლებელია გავლენის მაგივრად იმ მოვლენასთან გვქონდეს საქმე, რომელსაც მარბემ ფსიქიკურ მოვლენათა ერთნაირობა უწოდა.

ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ მხოლოდ იმ ძირითად მომენტებზე შევჩერდებით, რომლებიც თანამედროვე ფსიქოლოგიაში უეჭველად მარბედან მომდინარეობენ. ანდა, რომელთა თანამედროვე ინტერპრეტაცია უეჭველად მარბეს კონცეფციის ნიშანს ატარებს.

მარბეს სახელთან, უპირველეს ყოვლისა, მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნების ფსიქოლოგიის დასაბამი. მარბემდე აზროვნების შესწავლას თითქმის არ ექცეოდა ყურადღება. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ძირითადად შეგრძნებების, გრძნობებისა და წარმოდგენების შესწავლა-მოწესრიგებით იყო დაინტერესებული. იმ დროინდელი მკვლევარებისათვის უბრალოდ არ არსებობდა ის, რასაც არ გააჩნდა თვალსაჩინოება. აზროვნების ფსიქოლოგიის ვიურცბურგის სკოლამ, რომელიც უთუოდ ფართოდაა დავალებული მარბეს მიერ ჩატარებული მსჯელობის გამოკვლევებიდან, ხელახლა აღმოაჩინა, ასე ვთქვათ, აზროვნება. მარბეს გამოკვლევებმა კერძოდ, დამტკიცეს, რომ ექსპერიმენტისა და თვითდაკვირვების გზით შესაძლებელია უმაღლესი სულიერი პროცესების შესწავლაც.

მარბესთან, როგორც ვნახეთ, მსჯელობის გამოკვლევას ორი მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა: ერთი წმინდა ნეგატიური იყო და მსჯელობის ფსიქოლოგიური ექვივალენტის არსებობის უარყოფაში მდგომარეობდა. ამასთან დამტკიცდა, რომ მსჯელობა (აზროვნება)

არა თუ არ საჭიროებს თვალსაჩინოებას, არამედ პირიქით, თვალსაჩინო ხატები ხელს უშლის მას. მეორე შედეგი მდგომარეობდა განცდათა მანამდე უცნობი კლასის აღმოჩენაში, იმ კლასისა, რომელსაც მარბემ და მისმა მოწაფეებმა „ცნობიერების მდგომარეობის" თუ „ცნობიერების წყობის" (Bewßtseinslage) განცდები უწოდეს.

მიზანი, რომლის გულისთვისაც მსჯელობის გამოკვლევა იყო ჩატარებული, ჩვენთვის ცნობილია: მარბეს სურდა დაემტკიცებინა აზროვნების არაფსიქოლოგიური ბუნება, რაც თავის მხრივ, ფსიქოლოგიზმის დაძლევის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. როგორც ვიცით, მარბეს გამოკვლევებმა დაადასტურა განცდათა ორი კლასის არსებობა და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მარბემ ვერ შეძლო ამ თვალსაზრისის ბოლომდე განვთარება. მისი გამოკვლევების მნიშვნელობა ამ საკითხთა შემდგომი შესწავლის ისტორიისათვის მაინც ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ეს გამოკვლევები უთუოდ სტიმულის მიმცემი და ერთ-ერთი უძლიერესი არგუმენტი უნდა ყოფილიყო შემდგომში ყველა იმათთვის, ვინც ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ იბრძოდა და აზროვნებისა და ფსიქიკის სხვადასხვაობას ამტკიცებდა.

აზროვნების ფსიქოლოგიის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა განცდათა იმ კლასის აღმოჩენას, რომელსაც ცნობიერების მდგომარეობის განცდები ეწოდა. არათვალსაჩინო განცდისა და ცნობიერების მდგომარეობის ცნებები უკვე შეიცავდენ თავის თავში ამა თუ იმ ფორმით ყოველივე იმას, რაც აზროვნების ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარების პერიოდში გამოიკვეთა უფრო ხელშესახებად.

მაგალითად, მარბეს დებულებამ, რომ მსჯელობა ხორციელდება განზრახვის გავლენით, რომელიც თვითონ არაცნობიერი რჩება, ანდა, რომელიც არაა საკმარისად ცნობიერი, რომ ყოველთვის ცნობიერი იყოს, თავისებური გარდატეხა და გაგრძელება პოვა ვატტისა და ნარცის ახის შრომებში. ვატტი, რომლის გამოკვლევა არსებითად მარბეს შრომის გაგრძელებას წარმოადგენს, სწავლობდა ამოცანის ზეგავლენას წარმოდგენათა მიმდინარეობაზე. მისი გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ამოცანა მაშინაც განსაზღვრავს წარმოდგენათა მიმდინარეობას, როცა თვითონ იგი არაა გაცნობიერებული[1].

აზროვნების პროცესზე ამოცანის გავლენის შესწავლამ ასეთსავე შედეგამდე მიიყვანა ახი. ახის აზრით, წარმოდგენათა მიმდინარეობას განსაზღვრავს მადეტერმინირებელი ტენდენცია, რომლის წყაროა სუბიექტის განზრახვა, შთაგონება, ბრძანება, დავალება და ა. შ.,

[1] Watt, Experimentele Beiträge zu einer Theorie des Denkens, ArGsPs, IV, 1905.

და რომელიც შეიძლება იყოს როგორც გაცნობიერებული, ისე არაცნობიერი. მადეტერმინირებელი ტენდენციის გავლენას ახი უკავშირებს ცნობიერობის (Bewußtheit) მოვლენებს. ცნობიერობა ახთან ნიშნავს არათვალსაჩინო ცოდნის ქონას და იგი მას განმარტავს როგორც განსაზღვრული შინაარსის მქონე წარმოდგენების რეპროდუქციისადმი მზაობას ან ტენდენციას[2]. არ არის ძნელი იმ აშკარა მსგავსების შემჩნევა, რომელსაც ახის „მადეტერმინირებელი ტენდენციის" ცნება ამყარებს მარბესა და ვატტის არაცნობიერი განსრახვის ცნებასთან; არც იმის შემჩნევაა ძნელი, რომ ახის „ცნობიერობა", როგორც არათვალსაჩინო ცოდნა, ცნობიერების მდგომარეობის განცდათა ერთი ნაწილია მხოლოდ, რომელთა შესახებ მარბეს „მსჯელობაშია" უკვე ლაპარაკი[3].

ტ ე ი ლ ო რ ი, რომელიც იკვლევდა სიტყვებისა და წინადადების გაგების პროცესებს (მარბეს მეთოდით), იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ წინადადებას ან სიტყვას არ გააჩნია თვალსაჩინო შინაარსი, მაშინ თვალსაჩინო წარმოდგენების აღმოცენება ხელს კი არ უწყობს წინადადების გაგებას, არამედ პირიქით, უშლის[4].

ვ ა ო ტ ე ნ ლ ე ბ ე ნ ი, რომელიც სწავლობდა თარგმნის (ლათინურიდან გერმანულზე) დროს აღმოცენებულ ცნობიერების პროცესებს, ასევე მარბეს მეთოდით მუშაობდა. მან იგივე შედეგები მიიღო, რაც მარბემ: თარგმნისას თვალსაჩინო წარმოდგენები არ აღმოცენდებიან; სათარგმნ სიტყვას არ ახლავს მისი წარმოდგენა ფსიქოლოგიური კორელატის სახით[5].

მარბესავე გამოკვლევებმა მისცეს უთუოდ გარკვეული სტიმული კიულპეს, ბიულერისა და მესსერის გამოკვლევებს აზროვნების ფსიქოლოგიაში. მესსერი, კერძოდ, ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობაც ხშირად ცნობიერებაში „ცნობიერების მდგომარეობის" სახით შეიძლება იყოს მოცემული[6].

ცხადია, აშკარა გადაჭარბება იქნებოდა აზროვნების ფსიქოლოგიის ვიურცბურგის სკოლის მიღწევები რომ მთლიანად მარბეს დამსახურებად ჩაგვეთვალა. მაგრამ ისიც უეჭველია (და ამას არც ვიურცბურგელები უარყოფენ), რომ აზროვნების ფსიქოლოგიის და-

---

[2] N. A c h, Über die Willenstätigkeit und das Denken, 1905.

[3] K. M a r b e, Zur Psychologie d. Denkens, Vortschritte d. Psychol., Bd 3, S. 18 ff.

[4] O. T e y l o r, Zschr f. Psychol., Bd 40, 1906, S. 225.

[5] G. von Wartenleben, იქვე, Bd 57, 1910, S. 89.

[6] A. M e s s e r, ArGsPs, Bd 8, 1906, S. 175.

საწყისი ახალ დროში მჭიდროდ უკავშირდება მარბეს სახელს[7], და რომ მრავალი რამ, რაც აზროვნების ფსიქოლოგიის განვითარების მომდევნო პერიოდში გამოიკვეთა უფრო ხელშესახებად, უკვე მარბეს „მსჯელობის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიურ გამოკვლევაში" იყო მოცემული ამა თუ იმ სახით. თავისი მხრით, ვიურცბურგელთა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა ეს მინაღწევრები სამუდამოდ შეიტანეს ფსიქოლოგიური მეცნიერების საგანძურში და მათი გათვალისწინების გარეშე დღეს საერთოდ წარმოუდგენელია აზროვნების ფსიქოლოგიაში რამდენადმე ნაყოფიერი მუშაობა.

დიდია მარბეს დამსახურება ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში: იგი ერთ-ერთი პირველთაგანი შეეცადა ფსიქიკისა და აზროვნების სხვადასხვაობის ექსპერიმენტული გზით დასაბუთებას. მარბეს გამოკვლევებს განსაკუთრებული შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ახალ დროში, როცა, ოტო შულცეს სიტყვებით რომ ვთქვათ[8], პოზიტიურად მუშაობის მოთხოვნა არ იძლეოდა უშუალოდ მოცემულის საზღვრებიდან გასვლის უფლებას; ამ პირობებში, მარბეს წყალობით, აზროვნება ხელახლა იქნა აღმოჩენილი როგორც მეცნიერული კვლევა-ძიების რეალური ობიექტი.

არაცნობიერი განზრახვისა და ცნობიერების მდგომარეობის ცნებებმა, როგორც აღვნიშნეთ, ვატტსა და ნარცის ახთან მადეტერმინირებელი ტენდენციისა და ცნობიერობის სახელწოდებები მიიღო. არაცნობიერ განზრახვას, რომლის გავლენითაც მსჯელობა ხორციელდება, ახმა მადეტერმინირებელი ტენდენციის გარდა განწყობაც უწოდა[9]. ამ მოვლენის აღსანიშნავად განწყობის ცნება გამოიყენა კოფკამაც[10].

როგორც ვხედავთ, განწყობის ცნების გამოყენებას ახალ დროში წინ უსწრებდა აზროვნების ფსიქოლოგიის კვლევა-ძიება. აზროვნების ფსიქოლოგიის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, აზროვნების მუშაობის გასაგებად თუ ასახსნელად, საჭირო შეიქმნა განწყობის ცნების გამოყენება. იგი აქ მიმართულების, აზროვნების მიზანშეწონილი მსვლელობის ამხსნელი ცნება იყო (როგორც ნარცის ახის მადეტერმინირებელი ტენდენცია) და მისი გამოყენება ვიურცბურგის სკოლაში, ძირითადად, ამით შემოისაზღვრებოდა.

---

[7] O. Schultze. Zschr f. Psychol., Bd 112. S. 260.

შეადარე აგრეთვე: Крогиус, Вюрцбургская школа эксп. исслед. мышления. Новыя идей в философии, сборник № 16, стр. 84-85.

[8] O. Schultze, Zschr f. Psychol., Bd 112, S. 260.

[9] N. Ach, Über die Willenstätigkeit und das Denken, S. 214—226.

[10] K. Koffka, Über Latente Einstellung, Bericht über den IV Kongreß f. experimentelle Psychologie, Leipzig, 1911, S. 239.

როგორც ცნობილია, განწყობის ცნების პიროვნების ცნებასთან დაკავშირებისა და სულიერი ცხოვრებისათვის მისი უნივერსალური მნიშვნელობის მტკიცების პრიორიტეტი ისევ კარლ მარბეს ეკუთვნის. აქედან მარბეს მოღვაწეობის ახალი ხანა იწყება; იგი განწყობის თეორიისა და განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შექმნითაა ცნობილი. თავისთავად ცხადია, რომ მარბესა და მისი მოწაფეების მრავალრიცხოვან გამოკვლევებს განწყობის დარგში არ შეეძლო განსაზღვრული გავლენა არ მოეხდინა თანამედროვე ფსიქოლოგიაზე. ვნახოთ რა გზებით წარიმართა ეს გავლენა.

საერთოდ, მარბეს განწყობის თეორიას ორი გზით შეეძლო თანამედროვე ფსიქოლოგიაზე გავლენის მოხდენა. ერთი გზა იმ დასკვნების განვითარებაში (ან შენარჩუნებაში) მდგომარეობდა, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობდენ მარბეს თეორიიდან. მეორე გზა მარბესეული განწყობის ცნების გადამუშავებასა და მისი ცალმხრივობის დაძლევაში მდგომარეობდა. ცხადია, მარბესეული განწყობის ცნებისა და მასზე დამყარებული განწყობის თეორიის გადამუშავება ამ თეორიის ფილოსოფიური საფუძვლების არსებითი შეცვლის ვზით იყო მხოლოდ შესაძლებელი. პირველი გზით წავიდა თანამედროვე საზღვარგარეთული ფსიქოლოგიის განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც ქცევათა მეცნიერების სახელწოდებითაა ცნობილი და რომლის გავრცელების ამა თუ იმ გეოგრაფიული ცნებით შემოსაზღვრა დღეს თანდათანობით ძნელდება. განწყობის ცნების გადამუშავების მეორე გზა აირჩია დიმიტრი უზნაძემ, რომელმაც ამ გადამუშავების შედეგად საქართველოში შექმნა განწყობის ფსიქოლოგიის ახალი სკოლა. დავახასიათოდ. მოკლედ. ეს გზები.

საზღვარგარეთის ფსიქოლოგიურ აზროვნებაზე მარბეს განწყობის თეორიის ზეგავლენის გასაგებად იმ წინააღმდეგობის გათვალისწინებაა საჭირო, რომელსაც ეს თეორია შინაგანად შეიცავდა. ეს წინააღმდეგობა, როგორც ვნახეთ. შემდეგში მდგომარეობდა: განწყობის გამოცხადება თანშობილი დისპოზიციებისა და ცხოვრების გამოცდილებათა ფუნქციად, განწყობათა მუდმივი ცვალებადობის გამო, თვითონ პიროვნების ცნების გაუქმებას იწვევდა. თუ პიროვნება ასეთი მუდმივად ცვალებადი განწყობების კრებითი ცნებაა და მეტი არაფერი, მაშინ აღარც პიროვნება არსებობს და ამიტომ პიროვნების სულიერი ცხოვრების შესწავლაც ზედმეტი ხდება. ამით ფსიქოლოგიაც, როგორც უსაგნო მეცნიერება, ცხადია, უნდა გაუქმდეს.

თვითონ მარბემ, როგორც ვნახეთ, ამ საშიშროებას პიროვნების აბსოლუტურად კონსტანტური მხარის დაშვებით დააღწია თავი: პიროვნების თანშობილი დისპოზიციები მან თანშობილ განწყობებად

გამოაცხადა და ამით, თითქოს, პიროვნებაც გადაარჩინა და მისი შემსწავლელი მეცნიერებაც. მაგრამ ახლა ერთ პიროვნებაში ორი პიროვნების (თანშობილის ანუ აბსოლუტურად კონსტანტურის და შეძენილის ანუ მუდმივად ცვალებადის) თანაარსებობის საკითხი იყო მოსაგვარებელი. როგორც ვნახეთ, ამ კითხვამ ჩიხში მოაქცია მარბე: იგი იძულებული შეიქმნა ხელუხლებლად დაეტოვებინა როგორც თანშობილი (უცვლელი), ისე მომენტური პიროვნების ცნებები.

ე. წ. ობიექტური ფსიქოლოგიის განვითარებამ მომენტური პიროვნების ცნება წამოსწია სწორედ წინ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თანამედროვე ქცევათმეცნიერება, რომელიც ობიექტური ფსიქოლოგიის პირდაპირი მემკვიდრეა, უთუოდ დიდადაა დავალებული მარბესაგან: ამ მეცნიერებაში, სულიერი ცხოვრების ამსსნელი ცნებიდან განწყობა იქცა რაღაც ეფემერულ „ეტიტუდებად", რომელსაც არც პიროვნება აინტერესებს და არც მისი სულიერი ცხოვრება.

საინტერესოა, რომ სიმპოზიუმზე, რომელიც განწყობის ცნებას მიეძღვნა საფრანგეთში 1958 წელს, ოლერონმა (მხოლოდ ერთმა კაცმა!) მოიგონა, რომ ეტიტუდების შესწავლას ვიურცბურგის სკოლაში ჩაეყარა საფუძველი. „ისტორიულად ინტელექტუალურ აქტივობათა შესწავლა მჭიდროდაა დაკავშირებული განწყობის (attitude) ცნების გამოყენებასთან. ვიურცბურგის სკოლამ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიწყო აზროვნების სისტემატური შესწავლა, ხაზი გაუსვა განწყობების (თუ მათი მონათესავე ცნებების) როლს აზროვნების განხორციელებაში. მართალია, შემდგომში ეს კავშირი უფრო შესუსტდა, რადგან ინტელექტუალურ აქტივობათა შესწავლა დაიწყეს ობიექტური მეთოდების საშუალებით, უგულებელყოფდენ რა ინტროსპექციას, რომელმაც შეიტანა წვლილი „Bewußtseinslagen", „ინტელექტუალურ გრძნობათა" ფორმით განხილულ განწყობის ფაქტთა გამოაშკარავებაში"[11].

ოლერონი სპეციალურად მიუთითებს, რომ „განწყობა, როგორც იგი დღეს გვესმის, არაა დაკავშირებული ინტროსპექციულ დაკვირვებასთან და არ წარმოადგენს მისი საშუალებით მოპოვებულ მონაცემს. იგია ცნება, რომელიც ემსახურება ობიექტურად რეგისტრირებული დაკვირვებისა და ექსპერიმენტის შედეგების ინტერპრეტაციას"[12].

---

[11] პ. ოლერონი, განწყობები ინტელექტუალურ აქტივობაში. წიგნში: **Les Attitudes Symposium de L'Association de psychologie scientifique de Langue fran çaise, Paris, 1961, გვ. 53.**

[12] იქვე.

ოლერონის ეს განცხადება საკმაოდ კარგად ახასიათებს განწყობის ცნების გამოყენების იმ თავისებურებას, რომელიც თანამედროვე ქცევათფსიქოლოგიაშია მიღებული. ის გარემოება, რომ დღეს განწყობის ცნება „არაა დაკავშირებული ინტროსპექციულ დაკვირვებასთან", უთუოდ თავის დასაბამს იმ შინაგანი წინაალმდეგობიდან იღებს, რომელსაც მარბეს თეორია თავისთავში შეიცავდა. როგორც ვთქვით, ამ წინააღმდეგობის ლოგიკურ განვითარებას საერთოდ პიროვნების ცნების უარყოფამდე უნდა მივეყვანეთ. ამ შემთხვევაში, ცხადია, ინტროსპექციის მეთოდი მართლაც აბსოლუტურად ზედმეტია და განწყობის ცნება „ობიექტურად რეგისტრირებული დაკვირვების ინტერპრეტაციისათვის" თუ გამოდგება მხოლოდ.

ესაა განწყობის ცნების გამოყენების ერთი ნიმუში თანამედროვე ფსიქოლოგიაში. ეს ცნება აქ, როგორც ვხედავთ, ნახმარია თუმცა უშუალოდ არა მარბესეული, მაგრამ მაინც მარბედან მომდინარე, მნიშვნელობით.

როცა ვლაპარაკობთ განწყობის თეორიის სხვა თეორიებთან, მიმართების, ან მისი სხვა თეორიებზე ზეგავლენის შესახებ, არ შეიძლება გვერდი აევლოს ამ თეორიის ფროიდიზმთან დამოკიდებულების საკითხს. ამ საკითხის დასმის უფლებას შემდეგი გარემოება იძლევა:

ერთ პიროვნებაში ორი პიროვნების (თანშობილის, აბსოლუტურად კონსტანტურის, და მომენტურის, მუდმივ ცვალებადის) თანაარსებობის საკითხის გადაჭრის ერთი ვარიანტი, როგორც ვთქვით, მარბესთან შემდეგში მდგომარეობდა: შეიძლებოდა პიროვნების თანშობილი დისპოზიციების (თანშობილი პიროვნების) საერთოდ უგულებელყოფა. სახელდობრ, შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ თანშობილი დისპოზიციების არსებობის მიუხედავად, მათი ქმედითუნარიანობა შეძენილი დისპოზიციებითაა მიჩქმალული თუ დათრგუნვილი. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში თანშობილი პიროვნება უნდა წარმოგვედგინა „დათრგუნვილი" თუ „განდევნილი" პიროვნების სახით, რაც უთუოდ მიუთითებს განწყობის თეორიისა და ფროიდის „განდევნილი განცდების" გარკვეულ მსგავსებაზე. გასაგებია, რომ აქ მეტისმეტად ძნელია რაიმე გავლენის შესახებ ლაპარაკი; მით უმეტეს, რომ ორივე თეორია თითქმის ერთდროულად ყალიბდებოდა და ისიც თითქმის ერთსადაიმავე ქვეყანაში. ასეა თუ ისე, ამ ორ თეორიას შორის რომ განსაზღვრული შეხების წერტილი არსებობს, ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

მარბეს განწყობის თეორიის თანამედროვე ფსიქოლოგიურ აზროვნებაზე გავლენის შესახებ ლაპარაკისას არ შეიძლება

ყურადღების გარეშე დავტოვოთ მარბეს მოწაფეები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მარბეს თეორიის განვითარებაში და ნაწილობრივ თავისებურადაც გაიაზრეს განწყობის ცნება. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მარია ცილიგი და ჰერბარტ კლაინტი.

ცილიგი განწყობას ფსიქიკურ მოვლენად მიიჩნევს[13]. პიროვნების განცდა ყოველ განსაზღვრულ მომენტში იმყოფება მისი თანშობილი თვისებებისა და აქამდე შეძენილი კრიტიკული გამოცდილებების გავლენის ქვეშ, იმ გამოცდილებებისა, რომელთაც პიროვნების თანშობილი თვისებების შეცვლა შეუძლიათ. ამ გავლენათა შედეგი, შედეგი განსაზღვრული დროისათვის პიროვნებაში შექმნილი ფსიქიკური ან ფსიქოფიზიკური მდგომარეობისა, არის პიროვნების ამჟამინდელი განწყობა. ცნობიერების ცხოვრება არსებითად განწყობის ფუნქციაა. პიროვნებას შეუძლია განზრახვით შეიქმნას განწყობა ანდა იცოდეს, რომ მასში ასეთი მოქმედებს. ნებისმიერ განწყობებს უპირისპირდება უნებური, რომლებიც ყოველგვარი ცოდნის გარეშე, შეიძლება პიროვნების ნების წინააღმდეგაც. განსაზღვრავენ მის განცდებს.

ცილიგმა ხაზი გაუსვა თანშობილი განწყობების არსებობასა და მნიშვნელობას. მისი აზრით, „არსებობენ განწყობები, რომლებიც, როგორც ჩანს იმთავითვე მიეკუთვნებიან პიროვნებას ადამიანური ბუნების ორგანიზაციის გამო“[14]. ეს ძირითადი განწყობები, რომელთაც ცილიგი „მხარეულ განწყობებს“ უწოდებს, უაღრესად ფართო გავლენას ახდენენ პიროვნების გამოვლინებებზე: „აღქმის, მსჯელობის, მოგონების ფსიქიკურ აქტებში მონაწილეობს მხარეული განწყობის ტენდენციის შესატყვისი სელექციის პროცესი, რომელიც ამ აქტებს ცალმხრივი შეცდომისაკენ წარმართავს“[15]. მხარეული განწყობა, რომელიც ამჟამად უნებურად მოქმედებს, შეიძლება ცნობიერი წარმოშობისა იყოს.

ცილიგმა სპეციალურად გამოიკვლია განწყობის ჩვენებაზე გავლენისა და განწყობის შეცვლის გავარჯიშებადობის საკითხი. იგი ჩვენების ორ ტიპს განასხვავებს: ერთნი ემორჩილებიან უნებური მხარეული განწყობის გავლენას, მეორენი არა. პირველთ არც ვარჯიში შველით ჩვენების ხარისხის გაუმჯობესებაში, ან იშვიათად შველით. ცილიგის აზრით, ეს შეიძლება ინტელექტითაც აიხსნას. ნაკლებ ინტელექტურნი უფრო მეტად ემორჩილებიან მხარეული

[13] M. Zillig. Einstellung und Aussage, Zschr f. ang. Psychol, Bd 106, S. 58.

[14] იქვე, გვ. 59.

[15] იქვე, გვ. 104.

კანწყობის გავლენას და პირიქით. მიუხედავად ამისა, იმ შრომაში, სადაც განწყობის შეცვლის გავარჯიშებადობის საკითხი აქვს ნაკვლევი. ცილიგი დაასკვნის, რომ განწყობის შეცვლის უნარი საერთოდ გავარჯიშებადია[16].

კ ლ ა ი ნ ტ ი განწყობას შემდეგნაირად განმარტავს: „დროის რაიმე მონაკვეთში პიროვნების განწყობის ქვეშ ჩვენ გვესმის მისი... წარსული გამოცდილებების ჯამი"[17]. მისი აზრით, „განწყობა მდგომარეობაა და იგი განსხვავებულ უნდა იქნეს თავისი მოქმედებისაგან"[18]. განწყობა თავის მნიშვნელობას ფსიქიკურზე ზემოქმედებით იძენს. ეს ზემოქმედება მდგომარეობს მიმდინარე ცნობიერების პროცესის შეზღუდვაში, ისე რომ ცნობიერების პროცესი იმ მდგომარეობათა მიხედვით მიმდინარეობს, რომლებმაც ეს განწყობა შექმნეს. განწყობის ცნება, კლაინტის აზრით, უახლოვდება კონსტელაციისა და დეტერმინაციის ცნებებს. კლაინტი ღიად ტოვებს საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა „განწყობა წმიდა არაცნობიერი, ე ი. ფიზიოლოგიური, თუ იგი შეიძლება ცნობიერებაშიც იყოს როგორღაც მოცემული, მაგალითად, ცნობიერების მდგომარეობის სახით"[19]. კლაინტის აზრს აღქმაზე განწყობის გავლენის შესახებ, ისევე როგორც მის გამოკვლევას ამ საკითხზე, ზემოთ გავეცანით. ამიტომ მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

ლ ი უ დ ვ ი გ ზ ე ლ ი არსებითად იზიარებს მარბეს განწყობის თეორიას, თუმცა ცდილობს თავისებურად გაიაზროს იგი. მისი აზრით, ადამიანის პიროვნების განვითარება განისაზღვრება მისი თანშობილი თვისებებისა და იმ გამოცდილებათა ზეგავლენის შედეგად, რომლებიც თანშობილ თვისებათა, მიდრეკილებათა და ინსტიქტთა მოდიფიცირებას ახდენენ. გამოცდილების მაგივრად შეიძლება უბრალოდ გარემოს ცნებაც ვიხმაროთ[20].

რატომ იქცევა ესა თუ ის გამოცდილება კრიტიკულად? ზელის აზრით, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ კრიტიკულად გახდომა განსაკუთრებით იმ გამოცდილებებს შეუძლია, რომლებიც თვითონ პიროვნების თვისებებში ან განწყობებში პოვებენ რეზონანსს. გამოცდილებათა ქმედითობა არა მხოლოდ გამოცდილებებზეა იმდე-

---

[16] M. Z i l l i g, Die Übung d. Umstellbarkeit, Zschr f Psychol., 1926, 100.

[17] H. K l e i n t, ArGsPs, 51, S. 338.

[18] იქვე, გვ. 340.

[19] იქვე, გვ. 355.

[20] L. S e l l, Das Problem der Einstellung und die Adlerische Individualpsychologie, Zschr f. Psychol., 112, 1929, S. 285.

ნად დამოკიდებული, რამდენადაც პიროვნებასა და მის განწყობაზე, ასაკზე, სქესზე.

პიროვნების განწყობის ქვეშ ზელს ესმის ფსიქოფიზიკური პიროვნების მდგომარეობა, რომელიც, როგორც მომენტური პიროვნება, თანშობილი პიროვნების, კრიტიკული გამოცდილებებისა და აგრეთვე სომატური ფაქტორების შედეგია. ამის ანალოგიურად, პიროვნების ჰაბიტური განწყობის ქვეშ უნდა გავიგოთ ფსიქოფიზიკური პიროვნების ის კონსტანტური მდგომარეობა, რომელიც შედგება თანშობილი პიროვნებისა და იმ კრიტიკული გამოცდილებებისაგან, რომლებსაც არა მხოლოდ მომენტური, არამედ ხანგრძლივი მოდიფიცირების მოხდენა შეუძლიათ.

მომენტური და ჰაბიტური განწყობები განწყობის მოსაზღვრე ზემთხვევებს წარმოადგენენ. მათ შუა გრადუალურად განსხვავებული უამრავი განწყობაა[21]. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის პიროვნება ცხოვრების მანძილზე მუდმივად ცვალებად, გარდამავალ განწყობათა გავლენის ქვეშ იმყოფება, მაინც შეიძლება ითქვას, რომ მომენტური განწყობები უმეტესად ადამიანის განვითარების წლებს ახასიათებს. ესაა დრო, როცა კრიტიკული გამოცდილებები განსაკუთრებით ქმედითნი არიან, როცა თვისებები იოლად ფორმდებიან და ვითარდებიან. სიმწიფესთან ერთად ყალიბდება განსაზღვრული ჰაბიტური განწყობები, რომლებიც თავის მხრივ არჩევითად მოქმედებენ გამოცდილებებზე, იმ აზრით, რომ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს აძლევენ კრიტიკულად ქცევის უფლებას. ჰაბიტური განწყობები, რომლებიც პიროვნების დავიწროების მსგავსნი არიან, თავის დაღს ასვამენ პიროვნებას. მაგრამ ეს პროცესი არასოდეს წყდება. ახალ კრიტიკულ გამოცდილებებს მოხუცებულობის ასაკშიაც შეუძლია პიროვნების მოდიფიცირება. დიდი მნიშვნელობა აქვს აქ ინდივიდუალურ თავისებურებებს[22]. „აზროვნების მიმართულება და შედეგები, ობიექტურობისადმი ყოველგვარი სწრაფვის მიუხედავად, მაინც ფართოდ განიცდის პიროვნების განწყობის გავლენას"[23].

ჰ. კ ე ნ ი გ ი შეეცადა მუსიკის ესთეტიკის პრობლემების გადაჭრას მარბეს თეორიაზე დაყრდნობით: მისი აზრით, საგნის სილამაზის მტკიცება „სუბიექტური ესთეტიკური განწყობის საფუძვლიდან მომდინარეობს"[24]. სხვაგვარად ჩამოყალიბებულ განწყობას შე-

---

[21] იქვე. გვ. 287.

[22] იქვე.

[23] იქვე. გვ. 288.

[24] H. K ö n i g, Zur Ästhetik der Müsik, ArGsPs. Bd 75, 1930, S. 147

იძლებოდა ეს საგანი არ მოსწონებოდა. აღქმას, აღქმული საგნის საფუძველზე, არ შეუძლია მშვენიერების განცდა გამოიწვიოს. „მაგრამ ესთეტიკური განწყობის არსებობისას ყოველი საგნის აღქმამ შეიძლება მშვენიერების განცდამდე მიგვიყვანოს“[25]. მშვენიერების განცდა ესთეტიკურად განწყობილი ადამიანის ფუნქციაა.

შემოქმედების პროცესი იმაში მდგომარეობს, რომ „ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარის მქონე ადმიანი თავისი სუბიექტური ესთეტიკური განწყობის საფუძველზე რაიმე გრძნობებით აღქმად ფორმას ქმნის, რომელიც შემოქმედის სუბიექტურ ესთეტიკურ განწყობას შეესატყვისება“[26]. ხელოვნების საგანი რომ სხვაშიც ესთეტიკურ შეგრძნებას იწვევს, ეს გასაგებია: „აქ მოქმედებს ის საყოველთაო ფსიქოლოგიური კანონი, რომ მსგავს პირობებში მსგავსი წარმოიშობა“[27].

საგნის მოწონება იმაში მდგომარეობს, რომ „ესთეტიკური განწყობა რეაგირობს... აღქმაზე და ამ დროს აღმოცენდება სილამაზის ცნობიერების მდგომარეობა“[28]. ესაა ის, რასაც ჩვენ მოწონებას ვეძახით. ესთეტიკური ცნობიერების მდგომარეობა ესთეტიკური განწყობის აღქმაზე რეაქციასთან ერთად წარმოიშობა.

ე. მოლნარის შრომა „პიროვნების განწყობა და ხელოვნების ბვრეტა“[29], რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, წარმოადგენს უკანასკნელ ცდას მარბეს თეორიის დაცვისა. იგი ამავე დროს ყველაზე სრულქმნილი ცდაცაა. ამიტომ საინტერესოა მისი გაცნობა მოკლედ მაინც.

მოლნარის აზრით, კითხვას ობიექტური ესთეტიკის შესაძლებლობის შესახებ უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. ესთეტიკურად ქმედითი ნიშნავს რისიმე ფაქტიურად დანახვას, გაგონებას და ა. შ., მოკლედ აპერცეპციას. ეს აპერცეპცია სუბიექტის მეშვეობითაა შესაძლებელი. გამოთქმა „ესთეტიკური“ არ არის რაიმე საგნის ნიშანი, არამედ აღნიშნავს სუბიექტის ობიექტთან მიმართებას. მაშასადამე, მოლნარის აზრით, უნდა განვასხვაოთ ხელოვნების ნაწარმოე-

---

[25] იქვე.
[26] იქვე.
[27] იქვე, გვ. 148.
[28] იქვე, გვ. 151.
[29] E. Molnar. Die Einstellung der Persönlichkeit und die Kunstbetrachtung. ArGsPs. 87, 1933.

ბი, როგორც მატერიალური გარეგანი საგანი, როგორც სხეული. ხელოვნების ნაწარმოებისაგან, როგორც ესთეტიკურად ქმედითი საგნისაგან. სხეულებრივად არსებობა და ესთეტიკურად არსებობა არ არის ერთი და იგივე[30].

მოლნარის მიზანია იმის გამორკვევა. თუ რა გავლენას ახდენს პიროვნების განწყობა ხელოვნების ნაწარმოების ჰვრეტაზე.

განწყობა მოლნარს, საერთოდ, ისე ესმის. როგორც მარბეს. შედარებით თავისებურია ზოგიერთი დეტალის, მაგალითად ჰაბიტური და მომენტური განწყობის გაგება: ჰაბიტური განწყობა მოლნარს ესმის. როგორც პიროვნების დისპოზიცია. ხოლო მომენტური განწყობა როგორც პიროვნების კონსტელაცია, რომელიც მდგომარეობს გარესამყაროს მოვლენების ამ პიროვნების დამახასიათებელი წესით შეფასებასა და გაგებაში[31]. პიროვნებისა და განწყობის ცნებები. მოლნარის აზრით, აუცილებლობით მიეკუთვნებიან ერთმანეთს. ყოველ პიროვნებას თავისი დამახასიათებელი განწყობები შეიძლება ჰქონდეს. ამგვარად, განწყობა პიროვნებაა.

განწყობა არა მარტო ინდივიდს ახასიათებს, არამედ შესაძლებელია იგი კოლექტიური მოვლენაც იყოს. ეს გარემოება მოლნარის აზრით, მარბეს მოვლენათა ერთნაირობის თეორიის საფუძველზეა გასაგები[32].

მოლნარს მიაჩნია. რომ პიროვნება და განწყობა კორელატური ცნებებია. ისინი ისეთსავე მიმართებაში დგანან ერთმანეთთან. როგორც მათემატიკური თავისუფალი ცვლადი და მისი ფუნქცია. განწყობა მხოლოდ პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს და ყოველი ცალკეული განწყობა გავლენას ახდენს პიროვნებაზე. გამოთქმები: მას სხვა პიროვნება აქვს, მას სხვა განწყობები აქვს. ტოლფასოვანია. განსხვავება მათ შორის იმას ემყარება. რომ პიროვნება წმიდა დისპოზიციურია, ხოლო განწყობის ქვეშ ჩვენ გვესმის პიროვნება რამესთან მიშართებაში. ფილოსოფიურად ესაა განსხვავება პოტენციალობასა და აქტუალობას შორის[33].

---

[30] იქვე, გვ. 232.

[31] იქვე, გვ. 234.

[32] იქვე.

[33] იქვე, გვ. 235.

მოლნარის აზრით, არსებობს 4 ტიპის განწყობა: 1. კოლექტიურ-ჰაბიტური განწყობები (განპირობებულია დროით, რასით, ნაციოხალობით, წრით და სხვ.); 2. ინდივიდუალურ-ჰაბიტური განწყობები (განპირობებულია თანშობილი თვისებებით, აღზრდით, პიროვნების გამოცდილებებით); 3. კოლექტიურ-მომენტური განწყობები, რომლის გავლენაშიც შეიძლება იმყოფებოდეს, მაგალითად, რაიმე სიტყვის მსმენელი; 4. ინდივიდუალურ-მომენტური განწყობები, ანუ ისეთი განწყობები, რომლებიც პიროვნებაზე წარმავალ გავლენას ახდენენ.

შრომის დასასრულს მოლნარი იძლევა ასეთ დასკვნებს: 1. ხელოვნების ნაწარმოების შეფასება დამოკიდებულია არა მარტო ობიექტზე, არამედ პიროვნების განწყობაზეც. 2. არ არსებობს საყოველთაო მნიშვნელობის მქონე ხელოვნება. არ არსებობს არავითარი „მარადიული მშვენიერებანი", არავითარი საყოველთაო ესთეტიკური ნორმები[34].

რადგანაც ხელოვნებაში შეუძლებელია პიროვნებისაგან ვანყენება, ამიტომ ხელოვნების ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმი ხელოვნების საგნის სუბიექტური ღირებულებაა. „ღირებულება აქაც შემფასებელზეა დამოკიდებული", ვინაიდან თვითონ ღირებულება ყოველთვის სუბიექტურია. ღირებულების ცნების გაგება მოლნართან მთლიანად მარბესეულია[35].

წინააღმდეგობა, რომელიც მარბესთან თანშობილი და შეძენილი პიროვნების თანაარსებობის პრობლემით იყო განპირობებული, მოუგვარებელია მოლნართანაც. მოლნარიც ამტკიცებს, რომ თუმცა პიროვნება განუწყვეტლივ იცვლება, თანშობილი პიროვნების სრული ვაქრობა მაინც არ ხდება. „ეს თანშობილი პიროვნება მოგვიანო წლებშიც პიროვნების ძირითად ბირთვს ქმნის"[36]. ეს ხელს არ უშლის მოლნარს, როგორც ვნახეთ, განაცხადოს, რომ პიროვნება განუწყვეტლივ იცვლება, და აქედან ხელოვნების ნორმების არამარდიულობის შესახებ დაასკვნას: პიროვნება განწყობაა, განწყობების აღმოცენება კი გარემოპირობებითაა განსაზღვრული; ვინაიდან პირობების შეცვლა განწყობის შეცვლას იწვევს, ამიტომ პირობების

---

[34] იქვე, გვ. 286.

[35] იქვე, გვ. 287.

[36] იქვე, გვ. 233.

ან იმავე განწყობების მუდმივი ცვალებადობა ხელოვნების ნორმათა წარმავლობას განაპირობებს.

როგორც ვთქვით, მოლნართან გვაქვს ყველაზე უკანასკნელი და ამასთან ყველაზე სრულყოფილი ცდაც მარბეს მსოფლმხედველობის მთლიანობაში დაცვისა. საერთოდ კი მარბეს მოწაფეთა მსოფლმხედველობაც იმავე წინააღმდეგობის შემცველია, როგორიც მათი მასწავლებლის. ასლი ყოველთვის იმეორებს დედნის შეცდომას, იმ განსხვავებით, რომ მიბაძვაში განმეორებული შეცდომა, როგორც წესი, უფრო საგრძნობია.

მარბეს დამსახურება თანამედროვე ფსიქოლოგიის წინაშე განსაკუთრებით აქვს აღნიშნული ოტო შულცეს[37]. შულცემ, კერძოდ, სრულიად გარკვევით მიუთითა იმ გარემოებას, რომ მარბეს „მსჯელობის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა“ ბიძგის მიმცემი და საერთოდ დასაწყისი იყო უამღლესი სულიერი პროცესების კვლევისა. თვითონ ფსიქოლოგიაში, შულცეს აზრით, მარბეს დამსახურებაა ის, რომ „დღეს, ყოველგვარი წინასწარაღებული აზრის გარეშე შეგვიძლია ვიკვლიოთ არაცნობიერის ისეთი მომენტები, როგორიცაა მაგალითად განწყობა“[38]. შულცეს აზრით, განწყობა ვლინდება ქცევის საგანზე მის შეზღუდულ მოქმედებაში. ივი უახლოვდება ისეთ ცნებებს, როგორიცაა ყურადღება, მოლოდინი, იმედი და სხვ. საგანთან მიმართების გარდა განწყობა მოითხოვს პიროვნების განსაზღვრულ თვისებებსა და უნარს. ეს იმას ნიშნავს, რომ „სუბიექტური ან პიროვნული მომენტი აუცილებლობით მიეკუთვნება განწყობას“[39]. მაგრამ ემოციონური მომენტი ყოველთვის არაა საკმარისი განწყობის შესაქმნელად, იგი შეიძლება უბრალო განმეორების შედეგად მიღებული გრძნობადი შთაბეჭდილებებიდან წარმოიშვას. ზნეობა, ჩვეულება, სწავლა, იგივე განწყობებია.

შულცეს აზრით „განწყობა არის საგანზე მიმართული, მეტად თუ ნაკლებად სიღრმეში მიმავალი მდგომარეობა ან მხარე ინდივიდუალობისა, რომლის გამოც ამ საგნის ან მისი მსგავსისადმი დამოკიდებულება, მისი გაგება და განცდა ამ ინდივიდისათვის დამახასიათებელი წესით განისაზღვრება“[40].

მარბესაგან განსხვავებით, შულცე უარყოფს განწყობის ცნობიერებაში მოცემულობის შესაძლებლობას. მისი აზრით, განწყობის მოქმედება არაცნობიერია. განწყობა არსებობს არაცნობიერში. სა-

---

[37] O. Schultze, Die Forderung einer «theoretischen Psychologie» am Begriffe der Einstellung erläutert, Zschr f. Psychol., 1929, 112.

[38] იქვე, გვ. 260.

[39] იქვე, გვ. 266.

[40] იქვე.

კითხს არაცნობიერის ონტოლოგიური რაობის შესახებ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ რაიმე ამის შესახებ.

მარბეს თეორიის უეჭველი გავლენა შეიმჩნევა აგრეთვე კ. ზიბერტისა[41] და რ. შტროჰალის[42] შრომებში, თუმცა ისინი მარბეს არ ასახელებენ. განსაკუთრებით ითქმის ეს შტროჰალის შესახებ, რომელსაც ჩაუტარებია ექსპერიმენტული გამოკვლევები განწყობის ფენომენური მხარის გამოსარკვევად. გაანალიზებული იყო კონექტივური (კრისის მიხედვით) განწყობები; კერძოდ. შტროჰალმა თავის ექსპერიმენტში გამოიყენა კრისის მიერ ჯერ კიდევ 1895 წელს დადასტურებული ფაქტი იმის შესახებ, რომ ნოტების განსხვავებულ წაკითხვას განსაზღვრავს ის, თუ რომელი გასაღები უძღვის მათ წინ: ბასისა თუ ვიოლინოსი. კრისმავე მიუთითა აგრეთვე იმ ფაქტზე, რომ მაგლითად ნიშანი „O" სხვადასხვანაირად იკითხება იმისდა მიხედვით, თუ სად ვხვდებით მას: ალფავიტში თუ ციფრებს შორის. კრისის აზრით, ეს მოვლენა შედეგია კონექტივური განწყობების ზემოქმედებისა, რომელთა ფენომენური მხარის შესწავლაც მიზნად დაუსახავს შტროჰალს. შტროჰალი ბაადეს ინტროვოკაციისა და თვითდაკვირვების მეთოდით სწავლობდა იმ ცნობიერების პროცესებს, რომლებიც წარმოიშვებიან როგორც განწყობის შეცვლის, ისე განწყობის არსებობის დროს. აღმოჩნდა, რომ რაიმე განსაზღვრული განწყობის არსებობა ცნობიერებაში წარმოდგენილია შესატყვისი განწყობისათვის დამახასიათებელი განცდით, რომელიც რელატური უცვლელობით „თანმიმდევრობს" მანამ, სანამ ახალი განწყობა არ აღმოცენდება ამ განწყობებიდან. როგორც საფუძვლიდან წარმოიშვებიან ცალკეული რეაქციები, რომლებსაც მეტი ყურადღება ექცევათ, რის გამოც თვითონ განწყობის განცდა ყურადღების გარეშე რჩება; იგი უმეტესად ცნობიერების სიღრმეში მიმდინარეობს, მაგრამ განცდისდაგვარად ცნობიერებაში არსებობს. შტროჰალის აზრით, შეუძლებელია განწყობის განცდის წარმოდგენის მსგავსად დახასიათება: „განწყობის განცდის თვისობრივ დახასიათებას ყველაზე კარგად შეეფერება გამოთქმა „არათვალსაჩინო ცოდნა".

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ „არათვალსაჩინო ცოდნა", რომლითაც შტროჰალი, ალბათ ნარცის ახის ზეგავლენით, განწყობის თანამიმდევარ ცნობიერ განცდას ახასიათებს, სწორედ ის ცნობიერების მდგომარეობის განცდებია, რომელთა შესახებ მარბეს „მსჯე-

---

[41] K. Siebert, Einstellung und Denken, ArGsPs, 1931, 82.

[42] R.Strohal, Deskriptive Psychologie d. Einstellung. Bericht über den 12. Kongreß der Deutschen Gesellschaft f. Psychol. 83, 1932, S. 430.

ლობაშია" უკვე მითითებული და რომელთა დახასიათება როგორც არაცნობიერი განწყობის ცნობიერი ანარეკლისა ისევ მარბესა და მის მოწაფეებს ეკუთვნით.

ზემოთ ჩვენ მოკლედ მოვხაზეთ მარბეს მოძღვრების თანამედროვე ფსიქოლოგიურ აზროვნებაზე გავლენის გზები. როგორც ვნახეთ, არც ერთი მათგანი არ გულისხმობს მარბესეული განწყობის ცნების არსებით გადამუშავებას. ესაა იმის მიზეზი, რომ განწყობა ყოველთვის რჩება აღქმის სუბიექტურ ფაქტორად და ამიტომ განწყობის თეორიაც შემეცნების სუბიექტივისტური თეორიის დანასკვად და გამამართლებლად გვევლინება ყოველთვის. ამ გარემოებას, ცხადია, არ შეეძლო უკვალოდ ჩაევლო განწყობის ფსიქოლოგიის განვითარების შემდგომი ბედისათვის. მართლაც, მარბეს თეორიისადმი ერთგულებამ შეუძლებელი გახადა განწყობის პრობლემათა რამდენადმე ნაყოფიერი კვლევა-ძიება შემდგომში; ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა მარბეს თეორიიდან გამომდინარე, უკვე გაკეთებული იყო; განწყობის ფსიქოლოგიაში რაიმე, პრინციპულად ახალის შექმნა განწყობის ახალი თეორიის შექმნის გზით იყო მხოლოდ შესაძლებელი. ცხადია, აქ ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება: განწყობის ცნების გამოყენება განწყობის ახალი თეორის შემქმნელს გარკვეულ ვალდებულებას აკისრებდა ტრადიციის წინაშე; რაღაც მემკვიდრეობითობის დაცვა სავალდებულო იყო; წინააღმდეგ შემთხვევაში აზრიც აღარ ექნებოდა განწყობის ცნების გამოყენებას. საჭირო იყო, მაშასადამე, განწყობის ტრადიციული ცნების გამოყენებით, განწყობის ახალი თეორიის შექმნა; ეს კი ჩვენის აზრით, შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, თუ განწყობის ცნება და ფენომენი განხილული იქნებოდა ახალი ფილოსოფიური თვალსაზრისით. განწყობის ცნების განვითარებისა და განწყობის ახალი თეორიის შემუშავების ასეთი გზა აირჩია საქართველოში დიმიტრი უზნაძემ.

ის გარემოება, რომ უზნაძემ თავისი ფსიქოლოგიური თეორიის შესაქმნელად განწყობის ცნება აირჩია და არა სხვა რომელიმე, ცხადია ამტკიცებს, რომ იგი მასში ხედავდა რაღაც ისეთ რაციონალურ მარცვალს, რომლის გამოყენება შესაძლებელი და საჭირო იყო. როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ეს რაციონალური მარცვალი დ. უზნაძეს? ეს კითხვა გულისხმობს იმის გარკვევას, თუ რა აიღო უზნაძემ, კერძოდ, მარბესეული განწყობის ცნებიდან.

უზნაძე იმ მოსაზრებიდან ამოდის, რომ ცოცხალ ორგანიზმს ორი თავისებურება აქვს: „ერთი—მიზანშეწონილი ქცევა, და მეორე—მოთხოვნილება"[43]. მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუა-

---

[43] დ. უ ზ ნ ა ძ ე. ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 66.

ლებას მხოლოდ გარებუნება შეიცავს. მაშასადამე, აუცილებელია მოთხოვნილების მქონე ორგანიზმმა ისეთი ქცევა შეასრულოს, რომელიც მას გარებუნებაში სწორედ იმას აპოვნინებს, რაც ორგანიზმს სჭირდება. ასეთი მიზანშეწონილი ქცევის ამხსნელად უზნაძე განწყობის ცნებას იყენებს. მაგრამ მოთხოვნილების ცნება გულისხმობს არა მარტო სუბიექტს, არა მარტო იმას, ვისაც მოთხოვნილება აქვს, არამედ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტსაც. ამიტომ, უზნაძის აზრით, ეს გარემოება ქცევის განმსაზღვრელ განწყობის ცნებაშიც უნდა აისახოს. განწყობაში უნდა გაერთიანდეს ქცევის განსაზღვრის არა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური მხარეც. განწყობა ქცევის განმსაზღვრელი სუბიექტურ-ობიექტური ფაქტორი უნდა იყოს.

მოთხოვნილების მატარებელ სუბიექტზე არა ყოველგვარი გარემო მოქმედებს, არამედ მხოლოდ მოთხოვნილებასთან დაკავშირებული გარემო. ამ შემთხვევაში გარემო „მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებად, მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციად იქცევა"[44]. იმ მდგომარეობაში, რომელსაც სუბიექტში გარესინამდვილის ზემოქმედება იწვევს. „გარესინამდვილე შეიძლება როგორც განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია... იყოს ასახული"[45]. მაგრამ სუბიექტში შექმნილი მდგომარეობა სუბიექტის მთლიანი მოდიფიცირებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქცევის პროცესში ქცევის სუბიექტი მოთხოვნილების სიტუაციის შესატყვისად იცვლება (ასახვა. მაშასადამე, გაგებულია, როგორც სუბიექტის შეცვლა ასასახავის. ასახვის ობიექტისადაგვარად). მაშასადამე, „...ქცევის სუბიექტი, უკვე მანამდე, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს, თავისი მოთხოვნილების სიტუაციის შესატყვის მოდიფიკაციას განიცდის და ამიტომ მისი მომავალი მოქმედება მოცემული სიტუაციის შესატყვისად მოდიფიცირებული არსების მოქმედებას წარმოადგენს"[46].

სუბიექტის ასეთ მოდიფიცირებას უზნაძე განწყობას უწოდებს. ეს განწყობა არამარტო სუბიექტური განმსაზღვრელია ქცევისა, არამედ ობიექტურიც, რადგან მასში ასახულია ქცევის ობიექტური მხარეც, როგორც ამ ქცევის ობიექტური პირობა.

ზემოთქმულიდან არ არის ძნელი უზნაძისა და მარბეს თეორიების ურთიერთმიმართების გარკვევაც. თვითონ უზნაძე შემდეგნა-

---

[44] იქვე, გვ. 67.
[45] იქვე.
[46] იქვე, გვ. 68.

ირად ახასიათებდა ამ მიმართებას: „განსაკუთრებით დიდ როლს მას (განწყობას—გ. ც.) გერმანელი ფსიქოლოგი მარბე მიაწერს, რომლის მიხედვითაც ადამიანის მთელი ქცევა, მისი ფსიქიკის მთელი მუშაობა განწყობის ფუნქციას წარმოადგენს. ეს დებულება ძირითადში სწორია, ოღონდ იმ შემთხვევაში მხოლოდ, თუ განწყობის ცნება მართებულად იქნება გაგებული. მაგრამ... მარბეს განწყობის ცნება სრულიად არაა დამაკმაყოფილებელი. მარბესათვის განწყობა სუბიექტის მთლიანს ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც ან თანდაყოლილია, და ან პირადი ცხოვრების მიმდინარეობაში ამა თუ იმ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე განცდების... ზეგავლენითაა პირობადებული... განწყობა წმიდა სუბიექტური მდგომარეობაა და როგორც ასეთი, რასაკვირველია, წმიდა სუბიექტურ ფაქტორად უნდა იქნას ნაგულისხმევი, იმას, რაც განწყობას შეაქვს განცდაში, მაგ.. აღქმაში თუ აზროვნებაში. მხოლოდ სუბიექტური საფუძველი აქვს“[47].

მარბეს განწყობის ცნების ნაკლი უზნაძემ სწორედ იმაში დაინახა, რომ იგი მხოლოდ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მხოლოდ სუბიექტურ მხარეს ასახავს. უზნაძის აზრით, განწყობას უთუოდ აქვს სუბიექტური მხარე, მაგრამ ისე, როგორც შემეცნების პროცესი სუბიექტ-ობიექტის ურთიერთმიმართებას მოითხოვს, ასევე განწყობაც „სუბიექტში გადმოსული ობიექტური ვითარებაა“[48]. მაშასადამე, განწყობა აღარაა წმიდა სუბიექტური ვითარების ამსახველი ცნება, ვინაიდან იგი ობიექტური ვითარებითაა ძირითადად განპირობებული. გასაგებია, რომ ასეთ ცნებაზე დამყარებული განწყობის თეორია პრინციპულად განსხვავებული უნდა იყოს იმ თეორიისაგან, რომლის საფუძველს წმიდა სუბიექტური ვითარების ამსახველი ცნება წარმოადგენს. მართლაც, განწყობა, როგორც ქცევის სუბიექტური მხარე, მარბესთან ილუზიური აღქმის პირობად გვევლინება. განწყობა მარბესთან მცდარი აღქმის პირობაა, იგი აღქმის ილუზიის საფუძველია და როგორც ასეთი, შემეცნების სუბიექტივისტური თეორიის გამამართლებლადაა მოწოდებული. უზნაძესთან განწყობის ცნება

---

[47] იქვე, გვ. 73.
[48] იქვე.

სულ სხვა შინაარსის მატარებელია. აქ განწყობამ სუბიექტის მიზანშეწონილი ქცევა უნდა გახადოს გასაგები. მიზანშეწონილი ქცევა კი უზნაძისათვის იმაში მდგომარეობს, რომ „...ქცევის სუბიექტი. მანამდე, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს, თავისი მოთხოვნილების სიტუაციის შესატყვის მოდიფიკაციას განიცდის და. ამიტომ მისი მომავალი მოქმედება მოცემული სიტუაციის. შესატყვისად მოდიფიცირებული არსების მოქმედებას წარმოადგენს"[49]. აქედან გასაგებია, რომ „მოცემული სიტუაციის შესატყვისად მოდიფიცირებული არსების მოქმედება" აღარ შეიძლება მცდარი მოქმედება იყოს: სუბიექტის სიტუაციის შესატყვისად მოდიფიცირება განწყობაა. ხოლო განწყობაში უკვე წინასწარაა მოცემული ის მოქმედება. რომელიც სუბიექტმა უნდა შეასრულოს. მაშასადამე, სუბიექტის ქცევა წინასწარაა დეტერმინირებული მისი განწყობით და ამიტომ განხორციელებული ქცევა ის ქცევა იქნება. რომელიც ერთადერთი შეესატყვისება მოცემულ გარემოს: განწყობა ხომ სუბიექტში 'გადმოსული ობიექტური ვითარებაა, ხოლო ობიექტით დეტერმინირებული ქცევა. ცხადია, ობიექტის შესატყვისი უნდა იყოს; ქცევა. რომელიც განწყობის საფუძველზე ხორციელდება, მაშასადამე, ყოველთვის სწორი ქცევაა; განწყობა გამორიცხავს მცდარი ქცევის შესაძლებლობას.

ესაა ის არსებითი, რაც უზნაძისა და მარბეს თეორიებს განასხვავებს: თუ მარბესთან განწყობა მცდარი აღქმის საფუძველია, უზნაძესთან განწყობის ცნება საერთოდ გამორიცხავს შეცდომის შესაძლებლობას.

ამით ვამთავრებთ მარბეს კონცეფციის ძირითად ცნებათა თანამედროვე ფსიქოლოგიაში გამოყენების მოკლე მიმოხილვას. ჩვენი მიზანი იყო ამ გამოყენების ზოგიერთ დამახასიათებელ მომენტზე მითითებით გვეჩვენებინა, რომ მიუხედავად მარბეს კონცეფციის თეორიული საფუძვლების უკმარობისა, ამ კონცეფციის ძირი-

---

[49] იქვე, გვ. 68.

თად ცნებებს, ამა თუ იმ სახით, მაინც მოქალაქეობრივი უფლება აქვთ მოპოვებული თანამედროვე მეცნიერებაში.

დასასრულ ერთი უცნაური მოვლენის შესახებ: მარბეს ვარდაცვალებიდან რაღაც შვიდიოდე წლის შემდეგ (1960 წელს) საფრანგეთში ჩატარდა განწყობის ცნებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი. სიმპოზიუმზე მხოლოდ ერთ კაცს (პ. ოლერონს) მოაგონდა, რომ ისტორიულად განწყობის შესწავლას ვიურცბურგის სკოლაში ჩაეყარა საფუძველი და რომ იქ იგი თვითდაკვირვების მეთოდთან იყო დაკავშირებული[50]. რაც შეეხება მარბეს, მისი სახელი ამ სიმპოზიუმზე აღარავის გახსენებია. კვლევა-ძიების ასეთი წესი, ცხადია, არ არის მეცნიერული და მით უმეტეს ეთიკური; ყველას თავისი უნდა მიეზღოს.

---

[50] Les Attitudes, Symposium de L'Association de psychologie scientifique de Langve francaise, Paris. 1961.

ემპირიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები (ჯ. ლოკი)

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ცალკეულ მეცნიერებათა კავშირი ფილოსოფიასთან მარტო ფაქტიურ მდგომარეობას კი არ გამოხატავს, არამედ ამ კავშირის აუცილებლობაზე მიუთითებს. მეცნიერება, რომელიც შეეცდება განზე გაუდგეს ფილოსოფიას, არ „ჩაირიოს" იგი, შეიძლება საბედისწერო შედეგამდე მივიდეს. მეცნიერების განვითარების მთელი ისტორია ამის ნათელი დადასტურებაა. ექსპერიმენტული კვლევით გატაცებული ბუნებისმეტყველება შეეცადა ერთ დროს განდგომოდა ფილოსოფიას, მაგრამ ამაოდ.

„ბუნების მკვლევართ შეუძლიათ თავი ისე წარმოიდგინონ, როგორც მათ სურთ, მაგრამ მათზე მაინც ბატონობს ფილოსოფია. საკითხი მხოლოდ იმას ეხება, თუ რომელი სურთ. სურთ, რომ მათზე ცუდი მოდური ფილოსოფია ბატონობდეს, თუ სურთ, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ თეორიული აზროვნების ისეთი ფორმით, რომელიც ემყარება აზროვნების ისტორიისა და მისი მიღწევების ცოდნას"[1]—წერს ენგელსი.

სპეციალურ მეცნიერებათა კავშირი ფილოსოფიასთან ყველაზე კარგად მაინც ფსიქოლოგიის მაგალითზე ჩანს. არა თუ ძირითადი მიმართულებანი ფილოსოფიაში—მატერიალიზმი და იდეალიზმი, არამედ რაციონალიზმი და ემპირიზმიც თავის შესაბამის მიმდინარეობებს ქმნიდნენ ფსიქოლოგიაში. დეკარტის რაციონალურ ფილოსოფიაში რაციონალური ფსიქოლოგია ჩაისახა, ხოლო ლოკის ფილოსოფიურმა ემპირიზმმა მისი ემპირიული ფსიქოლოგია წარმოშვა. ის ფაქტი, რომ ემპირიული ფსიქოლოგია ემპირიულ ფილოსოფიაშივე გაჩნდა, მკვლევარს, რომელიც ამ ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების დადგენას ცდილობს, ავალებს, ჯერ ემპირიული ფსი-

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, 1954, გვ. 213—214.

ქოლოგია ემპირიული ფილოსოფიიდან გამოჰყოს და მერე იწყოს იმის კვლევა, თუ როგორ შეაპირობა ემპირიულმა ფილოსოფიამ ემპირული ფსიქოლოგია. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ბოლომდე იქნება ცნობილი იმ პრინციპების ღირსება ან ნაკლოვანება, რომელსაც კერძო მეცნიერება ეყრდნობა, შესაძლებელი გახდება დაახლოებით სწორად გავითვალისწინოთ ამ მეცნიერების განვითარების გზა და მისი საბოლოო ბედი.

ამ აზრის ნათელყოფას ჩვენ ემპირიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების განხილვით შევეცდებით. ემპირიული ფილოსოფიის ცალმხრიობა და ნაკლოვანება უნდა გახდეს ამხსნელი ემპირიული ფსიქოლოგიის ნაკლოვანებისა. ასეთია ამოცანა, რომელსაც წინამდებარე შრომა ისახავს მიზნად.

ემპირიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კვლევისას რომ სწორედ ლოკის ფსიქოლოგიაზე შევაჩერეთ ყურადღება, ეს იმით აიხსნება, რომ ლოკთან ემპირიული ფსიქოლოგიის არა მარტო კონტურები მოიხაზა, არამედ იგი ისე გამოიკვეთა, რომ მას სამართლიანად მიიჩნევენ ემპირიული ფსიქოლოგიის ფუძემდებლად. ლოკის ფსიქოლოგიაშივე დადგინდა ის ძირითადი პრინციპები და დებულებები, რომელსაც შემდგომ ემპირული ფსიქოლოგიის ყოველი სახეობა იზიარებდა. სამართლიანად წერს ს. რუბინშტეინი: „Из всей плеяды английсских эмпиристов именно Локк имел бесспорно наибольшее значение непосредственно для психологии“[2].

ლოკის ფსიქოლოგიამ, როგორც ემპირიულმა ფსიქოლოგიამ, ფართო პოპულარობა და აღიარება მოიპოვა. იგი, როგორც სულიერი მოვლენების შემსწავლელი მეცნიერება, მალე ერთადერთ ნამდვილ და უნაკლო მეცნიერებად გამოცხადდა. მაგრამ თუ გამოვალთ იქედან, რომ ნაკლოვან ფილოსოფიაზე დაფუძნებული მეცნიერება არ შეიძლება ყოფილიყო უნაკლო, გამოდიოდა, რომ ან ემპირიული ფსიქოლოგია არ დაფუძნებია ემპირიულ ფილოსოფიას, ანდა მეცნიერების ღირსება-ნაკლოვანებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია იმას, თუ როგორია მისი ფილოსოფიური საფუძველი. ყოველ შემთხვევაში, ემპირიული ფსიქოლოგიის არაჩვეულებრივი წარმატება და შესაბამისი ფილოსოფიის გაცილებით ნაკლები პოპულარობა, ამაზე ფიქრის საბაბს იძლეოდა.

ლოკის ფსიქოლოგიის ანალიზი მიზნად ისახავს ნათელი გახადოს ფილოსოფიური საფუძვლების გავლენა მეცნიერებაზე და ის,

---

[2] С. Рубинштейн, Основы общей психологии, 1940, стр. 49.

რომ მეცნიერების განვითარების ნამდვილი გზა და საბოლოო ბედი შეპირობებულია ამა თუ იმ ფილოსოფიური თვალსაზრისით. შრომის ერთ-ერთი მიზანი ისიცაა, რომ ემპირიული ფსიქოლოგიის წინსვლის მოულოდნელი შეფერხება უცნაურობად კი არ მიიჩნიოს, არამედ აჩვენოს, რომ იგი კანონიერი შედეგი იყო ლოკის კონცეფციის ლოგიკური განვითარებისა.

მაგრამ რა აზრი აქვს ჩვენთვის ემპირიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კვლევას, იმ მიზეზების დაძებნას, რომელმაც ემპირიული ფსიქოლოგიის მარცხი გამოიწვია?

საქმე იმაშია, რომ საბჭოთა ფსიქოლოგია ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიებთან დაპირისპირებაში ვითარდება, იქ კი ემპირიული ფსიქოლოგია ამჟამადაც მოქმედი ფსიქოლოგიაა და, მაშასადამე, იგი ფსიქოლოგიური მეცნიერების წარსულ ეტაპად ვერ ჩაითვლება. ამიტომ ემპირიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კვლევა საინტერესოა არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, არამედ იგი ასევე გარკვეულ წვლილს შეიტანს იმ გზების ნათელყოფის საქმეში, რომლითაც უნდა წარიმართოს საბჭოთა ფსიქოლოგიის განვითარება.

§1. ჯ. ლოკის ფილოსოფიური შეხედულებანი. ემპირიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კვლევა შესაბამისი ფილოსოფიის—ემპირიული ფილოსოფიის განხილვას და მასში იმ პრინციპებისა და დებულებების დაძებნას მოითხოვს, რომელსაც ემპირიული ფსიქოლოგია დაემყარა. ეს გარემოება საშუალებას იძლევა ლოკის ფილოსოფიიდან იმ მომენტებზე შევაჩეროთ ყურადღება, რომელსაც ჩვენი პრობლემის გარკვევისათვის ექნება მნიშვნელობა.

ლოკის ფილოსოფია იმ ფილოსოფიის მემკვიდრეა, რომელიც ბეკონიდან მომდინარეობს და რომელსაც ემპირიულ ფილოსოფიას უწოდებენ. ამიტომ ემპირიული და რაციონალური ფილოსოფიის დაპირისპირება ლოკის ფილოსოფიაშიც აისახა და იგი აქ დეკარტის რაციონალური ფილოსოფიისადმი დაპირისპირებაში გამომჟღავნდა. ეს დაპირისპირება თანშობილი იდეების კრიტიკით დაიწყო და დამთავრდა ცოდნის ერთადერთ წყაროდ შეგრძნებებისა და რეფლექსიის აღიარებით, შემეცნების საქმეში აზროვნებისათვის უმნიშვნელო როლის მინიჭებით.

მაგრამ მიუხედავად ამ დაპირისპირებისა, ლოკი მაინც ვერ აცდა დეკარტის გარკვეულ გავლენას როგორც ფსიქოლოგიაში, ისე ფილოსოფიაში. ამიტომ ის, რაც ემპირისტის პოზიციებიდან ძნელი გასაგები ჩანს ლოკის კონცეფციაში, ადვილად აიხსნება, თუ ამ კონცეფციაზე რაციონალიზმის გავლენას გავითვალისწინებთ.

დეკარტის გავლენა ლოკის ფილოსოფიაზე ყველაზე ნათლად, სამყაროს აგებულების საკითხის გარკვევაში გამოვლინდა. ორი ურთიერთდამოუკიდებელი რეალობის—ფიზიკურისა და ფსიქიკურის და ამის შესაბამისად ორი სუბსტანციის არსებობის აღიარება, რომელიც ლოკმა დეკარტისაგან გადაიღო, ამის ნათელი დადასტურებაა. როგორც ცნობილია, დეკარტმა ახალი ცნება Mens (გონი, дух) შემოიტანა ფილოსოფიაში და იგი ფიზიკურს (ფიზიოლოგიურს) დაუპირისპირა. გონი ისეთი რამეა. რაც არასოდეს არ შეძლება ფიზიკური იყოს; იგი ვერც ფიზიკურისაგან გამოიყვანება. ვერც მის თვისებად გამოცხადდება. გონი ცალკე რეალობაა, ცალკე სინამდვილეა. მსგავსად ფიზიკურისა, მაგრამ ფიზიკურისაგან განსხვავებით, მას არ ახასიათებს ვრცეულობა. თუ ფიზიკურ საგნებს. ობიექტურ რეალობებს აქვთ თავისი სუბსტრატი, გონსაც უნდა ჰქონდეს ასეთივე სუბსტრატი, ე. ი. უნდა არსებობდეს ორი სუბსტანცია—მატერიალური და სულიერი.

რა დამოკიდებულება არსებობს ამ ორ სუბსტანციას შორის? – არავითარი. ისინი ურთიერთდამოუკიდებელნი არიან და ერთმანეთს არ ჩაერთვიან. მაგრამ თუ მაინც ხდება, რომ ფიზიკურ რიგში მომხდარ ცვლილებას სდევს შესაბამისი ცვლილება ფსიქიკურში. ეს უნდა აიხსნას როგორც ორი პროცესის პარალელური მიმდინარეობა, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, გარდა მიმდინარეობის თანადროულობისა. ასეთი დუალიზმი, ცხადია, სულიერის მატერიალურისაგან სრულ დამოუკიდებლობას ამტკიცებს. სულიერს თავისთავად არსებობას ანიჭებს და მისი მიმდევარი აღარც უნდა ეძებდეს რაიმე ურთიერთობას სულიერსა და მატერიალურს შორის, ფსიქიკურსა და გარე სამყაროს შორის. დეკარტი ასეც იქცევა.

ლოკმა მიიღო დეკრატის ის აზრი, რომ სინამდვილე ორ ნაწილად იყოფა: მატერიალურად და სულიერად, ფიზიკურად და ფსიქიკურად, მაგრამ მაშინვე კი არ მიემხრო დუალიზმს, არამედ ორი სუბსტანციის არსებობის დაშვების საფუძვლიანობის შემოწმებას შეუდგა. ორი სუბსტანციის არსებობის დაშვება თვისთავად საქმის ფაქტიურ მდგომარეობას ასახავდა მხოლოდ და არაფერს ამბობდა იმის შესახებ, ეს ორი მარადიულად ასე არსებობს თუ იყო ერთი და მეორე მისგან წარმოიშვა. ლოკი სამართლიანად აყენებს კითხვას იმის შესახებ, თუ რომელია ამ ორიდან პირველი, რომელმა წარმოშვა რომელი?

გასაგებია, რომ ცდაზე, გამოცდილებაზე დაკვირვება, რომელიც ლოკისათვის ცოდნის ძირითადი წყარო იყო, მონიზმის სასარგებ-

ლოდ ვერაფერს მოგვცემდა. საჭირო იყო რომელიმეს პირველადობის დაშვება, ვთქვათ ფიზიკურისა. ასეთ შემთხვევაში ამ ფიზიკურს, მატერიალურს, მარადიული არსებობა უნდა მინიჭებოდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არაფრისაგან რაიმე არ წარმოიშვება და მეორეც იმიტომ, რომ საწინააღმდეგო შემთხვევაში დაგვჭირდებოდა ჯერ ამ ფიზიკურის წარმოშობის დადგენა და ასე უსასრულოდ.

Regresum in infinitum-ის თავიდან ასაცილებლად ლოკმა ფიზიკურის მარადიულობა დაუშვა. მაგრამ რამდენადაც ლოკის აზრით მარადიულ ფიზიკურს არ შეუძლია არა თუ ფსიქიკურის, არამედ მოძრაობის წარმოშობაც კი[3], ამიტომ ცხადია, საქმეს ვერც ამ დაშვებამ უშველა. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ წარმოშობს უძრავი მატერია მოძრაობას, პირველ საკითხზე არანაკლები სირთულისაა, ამიტომ მასზე მსჯელობა ნიშნავს დაწყებული საქმის გადადებას და ახალი, არსებითად სხვა საქმის კეთებას. ლოკი უშვებს, რომ მოძრაობაც ისევე მარადიულია, როგორც მატერია, რომ მარადიულ მატერიას ახასიათებს თვითმოძრაობის უნარი[4], მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მეტაფიზიკოსი მოაზროვნისათვის ვერც მოძრაობის უნარის მქონე მატერია გამოდგა საკმარისი შეგრძნების, აღქმისა და აზროვნების წარმოსაშობად; „და მაინც არ შეუძლია მატერიას—აზროვნების არმქონე მატერიას მოძრაობასთან ერთად, წარმოშვას აზრი... მოძრაობასა და მატერიას ისევე არ შეუძლიათ წარმოშვან შემეცნება, როგორც არ შეუძლია არარაობას წარმოშვას მატერია"[5]—წერს ლოკი

ფსიქიკის გამოცხადება მაღალგანვითარებული ფიზიკურის პროდუქტად მექანიცისტ მოაზროვნისათვის წინააღმდეგობის მეტს არაფერს შეიცავდა. თუ ფსიქიკა აუცილებლად ფიზიკურისაგან მომდინარედ უნდა ვიგულისხმოთ, ლოკის რწმენით, იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ იგი ახასიათებს არა ფიზიკურს თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე ე. ი. მაღალგანვითარებულ ფიზიკურს, არამედ ყოველი სახის ფიზიკურს. უნდა ვაღიაროთ, რომ ყოველ კენჭს, ხის ყოველ ნაფოტს, ყოველ ფოთოლს აქვს შეგრძნების, აღქმისა და აზროვნების უნარი. ე. ი. ფსიქიკა მთელი მატერიის თვისებად უნდა გამოცხადდეს, რაც აშკარა შეცდომაა.

---

[3] Дж. Локк, Избранные философские произведения: Опыт о человеческом разуме, 1960, стр. 604.

[4] იქვე, გვ. 604.

[5] იქვე.

„იმის წარმოდგენა, რომ აზროვნების არმქონე მატერიას შეუძლია წარმოშვას მოაზროვნე არსება, ისევე შეუძლებელია, როგორც იმის წარმოდგენა, რომ არაფრისაგან წარმოშვა მატერია“; „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მატერიას, მოძრაობის უნარით ან უიმისოდ, თავიდანვე ჰქონდეს თავისში როგორც მისი პროდუქტი, გრძნობა, აღქმა და შემეცნება“[7].

არც შებრუნებული გზა, ე. ი. ფიზიკურისაგან ფსიქიკურის წარმოშობა ჩანს შესაძლებელი. შეუძლებელია შეგრძნებას, აღქმას, აზროვნებას, ე. ი. ყველაფერ იმას, რაც არაა ვრცეული, წარმოეშვა ფიზიკური საგნები, ვრცეული სხეულები.

ცდა მონიზმის აღდგენისა დამარცხდა; მართალი დეკარტის დუალიზმი გამოდგა და ლოკმაც გაიზიარა იგი. ამიერიდან შეცდომად უნდა ჩაითვალოს რომელიმე მათგანის, ფიზიკურის ან ფსიქიკურის პირველადობაზე ლაპარაკი, რადგან ორივე თავიდანვე არსებობდა. მაგრამ თუ ფილოსოფიური აზრი დუალიზმს ვერ ეგუება და ითხოულობს ერთი საწყისის აღიარებას, მას ასეთად შეუძლია ღმერთი მიიჩნიოს, რომელიც ორივე ამ სუბსტანციის შემქმნელად გამოდგება.

ლოკის ფილოსოფიური კონცეფციის გულდასმით შესწავლა ნათელს ხდის, რომ ღმერთის ცნების შემოტანა გარკვეული ხარკი იყო მონიზმის სასარგებლოდ, თორემ არსად იგი ლოკის ნააზრევში სათანადოდ არ არის დასაბუთებული. ეგეც არ იყოს, ლოკს არც ჰქონდა ამ მესამე სუბსტანციის დაშვების უფლება, რამდენადაც ცდაში, გამოცდილებაში მარტო ეს ორი სინამდვილე იყო მოცემული და არაფრით ღმერთის არსებობა არ დასტურდებოდა. ღმერთის ცნება გონების შექმნილია, მისი არსებობაც რწმენის ფარგლებში რჩება და ემპირიულად ვერაფრით დასტურდება. ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ლოკის მონიზმი, ჯერ ერთი, რელიგიურ შინაარსს ატარებს, და მეორეც, იგი მისი კონცეფციისათვის შეუფერებელია, რაც იმით მტკიცდება, რომ ლოკი ხშირად ივიწყებს მას და კვლავ ორი სუბსტანციის—მატერიალურისა და სულიერის არსებობის შესახებ ლაპარაკობს.

ორი ურთიერთდამოუკიდებელი სუბსტანციის აღიარება მოითხოვდა ფსიქიკა, ცნობიერება გამოცხადებულიყო თავისთავში ჩაკეტილ რამედ, თვითცნობიერებად, რომელსაც არაფერი საქმე ექნებოდა ობიექტურ რეალობასთან, გარე სამყაროსთან. ცნობიერების

---

[7] იქვე, გვ. 604.

ამოცანად ამიერიდან ცხადდებოდა არა გარე სამყაროს შესახებ ცოდნის მოცემა, არამედ თავისთავის ასახვა, თვითასახვა.

ასეთი იყო საქმის ვითარება დეკარტთან; იგი ორი დამოუკიდებელი სუბსტანციის აღიარებიდან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობდა. ლოკმა უღალატა ლოგიკას და არა თუ მიიღო ამ ორ სუბსტანციას შორის არსებული ურთიერთობა, არამედ ისეთი კითხვა დასვა, რისი დაყენების უფლებაც მას მაშინვე ჩამოერთვა. როგორც კი ორი სუბსტანციის არსებობა დაუშვა, კითხვა მატერიის აზროვნებით ბუნებას შეეხება. ლოკი თვლის, რომ თავისთავად მატერიას არა აქვს აზროვნების უნარი, მაგრამ თუ ღმერთი ამას მოინდომებს, მას (ე. ი. მატერიას) შეუძლია ამ ფუნქციის შესრულება.

„იმის წარმოდგენა, რომ ღმერთს ...შეუძლია მატერიას მიანიჭოს აზროვნების უნარი, სრულებითაც არაა იმაზე ძნელი ჩვენი გონებისათვის, ვიდრე იმის წარმოდგენა, რომ მას შეუძლია მატერიას შეუერთოს მეორე სუბსტანცია—აზროვნების უნარის მქონე"[8].

ლოკის მეორე არათანმიმდევრობად ის უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ფსიქიკურის მიერ ფიზიკურის ასახვაზე ლაპარაკობს. მას მიაჩნია, რომ ფსიქიკური თავის თავში ჩაკეტილი რამე კი არაა. არამედ მასში რაღაცნაირად აისახება ფიზიკური. ფსიქიკურის, ცნობიერების საშუალებით ვღებულობთ ცოდნას გარესაგნების შესახებ. მაგრამ ამ ცოდნის მიზეზი იგივე გარესამყაროა. იგივე ფიზიკური საგნები და მოვლენებია, რომლებიც იქცევიან რა ცნობიერების შინაარსებად, ამით აისახებიან ჩვენს ფსიქიკაში. არ არსებობს წმიდა ფსიქიკა. წმიდა ცონბიერება, ფიზიკური სამყაროსაგან დამოუკიდებელი. ცნობიერების პირველ შინაარსს პირველი შეგრძნება წარმოადგენს. მანამდე კი იგი ცარიელი ყუთია (empty cabinet) და მეტი არაფერი.

პირველ შემთხვევაში, როცა ლოკი მოაზროვნე მატერიაზე ლაპარაკობდა, და ამჯერადაც, როცა ფსიქიკის ასახვით ბუნებაზე ლაპარაკობს, ცხადია, იგი მატერიალიზმის პოზიციებზე დგას. არათანმიმდევრობა აქ მხოლოდ ლოგიკურ გამომდინარეობას ეხება. ე. ი. იმას, თუ რამდენადაა შესაძლებელი ორი სუბსტანციის აღიარებელი ფილოსოფოსი მოაზროვნე მატერიაზე ან ფსიქიკურის ასახვით ბუნებაზე ლაპარაკობდეს.

დეკარტმა mens თავის თავში ჩაკეტილ სინამდვილედ გამოაცხადა. ცნობიერებას არაფერი ჰქონდა საერთო გარე სამყაროსთან, ობიექტურ რეალობასთან. ეს იმას ნიშნავდა. რომ მთელი ცოდნა

---

[8] Дж. Локк, Опыт..., გვ. 528

ცნობიერებას თავის თავიდან უნდა გამოეყვანა და არა სხვა გზით. სწორედ ამან მიიყვანა დეკარტი თანშობილი იდეების აღიარების ფაქტამდე. ლოკი სხვა პოზიციაზე იდგა. მისთვის ცნობიერება ცარიელი ყუთია მანამ, სანამ პირველი შეგრძნება ე. ი. გარე საგნის პირველი შთაბეჭდილება არ მოხვდა მასში და არ იქცა მის შინაარსად. რაციონალიზმისა და ემპირიზმის დაპირისპირება კარგად გამომჟღავნდა თანშობილი იდეების საკითხში.

თანშობილი იდეების ლოკისეული კრიტიკა არსებითად დეკარტის რაციონალური ფსიქოლოგიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ პუნქტში ლოკი მტკიცედ იდგა ემპირიზმის პრინციპებზე. რაც აიძულებდა მას თანშობილი იდეების ცნება შინაგანი წინააღმდეგობის შემცველ ცნებად გამოეცხადებია. თანშობილობის პრინციპი ვერ ეკუთვნოდა ემპირიზმის იმ ამოსავალ დებულებას, რომლის მიხედვითაც „არაფერია გონებაში ისეთი, რაც წინასწარ არ იყოს მოცემული შეგრძნებებში“. და რომელსაც ლოკი იცავს მაშინაც, როცა იგი შემეცნების სხვა წყაროს, რეფლექსიის შესახებ ლაპარაკობს (ამის შესახებ ქვემოთ).

თანშობილი იდეების ლოკისეული კრიტიკა შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ. პირველი საკითხს თეორიულ პლანში განიხილავს და მიზნად ისახავს გაარკვიოს, თუ რატომაა პრინციპულად შეუძლებელი ასეთი ცოდნის არსებობის შესახებ ლაპარაკი. მეორე ნაწილში ლოკი ცდილობს, ადამიანის იდეებზე დაკვირვებით, ემპირიული გზით დაამტკიცოს თანშობილ იდეათა არარსებობა.

პირველი საკითხის გადაჭრისას ლოკი კვლავ ამოდის ორი რეალობის, ფიზიკურისა და ფსიქიკურის არსებობის ფაქტიდან. დგას რა მატარიალისტურ პოზიციაზე, ლოკი ფიქრობს, რომ ობიექტური სამყარო არსებობს ადამიანის ცნობიერების გარეთ და ამისგან დამოუკიდებლად. ფიზიკური რეალობისათვის სრულიადაც არაა საჭირო ფსიქიკურის არსებობა, შემმეცნებელი სუბიექტის არსებობა; მაშინ როცა ამას ვერ ვიტყვით ფსიქიკურის, იდეის შესახებ. ფსიქიკური არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ფიზიკური სამყაროსაგან დამოუკიდებლად; არ არსებობს წმიდა ფსიქიკური, ფსიქიკური, რომელიც არ ასახავდეს ფიზიკურს და მას არ შეიცავდეს თავის შინაარსად. იდეის თავისთავადი არსებობა შეუძლებელია, რადგან იდეა რაღაცის დიეაა. ამიტომ იდეა შემეცნების პროცესში უნდა წარმოიშვას; შემეცნება კი ორ მომენტს გულისხმობს—შესამეცნებელ ობიექტს და შემმეცნებელ სუბიექტს. ვიდრე საგანი, როგორც გამღიზიანებელი არ იმოქმედებს ადამიანის გრძნობის ორგანოზე, მანამ შეუძლებელია ლაპარაკი შემეცნების, იდეის წარმოშო-

ბის შესახებ იდეა გარესაგანის ზემოქმედებით წარმოიშობა და არა მანამდე; მანამდე არსებობს გარესამყარო და ცნობიერება. მანამდე არის სული, რომელიც დაუწერელი დაფაა და რომელზედაც რაიმე უნდა დაიწეროს. შეგრძნებებთან ერთად ცნობიერებას იდეებიო რეფლექსიაც ამდიდრებს. რეფლექსია ცოდნას იძლევა ჩვენს სულიერ მდგომარეობაზე, ფსიქიკურ განცდებზე დაკვირვების შედეგად. ამიტომ იდეების წარმომშობ წყაროდ უნდა გამოცხადდეს შეგრძნებები და რეფლექსია. შეგრძნებაცა და რეფლექსიაც შემეცნების პროცესში ხდება და არა მანამდე..

ცხადია, იმის მტკიცება, რომ იდეები შემეცნების პროცესში ჩნდებიან, მათ თანშობილობას პრინციპულად გამორიცხავს. საკითხის ასეთი გადაწყვეტა, რომელიც სავადლებულო იყო ემპირისტისათვის, არსებითად ეწინააღმდეგებოდა რაციონალიზმს. დეკარტის აზრით, ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის საერთო არაფერია. ფსიქიკური არც ფიზიკური პროდუქტია და არც მისი ასახვა. ამიტომ ცნობიერებაში არსებული იდეები გარესაგანთა აღქმიდან კი არ მიღებიან, არამედ ცნობიერების საკუთრებას წარმოადგენენ. ცნობიერება არაა ცარიელი ყუთი, რომელიც მომავალში უნდა აივსოს იდეებით; იგი თავიდანვე სავსეა იდეებით და თუ კი დარჩა რამე გასაკეთებელი, ეგაა მათი შემეცნება.

ლოკი სვამს კითხვას: რომელ ცოდნას, რომელ იდეას უნდა ეწოდოს თანშობილი? თქმა იმისა, რომ თანშობილი იდეა დაბადებით თანდაყოლილ იდეას ჰქვია, არ ამოწურავს ამ ცნების შინაარსს. აქ მთავარი ყურადღება იმ გარემოებას უნდა მიექცეს, რომ თანშობილი იდეებისათვის დამახასიათებელია საყოველთაობა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს „შენი" და „ჩემი" თანშობილი იდეები. იდეა მაშინ ჩაითვლება თანშობილად, როცა იგი ყველასათვის მისაღები და უდავო იქნება.

გამოაცხადა რა თანშობილი იდეების დამახასიათებელ ნიშნად საყოველთაობა და აუცილებლობა, ლოკმა დაიწყო ამ ნიშნით შემოწმება იმ იდეებისა, რომელთაც თანშობილობას მიაწერდნენ. ამ მიზნით იგი იღებს ორ ისეთ დებულებას, რომელთა თანშობილობა თითქოსდა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ეს დებულებებია: „რაც არის, ის არის" და „არ შეიძლება ერთი და იგივე საგანი კიდევაც იყოს და კიდევაც არ იყოს". ერთის შეხედვით, ამ დებულებებს თითქოს ყველა უნდა დაეთანხმოს, მაგრამ თუ დავუკვირდებით აღმოჩნდება, რომ ბავშვს ან პირველყოფილ ადამიანს ასეთი დებულებები საერთოდ არა აქვს გონებაში. ასევე ბავშვი შესანიშნავად ასხვავებს ტკბილსა და მწარეს, თეთრსა და შავს, მაგრამ არ იცის დებულებები: „ტკბი-

ლი არ არის მწარე“; ან „თეთრი არ არის შავი“. იდეათა თანშობილობის აზრი რომ მართალი ყოფილიყო, მაშინ ბავშვს გაცილებით ადრე უნდა სცოდნოდა ეს დებულებები, ვიდრე გასინჯავდა ტკბილსა და მწარეს, ან იხილავდა ფერს.

ლოკის აზრით, თუ თანშობილი არ არის ისეთი დებულებები, როგორიცაა „რაც არის, ის არის“, მაშინ მითუმეტეს ვერ ჩაითვლება თანშობილად ის „პრაქტიკული პრინციპები“, რომლებიც არასოდეს არ სარგებლობდენ საყოველთაო აღიარებით. ავიღოთ პრინციპი: „მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა, რომ სხვები მოგექცენ შენ“. თუმცა სიტყვიერად ბევრი ეთანხმება ამ პრინციპს. მაგრამ უამრავია მისი დარღვევის შემთხვევა.

ლოკის დასკვნა ასეთია: არ არსებობს არავითარი თანშობილი იდეა; ყოველი იდეა შეიძინება ცდისა და გამოცდილების გზით. საყოველთაოდ მიღებული პრინციპები, თუკი ასეთები არსებობენ, იმიტომ კი არ არიან საყოველთაონი, რომ ისინი თანშობილებია, არამედ იმიტომ, რომ მათ ყველა ერთნაირად აღიქვამს. ეს ითქმის, მაგალითად მთელისა და ნაწილის შესახებ. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანს უხდება აღქმა როგორც მთელის, ისე მისი ნაწილისაც, და ამ გზით იძენს ცოდნას იმის შესახებ, რომ მთელი მეტია ნაწილზე ამგვარად, ეს პრინციპი შეძენილია საგნებზე უშუალო დაკვირვებისა და აღქმის გზით.

თანშობილ იდეათა კრიტიკის დროს ყველაზე რთულ დასაძლევად ღმერთის იდეის თანშობილობის საკითხი გამოიყურება. ლოკი აქაც საყოველთაობის პრინციპს იშველიებს და უჩვენებს, რომ ღმერთის იდეა, მისი არასაყოველთაობის გამო, არ შეიძლება თანშობილი იყოს. ცხადია, ეს გარემოება ლოკისათვის სრულიადაც არ ნიშნავს ღმერთის არარსებობას. ღმერთი არსებობს (უფრო სწორად, არის), მაგრამ მისი იდეა არ არის თანშობილი. დავუშვათ, რომ ღმერთის იდეა აქვს ყველა ადამიანს; იქნებოდა თუ არა იგი ამ შემთხვევაში თანშობილი? არ იქნებოდა. არ იქნებოდა იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც არ არის თანშობილი „ცეცხლის“ იდეა, თუმცა იგი ყველას მოეპოვება.

ლოკი აკრიტიკებს აგრეთვე ისეთი იდეების თანშობილობის მტკიცებას, რომელთა გამოვლენისათვის საჭიროა მსჯელობისა და აზროვნების დაწყება და რომლებიც იმთავითვე ცნობიერებაში მოცემულად არ იგულისხმებიან. ასეთ იდეათა არსებობის დაშვება ლოკს გაუგებრობის შედეგად მიაჩნია. თუ თანშობილი იდეის შემეცნებისათვის აზროვნების აქტია საჭირო, მაშინ იკარგება განსხვავება მასა და არათანშობილ იდეას შორის. მათემატიკური აქსიომები

და მათგან გამოყვანილი თეორემებიც ხომ აზროვნების შედეგადაა ძიღებული და მაშინ ისინიც თანშობილად უნდა მიგვეჩნია. ასეთ შემთხვევაში ჩვენ იმ დასკვნამდე უნდა მივსულიყავით, რომ „განსჯა ადამიანს უხსნის იმას, რაც მან უკვე იცოდა". იდეის აღმოჩენა აზროვნების შედეგად აქტიური პროცესია, ეს კი არ ეგუება თანშობილობას; თანშობილი მაშინაა თანშობილი, თუ მას არ დაჭირდება აზროვნებით აღმოჩენა.

თანშობილი იდეების კრიტიკა უშუალოდ უკავშირდება არაცნობიერის პრობლემას. როგორც ცნობილია, არაცნობიერის ცნებაზე პირველად ლეიბნიცმა გაამახვილა ყურადღება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე არსებული ყველა ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ცნობიერებას და ფსიქიკას აიგივებდნენ და არაცნობიერი ფსიქიკურის არსებობაზე არ მიუთითებდნენ. პლატონის მიერ თანშობილი იდეების აღიარება, ის, რომ მისთვის ცოდნა ახლის შეძენა კი არაა, არამედ არსებულის გახსენება, არაცნობიერის აღიარებას ნიშნავს ბოლოსდაბოლოს.

ლოკის პოზიცია სრულიად საწინააღმდეგოა. მართალია, იგი, პლატონის მსგავსად, არსად არ ახსენებს არაცნობიერს, მაგრამ თანშობილი იდეების კრიტიკითა და იმ აზრის დაცვით, რომ—არაფერი არ არის გონებაში ისეთი, რაც არ მოგვეცემა შეგრძნებაში—ლოკი, ებრძვის არაცნობიერს. შეგრძნება, აღქმა, აზროვნება ცნობიერი პროცესებია. „როგორ შეიძლება რამე ვიაზროთ და არ შევიმეცნოთ იგი"[9]—კითხულობს ლოკი. ყოველი ცოდნა ცნობიერია; ცოდნა მაშინაა ცოდნა, როცა ვიცი, რომ ასეთი ცოდნა მაქვს. საქმის ვითარება მეტისმეტად მარტივი ჩანს. რაიმეს მაშინ ვხედავ, როცა ნამდვილად ვხედავ, რაიმეზე მაშინ ვაზროვნებ, როცა ნამდვილად ვაზროვნებ.

„მე მეჩვენება წინააღმდეგობის შემცველად მტკიცება, რომ თითქოს სულში იყოს ჩაბეჭდილი ისეთი ჭეშმარიტებები, რომელთაც სული ვერ აცნობიერებდეს ან ვერ გებულობდეს იმდენად, რამდენადაც ჩაბეჭდვა სხვა არაფერი არაა, თუ არა იმის უნარი, რომ ზოგიერთი ჭეშმარიტებები შეცნობილ იქნეს"[10].

ამგვარად რაიმეს აღბეჭდვა ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს ფსიქიკაში მის გაცნობიერებას გულისხმობს. სხვანაირად მისი არსებობა წარმოუდგენელია. ამის საწინააღმდეგო მტკიცება მაშინვე გამო-

---

[9] Дж Локк, Опыт.., გვ. 133.
[10] იქვე, გვ. 77.

გვაცლიდა ხელიდან იმას, რასაც ვამტკიცებთ და მას არარაობად გადააქცევდა.

„იმის მტკიცება, რომ ცნებები ჩაბეჭდილნი არიან გონებაში, და თან მტკიცება, რომ სულმა არ იცის მათ შესახებ და ჯერ არასოდეს არ მიუქცევია მათთვის ყურადღება, ნიშნავს ამ შთაბეჭდილების არარაობად ქცევას. არც ერთ წინადადებაზე არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არსებობს სულში, თუ სულმა არაფერი არ იცოდა მის შესახებ და არასოდეს არ გაუცნობიერებია იგი"[11].

როგორც ვხედავთ, ლოკისათვის, გონებაში რაიმეს ყოფნა და მისი ცნობიერება განუყრელია. ერთი უეჭველად გულისხმობს მეორეს, მეორე პირველს. აქ ერთი და მეორე პირობითი გამოთქმაა. ფაქტიურად არ არის ორი რამ. არის ერთი საერთო პროცესი, სხვანაირად იგი ასე გამოითქმის: რაც არის, ის არის. ეს პრინციპი, როგორც თანშობილი პრინციპი, ლოკმა გააკრიტიკა. იგი არაა უნივერსალური პრინციპი. ამიტომ ჯობს ასე ვთქვათ: რასაც ვხედავთ, იმას ნამდვილად ვხედავთ. ამის საწინააღმდეგო იქნება, რასაც ვხედავთ, იმას ვერ ვხედავთ. ეს აბსურდია. ასეთი აბსურდი იქნება იმის თქმა, რომ არის რაიმე ისეთი ჩემს გონებაში, რაც არაა გაცნობიერებული.

ის, რაც აქამდე ითქვა, ცნობიერებას უფრო ეხებოდა, ვიდრე არაცნობიერს. საქმის ვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ლოკი არ თიშავს ერთმანეთისაგან ცნობიერებას და აზროვნებას, ისე როგორც არ თიშავდა მათ ერთმანეთისაგან დეკარტი. მაგრამ ვანსხვავებით დეკარტისაგან, რომელმაც აზროვნება (ცნობიერება) სულის ატრიბუტად ცნო, ლოკმა სულისათვის აზროვნება ყოველთვის აუცილებლად არ მიიჩნია. არის შემთხვევები, ლოკის აზრით, როცა ადამიანის სული არ აზროვნებს (ძილის დროს).

რაკი ლოკისათვის აზროვნება და ცნობიერება გაუთიშავია ერთი მეორისაგან, ბუნებრივია, მიუღებელი იქნებოდა ისეთი აზროვნების დაშვება, რომელიც არ იქნებოდა ცნობიერი. არც ლეიბნიცის „მცირე განცდის" ცნება იქნებოდა მისი სისტემისათვის მისაღები. „მცირე განცდა" მცირე გამღიზიანებელს გულისხმობს[12]. შესაძლებელია ვილაპარაკოთ მცირე ინტენსივობის გამღიზიანებლებზე, მაგრამ შეცდომაა ლაპარაკი „მცირე და დიდ განცდაზე". განცდა, მცირე იქნება იგი თუ დიდი, ფსიქიკურია და ამდენად ცნობიერი უნდა იყოს. რაკი არაა ცნობიერი, იგი არცაა საერთოდ.

---

[11] იქვე, გვ. 77.

[12] აქ გამღიზიანებლის ინტენსივობის სიმცირე იგულისხმება.

დასკვნა ასეთია: მცირე ინტენსიობის გამღიზიანებელი ვერ გასცილდება ფიზიოლოგიურს და ვერ იქცევა განცდად. ეს კი მის ცნობიერ-არაცნობიერობაზე ლაპარაკის უფლებასაც გვართმევს.

არაცნობიერის პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა ლოკის მოსაზრებები მეხსიერების კვალის საკითხზე. როგორც ცნობილია, არაცნობიერი ფსიქიკურის დამცველებს ცნობიერების სფერო ორ ფენად ჰქონდათ დაყოფილი: 1. ცნობიერების ველი და 2. ცნობიერების ნათელი არე. ცნობიერების ნათელ არეში მყოფი შთაბეჭდილება ცნობიერია, მაგრამ ცნობიერების ნათელი არე ძალიან ვიწროა, იგი ძალიან მცირე შთაბეჭდილებებს იტევს. ეს მაშინ, როცა ადამიანს აქვს ცოდნის დიდი მარაგი. შთაბეჭდილებათა უზომო რიცხვი. ყველა ესენი მოთავსებული არიან პერიფერიაში, არაცნობიერში, ისინი იმით განსხვავდებიან სრულიად უცხო შთაბეჭდილებისაგან, რომ მათ აქვთ უნარი ცნობიერების ნათელ არეში მოხვედრისა, სურვილისამებრ.

ასე ხსნიდნენ არაცნობიერების დამცველები მეხსიერების კვალის საკითხს. ლოკს არ შეეძლო ამ ეზის გაპყოლოდა, არ შეეძლო ეთქვა, რომ წარსულში მიღებული შთაბეჭდილებანი არაცნობიერში არიან. მაგრამ მას არც იმის თქმა შეეძლო, რომ ისინი ყოველთვის არიან ცნობიერებაში მოცემული. დარჩა ერთადერთი გზა, ეს იყო იმის თქმა, რომ ეს შთაბეჭდილებანი აღქმის შეწყვეტის შემდეგ სრულიად ჰქრებიან. მაგრამ ის ფაქტი, რომ მეორეჯერ აღქმისას გვექმნება ე. წ. ნაცნობობის განცდა, ამის თქმის საშუალებასაც არ იძლეოდა. ლოკმა ასეთი დასკვნა გააკეთა: რაკი ცნობიერება და აზროვნება გაუთიშავია, ხოლო ცნობიერება ასეთი შთაბეჭდილების არსებობას არ დასტურებს, იგი სრულიად უნდა გავიდეს ფსიქიკურის სფეროდან და დაუბრუნდეს ფიზიოლოგიურს. მის წარმომშობს: „ამბობენ, რომ ჩვენი იდეები იმყოფებიან მეხსიერებაში, ეს მაშინ, როცა სინამდვილეში ისინი არსად არ ინახებიან. მხოლოდ ტვინს აქვს უნარი აღადგინოს ისინი როცა მოესურვება"[13].

საკითხის ასეთი გადაჭრის საშუალება მხოლოდ მას ექნებოდა, ვინც დადგებოდა მატერიალისტურ პოზიციებზე. ვინც ცნობდა იმას, რომ ფიზიკური, ფიზიოლოგიური წარმოშობს ფსიქიკურს. ეს თვალსაზრისი ლოკისათვის ბუნებრივი თვალსაზრისია თუმცა იგი ეწინააღმდეგება მის ამოსავალ დებულებას ორი ურთიერთდამოუკიდებელი სუბსტანციის არსებობის შესახებ. ვინც აღიარებს ორი ურთიერთდამოუკიდებელი სუბსტანციის არსებობას, მას ერთმევა

---

[13] Дж. Локк. Опыт..., гз. 169.

უფლება ილაპარაკოს მათი ერთიმეორისაგან გამომდინარეობაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თვალსაზრისი ორი სუბსტანციის არსებობის შესახებ ლოკს პირდაპირ აქვს გადმოღებული დეკარტისაგან. ისე რომ თვითონ აღარ მიჰყვება და ემორჩილება მას.

დეკარტის ამოსავალი დებულება, რომ არსებობს ორი ურთიერთდამოუკიდებელი სუბსტანცია, რომელთაგან ერთის ატრიბუტი განფენილობაა, მეორესი აზროვნება, ლოკმა ასე შეასწორა: არსებობს ორი ურთიერთდამოუკიდებელი სუბსტანცია, რომელთაგან ერთისათვის დამახასიათებელია განფენილობა, ხოლო მეორისათვის აზროვნება(მაგრამ არა ყოველთვის).

§ 2. გარე სამყაროს შემეცნების პრობლემა ლოკთან და მისი სკეპტიციზმი. შემეცნების პრობლემა ლოკმა ორ ნაწილად გაჰყო: გარე სამყაროს შემეცნება და ჩვენი სულიერი მდგომარეობის. ჩვენი შინაგანი სამყაროს შემეცნება. გარე სამყაროს შემეცნება გულისხმობს შესამეცნებელი ობიექტისა და შემმეცნებელი სუბიექტის დაპირისპირებას. თანშობილი იდეების კრიტიკით ლოკმა ხაზი გაუსვა შემეცნების ამ ორი კომპონენტის აუცილებლობას გარე სამყაროს შესამეცნებლად. ე. ი. იმას, რომ ვიდრე ტრანსცენდენტური საგანი არ იმოქმედებს ჩვენი გრძნობის ორგანოებზე, ვიდრე არ გაჩნდება შეგრძნება, მანამდე სუბიექტის ცნობიერება **tabula rasa**-ა. ცხადია, აქ გამორიცხულია ლაპარაკი აპრიორულ ცოდნაზე, ისეთ ცოდნაზე, რომელიც უშუალოდ არ იქნება დაკავშირებული შეგრძნებებთან და აღქმებთან და რომელიც აზროვნებით მიიწვდინება. ასეთი ცოდნა, ლოკის აზრით, არაა ნამდვილი ცოდნა, რადგან იგი არაა სანდო და სარწმუნო. ხაზი შემეცნებულის ადექვატურობისა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: რაც უფრო ახლოსა ვართ საგნის უშუალო აღქმასთან, მით უფრო სანდოა და ადექვატური შემეცნება. ხოლო რაც უფრო ვცილდებით მას და ვიწყებთ აზროვნებას, მსჯელობას, მით უფრო ნაკლებ ადექვატურ შემეცნებას ვღებულობთ.

ლოკის ეს თვალსაზრისი უპირისპირდება დეკარტის თვალსაზრისს, რომელიც შეგრძნებათა სპეციფიკურ ნიშნად მათ ბუნდოვანებას მიიჩნევდა, ხოლო „რაციოს" შემეცნების უნაკლო წყაროდ თვლიდა. ლოკისა და დეკარტის დაპირისპირება აქ ემპირიზმისა და რაციონალიზმის დაპირისპირებაა.

ემპირიზმის ნაკლი, ისევე როგორც რაციონალიზმისა, მის ცალმხრივობაშია. მთელი ჩვენი ცოდნის დაკავშირება ემპირიასთან და

გონების როლის დამცირება შემეცნების საქმეში, ემპირიზმს გამოუვალ წინააღმდეგობაში აგდებს. ინდუქციის გაუნივერსალებას ემპირიზმი ლოგიკურად მიჰყავდა ზოგადის, კანონის უარყოფამდე, რაც თავის მხრივ მეცნიერების უარყოფასა და სამყაროს შეუმეცნებადობის აღიარებას უდრიდა.

ლოკთან ემპირიზმის ეს ნაკლი კიდევ უფრო გაღრმავებულია იმით, რომ ზოგჯერ თვითონ შეგრძნებებიც, ეს ერთადერთი წყარო გარესამყაროს შემეცნებისა, გამოცხადებულია ნაკლებ სანდოდ. ეს იმ შეგრძნებებს ეხება, რომლებიც საგნის მეორადი თვისებების შესახებ გვაძლევენ ცოდნას.

ლოკმა საგნის თვისებები ორ ჯგუფად გაჰყო: პირველ ჯგუფს მან საგნის ისეთი თვისებები მიაკუთვნა, რომელიც მოუცილებადია საგნისაგან, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს ეს საგანი და რა ცვლილებებიც არ უნდა განიცადოს მან. ასეთი თვისებებია: სიმკვრივე, განფენილობა, ფორმა, მოძრაობა ან უძრაობა და რიცხვი (პირველადი თვისებები).

მეორადი თვისებები ფაქტიურად არც არიან თვისებები იმ აზრით, რომ შემეცნების დაწყებამდე საგანს ეს თვისებები არ გააჩნია. ისინი შესამეცნებელ ობიექტს შემმეცნებელ სუბიექტთან კავშირში უჩნდება. მაგრამ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს თვისებები შემმეცნებელი სუბიექტის, მისი გრძნობითი რეცეპტორის თვისებებია. არა, ისინი (ე. ი. ეს თვისებები) რაღაცნაირად ახასიათებენ თვითონ საგანს, მაგრამ გამოჩნდებიან მხოლოდ შემეცნების პროცესში. ამიტომ უმჯობესია მათ ძალები ვუწოდოთ და არა თვისებები.

„მეორადი გრძნობადი თვისებები... სხვა არაფერი არაა, თუ არა ამ სუბსტანციათა ძალა გამოიწვიონ ჩვენში სხვადასხვა იდეები... ეს იდეები არ არსებობენ თვითონ საგნებში"[14]. მეორად თვისებებს მიეკუთვნებიან: ფერი, გემო, სუნი და ა. შ.

საგნის პირველად და მეორად თვისებებს ჩვენს ცნობიერებაში, პირველადი და მეორადი იდეები შეესაბამებიან.

კითხვაზე: რამდენად ადექვატურად ასახავენ ეს იდეები საგნებს, ლოკი ასე უპასუხებს: იდეები რომლებიც პირველად თვისებებს შეესატყვისებიან, საგნის თვისებების ადექვატურ ასახვას იძლევიან. ხოლო მეორადი თვისებების ამსახველი იდეები ნაკლებადექვატურნი და ნაკლებსანდონი არიან. ამის მიზეზი ამ იდეათა შესატყვის საგნის თვისებებში უნდა ვეძიოთ.

---

[14] Дж. Локк, Опыт..., გვ. 305.

ლოკის ეს აზრი საგნის თვისებებისადმი მეორადი იდეების არაადექვატურობისა, რომელიც შემდგომ განავითარეს ბერკლიმ და იუმემ, მეტაფიზიკური მატერიალიზმისათვის დამახასიათებელი საერთო ნაკლის გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს. მეტაფიზიკური მატერიალიზმი, როგორც ცნობილია, განსაკუთრებულად გახაზავდა გარეგანი ობიექტის როლს შემეცნების საქმეში. ეს მაშინ, როცა შემმეცნებელი სუბიექტი პასიურ მიმღებად იყო გამოცხადებული. რაკი შემეცნება ობიექტის ზემოქმედებაა სუბიექტზე, ცხადია, ის შემეცნება, სადაც ობიექტი მთელი თავისი ძალით გამოჩნდება, უნდა ნამდვილ შემეცნებად ჩაითვალოს. ასეთი იყო მდგომარეობა საგნის პირველადი თვისების შემეცნების დროს. რაც შეეხებოდა საგნის მეორადი თვისების შემეცნებას, აქ აშკარა იყო სუბიექტის ჩარევა შემეცნების საქმეში, რამაც ლოკი აიძულა მისი არაადექვატურობა ეღიარებინა.

საგნის პირველადი და მეორადი თვისებების შესატყვისი იდეები, ლოკის აზრით, ერთმანეთისაგან სიმყარე-არასიმყარის მიხედვითაც განსხვავდებიან. პირველადი თვისებები თითქმის ყოველ პირობებში და თითქმის ყველა აღმქმელისათვის ერთნაირ იდეებს იძლევიან. ეს მაშინ, როცა მეორადი თვისებების შესატყვისი იდეები გამოირჩევიან მეტისმეტი ცვალებადობით. ამის დასამტკიცებლად ლოკს ასეთი მაგალითი მოჰყავს: თუ ერთი ხელი გექნებათ ცივ წყალში და მეორე ცხელში, ხოლო ოცტა ხნის შემდეგ ორივეს ჩაჰყოფთ თანაბარი ტემპერატურის წყალში, პირველს იგი შედარებით თბილად მოეჩვენება, მეორეს—ცივად. ეს მაშინ, როცა „ფორმის შემთხვევაში არასოდეს არ მოხდება რაიმე ამის მსგავსი: არასოდეს არ გამოიწვევს კვადრატის იდეას ერთ ხელში ის, რაც მეორე ხელში გამოიწვევდა წრის იდეას“[13].

როგორც ვხედავთ, ლოკის უკიდურესი ემპირიზმი და სენსუალიზმი თავის დასასრულს სკეპტიციზმში პოულობს: გაილაშქრა რა ყოველგვარი თანშობილი ცოდნისა და ისეთი ცოდნის წინააღმდეგ, რომელსაც გონება ჰქმნის, ლოკმა გარე სამყაროს ერთადერთ წყაროდ შეგრძნებები მიიჩნია. მაგრამ იმის კვლევა-ძიებამ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ შეგრძნებებს შემეცნების საქმეში, იგი ძალზე არასახარბიელო დასკვნამდე მიიყვანა. გამოდის, რომ შეგრძნებებიც ნაკლოვანია, ვერც ისინი იძლევიან გარე სამყაროს ადექვატურ შემეცნებას მათი (მთლიანად თუ არა ერთი ნაწილის მაინც) სუბიექტუ-

---

[13] Дж. Локк, Опыт..., გვ. 159.

რობის გამო. შექმნილი სიძნელიდან თავის დაღწევა მხოლოდ იმით ექნებოდა შესაძლებელი, თუ შეგრძნებათა ნაკლოვანების გამოსასწორებლად სხვა რაიმეს მოვიხმარდით, ვთქვათ აზროვნებას: მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა ლოკს, როგორც ემპირისტს, არ შეეძლო. ამიტომ შემეცნების საქმეში შეგრძნებათა ნაკლოვანების აღიარება მას ემპირიზმის დაძლევისაკენ კი არ უბიძგებდა, არამედ სკეპტიციზმისა და აგნოსტიციზმისაკენ, სამყაროს შეუცნობადობის აღიარებისაკენ.

მარტო მარქსისტულმა ფილოსოფიამ შეძლო შემეცნების საქმეში ცოცხალი განჭვრეტის არასაკმარისობა ემპირიზმის დაძლევით მოეხსნა და სამყაროს შეუცნობადობა კი არ ექადაგა, არამედ მისი შემეცნების შესაძლებლობა ცოცხალი განჭვრეტის მონაცემებზე აბსტრაქტული აზროვნების მიმართვით. მარქსისტულმა ფილოსოფიამ ამასთან კავშირში იმ საკითხსაც გასცა პასუხი, რომელიც სხვა ემპირისტებთან ერთად ლოკსაც აწუხებდა და რომელიც ემპირიზმის ფარგლებში დადებითად ვერ გადაჭრებოდა. საკითხი გრძნობის ორგანოთა რაოდენობას ეხებოდა.

ნორმალურ ადამიანს ხუთი გრძნობის ორგანო აქვს და მის შესაბამისად ხუთი სხვადასხვა სახის შეგრძნება. მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა რომელიმე გრძნობის ორგანოს დაზიანების გამო, ადამიანი მოკლებულია ამა თუ იმ სახის შეგრძნებას. მაგალითად, ბრმა, რომელსაც დაზიანებული აქვს მხედველობითი რეცეპტორი, ვერ იღებს სინათლისა და ფერის შეგრძნებებს, ხოლო ყრუსათვის არ არსებობს ბგერა. ორივე შემთხვევა იმაზე მიუთითებს, რომ მათ გაცილებით ნაკლები იციან სამყაროს შესახებ, ვიდრე ნორმალურმა ადამიანმა. მაგრამ რას ჰქვია ნორმალური ადამიანი?—კითხულობს ლოკი. იგი, მისი აზრით, პირობითი გამოთქმაა და უმრავლესობის აღსანიშნავად გამოდგება მხოლოდ. ნორმალური ამ შემთხვევაში იმას ჰქვია, ვისაც ხუთი გრძნობის ორგანო აქვს და, მაშასადამე, ხუთი სახის შეგრძნებას ღებულობს. მაგრამ ხომ შესაძლებელია სამყაროში არსებობდეს ისეთი პლანეტა, სადაც ცოცხალ არსებას (ადამიანს) ექნებოდა არა ხუთი, არამედ ექვსი ან მეტი გრძნობის ორგანო. მაშინ ჩვენც ხომ იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როგორშიაც იმყოფებიან ბრმები ნორმალურებთან შედარებით.

ლოკის ეს განცხადება კიდევ ერთი ახალი წყაროა სკეპტიციზმისათვის. თუ სამყაროს შემეცნების ერთადერთი გზა შეგრძნებებია და თუ აღმოჩნდება, რომ ჩვენ მხოლოდ ამ შეგრძნებათა ნაწილს ვფლობთ, მაშინ სამყაროს შეცნობადობა უარყოფილია იმის მიუხედავად, ჩვენი შეგრძნებები არიან თუ არა ადექვატურნი ასასახი საგნისა.

მარქსისტული ფილოსოფია ამ საკითხსაც შეგრძნების, როგორც შემეცნების წყაროს, უნივერსალურობის გაუქმებით წყვეტს. შეგრძნებების მეტი რომ არა იყოს, რა, მთელი ჩვენი ცოდნა შეგრძნებებზე რომ იყოს დამყარებული, მაშინ არწივს მეტი ეცოდინებოდა ფერებისა და სინათლის შესახებ (რადგან ის ჩვენზე უკეთ ხედავს), ხოლო ძაღლს სუნის შესახებ (უკეთესი ყნოსვა აქვს), ვიდრე ადამიანს. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ადამიანი მარტო შეგრძნებების ამარა არაა, რომ მას აქვს ისეთი უნარი, რაც ცხოველებს არ გააჩნიათ, აზროვნების უნარი, იგი უკეთ ხედავს და ღრმადაც წვდება.

ლოკის სკეპტიციზმი კიდევ უფრო გამოკვეთილად სუბსტანციის საკითხის განხილვისას იგრძნობა. საქმე იმაშია, რომ შეგრძნებები საგნის გარეგან ნიშნებს (მის ფორმას, განფენილობას, სიმკვრივეს, ფერს, სუნს) გვითვალისწინებენ მხოლოდ, რაც შეეხება საგნის შინაგან აგებულებას, იგი სრულიად უცნობი და ამოუკითხავია ადამიანისათვის. „ყველაზე ნაკლებად ჩვენ ვიცით შინაგანი აგებულება და ნამდვილი ბუნება საგნისა, რადგანაც არცა გვაქვს უნარი მივაღწიოთ ამ ცოდნას"[16]—წერს ლოკი.

ლოკის აზრით, საგანი არ დაიყვანება პირველადი და მეორადი თვისებების ჯამზე. იგი უფრო მეტია, ვიდრე ეს თვისებები, რადგან ამ თვისებებს აქვს თავისი მატარებელი ანუ სუბსტრატი. საგნის თვისებათა ეს მატარებელი სუბსტრატი, რომელსაც განფენილობა ახასიათებს, არის სხეულებრივი სუბსტანცია. მაგრამ სხეულებრივი სუბსტანცია ისეთი რამეა, რომლის შემეცნება პრინციპულად შეუძლებელია: ჩვენი შემეცნების ერთადერთ იარაღს შეგრძნება წარმოადგენს, სხეულებრივი სუბსტანცია კი შეგრძნებებში არ გვეძლევა.

„ყოველთვის, როცა მოვისურვებთ გავცილდეთ ჩვენს მარტივ იდეებს, შეგრძნებებისა და რეფლექსიის გზით მიღებულებს და ღრმად შევიჭრათ საგნის არსებაში (сущность), ჩვენ მაშინვე ჩავვარდებით უცოდინარობასა და გაუგებრობაში"[17].

ლოკის მსჯელობიდან სუბსტანციის შესახებ შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: სუბსტანცია ნამდვილად არსებობს, მაგრამ იგი შეუმცირებადია იმის გამო, რომ არ გვეძლევა შეგრძნებებში (სხეულებრივი სუბსტანცია) და რეფლექსიაში (სულიერი სუბსტანცია). ლოკის ადრინდელი მტკიცება, რომ არსებული აუცილებლად გვეძლევა შეგრძნებებში დაირღვა და დარჩა ის, რომ ერთადერთი ნა-

---

[16] Дж. Локк, Опыт..., გვ. 318.

[17] იქვე, გვ. 318.

მდვილი მოცემულობა არის შეგრძნებები; ამ აზრს ლოკი შემდგომ თანდათან ავითარებს და თავისი Essay-ს მეოთხე წიგნში იგი შემეცნებაზე, როგორც იდეის იდეასთან შესატყვისობაზე ან არშესატყვისობაზე ლაპარაკობს.

ლოკის მსჯელობაში არსებული ეს წინააღმდეგობა ბერკლმა შეამჩნია და მის დასაძლევად საჭიროდ ჩათვალა სხეულებრივი სუბსტანციის ანუ მატერიის სრული უგულებელყოფა. მის მიხედვით, საგანი ჩვენ შეგრძნებებში გვეძლევა და მას სხვანაირი არსებობა არც გააჩნია. ამიტომ საგნის შესახებ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ შეგრძნებებით უნდა ვიმსჯელოთ. თუ შეგრძნებაში აღმოვაჩენთ რაიმეს, რაც სხეულებრივი სუბსტანციის არსებობას დაადასტურებდა. მაშინ ჩვენ მოგვეცემა უფლება სუბსტანციის შესახებ ლაპარაკისა. მაგრამ რადგან შეგრძნებები ასეთ რამეს არ გვიჩვენებენ. ცხადია, ყოველგვარ სუბსტანციაზე ლაპარაკი უაზრობაა. სხეული, თუ კი ასეთი რაიმე არსებობს, შეგრძნებათა ერთობლიობაა და მეტი არაფერი.

აღიარა რა შეგრძნებები ერთადერთ სინამდვილედ, ბერკლიმ ლოკის იმ აზრს ჩასჭიდა ხელი, რომელშიც იგი მეორადი იდეების სუბიექტურობაზე (არაადექვატურობაზე) ლაპარაკობდა. ბერკლიმ მიუთითა, რომ თუ მეორადი იდეები არაადექვატურია, არ შეიძლება ადექვატური იყოს პირველადი იდეები, რომლებიც მეორადი იდეების გარეშე არც არსებობენ. ბერკლიმ ამით თითქოს დაასრულა ლოკის ნააზრევის ლოგიკური ხაზი, თორემ მისი კონცეფციისათვის ადექვატურობა-არაადექვატურობაზე ლაპარაკსაც არ ჰქონდა აზრი, რადგან საკითხის ასეთი დასმა ორი წევრის შედარებას მაინც თხოულობდა, ხოლო მისთვის არსებობდა მხოლოდ შეგრძნება და სხვა არაფერი.

ბოლომდე განვითარებული ემპირიზმი, იქნება მატერიალისტური, თუ იდეალისტური, სკეპტიციზმია. ეს სკეპტიციზმი ჯერ ლოკთან გამოიკვეთა, ხოლო ბერკლთან და იუმესთან აგნოსტიციზმით დაგვირგვინდა. ბერკლისა და იუმეს აგნოსტიციზმი ლოკის ნააზრევის ლოგიკური დასასრულია.

§ 3. ჯ. ლოკის ფსიქოლოგიური კონცეფცია. ვლაპარაკობდით რა ლოკის შეხედულებებზე გარე სამყაროს შემეცნების შესახებ, ჩვენ მივუთითეთ, ლოკის იმ ძირითად ნაკლოვანებაზე, რომელიც შეგრძნებების როლის გაზვიადებაში მდგომარეობდა შემეცნების საქმეში და რომელიც, არსებითად, მისი ემპირიზმისაგან გამოდიოდა.

თუ დავას იწვევს ლოკის ემპირისტობა ფილოსოფიაში (აქ მხედველობაში გვაქვს ის თვალსაზრისი, რომელიც ლოკს თანშობილი

იდეების მომხრედ აცხადებს) მითუმეტეს ეს ითქმის მის ფსიქოლოგიაზე. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ბევრმა ავტორიტეტულმა ისტორიკოსმა რეფლექსიის ცნების შემოღება ლოკის მიერ მის რაციონალისტობად მიიჩნია. თუ რამდენად მართალია ეს თვალსაზრისი, ამას დაწვრილებით განვიხილავთ ქვემოთ, როცა რეფლექსიის ცნებაზე გვექნება საგანგებოდ ლაპარაკი. წინასწარ კი შემდეგი უნდა აღვნიშნოთ: რეფლექსიის ცნების შემოღება სრულებითაც არაა ემპირიზმის ღალატი, პირიქით, ისევე როგორც შეგრძნებების გამოცხადება გარე სამყაროს შემეცნების ერთადერთ წყაროდ, არ არის გნოსეოლოგიური ემპირიზმის ღალატი, არც რეფლექსიის ცნება შეიძლება ჩავთვლოთ ფსიქოლოგიური ემპირიზმის დარღვევად. რეფლექსია ფსიქოლოგიურ ენაზე გადატანილი შეგრძნებებია. სწორედ ეს გარემოება მიგვაჩნია ჩვენ ლოკის ფსიქოლოგიის ნაკლად და მისი ფილოსოფიური კონცეფციის უშუალო გავლენად.

აქვე უნდა მივუთითოთ მეორე გარემოებასაც, რომელიც მკვეთრად გამოვლინდა ლოკის ფილოსოფიაში და რომელმაც თავისი ასახვა ჰპოვა მის ფსიქოლოგიაშიც. ესაა საკითხი ახსნისა და აღწერის შესახებ.

დავიწყოთ იმით, თუ რამ მიიყვანა ლოკი ორი ურთიერთდამოუკიდებელი სუბსტანციის აღიარებამდე. ემპირიულ მონაცემებზე დაკვირვება მართლაც ორი რეალობის არსებობაზე ლაპარაკობდა და არა ერთის, მაგრამ ფილოსოფიას არ შეეძლო ამით დაკმაყოფილებულიყო და არ დაეწყო ერთის, საწყისის ძებნა. საჭირო იყო სწორედ იმ ერთზე მინიშნება, რომელიც პირველადია ონტოლოგიურად და წარმოადგენს საფუძველს დანარჩენის ან დანარჩენთა წარმოშობისა. ეყრდნობოდა რა ცდას, გამოცდილებას, ლოკი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფიზიკურისა და ფსიქიკურის ერთზე დაყვანა პრინციპულად შეუძლებელია მათი ერთიმეორისაგან აბსოლუტური განსხვავებულობის გამო. ის ფაქტი, რომ შეგრძნების (ფსიქიკურის) წარმოსაშობად საჭიროა გარეგამღიზიანებელმა იმოქმედოს ადამიანის გრძნობის ორგანოზე, ხოლო გრძნობის ორგანოს რეაქცია ნერვული გამტარით გადაეცეს ტვინს, არაფერს ამბობს აზრის ტვინისგან წარმოშობის სასარგებლოდ. ხოლო თუ ვინმე მაინც შეეცდება დაუშვას, რომ აზრი ტვინისაგან მოდის, აზრს ტვინი წარმოშობს, იგი უკეთეს შემთხვევაში დაემყარება რწმენას და ვერავითარ შემთხვევაში რაიმე მტკიცებას, რადგან ასეთი მტკიცების შესაძლებლობა წინასწარაა გამორიცხული.

რაკი ფიზიკურსაც და ფსიქიკურსაც ურთიერთდამოუკიდებელი არსებობა აქვთ, ბუნებრივად დგება კითხვა: ვინ მიანიჭა მათ ეს დამოუკიდებელი არსებობა და ხომ არ არის ის „მიმნიჭებელი" თვითონ ერთი. ლოკის ონტოლოგიური ძიება საბოლოოდ სწორედ იმ ერთი საწყისის აღიარებით მთავრდება. ეს ერთი, რომელმაც შექმნა ორი აბსოლუტურად სხვადასხვა სინამდვილე, არის ღმერთი. რაკი ერთი საწყისი მიგნებულია, ახლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს მისგან წრმოშობილი ორის — ფიზიკურის და ფსიქიკურის არსებობა ონტოლოგიისათვის. სიძნელე მხოლოდ მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხს შეეხება.

პირველი კითხვა ასეთია: თუ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი სხვადასხვა რამაა, რატომაა, რომ ფიზიკურ რიგში მიმდინარე ცვლილებას გარკვეული ცვლილება შეესაბამება ფსიქიკურ რიგში და პირიქით?

ეს კითხვა, ლოკის აზრით, მცდარად დასმული კითხვაა არა იმ აზრით, რომ ამ შესაბამისობას სინამდვილეში ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის თითქოს არ ჰქონდეს ადგილი, არამედ იმ აზრით, რომ იგი აუხსნელია. შეცდომაა ახსნაზე ლაპარაკი იქ, სადაც ახსნა გამორიცხულია. იქ უნდა დავკმაყოფილდეთ აღწერით, დესკრიფციით. შეცდომაა ვიმსჯელოთ იმაზე, აზროვნებს თუ არა მატერია, რადგან ამაზე სარწმუნო, ევიდენტურ, უეჭვო პასუხს ვერასოდეს ვერ მივიღებთ. მსჯელობები „მატერიას აქვს აზროვნების უნარი" და „მატერია არ შეიძლება აზროვნებდეს", თანაბარი სიძლიერისაა, რადგან ვერც ერთ მათგანს ვერც ეარჰყოფ და ვერც დაამტკიცებ. ერთიც და მეორეც რწმენაზეა აგებული. მაშასადამე რწმენაზეა აგებული ახსნაც. ამიტომ, თუ გვინდა რწმენათა სფეროში არ მოვხვდეთ და ჩვენს მსჯელობებს ობიექტურობის პრეტენზია ჰქონდეს; იქ, სადაც ახსნა შეუძლებელია, უნდა დავკმაყოფილდეთ აღწერით.

აღწერისა და ახსნის ამ დაპირისპირებას ლოკი მტკიცედ იცავს თავისი Essay"-ს იმ ადგილებში, რომლებიც ფსიქოლოგიის საკითხებს აშუქებენ. კერძოდ, აღწერს რა ცალკეულ ფსიქიკურ ფენომენებს, მაგალითად, მეხსიერებას, ლოკი მიუთითებს, რომ მეხსიერება ადამიანის შთაბეჭდილებათა საკუჭნაოა, რომ ერთხელ აღქმული ან განცდილი ადამიანის მიერ კი არ იკარგება, არამედ რჩება მეხსიერებაში და საჭირო შემთხვევაში აღმოჩნდება ცნობიერებაში. მაგრამ წარსული შთაბეჭდილებები არ შეიძლება იყვნენ არაცნობიერ ფსიქიკურში. ისინი არც ცნობიერებაში არ არიან, მისი სივიწროვის გამო. მაშ, სად არიან ისინი? ლოკის მიხედვით ისინი არიან ფიზიოლოგიურში. მაგრამ აქ ხომ იგივე სიძნელე ჩნდება: როგორ ხდება მათი

ამოსვლა ცნობიერებაში ფიზიოლოგიურიდან, რატომ ახლავს მათ ნაცნობობის განცდა და ა. შ. კითხვებზე ლოკი არ პასუხობს, რადგან პასუხი ახსნას თხოულობს. ახსნა კი ჰიპოტეტურია და არასარწმუნო.

სწორედ ეს გარემოება—რეფლექსიის გამოცხადება იდეის აღქმად და აღწერით დაკმაყოფილება ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების დროს, გახდა წყარო ემპირიული ფსიქოლოგიის მარცხისა.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ ლოკის ფილოსოფიაში ისეთი პრინციპები მოგვენახა, რომლებიც გარკვეულად გადავიდნენ კიდეც მის ფსიქოლოგიაში. მაგრამ ეს, ცხადია, არ ნიშნავს, თითქოს მეცნიერებასა და მის ფილოსოფიურ საფუძველს შორის პირდაპირი მიმართება იყოს. მეცნიერების ფილოსოფიური საფუძვლების კვლევა, მისი ღირსების ან ნაკლის ჩვენება ყველაფერს როდი ამბობს მასზე დაშენებული მეცნიერების ღირსებაზე ან ნაკლზე. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ მეცნიერების ერთადერთი საქმე ფილოსოფიურ საფუძველთა კვლევა უნდა ყოფილიყო და ცალკეულ მეცნიერებათა შესახებ ამ კვლევის შედეგით უნდა გველაპარაკნა. რომ მეცნიერებასა და მის ფილოსოფიურ საფუძველს შორის ნამდვილად არ არის ასეთი პირდაპირი მიმართება, ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ემპირიული ფილოსოფიის, როგორც მეცნიერებათა ფილოსოფიური საფუძვლის, მაგალითზე.

ზოგადმა, მეტაფიზიკურმა მსჯელობებმა, რომელიც შუა საუკუნეებში ყოველი მეცნიერების ძირითად საქმედ გამოცხადდა, ფაქტიურად ამ მეცნიერებების გაუქმება და მისი თეოლოგიამდე მიყვანა გამოიწვია. მეცნიერების გამოყვანა რწმენის სფეროდან და მისი ნამდვილი განვითარება უპ. ყოვლისა მეტაფიზიკურ მსჯელობათა უარყოფას და ფაქტებზე, სინამდვილეზე დაკვირვებას მოითხოვდა. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ემპირიული ფილოსოფიის წარმოშობას, რომელიც მეცნიერების მოთხოვნილებებით იყო შეპირობებული.

ემპირიული ფილოსოფიის ფუძემდებელი ფ. ბეკონი, უპირისპირებდა რა ძველ სქოლასტიკურ მეთოდებს თავის ახალ მეთოდს შემეცნებისას, აცხადებდა, რომ ბუნებაზე ადამიანის გაბატონებისათვის საკმარისი არაა მარტო აზროვნება, აზრების ერთიმეორისაგან გამოყვანა. ამისათვის საჭიროა, რაც შეიძლება ახლოს მისვლა ბუნებასთან, მასზე დაკვირვება, ექსპერიმენტის წარმოება.

ბუნებასთან ახლო მისვლა, მასზე დაკვირვების წარმოება, ცხადია, მოითხოვდა ძველი, მეტაფიზიკური მეთოდების უარყოფას და მის ნაცვლად ახალი მეთოდის შემოტანას. ემპირიული კვლევის ასეთ მეთოდად ბეკონმა ინდუქცია გამოაცხადა და იგი კვლევის ძირითად მეთოდად მიიჩნია.

გამოაცხადეს რა თავის ფილოსოფიურ საფუძვლად ემპირიული ფილოსოფია, ბუნებისმეტყველურმა მეცნიერებებმა ინდუქციის მეთოდით იწყეს კვლევა. რამაც ამ მეცნიერებების აღორძინება და სწრაფი განვითარება გამოიწვია. სწორედ ამან შეაპირობა ის ამბავი, რომ მეცნიერებებმა თავისი ხსნა ინდუქციურ კვლევაში დაინახეს და იგი უნივერსალურ მეთოდად მიიჩნიეს.

ინდუქციური მეთოდის ცალმხრიობა და ნაკლი ახლა ეჭვს არ იწვევს და ამიტომ ჩვენც არ შევაჩერებთ მასზე ყურადღებას. მაგრამ მისი ეგზომ დიდი წარმატებაც თავის დროზე გაუგებრობად არ უნდა გამოცხადდეს და იგი მეცნიერების განვითარების დაბალი დონით უნდა აიხსნას. ახლა, როცა ცალკეულმა მეცნიერებებმა უზომო ემპირიული მასალა დააგროვეს თავიანთ მეცნიერებებში, როცა ფაქტთა ლაბირინტში ძნელია გზის გაკვლევა თეორიული კვლევის გარეშე, ცახდია, მარტო ინდუქცია ვერაფერს გახდება. მაგრამ მე-17 საუკუნეში, როცა ცალკეული მეცნიერებები ღარიბი იყო, როცა არ იყო აღწერილი ფაქტები, მათ ახსნაზე ლაპარაკი ტყუილი წყლის ნაყვა იყო. ეს ეხება ყველაზე მეტად ბუნებისმეტყველებას და ყველაზე ნაკლებად ფილოსოფიას

სწორედ იმ დროს, როცა ბუნებისმეტყველება გატაცებულია ემპირიული კვლევით და კმაყოფილია სასურველი შედეგებით, გამოჩნდა ახალი ფსიქოლოგია, რომელიც მსგავსად ბუნებისმეტყველური მეცნიერებებისა, თავის კვლევის საგნად ემპირიულ ფაქტებსა და მოვლენებს მიიჩნევდა და კვლევის მეთოდად ინდუქციას აცხადებდა. ეს იყო ემპირიული ფსიქოლოგია, რომელიც, როგორც „სულიერი მოვლენების" შემსწავლელი მეცნიერება, მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიას დაუპირისპირდა კვლევის საგნით, ხოლო რაციონალურ ფსიქოლოგიას კვლევის ინდუქციური მეთოდით.

მაგრამ რა გზით, რა საშუალებებით იკვლევდა ემპირიული ფსიქოლოგია სულიერ მოვლენებს? იმით, რაც მას შესთავაზა ემპირიულმა ფილოსოფიამ, ე. ი. უშუალო დაკვირვებით. მაგრამ, რადგან ფსიქოლოგიის საგანი, ფსიქიკა, ადამიანის შინაგანი მდგომარეობა იყო, ე. ი. ისეთი რამ, რაც ტრანსცენდენტურად არასოდეს არ მოგვეცემა, საჭირო იყო ჩახედვა საკუთარ სულში, საკუთარ განცდებზე დაკვირვება ანუ თვითდაკვირვება.

სწორედ იმის გამო, რომ ემპირიულმა ფსიქოლოგიამ თავის კვლევის საგნად სულიერი მოვლენები აღიარა, ხოლო კვლევის მეთოდად თვითდაკვირვების მეთოდი, იგი დაუპირისპირდა როგორც მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიას, ისე რაციონალურსაც, რომელიც დე-

კარტის ფილოსოფიაში ჩაისახა. თუ ემპირიული ფსიქოლოგია თავის ძირითად ამოცანად სულიერ მოვლენებზე დაკვირვებას და მათ აღწერას აცხადებდა, რაციონალურ ფსიქოლოგიას სურდა აღმოეჩინა ფსიქიკურის კანონზომიერებანი, აეხსნა ფსიქიკური მოვლენები მათზე უშუალოდ დაკვირვების გარეშე. თუ ემპირიული ფსიქოლოგია თავის კვლევის მეთოდად ინდუქციას აღიარებდა, რაციონალიზმი დედუქციით სარგებლობდა: მაგრამ ეს კიღევ არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ რაციონალური ფსიქოლოგია მეტაფიზიკურთან გაიგივებულიყო, როგორც ეს ემპირიულმა ფსიქოლოგიამ გააკეთა. ემპირიული ფსიქოლოგია თავისი წარმოშობით დიდადაა დავალებული რაციონალური ფსიქოლოგიისაგან, რომელმაც არსებითად შეაპირობა ემპ. ფსიქოლოგიის მიერ თვითდაკვირვების მეთოდის შემოღება კვლევის ძირითად მეთოდად.

რომ მეცნიერება და ის ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელზედაც იგი შენდება, ერთნაირად არ ვითარდებიან, ამას ვვიჩვენებს ემპირიული და რაციონალური ფსიქოლოგიების ბედის შედარება მათ შესაბამის ფილოსოფიებთან.

ემპირიული ფსიქოლოგია, რომელიც თავის კვლევის საგნად ემპირიულ ფაქტებს, სულიერ მოვლენებს ისდიდა, ბოლო ძირითად მეთოდად თვითდაკვირვებას აცხადებდა, მალე უამრავ მომხრეს და დამცველს პოულობს. ემპირიული ფსიქოლოგია ერთადერთ, ნამდვილ ფსიქოლოგიად გამოცხადდა და ამით უარი ეთქვა, როგორც მეტაფიზიკურს, ისე რაციონალურ ფსიქოლოგიასაც.

ემპირიული ფსიქოლოგიისაგან განსხვავებული ბედი ერგო ემპირიულ ფილოსოფიას. მას ლოკის, ბერკლისა და იუმეს შემდეგ, დიდხანს, თითქმის მახისტებამდე, აღარავინ გამოქომაგებია. ეს მაშინ, როცა რაციონალურ ფილოსოფიას აშენებდა ისეთი ხალხი, როგორიც იყვნენ ლაიბნიცი და სპინოზა, კანტი და ჰეგელი, ფიხტე და შელინგი. რაციონალურმა ფილოსოფიამ, თუ შეიძლება ასე ითქვას აშკარად დაჯაბნა ემპირიული ფილოსოფია, ემპირიულმა ფსიქოლოგიამ კი პირიქით, სრულიად დასცა რაციონალური ფსიქოლოგიის ავტორიტეტი. ის, რაც ფილოსოფიისათვის უვარგის მეთოდად ითვლებოდა, ფსიქოლოგიის საუკეთესო მეთოდად გამოცხადდა.

ნაკლოვან ემპირიულ ფილოსოფიაზე დაშენებული (თუ მასში ჩასახული) ემპირიული ფსიქოლოგია, გარკვეული აზრით რომ „უნაკლო“ გამოდგა, ამის მიზეზი იმაშიც უნდა დავინახოთ, რომ ფსიქოლოგიას ჭირდებოდა „ნედლი მასალა“, ფაქტების აღწერა. ემპირიულმა ფსიქოლოგიამ ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა: მან შეაგროვა უზარმაზარი მასალა, აღწერა ფსიქიკური ფენომენები, მაგრამ

როცა საქმე მათ ახსნაზე მიდგა, როცა კანონზომიერების ძიების ამოცანა წამოიჭრა, მაშინ ემპირიული ფსიქოლოგია, თავისი თვითდაკვირვების მეთოდით, უმწეო აღმოჩნდა; აქ ემპირიულმა ფსიქოლოგიამ გამოამჟღავნა ის ნაკლი, რომლის სათავეებიც ემპირიულ ფილოსოფიაშია საძიებელი.

ემპირიული ფილოსოფია ცდას, გამოცდილებას თვლიდა ცოდნის წყაროდ და გონების როლს უარყოფდა. ამაში იყო მისი ცალმხრივობა. ემპირიული ფსიქოლოგია ცდაში მოცემულ ფაქტთა, ფსიქიკურ პროცესთა აღწერას მოითხოვდა და ახსნის როლს უგულებელყოფდა. ამიტომ იყო იგი ცალმხრივი.

უკიდურესი ემპირიზმისა და სენსუალიზმის გამო, ფსიქოლოგიის ერთადერთ საქმედ საკუთარ განცდებზე დაკვირვების გამოცხადებით, ერთადერთ მეთოდად თვითდაკვირვების მიჩნევით, ემპირიულმა ფსიქოლოგიამ პრინციპულად შეუძლებლად გამოაცხადა სხვისი მე-ს წვდომა. მაგრამ, რადგანაც რამდენი სუბიექტიცაა, იმდენი მეცნიერება ვერ აიგება, ამიტომ ემპირიული ფსიქოლოგიაც სკეპტიციზმსა და აგნოსტიციზმამდე მივიდა. ამაში ლოკის ემპირიული ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხების განხილვა დაგვარწმუნებს.

§4 ფსიქოლოგიის საგანი. ცნობიერების თვითცნობიერებად, თვითასახვად, გამოცხადებას, ლოკი იმით დაუპირისპირდა, რომ მან ფსიქიკა, ცნობიერება, გარესამყაროს ასახვად გამოაცხადა. ლოკის მიხედვით, ფსიქიკა მართალია არაა მატერიის თვისება, მაგრამ იგი ამ მატერიის ასახვაა, ცოდნაა გარესამყაროს შესახებ. ლოკმა იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ ადამიანი არ არის მხოლოდ შემმეცნებელი აპარატი, რომ ფსიქიკა არ ამოიწურება გარესამყაროს შინაარსებით. ადამიანი არა მარტო შეიმეცნებს, არამედ განიცდის კიდეც, მას უყვარს ან სძულს, უხარია ან სწყინს და ა. შ. ლოკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არ არსებობს „წმიდა“ შეგრძნებები და აღქმები და რომ ყოველ ფსიქიკურ ფენომენს თან ახლავს სიამოვნების ან უსიამოვნების გრძნობა.

თუ ფსიქიკა „წმიდა“ ასახავად კი არ იქნება გაგებული, არამედ განცდადაც, მაშინ დადგება საჭიროება ამ განცდების შესწავლისა. თუ მეცნიერების (დიდი ასოთი) მიზანი მთელი სინამდვილის შესწავლაა, მაშინ, ცხადია, განცდის, როგორც სუბიექტის შინაგანი მდგომარეობის გამომხატველის, შესწავლაც აუცილებელი ხდება.

ყველა სხვა მეცნიერებისაგან განსხვავებით, რომელთა საგანიც გარესამყაროს მოვლენებია, ფსიქოლოგიას სწორედ ამ განცდების, სულიერი მოვლენების შესწავლა დაევალა.

მაგრამ როგორაა შესაძლებელი ფსიქოლოგიის არსებობა? ლოკის მიხედვით, გარე სამყაროს შემეცნება მისი ცნობიერებაში „შემოსვლით" არის შესაძლებელი. საგნის შემეცნების აუცილებელ პირობას ჩვენს ცნობიერებაში მისი შესაბამისი იდეის (შეგრძნების) გაჩენა წარმოადგენს. როგორც ვხედავთ, ცნობიერებასა და საგანს შორის „შუამავლად" შეგრძნება გამოდის, ეს მაშინ, როცა ფსიქიკას ასეთი „შუამავალი" არ ჭირდება. იგი უშუალოდაა მოცემული ცნობიერებაში. ეს არა იმ აზრით, რომ იგი თავისი მოცემულობით უკვე ლაპარაკობს თავისი თავის შესახებ, არამედ იმ აზრით, რომ ცნობიერება მას უშუალოდ ხედავს მისი იმანენტური მოცემულობის გამო. რაკი ყოველგვარი მეცნიერული ცოდნა ცნობიერებით მიიღება, ცხადია, უფრო სარწმუნოდ ის ცოდნა უნდა ჩაითვალოს, რომელსაც ცნობიერება უშუალოდ მოიპოვებს. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ლოკმა ფსიქოლოგია ყველაზე უფრო სარწმუნო მეცნიერებად გამოაცხადა.

მაგრამ ფსიქიკის უშუალო მოცემულობა არ ნიშნავს იმას, რომ მას არ სჭირდება სპეციალური შესწავლა ისევე როგორც გარესაგნის მოცემულობა არ ნიშნავს მის შესწავლაზე ხელის აღებას. ფსიქიკურის არსებობა თავისთავად არ გულისხმობს ფსიქოლოგიის არსებობასაც. ისევე როგორც ფიზიკურის არსებობა—ფიზიკას, თუმცა ისინი იმის აუცილებელ პირობას კი წარმოადგენენ, რომ ეს მეცნიერებანი გაჩნდნენ.

ინტროსპექციონიზმში ისაა მართებული, რომ ფსიქიკის მოცემულობა უკვე გულისხმობს მის ცნობიერებას. ფსიქიკა ცნობიერებაში გვეძლევა და ამიტომ სადაც და როცა არ უნდა გაჩნდეს იგი, აუცილებლად ცნობიერი იქნება. სწორედ ეს ხდის არაცნობიერი ფსიქიკურის ცნებას contradictio in adiecto-დ. მაგრამ ის ფაქტი, რომ ყოველი ფსიქიკური ცნობიერია, ე. ი. რომ ყოველ ფსიქიკურს ახლავს უშუალო ცნობიერება, არ გულისხმობს ფსიქოლოგიის არც ზედმეტობას, არც უკვე მოცემულობას.

ფსიქოლოგია არაა ფსიქიკა, არამედ იგი არის მეცნიერება ამ ფსიქიკის შესახებ. როგორაა შესაძლებელი ფსიქიკის, რომელიც დაუცილებადია ცნობიერებისაგან, შესწავლა ცნობიერების ფარგლებში? საკითხის გადასაჭრელად ერთმანეთისაგან უნდა გაირჩეს უშუალო ანუ პირველადი ცნობიერება, რომელიც ყოველგვარ ფსიქიკურს ახლავს თან, და მეორადი ცნობიერება, რომელიც ფსიქი-

კურს დაერთვის მისი შესწავლის მიზნით. თუ პირველ შემთხვევაში ფსიქიკაც და ცნობიერებაც გარე საგანზეა მიმართული, მეორე შემთხვევაში თვითონ ფსიქიკა იქცევა დაკვირვების, შესწავლის საგნად. ხდება ფსიქიკაზე ცნობიერების მიმართვა ანუ რეფლექსია.

რა არის რეფლექსია?

ლოკის მიხედვით, გარესამყაროს შემეცნებას ჩვენ შეგრძნებების გზით ვღებულობთ, ხოლო ჩვენი სულიერი მდგომარეობის შესახებ ცოდნას რეფლექსია იძლევა. პირველი წყარო შემეცნებისა, შეგრძნებები, ბევრ მეცნიერებას შორისაა განაწილებული. რამდენადაც არსებობს გარე სამყაროს შემმეცნებელი ბევრი მეცნიერება და შემეცნების ერთი წყარო. შემეცნების მეორე წყარო—რეფლექსია მარტო ერთი მეცნიერების, ფსიქოლოგიის საკუთრებაა. რამდენადაც არ არსებობს სხვა მეცნიერება, ადამიანის სულიერი სამყაროს შემსწავლელი. ნათქვამიდან ისიც გამომდინარეობს. რომ რაკი რეფლექსია ერთადერთი წყაროა ფსიქიკურის შემეცნებისა, მისი არარაობა ან გაუქმება ფსიქოლოგიის არარსებობას ან გაუქმების გამოიწვევდა. რეფლექსიის ცნება ლოკმა შემოიტანა. რაც იმას ნიშნავს, რომ მანამდე არსებული ფსიქოლოგია პირობითად თუ იწოდება ფსიქოლოგიად. ლოკის შემდგომმა მოაზროვნეებმა რეფლექსიის ცნება რაღაც გაუგებრობად ჩათვალეს. რის გამოც მისი ამოგდება მოინდომეს ლოკის კონცეფციიდან. რეფლექსიისადმი ასეთი მიდგომა, ცხადია, ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების გაუქმებასაც გამოიწვევდა. ეს ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს თუ არა რეფლექსიის ცნება, ფსიქოლოგიამ უნდა შეწყვიტოს არსებობა. რეფლექსიის ცნების ქვეშ ჩვენ ისეთ რამეს ვგულისხმობთ, რაც მოითხოვს ფსიქიკურ განცდებზე დაკვირვებას. სწორედ ფსიქიკურ მოვლენებზე დაკვირვების უგულებელყოფა, ადამიანის სულიერი სამყაროს შესწავლაზე ხელის აღება გამოიწვევდა ფსიქოლოგიის გაუქმებას და არა ტერმინ „რეფლექსიის" უგულებელყოფა.

რომ ლოკის რეფლექსიის ცნებამ ვერ პოვა სათანადო აღიარება, ამის მიზეზად ინტროსპექციონული ფსიქოლოგიის ძლიერი გავლენა უნდა ვაღიაროთ. ისინი ვინც თვლიდნენ, რომ ფსიქიკა თავისი მოცემულობით უკვე შეცნობილია და მას სპეციალური, დამატებითი კვლევა აღარ ესაჭიროება, მათთვის, ცხადია, რეფლექსიის ცნება ზედმეტი ცნება იყო. უფრო სწორად, მათთვის ზედმეტი იყო თვით ფსიქოლოგიაც და რაღა თქმა უნდა. თუ არ იქნებოდა მეცნიერება, გაუქმდებოდა მისი კვლევის მეთოდიც.

რეფლექსიის ცნების შემოღებას ლოკს ემპირიზმის ღალატად უთვლიდნენ. წინასწარ შეიძლება შევნიშნოთ, რომ რეფლექსიის ცნების ასეთი გაგება აშკარა გაუგებრობაზე იყო აგებული. მაგრამ ის, რაც გაუგებრობად გამოიყურება ახლა, თავის დროზე საკმარის სირთულეს წარმოადგენდა. საქმე იმაში იყო, რომ დეკარტამდე ადამიანი განხილული იყო, როგორც გარე სამყაროს შემმეცნებელი. ფიზიკურისა და ფსიქიკურის ერთიმეორისაგან გამოყოფით დეკარტმა ხაზი გაუსვა ახალი რეალობის, ფსიქიკურის არსებობას. cogito ergo sum, რომელიც დეკარტის მიერ რაციონალიზმის სასარგებლოდ იყო წამოყენებული, ლოკმა იმისათვის გამოიყენა, რომ აზროვნებისათვის და საერთოდ, ფსიქიკური პროცესებისათვის მიექცია ყურადღება. ის რაც ლოკისათვის ახალი აღმოჩენის წყარო გახდა, სხვებისათვის რაციონალისტის ჩვეულებრივ განცხადებად დარჩა, რომელიც გარე სამყაროს შემეცნების საქმეში რაციოს პრიმატს ქადაგებდა. ემპირისტები არ დაეთანხმნენ დეკარტის ამ განცხადებას, რადგან იგი მათ პრინციპს: Nihil est in intellectu, quod non fuerit in sensu არ ეთანხმებოდა. სწორედ ამ პრინციპის გაუნივერსალების გამო არ მიიღეს ლოკის რეფლექსიის ცნება, რომელიც თავისთავად, არაფერში არ ღალატობს ამ პრინციპს, პირიქით, ავსებს და სრულყოფილს ხდის მას. შეგრძნების გამოცხადებით შემეცნების ერთადერთ წყაროდ გარე სამყაროს შემეცნების ამოცანა კი წყდებოდა რაღაცნაირად, მაგრამ გაუთვალისწინებელი რჩებოდა მეორე სინამდვილე, ფსიქიკური სინამდვილე. ნამდვილ ემპირისტს ხელი კი არ უნდა აეღო ფსიქიკის კვლევაზე, არამედ ისიც ემპირიის ფარგლებში უნდა მოექცია, ისე როგორც ეს ლოკმა გააკეთა.

რეფლექსიის ცნების რაციონალური ფილოსოფიის ცნებად გამოცხადება იმ მცდარ თვალსაზრისზე იყო აგებული, რომლის მიხედვითაც არსებობს მხოლოდ გარე სამყარო და მისი შემეცნება. გარე სამყაროს შემეცნების ერთადერთ წყაროდ შეგრძნებების გამოცხადება ემპირიზმის ძირითადი პრინციპია და მისი ყოველგვარი „შესხვაფერება“ ამ პრინციპის ღალატს გამოიწვევდა. მაგრამ, თუ თავიდანვე სწორ პოზიციას დავიკავებთ, თუ ვიტყვით, რომ რეფლექსია ფსიქოლოგიის ცნებაა და იგი არაფერს არღვევს პრინციპში: Nihil est in intellectu, quod non fuerit in sensu, მაშინ ლოკის რაციონალიზმზე ლაპარაკი, ყოველშემთხვევაში ამ ცნების გამო, შეცდომად უნდა ჩაითვალოს. არ შეიძლება ლოკისა და ლაიბნიცის გაიგივება იმ აზრით, რომ ერთმაც და მეორემაც ემპირიზმის პრინციპს რაღაც დაუმატეს, ერთმა—რეფლექსია,

მეორემ — Nihil est in intellectu.... ipse. ცხადია, ლოკსა და ლაიბნიცს შორის მარტო ფორმალურ, გარეგნულ მსგავსებაზე თუ შეიძლება ლაპარაკი. ლაიბნიცის „მინამატი" სრულიად არღვევდა ემპირიზმს, რადგან იგი გონებას დამოუკიდებლად ქმნადობის უნარს აძლევდა. ლოკის რეფლექსია არაფერს უშავებდა გნოსეოლოგიურ ემპირიზმს.

მაგრამ თუ რეფლექსია ფსიქოლოგიური ცნებაა, ხომ არაა იგი ფსიქოლოგიური ემპირიზმის ღალატი ე. ი. დათმობა რაციონალური ფსიქოლოგიის სასარგებლოდ? ჩვენ მიგვაჩნია, რომ რეფლექსიის ცნება არაფრით არ ღალატობს ემპირიულ ფსიქოლოგიას. პირიქით, იგი ამ ფსიქოლოგიაში იმავე როლს თამაშობს, როგორც გარე სამყაროს შემეცნებაში შეგრძნება. ეღქმა. ჩვენ ლოკის ფსიქოლოგიური კონცეფციის მთავარ ნაკლად მიგვაჩნია არა ემპირიზმისადმი ღალატი, არამედ პირიქით, ემპირიზმისადმი ერთგულება. რეფლექსიის ცნება რომ მართლაც იდეის უშუალო ხედვაზე შორს წასულიყო. რომ მას კანონის, არსის წვდომა დაესახა მიზნად, ამით ლოკის ფსიქოლოგია საგრძნობლად მოიგებდა. მაგრამ ამას ჭირდებოდა არა ემპირიული ფილოსოფიის ფარგლებში დარჩენა, არამედ მისი დაძლევა და ემპირიზმისა და რაციონალიზმის თავისებური სინთეზი. რაც ლოკის შესაძლებლობებს აღემატებოდა.

რეფლექსიის ნაკლი, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ფსიქიკის აღწერისათვის იყო მოწოდებული და არა მის ასახსნელად, ჩვენ იმ ფილოსოფიური საფუძვლის გავლენად მიგვაჩნია, რომელსაც ემპ. ფსიქოლოგია დაეფუძნა.

§Ე. თვითდაკვირვების მეთოდი, როგორც კვლევის ერთადერთი მეთოდი ლოკთან. ფსიქიკურის იმანენტურად მოცემულობამ, მისმა განსხვავებულობამ ობიექტურ რეალობასთან შედარებით, განსხვავებული კვლევის მეთოდის საჭიროება გამოიწვია. დაკვირვება, რომელიც ემპირიულ ფილოსოფიაზე დაშენებულ ბუნებისმეტყველური მეცნიერებების ძირითადი მეთოდი იყო, ფსიქოლოგიისათვის ვერ გამოდგებოდა. ამან დაკვირვების შეცვლა გამოიწვია თვითდაკვირვებით, გარეთ ხედვას შიგნით, „თავის თავში" ხედვა დაუპირისპირდა. თვითდაკვირვების მეთოდი გამოცხადდა კვლევის ერთადერთ მეთოდად ემპირიულ ფსიქოლოგიაში. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს საკვლევი საგნის პრიმატს კვლევის მეთოდთან შედარებით. თვითდაკვირვების მეთოდის შემოტანამ კი არ გამოიწვია ფსიქოლოგიის გაჩენა, არამედ ფსიქიკური სინამდვილის არსებობამ საჭირო გახადა სპეციფიკური მეთოდის შექმნა.

ლოკის მიხედვით. ფიზიკურ და ფსიქიკურ რეალობებს განსხვავებული კვლევის მეთოდები აქვთ. ფიზიკური ემპირიული დაკვირვებით, ცდაში მოცემულობით, უშუალო აღქმით შეისწავლება, ხოლო ფსიქიკური მასზე რეფლექსიის დროს, თვითდაკვირვების საშუალებით. არ შეიძლება ფიზიკური სამყაროს კვლევა თვითდაკვირვებით, ან ფსიქიკურისა — ობიექტური დაკვირვებით. ფსიქიკურის სპეციფიკური ნიშანი მისი სუბიექტურობაა, მაგრამ ლოკს ეს ფსიქიკურის ნაკლად კი არ მიაჩნია, არამედ მისი (ე. ი. ამ ფსიქიკურის) ევიდენტობის პირობად.

ლოკი რეფლექსიას განიხილავს როგორც „შიგა ხედვას", როგორც საკუთარი სულიერი სამყაროს აღქმას. თვითდაკვირვების გზით ადამიანი ხედავა თავის სულიერ მდგომარეობას. მის განცდებს და იძლევა მის აღწერას. თვითდაკვირვების მეთოდის დანიშნულება აღწერაზე შორს არ მიდის. იგი ვერ ხსნის ფსიქიკურ მოვლენათა თავისებურებას, მის კანონისეულობას. ამაშია ლოკის მიერ გაგებული თვითდაკვირვების დადებითი მხარეც და ნაკლიც.

ემპირიული ფსიქოლოგიის თავდაპირველი წარმატების მიზეზი სწორედ იმაში უნდა დავინახოთ, რომ მან თვითდაკვირვების გზით ფსიქიკურ ფენომენთა აღწერა დაისახა მიზნად. სწორედ ამ გზით დააგროვა ემპირიულმა ფსიქოლოგიამ უზარმაზარი მასალა, რაც მეცნიერებისათვის აუცილებელი. მაგრამ არასაკმარისი იყო. ვიდრე ფსიქოლოგია ემპირიული მასალის ნაკლებობას განიცდიდა და ვიდრე ემპირიზმი ამ ამოცანას ასრულებდა, მანამდე იგი ერთადერთ ნამდვილ მეცნიერებად ითვლებოდა. მაგრამ, როცა დაგროვილმა ემპირიულმა მასალამ ახსნა მოითხოვა, ემპირიული ფსიქოლოგია უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მაგრამ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა თვითდაკვირვების მეთოდის უარყოფას კი არ მოითხოვდა, არამედ დესკრიფციასთან ერთად ექსპლიკაციის საჭიროების აღიარებასაც, რადგან „თვითდაკვირვების მეთოდის უარყოფა არის ფსიქიკური ფენომენების აღწერის ერთადერთი საშუალების უარყოფა, რომელიც თავის მხრივ ახსნის ამოცანას აუქმებს და ფსიქოლოგიური შემეცნების ერთერთ ამოცანას პრინციპულად მიუღწევლად ხდის. აქ ფსიქოლოგიური აგნოსტიციზმი ფსიქიკური ფენომენების შემეცნების საკითხში ლოგიკურად გარდუვალი ჩანს"[18]—წერს ა. ბოჭორიშვილი.

---

[18] ა. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, თვითდაკვრვების მეთოდისა და მისი პრინციპელი შესაძლებლობის შესახებ, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1956, გვ. 34.

როგორც ვხედავთ, აღწერისა და ახსნის ის დაპირისპირება, რომელსაც ლოკის ფილოსოფიაში ჰქონდა ადგილი, თავს იჩენს მის ფსიქოლოგიაშიც. ემპირიული ფსიქოლოგიაც, მსგავსად ემპირიული ფილოსოფიისა, ვერ ხედავს კერძოში ზოგადს, ცალკეულ მოვლენაში კანონს.

§11. მე-ს წვდომისა და ინტუიციური შემეცნების პრობლემა ლოკთან. რეფლექსიის ცნების შემოღებით და თვითდაკვირვების მეთოდის ფსიქოლოგიური კვლევის ერთადერთ მეთოდად გამოცხადებით ლოკმა გზა გაუხსნა მე-ს წვდომის შესაძლებლობას. ლოკის ფსიქოლოგია, შეიძლება ითქვას, სწორედ მე-ს ფსიქოლოგიაა. ინდივიდის ფსიქოლოგიაა.

მე-ს შემეცნება, ნიშნავს ადამიანის მიერ საკუთარი ფსიქიკის, საკუთარი სულიერი სამყაროს შემეცნებას. რაკი ფსიქიკა სინამდვილის ისეთივე რეალური ნაწილია, როგორც ფიზიკური სხეულები, ამიტომ მისი შესწავლაც ისევე აუცილებელია, როგორც პირველის. მე-ს შემეცნების ერთადერთი გზა რეფლექსიის ბომარჯვება ე. ფსიქიკაზე ცნობიერების დამართვაა.

მე-ს შემეცნება გარესამყაროს შემეცნებისაგან შემეცნების საგნით განსხვავდება. თუ გარესამყაროს შემეცნების დროს ცნობიერების საგნად ტრანსცენდენტური საგანი გამოდიოდა, მე-ს წვდომის დროს ცნობიერების საგნად გარესამყაროს შემეცნების პროცესში მიღებული ცნობიერების შინაარსი გამოდის. რომელზედაც დაბართულია რეფლექსური ცნობიერება. რაკი აქაც ერთმანეთისაგან გამოიყოფა შემეცნების საგანი და მისი შინაარსი. დგება საკითხი მათი ურთიერთშესატყვისობის შესახებ ე. ი. იგივე საკითხი, რაც გარე სამყაროს შემეცნების შემთხვევაში იდგა.

ლოკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მე-ს წვდომა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე გარემოსი. ამ სინამდვილეს შემეცნების საგნის იმანენტურად ე. ი. ცნობიერებაში მოცემულობა ქმნის. თუ გარესამყაროს შემეცნების დროს ასახვის სისწორე-მცდარობის შემოწმება შეუძლებელი ჩანდა, მეს შემეცნებისას ასეთი სიძნელე არა დგას.

ზემონათქვამიდან ცხადია, რომ ლოკი მე-ს შემეცნებას უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს, ვიდრე გარესამყაროს შემეცნებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი ფსიქოლოგიურ მეცნიერებას უფრო მეტ სანდოობას აწერს, ვიდრე ბუნებისმეტყველურს. ამ სანდოობის საფუძველი, როგორც აღვნიშნეთ, ისაა, რომ აქ ხდება არა იდეისა და საგნის, არამედ იდეის იდეასთან შედარება. თუ იდეისა და საგნის შესატყვისობა-არშესატყვისობაზე ლაპარაკი თითქმის შეუძლებელ-

ია, სამაგიეროდ არა თუ იდეის იდეასთან შესატყვისობის დადგენაა შესაძლებელი, არამედ შესაძლებელია აგრეთვე სრული შესატყვისობის მიღწევაც[19]. ასეთი სახის შემეცნებას ლოკი ინტუიციურ შემეცნებას ეძახის და მას იმდენად სრულყოფილად მიიჩნევს, წერს: იგი (ინტუიციური შემეცნება) „ისევე ხედავს ჭეშმარიტებას, როგორც თვალი ფერს“[20].

ლოკი ასე ახასიათებს ინტუიციურ შემეცნებას: „ასეთი სახის ცოდნა ყველაზე ცხადია და გაცილებით სარწმუნოა იმ ცოდნასთან შედარებით, რომელიც კი მისაწვდომია ადამიანის სუსტი შესაძლებლობისათვის. ის არ ტოვებს ადგილს მერყეობისა, ეჭვისა ან შესწავლისათვის. გონება მაშინვე ივსება მისი ნათელი სხივით. სწორედ ასეთ ინტუიციაზეა დამოკიდებული დამაჯერებლობა და სიცხადე მთელი ჩვენი შემეცნებისა“[21].

რადგანაც ინტუიციური შემეცნება იდეის იდეასთან შესატყვისობას გულისხმობს, ამიტომ ასეთი სახის შემეცნებაზე მხოლოდ მე-ს წვდომისას შეიძლება ვილაპარაკოთ. ამგვარად, ინტუიციური შემეცნების სპეციფიკა მოითხოვს, რომ იგი მხოლოდ ფსიქოლოგიასთან კავშირში იქნას გამოყენებული, ხოლო სხვა, არაფსიქიკური საგნების შემეცნება შემეცნების სხვა ფორმითაა შესაძლებელი. ლოკის აზრით, „ჩვენ გვაქვს ინტუიციური შემეცნება ჩვენი საკუთარი არსებობის, დემონსტრაციული შემეცნება ჩვენი საკუთარი არსებობისა, ხოლო სხვა საგანთა არსებობის შემეცნებისათვის ჩვენ ვსარგებლობთ გრძნობადი შემეცნებით“[22].

§7. სხვისი მე-ს წვდომის პრინციპული შეუძლებლობა და ფსიქოლოგიური სკეპტიციზმი, როგორც ემპირიული ფსიქოლოგიის ლოგიკური დასასრული. ემპირიული ფილოსოფიის სკეპტიციზმი შეგრძნებების, როგორც შემეცნების ერთადერთი წყაროსა, და ინდუქციის მეთოდის, როგორც კვლევის ერთადერთი მეთოდის აღიარებამ განაპირობა. ემპირიულ ფსიქოლოგიაში სკეპტიციზმის წყაროდ რეფლექსიის ცნების ლოკისეული გაგება და თვითდაკვირვების მეთოდის, როგორც ფსიქიკური ფენომენის მხოლოდ აღმწერი მეთოდის, გამოცხადება გახდა. რეფლექსია გაგებული, როგორც იდეათა აღქმა, ზუსტად ისეთივე ცნებაა ფსიქოლოგიაში, როგორც

---

[19] Дж. Локк, Опыт.... გვ. 519.
[20] იქვე, გვ. 519.
[21] იქვე.
[22] იქვე, გვ. 539.

შეგძნებები ფილოსოფიაში, ხოლო თვითდაკვირვების მეთოდი ფსიქოლოგიაში იგივეა, რაც ინდუქცია ფილოსოფიაში. როგორც შეგრძნებები არიან აღქმაში მოცემული საგნის იდეები, ასევე რეფლექსიაც არის იდეათა აღქმა. როგორც შეგრძნებები, იმ შემთხვევაშიც კი საგნის ადექვატურ ასახვას რომ იძლეოდეს ისინი, ვერ გახდებიან საკმარისი გარე სამყაროს შესამეცნებლად, ვერც რეფლექსია, ვიდრე იგი იდეის აღქმაზე ზევით არ ასულა და არ ქცეულა იდეაზე აზროვნებად, ვერ იქნება საკმარისი ფსიქიკური სინამდვილის ბოლომდე შემეცნებისათვის.

ასეთივე დამოკიდებულებაა კვლევის ინდუქციურ მეთოდსა და თვითდაკვირვებას შორის. ინდუქცია ემპირიულ მასალაზე დაკვირვებით იძლევა ცოდნას. მისთვის ფაქტები კი არ ემორჩილებიან რაიმე კანონზომიერებას, არამედ პირიქით, ამ კანონზომიერებას ფაქტები ქმნიან. მხოლოდ ემპირიული დაკვირვება, ჩვენ გარშემო არსებულ ადამიანებზე დაკვირვება იძლევა მსჯელობას: „ყველა ადამიანი მოკვდავია", ინდუქციური მეთოდის მომხრეთა აზრით. ცხადია, ეს მსჯელობა რომ მართლაც დაკვირვების შედეგად გაჩენილიყო იგი მაინც საეჭვო და საალბათო იქნებოდა, სწორედ იმიტომ, რომ A, B, C, და ა. შ. ადამიანის მოკვდაობა ვერ იქნებოდა საკმარისი ყველა ადამიანის მოკვდაობის დასასაბუთებლად. იმისათვის, რომ ეს მსჯელობა სარწმუნო მსჯელობად იქცეს, საჭირო გახდება ყველა ადამიანის მოკვდაობის შემოწმება, რაც შეუძლებელია. ამაშია ასერტორულ მსჯელობათა ნაკლი, რომელიც ინდუქციის გზით მიიღება. ინდუქციით მიღებული მსჯელობა მხოლოდ ფაქტიურ მდგომარეობას თუ მიგვანიშნებს; იგი ამბობს: „ეს არის ასე", მაშინ როცა მეცნიერებას სჭირდება არა ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინება, არამედ იმისაც, რაც „უნდა იყოს ასე". ასეთ ცოდნას აპოდიქტური მსჯელობა იძლევა, რომელიც ინდუქციისაგან ვერ გამოიყვანება.

ისევე როგორც ინდუქციური მეთოდი ფილოსოფიაში, თვითდაკვირვების მეთოდიც ემპირიულ ფსიქოლოგიაში, მხოლოდ ფაქტიურ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს. იგი ამბობს: „ეს განცდა არის ასეთი" და შესაძლებელს ხდის მის აღწერას. მაგრამ ინდუქციას შეუძლია გარკვეული ცოდნა (თუმცა არასრულყოფილი) მოგვცეს არა ერთი საგნის შესახებ, არამედ ყველა იმ საგანთა შესახებ, რომელიც ადამიანს გამოცდილებაში ეძლევა. თვითდაკვირვების მეთოდი კი ადამიანს მხოლოდ საკუთარი ფსიქიკის შესახებ აძლევს ცოდნას. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ თვითდაკვირვება მხოლოდ იმას აღწერს, რასაც ადამიანი უშუალოდ განიცდის, და არ ეძებს კანონზო-

მიერებას ამ განცდილში, გამოვა ის, რომ პრინციპულად შეუძლებელი გახდება სხვისი მე-ს წვდომა, შეუძლებელი გახდება ფსიქიკის ობიექტური, მეცნიერული კვლევა, რაც ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, სრულ რღვევას გამოიწვევს. საქმეს, ცხადია, ვერ უშველის ის გარემოება, რომ რეფლექსია (თვითდაკვირვება), შეგრძნებებთან, შედარებით, გაცილებით ადექვატურ შემეცნებას იძლევა. რადგან ეს შემეცნება ვერ ცილდება საკუთარი მე-ს, საკუთარი ფსიქიკის ფარგლებს, და რადგანაც რამდენი კაციცაა, იმდენი ფსიქოლოგია ვერ აიგება, ამიტომ ფსიქოლოგიის რღვევის საქმეს ხელს არაფერი უშლის.

საქმეს უშველიდა თვითდაკვირვების გზით დაგროვილი ემპირიული მასალის ახსნა, მათი კანონზომიერების დაძებნა. მაგრამ ახსნა, რომელმაც ლოკის ფილოსოფიაში დასაყრდენი ვერ პოვა, ასევე ვერ შეეწყო ვერც მის ფსიქოლოგიურ სისტემას. იქაც და აქაც, ფილოსოფიაშიც და ფსიქოლოგიაშიც, ლოკი დანახვის, აღქმის მომხრე დარჩა და არა ახსნისა. ამ გარემოებამ მიიყვანა ლოკის ფილოსოფია სკეპტიციზმამდე.

ახსნის როლი შემეცნების საქმეში ემპირიზმის ფარგლებში გადაუწყვეტელი დარჩა. ამ გარემოებამ კი ემპირიული ფსიქოლოგია თავის ლოგიკურ დასასრულამდე—სკეპტიციზმამდე მიიყვანა.

შინაარსი

განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკა-სათვის (კარლ მარბე)

შესავალი 3

კარლ მარბეს განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძველი

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. მარბეს ფილოსოფიური კონცეფცია. 6
ამოსავალი ფილოსოფიური თვალსაზრისი 6
§2. შოპენჰარი მსჯელობანი (ახროვნების ფსიქოლოგია) 6
§3. ლოგიკა და გნოსეოლოგიის პრობლემები 19
თ ა ვ ი მ ე ო რ ე. მარბეს განწყობის ფსიქოლოგია 35
§1. განწყობისა და პიროვნების თეორია 35
§2. ბოტორული განწყობისა და პიროვნების თეორია 68
§3. ინაცნობიერის პრობლემა მარბეს კონცეფციაში 81

II. კარლ მარბეს კონცეფციის კრიტიკა

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. განწყობის თეორიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკა 86
თ ა ვ ი მ ე ო რ ე. მარბეს ფსიქოლოგიური კონცეფციის კრიტიკა 99
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. კარლ მარბე და თანამედროვე ფსიქოლოგია 122

ემპირიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები (ჯ. ლოკი)

შესავალი 143

§1. ლოკის ფილოსოფიური შეხედულებანი 145
§2. გარესამყაროს შემეცნების პრობლემა ლოკთან და მისი სკეპტიციზმი 156
§3. ლოკის ფსიქოლოგიური კონცეფცია 161
§4. ფსიქოლოგიის საგანი 167
§5. თვითდაკვირვების მეთოდი, როგორც კვლევის ერთადერთი მეთოდი ლოკთან 171
§6. მე-ს წვდომისა და ინტუიციური შემეცნების პრობლემა ლოკთან 173
§7. ხსენიები ჩე-ს წვდომის პრინციპული შეუძლებლობა და ფსიქოლოგიური სკეპტიციზმი, როგორც ემპირიული ფსიქოლოგიის ლოგიკური დასასრული. 174

Георгий Иванович Цинцадзе,
Реваз Гедеонович Баланчивадзе

К КРИТИКЕ ФИЛОСОФСКИХ ОСНОВ БУРЖУАЗНОЙ ПСИХОЛОГИИ

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ა. ბოჭორიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ც. შალაძბერიძე
ტექრედაქტორი ნ. ებრალიძე
კორექტორი ც. ჯიმშელეიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.10.1965; ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆;
ნაბეჭდი თაბახი 11.12; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.86;
უე 02197; ტირაჟი 1000; შეკვეთა 685
ფასი 71 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5